† Ⴚ Ⴓ

ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები

Actual Problems of Kartvelology

I

2012

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
Saint Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia

ქართველოლოგიის
აქტუალური პრობლემები

Actual Problems of Kartvelology

APK

I

2012

ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში: **„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“** იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული **საერთაშორისო კონფერენციის მასალები;** ასევე, რეცენზირებული (ენათმეცნიერული, ლიტერატურათ-მცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

სარედაქციო კოლეგია:

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), **სვეტა ადამია** /სწავლული მდივანი/, **გია ალიბეგაშვილი, ამირან არაბული, ნომადი ბართაია, მერაბ ბერიძე, თეიმურაზ გვანცელაძე, ვახტანგ გურული, კარინა ვამლინგი, სერგო ვარდოსანიძე, ნათია იაკობიძე** /პასუხისმგებელი მდივანი/, **თამარ ლომაძე** /ინგლისური ტექსტის რედაქტორი/, **გურამ ლორთქიფანიძე, თამარ მესხი, როინ მეტრეველი, მაია მირესაშვილი, საიდ მულიანი, ალექსი ჟორდანია, მერაბ რობაქიძე, მანანა ტაბიძე** /რედაქტორი/, **ტარიელ ფუტკარაძე** /მთავარი რედაქტორი/, **ინგა ღუტიძე, როინ ყავრელიშვილი, ბელა შავხელიშვილი, ლელა შათირიშვილი, რეზო შეროზია, ფევზი ჩელები.**

რედაქციის მისამართი:

0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, ქართული უნივერსიტეტი /ქართველოლოგიის ცენტრი/, ოთახი №110; ტელ.: 0790 71 78 11

ელ-ფოსტა: kartvelologyCentre@gmail.com
კრებულის ელ-ვერსია იხ.: www.sangu.ge

© **ქართული უნივერსიტეტი**
ISSN 978 9941-448-23-2

The materials of the international conference organized by the Kartvelology Centre at the St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia are published in the annual scientific journal: **"Actual Problems of Kartvelology".**

Editorial Board

Metropolitan Anania (Japaridze), **Sveta Adamia** (scientific secretary), **Gia Alibegashvili**, **Amiran Arabuli, Nomadi Bartaia, Merab Beridze, Pevzi Chelebi, Inga Ghutidze, Vakhtang Guruli, Teimuraz Gvantseladze, Natia Iakobidze** (responsible secretary), **Roin Khavrelishvili, Tamar Lomadze** (editor of the English text), **Guram Lortkipanidze, Tamar Meskhi, Roin Metreveli, Maia Miresashvili, Said Muliani, Merab Robakidze, Bela Shavkhelishvili, Lela Shatirishvili, Rezo Sherozia, Manana Tabidze** (responsible editor), **Tariel Putkaradze** (editor-in-chief), **Karina Vamling, Sergo Vardosanidze, Aleksi Zhordania.**

Address of the editorial office:
Ilia Chavchavadze N53a, Tbilisi 0162, St Andrews Georgian University, Kartvelology Centre, Room N110. Tel. 0790 71 78 11

E-mail: kartvelologyCentre@gmail.com
Website: www.sangu.ge

© Georgian University

ISSN 978 9941-448-23-2

შინაარსი

ტარიელ ფუტკარაძე, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები 9

Tariel Putkaradze, Actual Problems of Kartvelology and Objectives of the Kartvelological Centre of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia 31

ენდრიუ ანდერსენი, ისტორიის ფალსიფიკაცია პოლიტიკური ავატიურიზმის სამსახურში 39

Andrew Andersen, Playing "Unpredictable Past" for the Sake of Dubious Future 50

ფატი ანთაძე-მალაშხია, სხვადასხვა პერიოდში შემოსული ზოგი სპარსული ნასესხობისათვის ქართულში 51

Pati Antadze-Malashkhia, Persian Loanwords Borrowed into georgian Language in Various periods 60

ამირან არაბული, „მძლევარი" და „მკვდართა მზე" - ორი ქვეყნის, ორი სამყაროს მეკავშირენი ხალხურ სიტყვიერებაში 62

Amiran Arabuli, 'Mdzlevari' (triumphant) and 'Mkvdarta Mze' (the sun of dead) – Messengers of Two Countries, Two Worlds in Folk Speech.....66

ლია ახალაძე, ჯავახეთის წარწერები როგორც საისტორიო წყარო.67

Lia Akhaladze, Inscriptions of Javakheti as a Historical Source.....86

ნომადი ბართაია, ქართველები და ირანელები ერთმანეთის წარმოდგენაში 88

Nomadi Bartaia, Georgians and Iranians in Each Other's Notion.....95

თეიმურაზ გვანცელაძე, აფსუარა — აფხაზთა იდენტობის კოდექსი და მისი მეტამორფოზები 96

Teimuraz Gvantseladze, Apsuara – The Codex of Abkhazian's Identity and its metamorphosis) 110

როზეტა გუჯეჯიანი, ეთნოკულტურული პროცესები ბურსის რეგიონის (თურქეთი) ეთნიკურ ქართველთა შორის 111
Rozeta Gujejiani, Ethno-cultural Processes among the ethnic Georgians in Bursa Region (Republic of Turkey) 120

შანშე დარჩიაშვილი, ქართული და სომხური წყაროების ცნობები ზაქარია მხარგრძელის მიერ „შაჰანშაჰის" ტიტულის მიღების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით 121
Shanshe Darchiashvili, Georgian and Armenian Sources Concerning the Chronology of 'Shahanshah' title by Zakaria Mkhargrdzeli 128

ბიჭიკო დიასამიძე, აჭარა ქრისტეს პირველმოციქულთა ხანაში..129
Bichiko Diasamidze, Adjara in the Period of the Apostles of Christ.....134

კახა კვაშილავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის 135
Kakha Kvashilava, On the History of Odishi-Abkhazian Relations.....141

ავთანდილ ნიკოლეიშვილი, აფხაზი მწერლები და საქართველო...143
Avtandil Nikoleishvili, Apkhazian Writers and Georgia.....154

ზურაბ პაპასკირი, „აფხაზთა" სამეფოს ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახის სეპარატისტული ხედვის კრიტიკისათვის.....155
Zurab Papaskiri, To the Ciriticism of the Views Expressed in the Separatist Historiography regarding the Ethnical, Cultural, Political and state Character of the "Abkhaz" Kingdom.....172

ალექსი ჟორდანია, დიგლოსიის ზოგიერთი ასპექტი არაბულში....173
Aleks Zhordania, Some Aspects of Diglossia in Arabic, Georgia and German languages.....180

მერაბ რობაქიძე, „თავისუფლების“ იდეის გამომხატველი ზოგიერთი ცნება ძველ ქართულ ენაში.....181
Merab Robakidze, Concepts Conveying the Meaning of “Freedom” in the old Georgian Language.....192

გიორგი სოსიაშვილი, ერეკლე II პოლიტიკური მოღვაწეობა და ქართულ-ოსური ურთიერთობის საკითხი.....193
Giorgi Sosiashvili, Political Life of Erekle II and the Question of the Georgian-Ossetian Relationship.....198

მანანა ტაბიძე, მერაბ ნაჭყებია, ომისშემდგომი აფხაზეთის ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი კანონმდებლობის კომპლექსური დახასიათება.....199
Manana Tabidze, Merab Nachkebia, Complex Analysis of Linguistic Situation and Linguistic Legislation of Post-war Abkhazia (1993-2012).....206

ტარიელ ფუტკარაძე, იაშა თანდილავა, მიშა ლაბაძე, ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივ-ეთნიკური იდენტობის საკითხები.....207
Tariel Putkaradze, Iasha Tandilava, Mikheil labadze, Linguistic-ethnic Identity Issues of Lazeti Georgian Inhabitants.....220

ინგა ღუტიძე, ქართული ენისა და იდენტობის მიმართების დისკურსი დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში.....223
Inga Goutidzé, Discour sur le Pqpport entre lq Lqgue et L’identite Georgiennes Dans la Litterqture Scientifique Occidentqle.....236

ბელა შავხელიშვილი, კარინა ვამლინგი, ენა და მუსიკა.....237
Bela Shavkhelishvili, Karina Vamling, Language and Musik.....250

მემორანდუმი.....251
Memorandum.....253

„მეცნიერებას დიდი და სერიოზული შედეგები ექ-ნება იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება მორწმუნე და სულიერად ძლიერი ადამიანების ხელში.
ურწმუნო ადამიანები მეცნიერებაში საშიში ძალაა!“

ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგებიდან
(დავითობის დღესასწაული, 2006 წლის 8 თებერვალი;
საპატრიარქოს უწყებანი, № 8, 2-8 მარტი, 2006 წ.)

„Science will have important and serious results in case it is guided by believers and spiritually strong people. Nonbelievers are dangerous in science!“

Catholicos-Patriarch of All Georgia, Archbishop of Mtskheta-Tbilisi, Metropolitan of Bichvinta and Tskhum-Abkhazia,
His Holiness and Beatitude Ilia II

ტარიელ ფუტკარაძე

ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები

შესავალი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 2006 წლის საშობაო ქადაგებაში ბრძანებს:

„ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია... ნაწილობრივ პოლიტიზებული მეცნიერებებია და, ბუნებრივია, ყოველი ქვეყანა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, იყენებს მათ. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმპერიებისათვის, რომელნიც ამ მეთოდით ცდილობენ, გაიმყარონ თავისი პოზიციები“ (ილია II 2006:10).

დიდ იმპერიას აქვს შთამბეჭდავი რესურსები, თავისი ინტერესების შესაბამისად დაგეგმოს და მართოს მეცნიერება დაპყრობილი მცირერიცხოვანი ერების შესახებ. სამწუხაროდ, ამგვარ ზემოქმედებას ვერ ასცდა ვერც ქართველოლოგია.

სხვა მეცნიერებების მსგავსად, ქართველოლოგია ინტენსიურად ვითარდება ბოლო ორი საუკუნის მანძილზე; ამ პერიოდში საქართველო მეტწილად ანექსირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ; შესაბამისად, ქართველოლოგიის დაგეგმვისა თუ განვითარებისადმი მკაფიოდ ჩამოყალიბდა რადიკალურად განსხვავებული ორგვარი მიდგომა:

1. იმპერიის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე ორიენტირებული კვაზიქართველოლოგია;
2. ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებზე ორიენტირებული მეცნიერული ქართველოლოგია.

ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიის გაყალბების საკითხისათვის

ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიის გაყალბება აქტიურად და სისტემურად ხდება მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან, კერძოდ:

1801-1839 წლებში ქართულ სამეფო-სამთავროებთან დადებული შეთანხმებების დარღვევითა და სამხედრო ძალის გამოყენებით რუსეთის იმპერიამ განახორციელა საქართველოს ანექსია /„მოყვრად მოსული მტერი“/. 1940 წლიდან, მეფისნაცვლის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, იმპერიამ საქართველოში დაამყარა სამოქალაქო მმართველობა და, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დანაწევრების მიზნით /„გათიშე და იბატონე“/ დაიწყო ქართველთა ნაწილის არაქართველებად გამოცხადება, ქართული ენის ფუნქციონირების არეალის შეზღუდვა და ქართული ენის განდევნა საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიიდან. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა რუსეთის იმპერიის მოხელე კირილე იანოვსკი[1].

იმპერიული პოლიტიკის საპირისპიროდ, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის თაობამ აქტიურად დაიწყო ბრძოლა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართველთა ეროვნული კულტურისა და ერთიანობის სიმბოლოს - ქართული ენის -

---

[1] 1892 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კირილე იანოვსკის (იგი ამ პოსტზე მუშაობდა 1878 წლის დეკემბრიდან 1900 წლამდე) სპეციალური მოხსენება გაუგზავნია იმპერიის სახალხო განათლების მინისტრისათვის, რომელშიც მოითხოვდა, რომ საქართველოს სამღვდელოებისათვის ჩამოერთმიათ საეკლესიო-სამრევლო და ე.წ. წერა¬კითხვის სკოლების მართვის უფლება, ვინაიდან სამღვდელოთა უმრავლესობა ქართველები არიან და მათმა დიდმა ნაწილმა არ იცის რუსული ენა, თანაც ქართველი სასულიერო პირები დააბრკოლებენ მთავრობის მისწრაფების განხორციელებას განაპირა მხარეების იმპერიასთან შესარწყმელადო. კ. იანოვსკი თავის მოხსენებაში სხვადასხვა ხალხებად აცხადებს მეგრელებსა და დანარჩენ ქართველებს. მეგრელებს ქართულისაგან განსხვავებული ენა აქვთ და მეგრულზე აუცილებელია გადავიღოთ საეკლესიო წიგნები და ლოცვათა ტექსტებიო, წერდა იანოვსკი. იანოვსკის ამ მოხსენებაში წამოჭრილი საკითხების განხილვა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს დაუვალებია საქართველოს ეგზარქოს პალადისათვის 1892 წლის 24 მაისს; ეგზარქოსმა კი იმავე წლის 5 ივნისის საკითხის გამოკვლევა და დასკვნის წარდგენა მოსთხოვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს (დადიანს). იმავე წლის 12 აგვისტოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა გამანადგურებელი პასუხი გასცა კ. იანოვსკის, განსაკუთრებით მის დებულებებს „მეგრელების არაქართველობისა და მეგრული ენის არსებობის შესახებ“ **/თეიმურაზ გვანცელაძე, მერაბ ნაჭყებია, მანანა ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში),** *სვეტიცხოველი, 2009, № 1, გვ.* 148-162; http://sveticxovelijournal.ge/view.php?id=23

საკითხმა: ქართულ ენას იმპერია დევნიდა ადამიანური შემოქმედების ყველა სფეროდან: საეკლესიო ღვთისმსახურებიდან, მხატვრული მწერლობიდან, მეცნიერებიდან, ყველა დონის სკოლიდან; სწორედ ამ პერიოდში დაიწყო წმინდა წერილის თარგმნა მეგრულად და სვანურად. ქართველი ერი თავისი ღირსეული შვილების ბრძოლით წინააღმდეგობას უწევდა ქართულენობრივი კულტურის დამცრობის მოსურნეთ. მე-19 და მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე ამ დაპირისპირებას განასახიერებდა ორი ცნობილი სასულიერო პირი: **ამბროსი ხელაია და ივანე ვოსტორგოვი**; კერძოდ:

სამეგრელოს მოსახლეობის აზრს გამოხატავდა და სამეგრელოსა თუ საქართველოს სხვა კუთხეებში მოქმედ მრავალსაუკუნოვან ეკლესიებში ქართულ ენას იცავდა სამეგრელოში აღზრდილი დიდი მოძღვარი, შემდგომში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ამბროსი ხელაია.

სამეგრელოს მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ, რუსი მღვდელი, შემდგომში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე - ივანე ვოსტორგოვი ცდილობდა, ქართულენოვანი სკოლები აეკრძალა სამეგრელოში და ქართული ენა განედევნა ქართული სამოციქულო ეკლესიიდან; კერძოდ, იგი ცდილობდა, საქართველოს ისტორიულ მხარეებში - სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში - ღვთისმსახურების ტრადიციული ენა - ქართული ენა - ადგილობრივი კილოებით, რეალურად კი რუსული ენით შეეცვალა.

დღეისთვის საყურადღებო ფაქტი:

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი - ამბროსი ხელაია საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა 1995 წელს და მას ეწოდა **წმიდა ამბროსი აღმსარებელი**.

რამდენიმე წლის შემდეგ, 2000 წელს, რუსეთის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ივანე ვოსტორგოვი /Восторгов, Иван Иванович/[2].



მე-20 საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში ქართული ენისათვის ბრძოლა უფრო გამძაფრდა: ქართული ენის როლისა და ქართველოლოგიის დაგეგმვის თვალსაზრისით ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდა ორი ცნობილი მეცნიერი: ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი.

კერძოდ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინტერესების დამცველი ნიკო მარი უარყოფდა ქართულ ენას, როგორც მეცნიერებისა და განათლების ენას, ივანე ჯავახიშვილი კი,

---

[2] http://kuz3.pstbi.ccas.ru/bin/nkws.exe/no_dbpath/docum/ans/nm/?HYZ9EJxGHoxITYZCF2JMTdG6Xbu0fi5Wfi0Xfe6UW88UfG06ce0hfe8ctk*
http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%BE%D1%81%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B3%D0%BE%D0%B2,_%D0%98%D0%B2%D0%B0%D0%BD_%D0%98%D0%B2%D0%B0%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%B8%D1%87

აგრძელებდა რა **დიდ წინაპართა გზას, ცდილობდა, აელორძინებინა ქართული ენის 15-საუკუნოვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტრადიცია**[3].

ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს შორის მძაფრი იყო დაპირისპირება ქართულენოვანი უნივერსიტეტის საჭიროებისა და ქართველური ენობრივი სამყაროს კვალიფიკაციის შესახებაც; სანიმუშოდ წარმოვადგენ ივანე ჯავახიშვილის ერთ ციტატას:

"1908 წელს ნ. მარი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოს საუკეთესო და დამახასიათებელ წარმომადგენლად „ქართულსა და მასთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს გარდა, ესე იგი ეგრეთ წოდებულ ქართებისა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქვას, ქართებისა, იბერთა [იგულისხმება მეგრულ-ჭანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან"-ო (ნ. მარი 1908:1). მაშასადამე, იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნ. მარისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის „ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები", დიალექტები იყო მხოლოდ... ნ. მარის ზემომოყვანილი დებულების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად იქნება გაოცებული, რადგანაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში: „კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები" იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შეხვდება: „ქართველთმცოდნენი, **ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილნი**, უგულებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ **დამოუკიდებელ ენებს**, როგორც მაგ., სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის „დამახინჯებულ" თქმად ანუ დიალექტად სთვლიდნენ"-ო... ავტორს დავიწყებია, რომ ამგვარივე „ნაციონალისტური" შეხედულება მასაც ჰქონდა 1905 და 1908 წლებში „**მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა**"(ივ. ჯავახიშვილი 1992:53-54).

საქართველოს დამოუკიდებლობის მცირე მონაკვეთში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით თბილისში დაარსდა „ქართული უნივერსიტეტი" (10.05.1917)[4] და სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება მეცნიერულმა ქართველოლოგიამ.

ეს პროცესი შეაფერხა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ. იოსებ სტალინის მიერ შექმნილმა საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ, პირველ რიგში, თავად იოსებ სტალინმა,

---

[3] ნ.მარისა და ივ.ჯავახიშვილის დისკუსიისათვის ვრცლად იხ., ტარიელ ფუტკარაძე, ია ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში, თბ., 2011.

[4] „ქართული უნივერსიტეტი" საზეიმოდ გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს /8 თებერვალს/ - დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 3 სექტემბრის კანონით „ქართულ უნივერსიტეტს" 1918 მიენიჭა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი და მას ეწოდა „**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**".

სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციად აქცია მეფის რუსეთის მიერ პოლიტიზებული და ნიკო მარის მიერ მეცნიერული ტერმინოლოგიით შეფუთული დებულებები[5], რომელთა მიხედვითაც არაქართველებად და მწიგნობრობის არმქონეებად ცხადდება აჭარის, სამეგრელოსა და სვანეთის ქართველობა; ამ დროიდან მეგრულს, ლაზურსა და სვანურს დაუმკვიდრდა ე.წ. **უმწერლობო ქართველური ენების სახელი** (ფუტკარაძე 2005:43-44; ბოლქვაძე 2007:221).

პარალელურად, ჯერ ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან (მოგვიანებით განდევნეს კიდეც მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტიდან), შემდეგ კი სულ **დაშალეს**[6] ივანე ჯავახიშვილისა და სხვა დიდი მოღვაწეების მიერ დაფუძნებული ქართული უნივერსიტეტიც /ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/[7].

კომუნისტური იმპერიის ხელისუფლებამ (ოფიციალურად, ლავრენტი ბერიას ინიციატივით) სამი წლის შემდეგ დააფუძნა (1933 წ.)(გურული 2006:22-23).ფაქტობრივად, ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მიზანმიმართულად აქცია პოლიტიზებული ქართველოლოგიის უპირველეს კერად (ჯორბენაძე 1988:122); თუმცა, ცნობილი ქართველი მეცნიერების ძალისხმევით, ამ ტიპის უნივერსიტეტშიც კი ბევრი ფასეული სამეცნიერო ქართველოლოგიური პროექტი განხორციელდა.

მეცნიერული ქართველოლოგიის აღორძინებისთვის კარგი პირობები შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე - 1991 წლის 9 აპრილს - საქართველოს რესპუბლიკამ /პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია/ გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ამავე წელს საქართველოს ხელისუფლებამ ადეკვატურად შეაფასა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია 1801-1917 და 1921-1990 წლებში და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის სამხედრო შენაერთებს ოკუპანტის სტატუსი მიანიჭა. სამართლებრივად დაიწყო საქართველოს დეოკუპაციის პროცესიც.

---

[5] იხ. ი. სტალინის 1913 წელს გამოქვეყნებული წიგნი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".

[6] საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით მოახდინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რეორგანიზაცია"; სინამდვილეში ეს იყო „უნივერსიტეტის დაშლა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად მისი საბოლოო გაუქმების მიზნით" /„ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროზე" (დოკუმენტურ მასალათა კრებული, შეადგინეს ვ. გურულმა და მ. ვაჩნაძემ); თბ., 2006, გვ. 7/.

[7] შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ 2009 წელს დაარსებულ უნივერსიტეტს ეწოდა „ქართული უნივერსიტეტი".

პარალელურად, აქტუალური გახდა ილია ჭავჭავაძის, ამბროსი ხელაიას, ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა თვალსაზრისები ქართველოლოგიის არსებითი საკითხების შესახებ; კერძოდ, ამ დროიდან აღორძინდა ტრადიციული თვალსაზრისი ქართველთა ერთი დედაენის შესახებ და ერთმანეთს ისევ დაუპირისპირდა ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ისტორიის ორგვარი გააზრება; შესაბამისად, ისევ გახდა აქტუალური ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა[8].

ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები

რუსეთის იმპერიიდან ამიერკავკასიის (ანუ ცენტრალური კავკასიის) გასვლის პერსპექტივის გაჩენის გამო /1991 წლის შემდეგ/, ახალ ფაზაში შევიდა მრავალწახნაგოვანი გეოპოლიტიკური დაპირისპირებანი საქართველოს, ზოგადად, კავკასიის გამო. დღეს კავკასიის ცენტრალური სახელმწიფო - საქართველო - მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია: საქართველო აქტიურად განიხილება ამერიკა-რუსეთის, ევროპა-რუსეთის, ამერიკა-ირანის, თურქეთ-რუსეთისა და ამერიკა-ევრაზიის გეოპოლიტიკურ კონტექსტებში.

ბუნებრივია, დაინტერესებული მხარეები ესწრაფვიან, თავიანთი ინტერესების შესაბამისად განიხილონ საქართველოს პოლიტიკური და ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის ისტორიული დინამიკა და აწმყო. განსხვავებული სუბიექტური მიდგომები უშუალოდ აისახება ქართველოლოგიის დაგეგმვაშიც. ამ თვალსაზრისით, გამოკვეთილად აქტიურნი არიან რუსეთის იმპერიის აღორძინების მოსურნე ძალები, რომელთაც კავკასიის შენარჩუნების მიზნით, განახორციელეს საქართველოს განაპირა რაიონების ეთნოწმენდა და ახლა ცდილობენ, მართონ საქართველოს სხვა მხარეების მოსახლეობის იდენტობა. მოსახლეობის იდენტობის მართვა /ასიმილაცია, თვითაღქმის ტრანსფორმირება.../ დემოგრაფიული ექსპანსიის ერთ-ერთი მიმართულებაა[9]; იგი ხორციელდება ისტორიული თუ არსებული რეალობის მიზანმიმართული გაყალბებით. ამ მიზნით, გლობალურ საერთაშორისო ქსელში აქტიურად ვრცელდება დეზინფორმაციული ცნობები თუ კვაზიმეცნიერული კვალიფიკაციები ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყაროს შესახებ.

---

[8] ასეა დღემდე. ამ თვალსაზრისით ცალკე სამსჯელოა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებული ქართველოლოგიის ფონდის საქმიანობა, რომელიც 2011 წლამდე იმ ენათმეცნიერულ პროექტებს აფინანსებდა, რომლებიც ინერციით თუ გააზრებულად აგრძელებენ საბჭოთა ტრადიციას /მსჯელობისათვის იხ.: http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=36778&Itemid=1

[9] დემოგრაფიული ექსპანსიის სამი ძირითადი მიმართულება: 1. ავტოქთონი მოსახლეობის გენოციდი, 2. დემოგრაფიული სურათის შეცვლა არაავტოქთონი მოსახლეობის ჩასახლებით, 3. ავტოქთონი მოსახლეობის თვითაღქმის/იდენტობის შეცვლა.

აქვე აღვნიშნავ, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისიდან გარკვეული ძალები ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დანაწევრებასა და მის იურიდიულ გაფორმებას აქტიურად ცდილობენ ევროსაბჭოს დოკუმენტების მოშველიებითაც; კერძოდ, არის მცდელობა, საქართველოს თავს მოახვიონ „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ არასწორი ინტერპრეტაცია. „ენის ქარტია“, იურიდიული და კულტურული თვალსაზრისით, მაღალი დონის დოკუმენტია, მაგრამ მისი არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, ის შეიძლება ნებისმიერი ძლიერი ქვეყნის დეზინტეგრაციის საფუძვლად იქცეს. „ენის ქარტიის“ ორგვარი ინტერპრეტირების შედეგად ქართველი თუ ევროპელი ექსპერტები ქართველური ენობრივი სამყაროს ორგვარ კვალიფიკაციას იძლევიან:

1. ტრადიციული ქართული და ზოგი უცხოური წყაროების კვალად, ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ერთი ენით - ქართული ენით - და 20-ზე მეტი დიალექტით;
2. მეფის რუსეთისა და საბჭოთა რუსეთის იმპერიების ოფიციალური პოზიციის ინერციით, ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ოთხ /ან - სამ/ დამოუკიდებელ ენად, რომელთაგან მეგრული, ლაზური და სვანური კვალიფიცირდება რეგიონულ ან უმცირესობის ენად[10].

მაშასადამე, ილია ჭავჭავაძესა და კირილე იანოვსკის, წმიდა ამბროსი ხელაიასა და ივანე ვოსტორგოვს, ასევე, ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს შორის არსებული დისკუსია არსებითად დღემდე გრძელდება; მეტიც, ბოლო პერიოდში მაღალბიუჯეტიანი გრანტებით განხორციელდა წმინდა წერილის თარგმნა მეგრულად და სვანურად; პარალელურად, დიდი თანხა იხარჯება ლაზეთ-სამეგრელოსა და სვანეთის ქართველობისთვის ისტორიული დედაენობრივი სამწიგნობრო კულტურის გასაუცხოებლად და მეგრული, ლაზური თუ სვანური „სალიტერატურო“ ენების შესაქმნელად. 21-ე საუკუნეში პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ, **სამოქალაქო საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით,** ამ საკითხს 2005 წელს გამოეხმაურა საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდიც ; კერძოდ, მის განჩინებაში ვკითხულობთ:

„**განაჩინეს**: დაუშვებელია ისტორიის გაყალბება - მეგრელებისა და სვანების მწიგნობრობისა და ქრისტიანული კულტურის არქეონეებად გამოცხადება და ამ კუთხის შვილებისათვის XXI საუკუნეში ბიბლიის თარგმნა, რაც უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ერის გათიშვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მცდელობას“

/საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 23 დეკემბერი, 2005 წელი, თბილისი; საპატრიარქოს უწყებანი, № 45, 29 დეკემბერი - 4 იანვარი, 2005 წ./.

---

[10] საკითხის ისტორიისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია; “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო“, ქუთაისი, 2010; http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010.

მეტად დინამიკურ დღევანდელ სამყაროში არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართველოლოგიურ აკადემიურ კვლევა-ძიებებსა და ამ კვლევათა შედეგების ფართოდ გავრცელებას. ამ ფონზე ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის უპირველესი მიზანია, თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო სამეცნიერო "ზიარი ჭურჭელის" შექმნაში. დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია, ამერიკელ, ევროპელ, რუს და აზიელ მეცნიერებთან თანამშრომლობით კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებში მცხოვრებმა ქართველოლოგებმა /ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა.../ განვახორციელოთ ერთობლივი კვლევები.

ბუნებრივია, ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი ქართველოლოგიის ყველა მიმართულებით ვერ დაგეგმავს კვლევებს; ცენტრის სამეცნიერო ჯგუფი ორიენტირებულია რამდენიმე სამეცნიერო პროექტზე; კერძოდ, მიმდინარე ეტაპზე დასახული გვაქვს სამი ძირითადი ამოცანა:

1. **საფრთხის ქვეშ მყოფი ქართველური ხალხური მემკვიდრეობის, განსაკუთრებით კი საქართველოს საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველების** (ტაოელების, ლივანელების, ლაზების, მაჭახლელების, შავშელების, ინგილოების/ჰერების, ფერეიდნელების) **დიალექტების, ფოლკლორის, ეთნოგრაფიული მასალის დოკუმენტირება და კვლევა**. ვიმედოვნებ, რომ ამ ამოცანის შესრულებას შევძლებთ თურქ, აზებაიჯანელ და ირანელ კოლეგებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებით.

2. „**მეგრულ-ლაზური, სვანური, ტაოური, ლივანური, ინგილოური და ფერეიდნული ლექსიკის შესწავლა ქართველთა სამწიგნობრო ენის სალექსიკონო ბაზის გამდიდრების მიზნით**" (სარეკომენდაციო სიტყვათა ელექტრონული ლექსიკონის შექმნა).

3. **აკადემიურ ენციკლოპედიებსა და ელექტრონულ ცნობარებში** (როგორც საერთაშორისო, ასევე, ეროვნულ) **ქართული ენისა და კულტურის შესახებ არსებული მცდარი ტერმინოლოგიური კვალიფიკაციების, არაზუსტი ინფორმაციებისა და არაადეკვატური რუკების კომენტირება, გამომცემელთათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.** რუსულ იმპერიულ ველში შექმნილი ე.წ. აფხაზური და ოსური შეფერილობის ისტორიულ-ტერიტორიული იდეოლოგემების კრიტიკული ანალიზი[11].

ქვემოთ გავაანალიზებთ ერთ მცდარ ტერმინოლოგიურ შეფასებასა და რამდენიმე არაადეკვატურ რუკას.

---

[11] იდეოლოგემა - Fredric Jameson-ის **მიერ შექმნილ ტერმინს**: „Ideologeme" ვიყენებთ ისეთი კვაზიმეცნიერული დებულების /თვალსაზრისის აღსანიშნავად, რომელიც იქმნება რაიმე იდეოლოგიურ-პოლიტიკური (როგორც წესი, იმპერიული) გეგმის განხორციელების პროცესში და რომლის მიზანია რეალობის/სინამდვილის შენიღბვა ან გაყალბება.

ერთი მცდარი ტერმინოლოგიური კვალიფიკაციისა და არაადეკვატური რუკების საკითხი

რეალური ფაქტები ცხადყოფს, რომ აფხაზეთსა და შიდა ქართლში /ცხინვალის მხარე/ მიმდინარე კონფლიქტი არის რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მცდელობა, ყველა ხერხით შეინარჩუნოს 200 წლის წინ დაპყრობილი საქართველოს ეს მხარეები; ამ მიზნით, აფხაზეთში - აფხაზებისა და ქართველების, ცხინვალის მხარეში კი - **ქართველების გენოციდით**, იმპერიის ხელისუფლებამ ხელოვნურად შეცვალა **დემოგრაფიული სიტუაცია** საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეებში; ბოლოს კი, ერთი მხრივ, ქართველებსა და აფხაზთა პროროუსულ ჯგუფს შორის, მეორე მხრივ კი, ქართველებსა და პროროუსულ ოსთა ნაწილს შორის დაპირისპირების პროვოცირების შემდეგ, იარაღით ხელახლა დაიპყრო ეს ტერიტორიები და იქიდან გამოდევნა **ქართველები, ასევე, აფხაზთა და ოსთა მეორე ნაწილი**.

საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად, იმპერიის მესვეურებმა თავიანთი ეს არალეგიტიმური, მეტიც, ბარბაროსული ქმედება ტერმინოლოგიურად შენიღბეს და საქართველოს ამ კუთხეების ოკუპაციასა და ანექსიის მცდელობას უწოდეს **ეთნოკონფლიქტი** აფხაზებსა და ქართველებს, ოსებსა და ქართველებს შორის.

2006 წლის საშობაო ეპისტოლეში ეს მოვლენა ზუსტად შეაფასა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა:

„საქართველოსთვის გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეული შიდა კონფლიქტები, რომელთაც არასწორად ეთნოკონფლიქტებსაც უწოდებენ, ორასი წლის მანძილზე მტრული ძალების მიერ წარმოებული ინფორმაციული ომის შედეგიცაა“.

ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხები კვაზიმეცნიერული ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციებისა და შესაბამისი რუკების საკითხს:

ქართველი ერისა და ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ თანამედროვე საენციკლოპედიო და საინტერნეტო სივრცეში თითქმის უალტერნატივოდაა გავრცელებული იმპერიულ ველში შექმნილი კვალიფიკაციები; კერძოდ, დამახინჯებულია ისტორიული სინამდვილე და სხვადასხვა ეთნოსადაა წარმოდგენილი სხვადასხვა კუთხის ქართველობა; მაგ., **მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2010 წლის მდგომარეობით), საქართველოში არის შემდეგი ენები (/ეთნოსები): აზერბაიჯანელები - 308 000, ასირიელები (აისორები) - 3 000, აფხაზები - 101 000, ბაცბები - 3 420, ბერძნები - 38 000, ლაზები - 2 000, მეგრელები - 500 000, ოსები - 100 000, რუსები - 372 000, სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) - 15 000, სომხები - 448 000 , ურუმები - 97 746, ქართველები - 3 901 380, ქართველი ებრაელები - 20 000, ქურთები - 40 000** /http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE/.

წარმოდგენილი „ეთნოლოგიური ენციკლოპედიის“ მცდარი კვალიფიკაციები, რომ თითქოსდა, არაქართველები არიან: სვანები, ლაზები, მეგრელები... სათავეს იღებს ძველი თუ ახალი რუსული კვალიფიკაციებიდან; კერძოდ, საუკუნის წინანდელ, 2002 თუ 2010 წლის სრულიად რუსეთის აღწერის მასალებში რუსული მხარე არაქართველებად წერს ქართველთა დიდ ნაწილს; მაგ., რუსეთში შეიქმნა რუკა, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ხალხებადაა ჩათვლილი ქართველთა ჯგუფები: იმერლები, ქართლელები, მეგრელები, კახელები /http://www.iriston.com/nogbon/print.php?newsid=489/[12].

შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ადრინდელ რუსეთში მწირი იყო ქართველი ერის ისტორიის შესახებ ცოდნა და ასე აგვეხსნა რუკაზე წარმოდგენილი შეუსაბამობა, მაგრამ ამგვარი კვალიფიკაციებისგან თვისობრივად არ განსხვავდება საბჭოთა კავშირში და, განსაკუთრებით, 21-ე საუკუნის რუსეთის სახალხო აღწერების მასალები და ამავე პერიოდის ეთნოლინგვისტური რუკები; მაგ., 2002 წლის აღწერის მიხედვით, რუსეთში ცხოვრობს 188 ეროვნება, მათ შორის თურმე არიან: **Грузины** *(картвели)*, **Аджарцы** *(аджарели)*, **Ингилойцы** *(ингилой)*, **Лазы, Мегрелы** *(маргали, мингрелы)*, **Сваны**[13].

შდრ., აგრეთვე:

მრავალი საუკუნის მანძილზე ერთიან ერად/ეთნოსად არსებული ქართველი ერი 2010 წლის აღწერის მასალებში რუსმა მოხელეებმა**12 დამოუკიდებელ ნაციად წარმოდგინეს:** аджарцы, грузины, гурийцы, имеретинцы, ингилойцы, кахетинцы, лазы, мегрелы, месхи, турки-месхетинцы, рачинцы, хевсуры[14].

თითქმის ანალოგიურია, რუსეთში შექმნილი და ფართოდ გავრცელებული კავკასიის ეთნოლინგვისტური რუკა, რომელიც, მაგ., დევს „ოსეთის ისტორიისა და კულტურის ვებგვერდზე“[15]:

---

[12] იხ., აგრეთვე: “დროება“, 25.12.1908 წ., №32. გვ.6.

[13] http://www.perepis2002.ru/index.html?id=17

[14] იხ., 2010 წლის 27 იანვარს რუსეთის სტატისტიკის სამსახურის მიერ შექმნილი № 74 დოკუმენტი. კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტარაძე, რუსეთის მოსახლეობის აღწერა (2010) და მორიგი სვლა ქართველი ერის დასაშლელად:http://www.scribd.com/doc/30636267/rusuli-samecniero-agresia-2010-2002; იხ., ასევე: http://medianews.ge/index.php/ka/content/29788

[15] http://www.iriston.com/books/cuciev_-_etno_atlas/cuciev_etno-polit_map.htm; http://www.iriston.com/nogbon/news.php?newsid=480/



ამ რუკაზე წარმოდგენილი კვალიფიკაციების მიხედვით, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები და „ნაროდნოსტები“ არიან: ქართველები, იმერლები, აჭარლები, ლაზები, ფშავლები, გურულები, მეგრელები, სვანები... რომლებიც, ავტორთა აზრით, ხუთ ეთნოსად ჯგუფდებიან: ქართველები, სვანები, აჭარლები, ლაზები, მეგრელები; შდრ., ცნობილი ენათმეცნიერის, მსოფლიოს ენათა რეესტრის ავტორის, პროფ. იური კორიაკოვის ეთნოლინგვისტური რუკა:



ამ რუკის მიხედვით, არაქართველებადაა ჩათვლილი: სვანები, მეგრელები, ლაზები; შესაბამისად, ქართული ენა არ ჩანს: სამეგრელოში, სვანეთში, აფხაზეთსა და ლაზეთში /http://linguarium.iling-ran.ru/maps/1-all.gif/[16].

სამწუხაროდ, რუსული იდეოლოგიური საინფორმაციო მანქანის აქტიური ზეგავლენით დასავლეთში საქართველოს ისე უყურებენ, როგორც მყიფე მცირე იმპერიას, **სადაც არაქართველებად მიიჩნევიან არამხოლოდ აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანლები, არამედ, აჭარლები, სვანები, მეგრელები, მესხები...** იქმნება შესაბამისი რუკებიც; მაგ., ცნობილი გეოგრაფისა და კარტოგრაფის Philippe Rekacewicz-ს მიერ 2004 წელს პარიზში შედგენილ ამიერკავკასიის ეთნოლინგვისტურ რუკაზე /რომელიც დევს grida-ს ვებგვერდზეც/, არაქართველებად არიან ჩათვლილნი მეგრელები და სვანები:



---

[16] კრიტიკისათვის იხ.: ტ. ფუტარაძე, თანამედროვე ქართველთა ენობრივ-ეთნიკური აღწერა „მსოფლიოს ენათა რეესტრის“ (inguarium.iling-ran.ru) მიხედვით და არსებული სინამდვილე“, საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი, 2009. http://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo.
ტ. ფუტარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის; კრებული: საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009, გვ. 221-234.http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia.

საბჭოთა პერიოდში შემუშავებული სქემის მსგავსი ლინგვისტური რუკები იქმნება დღევანდელ საქართველოშიც; მაგ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ბოლო პერიოდში შექმნა „იბერიულ-კავკასიური ენების რუკა", სადაც 1990 წლის მდგომარეობით ქართველური ენობრივი სამყარო 3 ენადაა წარმოდგენილი აკად. არნ. ჩიქობავას კვალიფიკაციის შესაბამისად (ქართული, ზანური, სვანური), მაგრამ, რატომღაც, ამ ახალ რუკაზე ასახული არ არის ქართული ენის არსებობა: სვანეთში, ლივანაში, ზემო მაჭახელში, ტაოსა და ლაზეთში[17]:



აქვე აღვნიშნავ, რომ დიდ ენათმეცნიერსა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიის ერთ-ერთ გამორჩეულ ფუძემდებელს, ცნობილ კავკასიოლოგს, აკადემიკოს არნ. ჩიქობავას მოღვაწეობა მოუხდა კომუნისტური იმპერიული რეჟიმის მძიმე ეპოქაში; შესაბამისად, გარკვეულწილად, ის /სხვა მეცნიერთა მსგავსად/ ალბათ, იძულებული იყო, ნაწილობრივ მაინც ანგარიში გაეწია საბჭოთა იმპერიის იმ ოფიციალური პოზიციისათვის, რომელიც თავად საბჭოთა ბელადმა - იოსებ სტალინმა - ჩამოაყალიბა თავის ერთ-ერთ იდეოლოგიური ხასიათის წიგნში: „**მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი**", სადაც, არგუმენტების გარეშე, მეგრელები, სვანები და აჭარლები, აფხაზებსა და ლეკებთან ერთად ძიჩნეულია ისეთ ხალხებად, რომლებსაც დედაენაზე არ შეუქმნიათ ლიტერატურა /**ი.სტალინი: „რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ.,**

---

[17] იხ., ვებგვერდი: http://www.lingua.ge/adgili_msoflioshi.html

რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?“ /[18].

აღვნიშნავ იმასაც, რომ თავის დროზე (1932 წელს) არნ. ჩიქობავამ, როგორც „განათლების სახალხო კომისარიატის“ მიერ შექმნილი კომისიის წევრმა, გამოიჩინა **სამოქალაქო გმირობა** და დაუპირისპირდა ლენინ-სტალინური[19] „ნაციონალური“ პოლიტიკის გამტარებელ ქართველ ბოლშევიკთა პირველ თაობას (ფ. მახარაძე, ალ. წულუკიძე, ს. ორჯონიკიძე...); კერძოდ, მათ საპირისპიროდ გამოაცხადა, რომ მეგრული ზანურის ენის დიალექტია და არა - დამოუკიდებელი ენა:

პატივცემულ მკითხველს შევახსენებ, რომ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ზუგდიდში ბოლშევიკებისგან მართული სამი ჯგუფი მოქმედებდა და სამივე სამეგრლოს ავტონომიის თემას აკავშირებდა მეგრული ენის აღიარების საკითხთან: **მიშო დადიანის** ჯგუფი ითხოვდა სამეგრელოს ავტონომიას რუსეთის შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას; **გრიგოლ ახალაიას** ჯგუფი - სამეგრელოს ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას, **ისაკ ჟვანიას** ჯგუფი – სამეგრელოს „ობლასტს“ საქართველოს შემადგენლობაში და მეგრული ენის აღიარებას.

არნ. ჩიქობავას პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბდა 1932 წელს, გადამწყვეტი აღმოჩნდა; სწორედ მისი დასკვნის შემდეგ ლავრენტი ბერიამ დაარწმუნა იოსებ სტალინი, რომ მეგრული სკოლების ამოქმედება და მეგრული გაზეთების გამოცემა შეცდომა იყო.

სწორედ არნ. ჩიქობავას დასკვნის შემდეგ შეწყდა სამეგრელოში მეგრული სკოლები და აღდგა დედაენაზე (ქართულად) სწავლება; შეწყდა ასევე, მეგრულ კილოზე გაზეთების ბეჭდვა და საქმისწარმოების მცდელობა.

ამ ყოველივეს გამო არნ. ჩიქობავას ლანძღავდნენ და ვაიმეცნიერად მოიხსენიებდნენ ლენინურ-სტალინურ ავტონომიებად თუ „ობლასტებად“ საქართველოს დანაწევრების მომხრე პირები; სამაგალითოდ დავასახელებთ ენგურის ქაღალდის კომბინატის პარტკომის მდივნის, ტარასი შენგელიას მიერ დაწერილ „კოლექტიურ განცხადებას“(გვარამია, 2009 :392-93)

---

[18] ცნობილი ფაქტია ისიც, რომ იოსებ სტალინის ეს წიგნი საბჭოთა კავშირში მრავალჯერ გამოიცა /ქართულად კი ოთხჯერ დაიბეჭდა/; იხ., აგრეთვე: ი. გიგინეიშვილი, ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, ტ. III, 1952, გვ. 483-510; ქ. ლომთათიძე, ი. სტალინის შრომა «მარქსიმზმი და ენათმეცნიერების საკითხები» და მისი მნიშვნელობა საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის, ტ. III, 1952, გვ. 33-71.

[19] მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ვ. ლენინი და ი. სტალინი აქტიურად ცდილობდნენ ქართველი ერისა და საქართველოს დანაწევრებას. აკად. გურამ ლორთქიფანიძის ცნობით, ლენინი გარდაიცვალა იმ მომენტში, როდესაც საქართველოს რუკას დაჰყურებდა და ქართველ ბოლშევიკებს წერილს სწერდა.

ამრიგად, ფაქტია, რომ სტალინის კატეგორიული პოზიციის მიუხედავად (სტალინი მეგრულს დამოუკიდებელ უმწერლობო ენად მიიჩნევდა!), **აკად. არნ. ჩიქობავამ შეუძლებელი შეძლო:** სტალინის პოზიციის საპირისპიროდ[20], მეგრული და ლაზური მეტყველებების ზანური ენის დიალექტებად გამოცხადებით მან ხელი შეუშალა მეგრული და ლაზური კილოების ქცევას ხელოვნურ სალიტერატურო ენებად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამავე პერიოდში სამეგრელოს ქართველობის აზრს გამოხატავდნენ: პეტრე ჭარაია, სილოვან ხუნდაძე, კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოკია, გიორგი წერეთელი და სხვები, რომლებიც ცდილობდნენ, შენარჩუნებულიყო ტრადიციული მიდგომა[21] და მეგრულ-ლაზურ-სვანური ისევ ქართული ენის კილოებად განხილულიყო[22]. სტალინის რეჟიმის პირობებში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

თანამედროვე პირობებში თავს ვერავინ მოგვახვევს სტალინისებრ ლინგვისტურ დივერსიებსა თუ „ახირებებს“, ამიტომ დღეს მაინც არის შესაძლებლობა, ქართველური ენობრივი სამყაროს კვალიფიკაცია მოხდეს ისტორიული რეალობისა და თანამედროვე ტერმინოლოგიური მიდგომების საფუძველზე. თუმცა დღესაც არიან ძალები, რომელთაც სურთ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებითა და საქართველოს ეთნიკურ-პოლიტიკური ისტორიის დამახინჯებით /ანტიქართული ისტორიულ-გეოგრაფიული იდეოლოგემების ფაბრიკაციით/ შეძლონ **საქართველოს მხარეების სეპარატიზაცია და, საქართველოს უნიტარული სახელმწიფოს ნაცვლად, ე.წ. კონფედერაციული ტიპის მყიფე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნა.**

ამგვარი სახელმწიფოს საბოლოო დანაწევრება გაცილებით იოლია.

---

[20] მოგვიანებით, სავარაუდოდ, ბერიას შუამავლობით, არნ. ჩიქობავამ ი. სტალინს პოზიცია შეაცვლევინა სხვა მიმართულებითაც - ი. სტალინმა გადააფასა ნიკო მარის მარქსისტული ენათმეცნიერული თეორია.

[21] დოკუმენტური მასალისა და საკითხის მიმოხილვისათვის იხ., ქართველური მემკვიდრეობა XIV, ქუთაისი, 2010, სადაც დაბეჭდილია ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის მიერ 1895 წელს შექმნილი კომისიის დასკვნა, ი. ვოსტორგოვის წერილი და სხვა დოკუმენტური მასალა.

[22] იხ., მაგ., თ. სახოკია: „ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს" http://iberiana.wordpress.com/iberiana/vedreba/#7. მსჯელობისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები, 2005, 624 გვ.; ინგლ. 395-394 გვ.; თურქ. 395-492გვ.; The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); English version pg. 395-492; Turkish version pg. 331-394; გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"; Publishing house `Akaki Tsereteli State University"; http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels; http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculer;

შდრ.:

რუსეთის იმპერიის მესვეურნი ღიად აცხადებენ, რომ მათი მიზანია საქართველოს საბოლოო დაშლა, განაპირა რეგიონების საბოლოო ანექსია და ცენტრალურ კავკასიაში გეოპოლიტიკური კონტროლის აღდგენა[23]; შესაბამისად, **თანამედროვე პირობებში ქართველოლოგიამ უნდა შეძლოს, გათავისუფლდეს თავსმოხვეული იდეოლოგიზებული საბჭოური სქემებისგან** და საქართველოს შესახებ ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციები უნდა ჩამოყალიბდეს, ერთი მხრივ, რეალური ფაქტებისა და ნამდვილი ისტორიის, მეორე მხრივ კი, თანამედროვე მეთოდოლოგიისა და ტერმინოლოგიის საფუძველზე; კერძოდ:

ერთი მხრივ, ენისა და დიალექტის გამიჯვნის საერთაშორისო პრაქტიკა[24], მეორე მხრივ, კი ისტორიულად დოკუმენტირებული მრავალი ფაქტი და ამჟამინდელი ვითარებაც უფრო მყარ საფუძველს ქმნის, **ქართველური ენობრივი სამყარო** წარმოვადგინოთ ერთი ენითა და 20-ზე მეტი დიალექტით. გარდა ამისა, ბევრი ისტორიული ფაქტი ცხადყოფს, რომ სულ მცირე, 20 საუკუნეა, ქართველ ერს /ეთნოსს/ ქმნიან: მოხევეები, მეგრელები,

---

[23] **ა. დუგინის** კონცეფციის კრიტიკისათვის იხ., მაგ., T. Putkaradze, The act April 9 of the restoration of independence of Georgia, geopolitical plans of Putin-Dugin's and the commence of the end of the Russian occupation; Anti-crisis council scientific conference of the parliament of Georgia: „Perspectives for the restoration of entirety of Georgia", 13 October, 2008; http://www.scribd.com/doc/6505547/The-Perspectives-of-Restoration-of-the-Entirety-of-the-Territory-of-Georgia. შდრ., ასევე: 1997 წელს შექმნილ კრემლის ერთ-ერთ დოკუმენტში: „რუსეთის სტრატეგიული ინტერესები სამხრეთში" დაუფარავად წერია რუსეთის ხელისუფლების მიზანი: საქართველოსთვის აფხაზეთის, შიდა ქართლის, სამეგრელოსა და აჭარის ჩამოშორება /გ. გაჩეჩილაძე http://www.opentext.ge/index.php?m=28&y=2002&art=10644/;
ზ.მჭელიშვილი: http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=76&info_id=996;

[24] საბჭოური "მეთოდოლოგიის" (რომელსაც, რატომღაც, ზოგი დღესაც ენდობა) კრიტიკისა და მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი, 2008; „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა"; http://www.scribd.com/doc/8727375/T-Putkaradze-Kartvelta-Dedaena-Da-Dialeqtebi-2008; T. Putkaradze, E.Dadiani, R. Serozia;"European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia",Kutaisi, 2010; http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010.

დოკუმენტური მასალისათვის იხ.: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I-IV, თბ., 1976-2003; ტ. ფუტკარაძე, ნ. ნაკანი, „სვანები სალიტერატურო ენისა და სვანური მეტყველების შესახებ (ქართველთა ეროვნულ-ენობრივი თვითმიკუთვნებულობის საკითხი)", „ქართული", 2001, №7; თ. გვანცელაძე, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, 2006; მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005; რ. გუჯეჯიანი, მამა ბესარიონი (ნიჟარაძე), მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის გაზეთი, 4 ივნისი, 2007.

ჯავახები, მესხები, ლაზები, სვანები, აჭარლები, კახელები, იმერლები, გურულები, იმერხეველები, ქართლელები, თუშები, ინგილოები, რაჭველები, ხევსურები, ფშავლები, ლივანელები, ტაოელები, ფერეიდნელები, ლეჩხუმლები, მაჭახლელები, მთიულები და სხვ. ასევე, მრავალი ისტორიული ფაქტი ცხადყოფს, რომ სამეგრელოშიც, სვანეთშიც, აფხაზეთშიც, ცხინვალის მხარეშიც და ისტორიულ ტაო-კლარჯეთშიც ქართული ენა იყო ავტოქთონი მოსახლეობის დედაენაც და კულტურის ენაც; შესაბამისად, კავკასიური ენების რუკაზე ქართველთა დედაენის - ქართული ენის - საზღვრები უნდა მოიცავდეს საქართველოს ყველა ამ მხარეს, ქართული ენის გავრცელების რუკა დაახლოებით ასე უნდა გამოიყურებოდეს[25]:

ქართველთა საშინაო მეტყველებების - ქართველთა ზოგადეროვნული ენის ქვესისტემების - ქართველთა კილოების - რუკა კი სქემატურად /პირობითად/ ასე შეიძლება გამოისახოს:

---

[25] რუკებისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები, 2005.
სასურველია, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნები დაეყრდნოს ობიექტურ ქართველოლოგიურ კვალიფიკაციებს; მაგ., სამწუხაროა, რომ ჰეიდი ტალიავინის ავტორიტეტული საერთაშორისო კომისია ენდო სომხური წარმომავლობის რ. სუნის მოსაზრებებს და დამახინჯებულად წარმოადგინა ქართველი ერის ისტორია; შესაბამისად, არაადეკვატურად წარმოჩნდა 2008 წლის აგვისტოს ომის 200-წლიანი წინა პერიოდიც და რუსული აგრესიის არსიც; კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის; კრებული: საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009, გვ. 221-234.http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia.

BLACK SEA
ШАВИ ЗДВА
ТУРКЕТИ
ХОМАХЕТИ
ქართლი
კახეთი
ქართველოს
ქაჯეთი
ოსეთი
ეგრისი
ოდიში
ბაგრატიონ
ბაოუმი
ბორჯომი
ახალციხე
ბორჯომ-ფარავანი
ქუთაისი
ზუგდიდი
ფოთი
ბათუმი
ბაოუმი
ხიფა
ბორჯომ

იმპერიის მიერ შექმნილი ისტორიულ-ტერიტორიული იდეოლოგემების კრიტიკული ანალიზი; ასევე, აუცილებელია აფხაზ, ოს და სხვა მეცნიერებთან ერთად ერთობლივი კვლევების განხორციელებით ენათმეცნიერების, ისტორიოგრაფიის, ეთნოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგების გათავისუფლება იდეოლოგიზებული დებულებებისგან.

ყველა ერს, ეთნოსსა თუ ეთნიკურ ჯგუფს აქვს უფლება, ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს საკუთარ ენობრივ-ეთნიკურ, სახელმწიფოებრივ თუ კულტურულ ისტორიაზე. ობიექტური ჰუმანიტარული მეცნიერება ქმნის ხალხთა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობის ურყევ საძირკველს, პოლიტიკური მიზნებით დეფორმირებული კვაზიმეცნიერება კი - ომის იდეოლოგიას. ფაქტია, რომ სხვადასხვა მიმართულების ურაპატრიოტულმა თუ ტენდენციურმა სამეცნიერო დებულებებმა დიდად ავნო მსოფლიოს ყველა - მრავალრიცხოვან თუ მცირერიცხოვან - ხალხს; მათ შორის, კავკასიელ ერებსაც. **ჰუმანიტარული მეცნიერება მშვიდობაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა დაპირისპირების პროვოცირებაზე.**

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ კავკასიის ხალხებისთვის ახალი შესაძლებლობები გაჩნდა. ჩვენ, მეცნიერებმა, უნდა შევქმნათ მყარი საფუძველი, რომ კავკასია-წინა აზიის რეგიონის ერებმა თუ ეთნოსებმა **ობიექტურად აღიქვან თავიანთი ენობრივ-ეთნიკური მეობა, უკეთ დაინახონ ერთმანეთი;** ვფიქრობ, დღევანდელი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენციის /25-26 ნოემბერი, 2011 წელი/ მონაწილეები ერთ მოკრძალებულ ნაბიჯს გადავდგამთ ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

და ბოლოს:

ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი თავისი შესაძლებლობების ფარგლებში შეეცდება, რომ **მეცნიერული ქართველოლოგია** სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა საინტერესო ასპარეზად იქცეს. განსაკუთრებით, ჩვენ, კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებში - საქართველოში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში/ჩრდილო კავკასიაში, ასევე, ირანში მოღვაწე ქართველოლოგებს /კავკასიოლოგებს/, შეგვიძლია, ერთობლივი კვლევებისა თუ სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებით გავააქტიუროთ ენობრივი, ეთნიკური და კულტუროლოგიური კვლევები საკუთრივ ქართველოლოგიის და, ასევე, ქართულ-ჩრდილო-კავკასიური, ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-ირანული ისტორიული ურთიერთობის მიმართულებით; სწორედ ერთობლივი კვლევებით შეეწყობა ხელი კავკასიაში მოსახლე საზოგადოებებს შორის მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის შეუქცევადობას.

დამოწმებული ლიტერატურა

თ. ბოლქვაძე, 2007 - თ. ბოლქვაძე, ქართველური დიგლოსია, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვეობა (პირველი კრებული), თბილისი, 2007;
თ. გვანცელაძე, 2006 - თ. გვანცელაძე, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, 2006;
თ. გვანცელაძე 2009 - თეიმურაზ გვანცელაძე, მერაბ ნაჭყებია, მანანა ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი (ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში), სვეტიცხოველი, 2009, №1;
ი. **გიგინეიშვილი, 1952** - ი. გიგინეიშვილი, ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქრთული სალიტერატურო ენის საკითხები, ტ. III, 1952;
რ. გუჯეჯიანი, 2007 - რ. გუჯეჯიანი, მამა ბესარიონი (ნიჟარაძე), მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის გაზეთი, 4 ივნისი, 2007.
ილია II, 2006 - უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საშობაო ეპისტოლე, თბილისი, 2006;
ქ. ლომთათიძე, 1952 - ქ. ლომთათიძე, ი. სტალინის შრომა „მარქსიმზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და მისი მნიშვნელობა საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის, ტ. III, 1952;
http://iberiana.wordpress.com/iberiana/vedreba/#7.
ი. სტალინი, 1913 - ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, 1913.
მ. ტაბიძე, 2005 - მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005;
ტ. ფუტკარაძე, 2001 - ტ. ფუტკარაძე, ნ. ნაკანი, „სვანები სალიტერატურო ენისა და სვანური მეტყველების შესახებ (ქართველთა ეროვნულ-ენობრივი თვითმიკუთვნებულობის საკითხი)“, „ქართული“, 2001, №7;
ტ. ფუტკარაძე, 2005 - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005;
ტ. ფუტკარაძე, 2009 - ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართველთა ენობრივ-ეთნიკური აღწერა „მსოფლიოს ენათა რეესტრის“ (inguarium.iling-ran.ru) მიხედვით დაარსებული სინამდვილე , საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი, 2009;
http://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo;
ტ. ფუტკარაძე, 2009 - ტ. ფუტკარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის; კრებული: საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009;

http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia.
http://www.cartografareilpresente.org/auteur9.html?lang=en
http://maps.grida.no/go/graphic/ethno_linguistic_distribution_in_the_southern_caucasus
http://www.lingua.ge/adgili_msoflioshi.html

ტ. ფუტკარაძე, 2009 - ტ. ფუტკარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის; კრებული: საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009; http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia;
http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=36778&Itemid=1

ტ. ფუტკარაძე, 2009 - ტ. ფუტკარაძე, საქართველოს "ორგვარი" ლინგვისტურ-ეთნიკურ-პოლიტიკური ისტორია და ადეკვატური რუკების პრობლემა, ჟურნ. „სვეტიცხოველი", 2009, №2; http://www.sveticxovelijournal.ge/view.php?id=35/.

ტ. ფუტკარაძე... 2010 - ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია; „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ" და საქართველო", ქუთაისი, 2010; http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010; /http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE/;
„დროება", 25.12.1908 წ., N32;
http://www.perepis2002.ru/index.html?id=17;

ტ. ფუტკარაძე, 2010 - ტ. ფუტკარაძე, რუსეთის მოსახლეობის აღწერა (2010) და მორიგი სვლა ქართველი ერის დასაშლელად: http://www.scribd.com/doc/30636267/rusuli-samecniero-agresia-2010-2002;
http://medianews.ge/index.php/ka/content/29788
http://www.iriston.com/books/cuciev_-_etno_atlas/cuciev_etno-polit_map.htm;
http://www.iriston.com/nogbon/news.php?newsid=480/;

ტ. ფუტკარაძე, 2011 - ტარიელ ფუტკარაძე, ია ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში, თბ., 2011;

ივ. ჯავახიშვილი, 1992 - ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992;

„ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროზე" (დოკუმენტურ მასალათა კრებული შეადგინეს ვ. გურულმა და მ. ვაჩნაძემ); თბ., 2006;

ა. ჯაფარიძე, 1976-2003 - მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I-IV, თბ., 1976-2003.

ს. ჯორბენაძე, 1988 - ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ., 1988.

Tariel Putkaradze

Actual Problems of Kartvelology and Objectives of the Kartvelological Centre of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

A great empire has a lot of impressive resources for planning and managing according to its own interests science on the conquered small nations as well. Unfortunately, Kartvelology could not have escaped such impacts either. Like other disciplines, Kartvelology has developed intensively during the last two centuries. Over that period Georgia was mostly annexed by the Russian Empire, respectively, over the last 150 years two radically different approaches towards planning and development of Kartvelology have clearly taken shape:

1. Quasi-Kartvelology oriented on the geopolitical interests of the empire;[1]
2. Scholarly Kartvelology oriented on the vital interests of the Georgian nation.

By means of distortion of the linguistic-ethnic history of the Georgian nation and the political history of Georgia /fabrication of anti-Georgian historical-geographical ideologemes and an attempt of linguistic-ethnic disintegration of the Georgians/, imperial powers wish to separate Georgian regions and to create a frail state of a confederation type instead of the unitary state of Georgia. The leaders of the Russian empire declare openly that their objective is final disintegration of Georgia, final annexation of the marginal regions and restoration of the geopolitical control in Central Caucasia[2].

---

[1] Unfortunately, until recently, for Western European scholarly centres Russian information has been available to a greater extent. Hence, not infrequently, many of our foreign colleagues involuntarily repeat quasi-Kartvelological provisions created in the area of the Empire.

[2] 2Critical points of view about A. Dugin see:T. Putkaradze, The act April 9 of the restoration of independence of Georgia, geopolitical plans of Putin-Dugin's and the commence of the end of

A brief historical excursus:

Falsification of the linguistic-ethnic history of the Georgian nation actively occurs from the 1840s, namely:

In 1801-1839 by the violation of the agreements concluded with the Georgian kingdoms and principalities and through the use of military force, the Russian Empire annexed Georgia /"enemy coming as a friend"/. From 1840, after the introduction of the institution of viceroy, the Empire established in Georgia a civil government and for the purpose of distrupting the linguistic-ethnic unity of the Georgian nation /"divide and rule"/ began to proclaim a part of the Georgians as non-Georgians, **to limit the area of functioning of the Georgian language and to expel the Georgian language from the Orthodox Church of Georgia** /in this respect, Kiril Yanovski, an official of the Russian Empire, was especially active/.

To oppose the imperial policy, from the 1860s the generation of Ilia Chavchavadze started active struggle to defend the vital interests of the nation. The question of the **Georgian language** - the symbol of the national culture and unity of the Georgians acquired special importance: the empire banned the Georgian language from all fields of human creation: from the divine service, literary writing, science, schools of all levels. Exactly at that period translation of the Holy Scripture into Megrelain and Svan began. By the struggle of its worthy sons the nation resisted the powers wishing to humiliate the Georgian-language culture.

At the turn of the 19th-20th centuries this opposition was embodied by two well-known clelrgymen: **Ambrosi Khelaia** and **Ivan Vostorgov**. In particular:

---

the Russian occupation; Anti-crisis council scientific conference of the parliament of Georgia: 'Perspectives for the restoration of entirety of Georgia', 13 October, 2008; http://www.scribd.com/doc/6505547/The-Perspectives-of-Restoration-of-the-Entirety-of-the-Territory-of-Georgia

Ambrosi Khelaia, a great father, brought up in Samegrelo, subsequently the Catholicos-Patriarch of All Georgia, defended the Georgian language in centuries-old churches of Samegrelo and other areas of Georgia.

Ivan Vostorgov, a Russian priest, subsequently a famous political figure, sought to expel the Georgian language from the Georgian Apostolic Church. Namely, in historic areas of Georgia - Samegrelo, Svaneti and Abkhazia - he tried to replace the Georgian language, the traditional language of divine service, with local dialects, in fact, with the Russian language.

From the 1910s-20s the struggle for the Georgian language intensified further: two well-known scholars Ivane Javakhishvili and Nicholas Marr sharply opposed one another from the veiwpoint of the role of the Georgian language and planning of Kartvelology. In particular, Nicholas Marr, defending interests of the Russian Academy of Sciences, denied the Georgian language as the language of science and education, whereas Ivane Javakhishvili, continuing the path of the great ancestors, **tried to revive the 15-century-old educational and scientific tradition of the Georgian language**[3]. There was also a sharp confrontation between Nicholas Marr and Ivane Javakhishvili concerning the necessity of the Georgian University and the qualification of the Kartevlian linguistic world.

Over the short period of independence of Georgia the “Georgian Free University" was founded in Tbilisi under the leadership of the Ivane Javakhishvili (10.05.1917) and scholarly Kartvelology began to develop at rapid pace. This process was hindered by the conquering of Georgia by Soviet Russia.

The authorities of Soviet Empire, created by Joseph Stalin, turned into the official position of the state the provisions politicized by tsarist Russia and wrapped in scholarly terminology by Nicholas Marr, according to which, the

---

[3] On discussion of N. Marr and Iv. Javakhishvili in more detail, see Tariel Putkaradze, Ia Vashakidze, Two Types of Planning of Kartvelology in 1917-1935, Tb., 2011

population of Samegrelo and Svaneti was declared as having no writing[4]; as a result, **the status of the so-called unwritten languages** was established for Megrelian, Laz and Svan[5]. In parallel, at first Ivane Javakhishvili was dismissed from the post of the rector (and later was expelled from the university founded by him), and subsequently the Georgian University founded by Ivane Javakhishvili and other great figures was **dissolved** totally /1930/.

Three years later the communist government of the empire **founded** (1933) in fact a new state university, which was purposefully turned into a stronghold of politicized Kartvelology. However, by the efforts of well-known researchers a lot of scholarly Kartvelological projects were implemented even at this type of university.

Favourable conditions for the revival of scholarly Kartvelology emerged after the breakup of the Soviet Union, when on the basis of a general public referendum on April 9, 1991 the Republic of Georgia declared the restoration of its independence. In 1991 the authorities of Georgia announced that from 1801 until 1991 Georgia was occupied by Russia and the process of de-occupation of Georgia began legally. At the same time, approaches of Ilia Chavchavadze, Ambrosi Khelaia, Ivane Javakhishvili and others towards essential questions of Kartvelology intensified.

After the declaration of independence (1991) Georgia found itself at the crossroads of a many-sided geopolitical controversy. Naturally, the interested

---

[4] E.g.. in J.Stalin's book: "Marxism and the National Question" (Tb., 1951) one reads: "There are a number of peoples in the Caucasus, which have a **primitive culture, a peculiar language,** but do not have their native literature ... What shall we do with such peoples: **Megrels, Abkhazians, Acharans, Lezghins,** and others, who speak **different languages**, but do not have their own literature?" (pp. 138-139)... "The National issue in the Caucasus can be solved only in the direction that the **belated nations and peoples (Megrels, Svans, Acharans ...** emphasis is mine - T.P.) be placed in the common framework of supreme culture" (p. 142).

[5] For discussion see: T.Putkaradze, The Georgians, 2005, pp. 43-44; T.Bolkvadze, Kartvelian Diglossia, Questions of the Georgian Literary Language: History and Contemporaneity (first collection), Tbilisi, 2007, p. 221.

parties strive to demonstrate the linguistic-ethnic history and present of the Georgian nation according to their own interests.

Different subjective approaches are directly reflected in the planning of Kartvelology as well. In this respect, powers wishing to revive the Russian Empire are especially active. For the purpose of maintaining the Caucasus, they have carried out ethnic cleansing in marginal regions of Georgia and are now trying to manage the identity of the population of other areas of the country. The managing of the identity of the population occurs by means of purposeful falsification of the historical and current reality. For this purpose, misinformative reports and quasi-scholarly qualifications on the Kartvelian linguistic-ethnic world are intensively disseminated in the global network.

From the beginning of the 21st century certain powers actively try to disrupt the linguistic-ethnic unity of the Georgian nation and to legalize this with the help of documents of the Council of Europe as well. In particular, there is an attempt to impose on Georgia an incorrect interpretation of the "European Charter for Regional or Minority Languages". The “Charter for Languages”, from the legal and cultural point of view, is a high-level document, but in the case of its wrong interpretation, it may become the basis for disintegration of any powerful country. As a result of the dual interpretation of the “Charter for Languages”, Georgian and European experts offer two kinds of qualifications of the Kartvelian linguistic world:

1. According to traditional Georgian and some foreign sources, the Kartvelian linguistic world is represented as one language – the Georgian language - and more than 20 dialects;

2. By the inertia of the official positions of the empires of tsarist Russia and Soviet Russia, the Kartevelian linguistic world is represented as four /or three/ independent

languages, of which Megrelian, Laz and Svan are qualified as regional or minority languages[6].

In the present-day highly dynamic world, Kartvelological academic research and wide dissemination of its results have essential importance. Against this background, the primary objective of the Kartvelological Centre of the Georgian University is to make its contribution to the formation of the unified international scholarly domain. Today, more than ever, it is necessary that we, Kartvelologists living in the states of the Caucasian region, /linguists, historians, ethnologists.../ carry out joint research through the cooperation with the American, European, Russian and Asian scholars.

Naturally, the Kartvelological Centre of the Georgian University cannot plan research in all directions of Kartvelology; the scholarly group of the Centre is concentrated around a number of scholarly projects. In particular, at the current stage we have set three main objectives:

1. **Documentation and research of the Kartvelian folk heritage being under threat, especially dialects, folklore and ethnographic material of the Georgians living beyond the borders of Georgia** (Taoans, Livanans, Laz, Machakhelians, Shavshetians, Ingilos/ Hers, Fereidanians). I hope that we will be able to achieve this objective by implementation of joint projects with our Turk, Iranian and Azebaijanian colleagues.

2. **Study of Megrelian-Laz, Svan, Taoan, Livanan, Ingilo and Fereidanian vocabulary for the purpose of enrichment of the lexical basis of the literary language of the Georgians** (creation of an electronic dictionary of recommended words).

---

[6] In more detail see: T.Putkaradze, E.Dadiani, R.Sherozia, "European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia ", Kutaisi, 2010; http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010; Linguistic Situation in Conflict Regions - The Abkhazia Border within Russia according to 1989 Census Data and Politicized Linguistig Mars; SKASE Journal of Theoretical Linguistics, volume 5 – 2008, #1. The Slovak Association for the Study of English & University Library of Presov University; http://www.pulib.sk/skase/Volumes/JTL11/index.html.

3. **Commenting on wrong terminological qualifications, inaccurate information and inadequate maps, found in academic encyclopedias and electronic directories** (international as well as national ones) **concerning the Georgian language and culture,** providing objective information to publishers.Critical analysis of the so-called historical-territorial ideologemes having the Abkhazian and Ossetian colouring, created in the area of the Russian Empire

The presentation discusses in detail the third problem. Namely, critical analysis is given of quasi-scholarly qualifications on the Georgian nation and the Kartvelian linguistic world, created in the area of the Empire, which are disseminated almost with no alternative in the contemporary encyclopaedic and internet space (see relevant maps and their internet addresses here in the Georgian version of the presentation).

Every nation, ethnos or ethnic group has the right to have access to exhaustive information on its own linguistic-ethnic, state and cultural history. Objective humanitarian science creates a firm foundation for peace between peoples and states, whereas quasi-science, deformed by political purposes, creates a war ideology. It is fact that chauvinistic "scholarly" /biased/ provisions of different directions greatly harmed all big and small nations of the world, including the Caucasian peoples. **Humanitarian science should be oriented towards peace and not towards provoking confrontation.**

After the collapse of the Soviet empire, new opportunities emerged for the peoples of the Caucasus. We, scholars, should create a firm foundation in order that the nations and ethnoses of the Caucasian-Western Asian region **perceive objectively their linguistic-ethnic identity and see each other better**. I think that participants of the present Kartvelological scholarly conference will take a modest step towards lasting peace.

Finally I would like to note:

The Kartvelological Centre of the Georgian University will try as far as possible to turn **scholarly Kartvelology** into an interesting arena of researchers of

various countries. Especially we, Kartvelologists/Caucasologists working in the states of the Caucasian region - Georgia, Turkey, Azerbaijan, Armenia, Iran and Russia/North Caucasus - by organization of joint research and scholarly forums, are able to activate linguistic-ethnic and culturological studies in the direction of Kartvelology proper as well as Georgian- North Caucasian, Georgian-Armenian, Georgian-Turkish, Georgian-Azerbaijanian and Georgian-Iranian historical relationship. Exactly joint research will facilitate peace and mutual respect between communities living in the Caucasus.

ენდრიუ ანდერსენი

ისტორიის ფალსიფიკაცია პოლიტიკური ავატიურიზმის სამსახურში ანუ თამაში „ამოუცნობი წარსულით“ საეჭვო აწმყოსათვის

/შიდა ქართლის ისტორიის რუსულ-ოსური ვარიანტი/

რამდენიმე წლის წინ ედუარდ კოკოითმა „სამხრეთ ოსეთის არმიად“ წოდებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და მათი მხარდამჭერი რუსი „მშვიდობის დამცველების“ მიერ გაკონტროლებული, საქართველოს შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიის მცირე ნაწილზე თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ მეთაურმა განაცხადა, რომ **განზრახული აქვს აღნიშნული ტერიტორიის რუსეთის ფედერაციასთან შეერთება.**

ამ ინიციატივის დასასაბუთებლად ედუარდ კოკოითიმ დაასახელა საიდუმლო „ისტორიული დოკუმენტი 1774 წელს ერთიანი ოსეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ“.

გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიოში არაღიარებული „რესპუბლიკის“ „ლიდერის“ ამგვარი განცხადების პასუხად საქართველოს სახელმწიფო მინისტრის იმდროინდელმა მოადგილემ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ვოლსკიმ ყველას შეახსენა, 1774 წელს საქართველოს ტერიტორიაზე არც მითური “ერთიანი ოსეთი“ და არც სხვა ოსეთი არ არსებობდა. როგორც ჩანს, ბატონ გიორგი ვოლსკის ამ განცხადებამ როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ტერიტორიაზე კოკოითის მომხრეების დიდი მრისხანება გამოიწვია. კერძოდ, „სამხრეთ ოსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა“ ბორის ჩოჩიევმა ფრიად საინტერესო პასუხი წარმოადგინა, რომელიც დაწვრილებით გამოაქვეყნა საინფორმაციო სააგენტო REGNUM-მა შემდეგი სათაურით: „სამხრეთ ოსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა სამამულო ისტორიაში უწიგნურობის ლიკვიდაცია შეძლო“

უწიგნურობის ლიკვიდაცია (ტერმინი XX საუკუნის 20-იან წლებში შემოიღეს საბჭოთა კავშირში), რა თქმა უნდა, ღირსეული და საჭირო საქმეა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუკი უწიგნურ ადამიანს ანათლებს ისეთი გურუ, რომელიც თავად არ არის უწიგნური. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაში გაუნათლებელ ადამიანთა რიცხვი საკმაოდ მომრავლდა. ამის მიზეზი კი ის ტენდენციაა, რომელიც წინა საუკუნის შუა პერიოდში მთელ რიგ ქვეყნებში გამოვლინდა, როდესაც ყველა სასწავლო დაწესებულებაში ისტორიის სწავლება მნიშვნელოვნად შემცირდა, ზოგირთი პროგრამიდან კი საერთოდ ამოიღეს. ამ გადაწყვეტილების

მიმღებები თავიანთ ქმედებას იმით ამართლებდნენ, რომ ისტორია დღევანდელობას ძალიან მოწყდა და არ ღირს მის შესასწავლად დრო და საშუალებები დაიხარჯოს. განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორია და იმ ხალხებს „გაუმართლა“, რომლებიც სსრკ-ს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ: დასავლეთში მათი ისტორია ყველა პროგრამიდან ამოიშალა, რადგან მიიჩნეოდა, რომ ეს ხალხები ვერასოდეს დააღწევდნენ თავს რუსეთს, რომ მათ არ ჰქონდათ მომავალი, როგორც დამოუკიდებელ ერებს, შესაბამისად, მათი წარსულის შესწავლასა და ხსენებასაც კი არავითარი ღირებულება არ გააჩნდა. სსრკ-ში მიიჩნევდნენ, რომ ხალხების მიერ საკუთარი ისტორიის ცოდნა „ურღვევი კავშირის“ მონოლითურობას ემუქრებოდა. შედეგად კი მივიღეთ ისტორიაში მცირედ განათლებულ ადამიანთა რამდენიმე თაობა, ბევრ შემთხვევაში კი აბსოლუტურად გაუნათლებელი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ისევე როგორც საზოგადოების ბევრი რიგითი წევრი. ბოლო ათწლეულებში კი დიდი რაოდენობით გამოჩნდნენ ავტორები, რომლებიც ქმნიან სრულიად ახალ, ვირტუალურ წარსულს. ისინი სარგებლობენ რეალური წარსულის შესახებ ცოდნის პრაქტიკულად არარსებობით და წარსულის ცნებამ პუბლიკისთვის „განუსაზღვრელი“ მნიშვნელობა შეიძინა.

ზემოთ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაში ბატონ გიორგი ვოლსკის ისტორიის უცოდინრობაში დადანაშაულებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია, რადგან მისი ნათქვამი მთლიანად შეესაბამება ჭეშმარიტებას. 1774 წლის დამდეგს რუკაზე არ არსებობდა არათუ ბატონ ედუარდ კოკოითისა და ექსპანსიონისტური პროპაგანდის სხვა რუპორთა მიერ ნახსენები „ერთიანი ოსეთი“, არამედ საერთოდ რომელიმე ოსეთი. ოსური ენის სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანები, რა თქმა უნდა, დიდი კავკასიური ქედის ორივე ფერდობზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (ალაგირის, ქურთათის, თაგურიისა და დიგორის უდიდესი ნაწილი - ისტორიული რაიონი) მცხოვრები ოსები ყაბარდოელ ფეოდალებს ემორჩილებოდნენ, შესაბამისად, მათი მიწები ყაბარდოს ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, ფორმალურად ყირიმის ხანს - ოსმალეთის იმპერიის ვასალს ემორჩილებოდა. თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ამჟამინდელი ტერიტორია, ასევე თუალთა-დვალეთის ისტორიული რაიონი (**თუალთა** დღეს ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის შემადგენლობაში შედის) აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახეთის სამეფოში (მართებულად მიგვაჩნია მას **სამეფო** ვუწოდოთ) და არ იყო გამოყოფილი შიდა ქართლისგან. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მათ აღმოსავლეთ საქართველოსგან დამოუკიდებლად არასდროს უარსებიათ. წარმოდგენილი დებულებას ადასტურებს ყველა აღიარებული და წამყვანი ისტორიკოსი, რომლებიც წარსულს იკვლევენ. ზემოთქმული

არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ, თუ უკანასკნელ წლებში უცებ საიდანღაც გამოჩეკილი „ისტორიკოსების“ მიერ მოწოდებულ მონაცემებს არ გავითვალისწინებთ, რომელთაც არ ძალუძთ, საკუთარი „რევოლუციური შეხედულებები“ რაიმე მტკიცებულებებით გაამაგრონ (თუმცა საკითხავია, სჭირდებათ თუ არა რაიმე მტკიცებულებები პოლიტიკურ ავანტიურისტებს?).

მაშ, რომელი ტერიტორია შევიდა 1774 წელს რუსეთის იმპერიაში და რომელი დოკუმენტების საფუძველზე? ამ კითხვას იოლად სცემს პასუხს ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით დასრულებული 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის არქივები. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვებულ რუსეთსა და თურქეთს შორის 1774 წლის 10-21 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში ქუჩუკ-კაინარჯის სამშვოდობო ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების მიხედვით რუსეთის საზღვარი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მდინარე ყუბანზე დაიდო. ხელშეკრულების მიხედვით ოსმალეთის იმპერიას ჩამოსცილდა ყირიმის სახანო, რომელსაც დამოუკიდებლობა მიენიჭა, რუსეთს მიუერთდა ზღვის სანაპიროს ნაწილი ქერჩის, იენიკალესა და კინბურნის ციხესიმაგრეებით, აღნიშნული ზავით რუსეთის მფარველობაში შევიდა დიდი და მცირე ყაბარდო, რუსეთის სავაჭრო გემებს შეუნარჩუნდათ უფლება თავისუფლად ეცურათ შავ ზღვაში და თავისუფლად გაევლოთ შავი ზღვის სრუტეები, მოლდოვეთსა და ვალახეთს მიენიჭათ ავტონომიური უფლებები და ეს სამთავროები რუსეთის მფარველობაში შევიდნენ (ულიანიცკი გ. ა. დარდანელი, „ბოსფორი და შავი ზღვა XVIII საუკუნეში“, მოსკოვი, 1883; დრუჟინინა ე. ი., ქუჩუკ-კაინარჯის ზავი 1774; მისი მომზადება და დადება).

შესაბამისად, არავითარ ოსეთზე, არც გაერთიანებულსა და არც გაყოფილზე - ხელშეკრულებაში საუბარი არაა. არსებობდა დიდი და მცირე ყაბარდო, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, შედიოდა ოსებით დასახლებული მიწების ნაწილი. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ვასწავლოთ რამე ამ საკითხთან დაკავშირებით, სრულიად ზედმეტი ჩანს. მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ გავარკვიოთ, თუ რისი სწავლება შეუძლია „განსწავლულ“ ბორის ჩოჩიევს. რა გაკვეთილის მიცემა შეძლო მან ქართველი ოპონენტისთვის? თუ ოფიციალურ საიტზე განთავსებულ ბორის ელიოზის ძის ბიოგრაფიაში ჩავიხედავთ, მხოლოდ ის გაგვაკვირვებს, თუ სად და როდის დაეუფლა იგი დეტალურ ცოდნას საქართველოსა და ოსი ხალხის ისტორიის შესახებ. „ნამცეცა და არაღიარებული სახელმწიფოს“ „ვიცე-პრემიერმა“ კარიერა საოლქო კომუნალური მეურნეობის მუშისა და კომკავშირის კომიტეტის მდივნობით დაიწყო, შემდეგ იგი ალკკ საოლქო კომიტეტში მუშაობდა, პარალელურად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეუფლებოდა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ კი

სსრკ-ს დაშლამდე პარტიულ სამსახურშია გამწესებული სამხრეთ ოსეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის აპარატში. საქმიანობის ჩამოთვლილ სფეროთაგან არც ერთი არ გულისხმობდა, არ მოითხოვდა ისტორიის ცოდნას — მით უფრო საქართველოს ისტორიისას. საერთოდაც, ამგვარი სამუშაო პროფილის ადამიანებს ისტორიის შესწავლისთვის ძალიან მცირე დრო რჩებოდათ. მაგრამ ყველაფერი ხდება! დავუშვათ, რომ ბორის ელიოზის ძე პოულობდა დროს და ისტორიას დამოუკიდებლად ეუფლებოდა, თანაც იმდენად ღრმად და დეტალურად, რომ დღეს შეუძლია სხვებს ასწავლოს. რაში გვანათლებს იგი ჩვენ?



ბატონი ჩოჩიევი სხვების სწავლება-განათლებას ს. რობაქიძის, 1917 წელს გამოცემული საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორის, ციტატით იწყებს, რომლის მიხედვითაც ოსეთი არ წარმოადგენს საქართველოს შემადგენელ „ნამდვილ ნაწილს“. მაგრამ საკითხი თუ რა „ნამდვილ ნაწილზეა“ საუბარი და რისი შემადგენელი ნაწილია ის, ძალზე ფილოსოფიურად გამოიყურება დღეს არსებული ფრიად პრობლემების ფონზე. დღეს რთულია სათანადოდ შევაფასოთ ასი წლის წინანდელი, პროვინციული სკოლის სახელმძღვანელოდან ამოღებული,

კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატა. სამაგიეროდ, თუ ჩავიხედავთ ვ. ალლენის, დ. ლანგის, ან თუნდაც პ. იოსელიანის საქართველოს ისტორიის ფუნდამენტურ ნაშრომებში, ან ზედაპირულად მაინც დავხედავთ 1801 წელს რუსეთთან მიერთებამდე და მიერთების შემდეგ საქართველოს ადმინისტრაციულ რუკას, ჩვენ მასზე საქართველოს გარეთ არსებულ ვერავითარ „სამხრეთ ოსეთს“ ვერ აღმოვაჩენთ. 1801 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, ისევე როგორც თბილისის გუბერნიის საზღვარი, გადიოდა დაახლოებით იქვე, სადაც 1918 წელს გაიარა დამოუკიდებელი საქართველოს, ხოლო 1921 წელს საბჭოთა საქართველოს საზღვარმა. აქვე გადის ოფიციალურად აღიარებული საქართველოს საზღვარი დღეს. საზღვრის მცირეოდენი ცვლილება აღინიშნებოდა მხოლოდ დვალეთი-თუალთას მიმართულებით, რომლის უდიდესი ნაწილი საბოლოოდ თერგის ოლქში, შემდგომ მთიელთა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა. მაგრამ ამ ტერიტორიაზე თანამედროვე საქართველო პრეტენზიას არც აცხადებს. კარგად ვაცნობიერებთ, რომ წარსულში გამოცემული სამეცნიერო ნაშრომები და რუკები ძალიან უშლის ხელს იმათ, ვისაც ახალი წარსულის შექმნა სურს ისტორიის გაყალბებით. ჩვენ იძულებულები ვართ შედეგის კონსტატაცია მოვახდინოთ; თუკი აღნიშნული შრომები და რუკები განადგურდება მთელ რუსეთში, ისინი მსოფლიოს სხვა ადგილებში მაინც გადარჩება.

ამის შემდეგ კი ბატონი ჩოჩიევი წარმოგვიდგენს ერთ ძველთაძველ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ქართველთა წინაპრები სამხრეთ კავკასიაში მესოპოტამიიდან მოვიდნენ. ვერაფერს ვიტყვით, ამ ჰიპოთეზასაც აქვს არსებობის უფლება ისევე, როგორც ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ბალტო-გერმანულ-სლავური მოდგმის ხალხები ინდოეთიდან არიან მოსულნი. მაგრამ თუ ამას რეალური საფუძველი აქვს, ეს ძალიან დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო და დღეს მას არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. ფრიად გვართობს ჩოჩიევის მიერ 1917 წელს გამოცემული რომელიღაც გაზეთიდან ციტირებული ფრაზა, რომ ახლო აღმოსავლეთიდან მოსული ქართველები ალანებმა აზიარეს კულტურას, ალანებმა ასწავლეს მათ სამხედრო საქმე. ზემოთქმული ნამდვილად გასართობად წარმოგვიდგება, რადგანაც თუკი ქართველთა წინაპრები ისტორიამდელ პერიოდშიც მართლაც მიგრანტები იყვნენ, „ალანებზე“ ლაპარაკი იმ დროს სრულიად არაპროფესიულია ისტორიული თვალსაზრისით; რადგან იმ დროს, ოსთა ჰიპოტეტური წინაპრების დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ არა ალანები, არამედ **სკვითები და სარმატები**. სკვითურ-სარმატული ტომები (აღსანიშნავია, რომ დღესაც გაურკვეველია, საიდან არიან ისინი მოსულნი) ამ დროს, ჩრდილოეთ კავკასიის გარდა, აკონტროლებდნენ თანამედროვე რუსეთის სამხრეთს და მთელ უკრაინას (ეს ხომ არ უდევს

საფუძვლად იმ მოსაზრებას, რომ ოსეთს უნდა მიუერთდეს უკრაინის ის ოლქები, რომლებიც მხარს იანუკოვიჩს უჭერს?). უნდა აღინიშნოს, რომ სიკვითები კი გადადიოდნენ სხვა ხალხებთან სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ არასდროს არავითარ ტერიტორიას არ აკონტროლებდნენ კავკასიის დიდი ქედის სამხრეთით. საერთოდ, მსოფლიოში ხალხთა გადასახლებები მუდმივად ხდებოდა, მაგრამ ამა თუ იმ ტერიტორიაზე რომელიმე ტომის ადამიანების ცხოვრება ყოველთვის არ ნიშნავდა ამ ტომის გაბატონებას მოცემულ ტერიტორიაზე. ძველქართული სახელმწიფოები - კოლხეთი და იბერია სამხრეთ კავკასიაში დაფიქსირებულია ჯერ კიდევ ძველი რომის ისტორიკოსთა მიერ საზღვრების საკმაოდ ზუსტი აღწერით, ისევე, როგორც სხვა ქართველური (ქართველთა წინაპრების მონათესავე) ტომების მოსახლეობა მომიჯნავე ტერიტორიებზე, რომლებიც ამ სახელმწიფოში არ შედიოდნენ. არცერთი ძველი ჟამთააღმწერელთაგანი არავითარ ცნობას არ იძლევა თანამედროვე სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკის“ ტერიტორიის შესახებ, რომელიც იმ დროს იბერიის ნაწილი იყო, იმ მცირე უბნების გამოკლებით, რომლებიც კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდა.

ბატონი ჩოჩიევი აგრძელებს მკითხველის მამობრივად დამოძღვრას, შეახსენებს რა ოსთა (ამჟამად უკვე ალანების, ანუ როგორც მათ ქართველები უწოდებდნენ ოსების) როლს საქართველოს ისტორიის გვიანდელ პერიოდში — ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XVIII საუკუნემდე. ნუ ჩავეძიებით ჩოჩიევის მიერ ჩამოთვლილ იმ მხედართმთავართა და მეომართა ბიოგრაფიების დეტალებს, რომელთა გმირობამაც საქართველოს გაბატონებული სახელმწიფოს პოზიცია დააკავებინა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში XII

საუკუნის პირველ მეოთხედამდე, მანამ, სანამ რეგიონში კატასტროფა არ მოხდა მონღოლ-თათართა ლაშქრობის შედეგად. ამ შემოსევის შედეგად საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ქართველი ერის არსებობა საფრთხის ქვეშ იდგა. საქართველოს ეროვნული გმირების (ისევე როგორც სხვა) ეთნიკური წარმომავლობით სპეკულირება სიმდაბლეა, ხოლო ყველა 300 არაგველის ოსად გამოცხადება - სიბრიყვე. ნათელია, რომ საქართველოს გმირთა შორის არცთუ ცოტა იყო ოსური წარმოშობის ადამიანი, ეს არცაა გასაკვირი, რადგან კავკასიის სამხრეთ ფერდობზე გადმოსახლებული ოსები ისტორიულად საქართველოს სახელმწიფოს ორგანული ნაწილი ხდებოდნენ. საქართველოს გმირთა შორის იყვნენ სხვა წარმოშობის ადამიანებიც - ქურთები, არაბები, ყივჩაღები, თათრები, იტალიელები და სკანდინავიელებიც კი.

გვახსენდება პოლონეთის „მამა-აღმდგენლის“, მარშალ პილსუდსკის ერთ-ერთი გამოსვლა 1920 წელს. ამ სიტყვაში მარშალმა გაიხსენა საკუთარი ხალხის წარსული ბრძოლები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გერმანული, ებრაული, უნგრული, უკრაინული, ლიტვური, თათრული, სომხური და სხვა წარმოშობის ადამიანები, მან ხაზი გაუსვა, რომ ყველა მათგანი პოლონეთის შვილი იყო, მათ უნდა უმადლოდეს იგი თავის არსებობას. განა ეს ფრაზა არ მიესადაგება საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის შვილებს, მათ შორის ოსებსაც, რომელთათვისაც საქართველო სამშობლოდ იქცა, რომლისთვისაც იბრძოდნენ ისინი და სიცოცხლეს სწირავდნენ? მაგრამ ჩვენ უნდა მივუტევოთ ბორის ელიოზის ძეს: მისი ბრალი არ არის, რომ საბჭოთა პერიოდში პარტიულ და კომკავშირელ ფუნქციონერთა მომზადების პროგრამაში არ შედიოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრების - პილსუდსკისა და სხვათა გამოსვლები.

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ ფაქტზე: თანამედროვე ოსების წინაპრები, რომლებიც კავკასიის დიდი ქედის სამხრეთით სახლობდნენ, თავიანთ შვილებს საქართველოს დასაცავად აგზავნიდნენ, რათა ეს ქვეყანა გაძლიერებულიყო და განმტკიცებულიყო. რატომ ხდება, რომ ზოგიერთი ამ გმირის შთამომავალთაგანი ასეთი მონდომებით ცდილობს დღეს საქართველოს დანგრევას? ჩვენ, რა თქმა უნდა, არა ვართ მთის ადათების ბრმად მიმდევარნი, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიის ხალხთა შორის (მათ შორის, ოსებში) მიღებულია უფროსების პატივისცემა, მით უფრო საკუთარი წინაპრებისა. ზოგიერთი ოსი ავანტიურისტის ამჟამინდელი ქცევა, ამ მხრივ, არ შეიძლება გაკვირვებას არ იწვევდეს.

შემდეგ ჩოჩიევი აკეთებს კიდევ ერთ დიდ ისტორიულ განცხადებას: „საქართველოსთვის რთულ პერიოდში რუსეთთან შეერთება ნებაყოფლობით მოხდა, სსრკ-ში შესვლაც უბრალო ხალხის სურვილი იყო, თუმცა „ახლად გამოჩეკილი პატრიოტები“ ამას „ანექსიას“ უწოდებენ. პატივცემული ბორის ელიოზის ძე

ცოტათი მაინც უნდა გაეცნოს საკუთარი სამშობლოს ისტორიას. ამით რომ ადრე დაკავებულიყო, გაიგებდა, რუსეთის იმპერიამ თუ როგორ უხეშად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, თავის საწინააღმდეგოდ როგორ დაუთმო ირანს დასარბევად აღმოსავლეთ საქართველო, შემდეგ კი დასუსტებული სამეფოს ავად გამხდარი მეფითურთ ანექსირებულ იქნა; გაიგებდა, თუ როგორ უწევდნენ წინააღმდეგობას დასავლეთ საქართველოს პატარა სამეფო-სამთავროები იმპერიას; გაიგებდა სახალხო აჯანყებებისა და ციმბირში გასახლებების ამბებს; ბოლოს კი საბჭოთა რუსეთის თავდასხმაზე 1921 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რომელთანაც, სულ ცოტა ხნის წინ ხელი ჰქონდა მოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულებაზე; იმ თავგანწირულ ბრძოლებზე, რომელიც საქართველოს ჯარმა და მოლაშქრეებმა ყოველი მხრიდან შემოჭრილი წითელ არმიის ნაწილებთან და ქემალისტური თურქეთის ჯარებთან გამართეს. ჩოჩიევმა ზემოჩათვლილთაგან არცერთი არ იცის და ამ შემთხვევაში მისი ისტორიული უცოდინრობის ლიკვიდაცია მაინც ძნელი იქნება.

სამხრეთ ოსეთელი „მინისტრი“ ალტერნატიულ წარსულში ექსკურსიებისას ისეთ ფრაზებს ისვრის, რომლებიც უფრო დიდ გაკვირვებას იწვევს, ვიდრე ისტორიის უბრალოდ გადაწერა. რად ღირს თუნდაც ეს ფრაზა: „აი, ასე წერენ პატივცემულო გიორგი ზურაბის ძევ, ნათელი ქართული გონების ადამიანები; მათ, ქართველებმა, ხომ უკეთ იცოდნენ საქართველოს ისტორია, ვიდრე ჩვენ — არაქართველებმა, მათ ჩვენზე მეტად უყვარდათ საქართველო“. ამის წაკითხვისას უნდა ჩავფიქრდეთ და ვუპასუხოთ კითხვას: ღირდა კი ლანგისა და ალენის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შესწავლა? ორივე მათგანი ხომ ინგლისელი იყო, ჩოჩიევის მსგავსად მათაც ხომ ცუდად ეცოდინებოდათ საქართველოს ისტორია, ვიდრე სამარშრუტო ტაქსის ნებისმიერ თბილისელ მძღოლს ან გორელ მეხინკლეს, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ მეხინკლისა და სამარშრუტო ტაქსის მძღოლის წინაპართა შვიდი თაობა სულ წმინდა სისხლის ქართველები იქნებოდნენ. ისტორიის შესასწავლად ეს ნამდვილად ნოვატორული მიდგომაა.

და აი დასკვნაც: „და ამოვიდა მზე საქართველოსთვის ჩრდილოეთიდან“ (მაგრამ არა შევარდნაძის დროს), „ხალხმა ამოისუნთქა, წელში გაიმართა, ძონძები გადაყარა, კეპი დაიხურა“. ამის კომენტირება მართლაც ძალზე რთულია. რა კეპია ისეთი, რომელიც მთელმა ხალხმა დაიხურა? ეგებ ეს კეპი ის „აეროდრომია“, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში შემოვიდა კავკასიაში და იმჟამინდელი ინგლისური მოდის გავლენა იყო. მაგრამ რა კავშირი აქვს მას 1801 წელთან?

ძალიან გვსურს გვჯეროდეს, რომ საქართველოსა და მთელი კავკასიის ხალხები შეძლებენ შექმნილ ვითარებაში გარკვევას და არ აჰყვებიან ახალ პროვოკაციებს, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ

აყენებს მათ მომავალს, მათი შთამომავლების მომავალს, ამ ხალხებისადმი მტრულად განწყობილი უცხო ჯგუფების ვიწრო ინტერესების სასარგებლოდ.

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)

დანართი:

NORTH CAUCASUS, 1767-1783
Russian-Ottoman frontier, as of 1767
Ottoman territorial losses, as per the Treaty of Kucuk-Kainarca, 27.07.1774
Furthest Persian claims in the Caucasus, as of 1783
Copyright © Andrew Andersen, 2012
KHANATE OF CRIMEA
1475-1774 Ottoman trib., 1774-83 nominally independent
RUSSIAN EMPIRE
CIRCASSIA
Nominally Ottoman
GREAT KABARDIA
From 1774 nominally Russian
LITTLE KABARDIA
TEREK COSSACKS
KH. OF ANDARI
CASPIAN SEA
BLACK SEA
CHECHENIA
DAGHESTAN
SHAMKHALATE OF TARKU
INGUSHETIA
KARACHAI
P. OF ABKHAZIA
SUANETIA
BALKAR
OSSETIA
P. OF MEGRELIA
K. OF IMERETI
P. OF GURIA
KHEV-SURE-TIA
TUSHETIA
AVARISTAN
K. OF KARTLIA - KAKHETIA
Claimed by Persia
JARY
KHANATE OF KYURI
KH. OF QUBA
KH. OF DERBENT
SULT. OF ILISOU
KH. OF SHEKI
PERSIAN EMPIRE
KH. OF SHIRVAN
ACHARA
PASHALIK OF AKHALTSIKH
LAZISTAN
PARKHALI
TAO
PAMBAK
KAZAKH
SHAMSHADIN
OTTOMAN EMPIRE

RUSSIAN EXPANSION IN THE CAUCASUS, 1783-1878
Acquisitions 1783 - 1841
Acquisitions 1858 - 1864
1805 Date of Acquisition
Territory of the Imamate of Shamil ca 1842-43
Russian-Ottoman frontier, as of 1767
Copyright © Andrew Andersen, 2012
BLACK SEA
COSSACK TERRITORY 1783
ZONE OF "THE NEW DEFENSE LINE" 1841
RUSSIAN EMPIRE
CIRCASSIA
From 1829 nominally Russian, From 1841 complete control
From 1829 nominally independent, 1846 - 59 nominally to Imamate, from 1864 - to Russia
From 1810 nominally Russian, From 1864 complete control
From 1803 Russ. Patronage, From 1857 complete control
From 1810 Russ. Protectorate, From 1829 complete control
KABARDIA
From 1774 nominally Russ., From 1825 complete control
TEREK COSSACKS
ANDARI 1784
CHECHENIA 1859
DAGHESTAN
SHAMKHALATE OF TARKU 1793
CASPIAN SEA
BLACK SEA
P. OF ABKHAZIA
SUANETIA 1857
BALKAR
OSSETIA
P. OF MEGRELIA
K. OF IMERETI
P. OF GURIA
KHEV-SURE-TIA
TUSHETIA
AVARISTAN
1813 - 23
K. OF KARTLIA - KAKHETIA
JARY - -BELAKAN 1830
KHANATE OF KYURI 1806
KH. OF QUBA 1806
KH. OF DERBENT 1806
KH. OF SHEKI 1805
KH. OF SHIRVAN 1805
PASHALIK OF AKHALTSIKH 1829
ACHARA
LAZISTAN
PARKHALI
TAO
PAMBAK
KAZAKH
SHAMSHADIN
OTTOMAN EMPIRE

FRAGMENTATION OF HISTORICAL CIRCASSIA AND GEORGIA WITHIN THE RUSSIAN EMPIRE 1865-1914
Historical Circassia
Historical Georgia
Territory that can be considered part of both historical Circassia and historical Georgia
National border, 1878-1914
Provincial border
District border
Copyright © Andrew Andersen, 2012
RUSSIAN EMPIRE
STAVROPOL PROVINCE
KUBAN TERRITORY
TEREK TERRITORY
GREAT KABARDIA
LITTLE KABARDIA
NALCHIK DISTRICT
CHECHENIA
OSSETIA
SUKHUM DIST.
SUANETIA
KUTAIS PROV.
INNER KARTLIA
TIFLIS PROVINCE
LOWER KARTLIA
BATUM DIST.
ACHARA
DAGHESTAN TERRITORY
ELISAVETPOL PR.
BAKU PR.
KAZAKH DIST.
ZAKATALA DISTRICT
TAO
OTTOMAN EMPIRE
BLACK SEA
CASPIAN SEA
Kerch
Temryuk
Anapa
Ekaterinodar
Novorossiysk
Tuapse
Sochi
Adler
Gagra
Sukhum
Anaklia
Poti
Batum
Rizos
Amisos (Samsun)
Trapezunt
Stavropol
Pyatigorsk
Georgievsk
Mozdok
Kizlyar
Grozny
Gudermes
Petrovsk
Vladikavkaz
Kutais
Gori
Mtskheta
Tiflis
Telav
Akhaltsikh
Ardahan
Kars
Derbent
Elisavetpol

FRAGMENTATION OF GEORGIA AND HISTORICAL CIRCASSIA WITHIN EARLY SOVIET UNION, 1921-31
Democratic Republic of Georgia, as of Jan. /1921
Soviet Georgia, April-November / 1921
Mountain Autonomous S.S.R., Nov./1920
Soviet-Turkish border, Apr. /1921 - Dec./1991
Administrative Borders of Georgian S.S.R. and Russian S.F.S.R., 1922-44 and 1957-91
Administrative borders of North Caucasian ethnic autonomies, ca Jan. /1921 - Nov. / 1928
Copyright © Andrew Andersen, 2012
UNION OF SOVIET SOCIALIST REPUBLICS
RUSSIAN S.F.S.R.
KARACHAY-CIRCASSIAN AUTON.PROV. I.1922
AUTON. PROV. KABARDIA-BALKARIA I.1922
LITTLE KABARDIA
AUTON. PROV. CHECHENIA XI.1922
NORTH-OSSETIAN AUTON.PROV. VII.1924
SOUTH-OSSETIAN AUTON.PROV. IV.1922
ABKHAZIAN TRUCIAL S.S.R. XII.1921
ABKHAZIAN A.S.S.R. II.1931
SUANETIA
GEORGIAN S.S.R. I.1921
DAGHESTANI A.S.S.R. I.1921
ZAKATALA III.1922 to Az.SSR
LORI XI.1921 to Arm.SSR
III.1921 to Turkey
III.1922 to Az.SSR
Ca 1922-24 to RSFSR
VII.1924 to Terek distr.
I.1923 to Daghestan
I.1921 to Daghestan
X.1926 to Armavir distr.
II. 1924 from Kabardia - Balkaria to Karachay-Circassia
AZERBAIJANI S.S.R. IV.1920
ARMENIAN S.S.R. XI.1920
TURKEY
BLACK SEA
CASPIAN SEA
Kerch
Temryuk
Anapa
Novorossiysk
Tuapse
Sochi
Gagra
Sukhumi
Anaklia
Poti
Batum
Rizos
Amisos (Samsun)
Trapezunt
Krasnodar
Maikop
Krasnaya Poliana
Stavropol
Batalpashinsk
Pyatigorsk
Georgievsk
Mozdok
Kizlyar
Grozny
Gudermes
Makhachkala (Petrovsk)
Temir-Khan-Shura
Derbent
Kumukh
Kutaisi
Gori
Mtskheta
Tbilisi
Telavi
Akhaltsikhe
Ardahan
Artvin
Kars
Gyanja

Andrew Andersen

Playing "Unpredictable Past" for the Sake of Dubious Future

The article written by Dr. Andrew Andersen of the Centre for Military and Strategic Studies (CMSS) at the University of Calgary, Canada, is an answer to an article written by the "Vice Premier of South Ossetia" Boris Chochiyev and published by REGNUM under the title "Vice Premier of South Ossetia Carries out Literacy Campaign in Homeland History."

At the beginning of the article Andrew Andersen made a few sarcastic comments regarding specific Soviet-style lingo of Chochiyev's text and reminded the readers about the absence of the courses providing necessary background knowledge of regional history in the curricula of the majority of schools of the world throughout the 20th century, especially of the schools attended by Mr. Chochiyev whose political career developed predominantly within the Young Coummunist League (also known as *Komsomol*) of the USSR.

Andersen further debunked the myth of the "United Ossetia" that Cochiyev believes to have existed in the middle of the 18th century and been incorporated into the Russian Empire as per the Treaty of Kucuk-Kaynarca (1774). The author referred to various historical documents as well as to the writings of well-known experts in the field of East Mediterranean history that clearly proved that there was never ever any "united Ossetia" in the area and that even North Ossetia (or "Russian Ossetia") did not exist as a separate unit by the end of Russo-Turkish war of 1768-74, being an integral part of the Russian-annexed Kabardia.

Andersen's article also provided some background historical information regarding Eastern Georgia and its Ossetian community that had been fully integrated into poly-ethnic Georgia until certain external powers (Soviet and post-Soviet Russia) started using Ossetian minority of Georgia in the expansionist projects of the Kremlin.

Andersen concluded the article expressing the hope that the Ossetians of Georgia would stop being used as pawns in foreign geopolitical games and come to reconciliation with the Georgians and re-incorporation into the Georgian state in its internationally recognized borders.

ფატი ანთაძე-მალაშხია

სხვადასხვა პერიოდში შემოსული ზოგი სპარსული ნასესხობისათვის ქართულში

ქართულ ენას საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა ირანულ ენობრივ სამყაროსთან, პირველ რიგში, სპარსულ ენასთან. სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები მოიცავდა როგორც საშუალო (სავარაუდოდ, ძვ. წ. IV ს.–ახ. წ. VII-VIII სს; Основы1981:6), ასევე ახალ სპარსულ (ახ. წ. X საუკუნიდან დღევანდლამდე, კლასიკური სპარსული ეპოქა–ახ. წ. X-XV სს; Основы 1982:5) პერიოდს. ეს კონტაქტები ხორციელდებოდა როგორც წერილობით, ასევე ზეპირ დონეზე. სპარსულის ზეპირმეტყველებითი შეხება ქართულთან XX საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით გაგრძელდა, სანამ ჯერ კიდევ არსებობდა მცირერიცხოვანი სპარსული თემი ძველ თბილისში. ხსენებულ გარემოებათა შედეგად, ქართულ ლექსიკაში საშუალო და ახალ სპარსულ ნასესხობათა მნიშვნელოვანი ბირთვია წარმოდგენილი. ეს ნასესხობები არაერთი მკვლევარის შესასწავლ საგნად ქცეულა. ამ მიმართულებით ყველაზე ვრცელი და ფუნდამენტური გამოკვლევები აკადემიკოს მზია ანდრონიკაშვილს ეკუთვნის(ანდრონიკაშვილი I 1966; II 1996). ბოლო წლებში ასევე გამოქვეყნდა სხვა მონოგრაფიული ნაშრომებიც (გიპერტი 1993; ბართაია 2010). ამის მიუხედავად ქართულში შემოსულ ირანულ, კერძოდ, სპარსულ ნასესხობათა საკითხი არ შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს, რამდენადაც ის სამომავლოდ გასათვალისწინებელ სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. ერთ-ერთ ასეთ ასპექტად იმ ნასესხობათა შესწავლა გვესახება, რომლებიც ციკლურად სპარსული ენის ისტორიის ორ სხვადასხვა—საშუალო და ახალ ეტაპზე შემოვიდნენ ქართულში. უაღრესად მნიშვნელოვანია, ასევე იმ ნასესხობათა ანალიზი, რომელთა ეტიმონები არ შემონახულა და მათი აღდგენა ნასესხებ და ასევე სხვა ირანულ ფორმათა მიხედვითაა შესაძლებელი. ამგვარი ნასესხობები ძირითადად საშუალო სპარსულიდან შემოსულ სიტყვებს გულისხმობს. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ სწორედ ზემოხსენებული ორი სახის — ციკლურ და დაუმოწმებელი ეტიმონის მქონე რამდენიმე ნასესხობას.

სპარსული წარმომავლობის ერთ ციკლურ ფიტონიმურ ნასესხობას (**ზირაკ//ძირაკ//ზირა//ძირა**, ძირეული ქართული შესატყვისი **კვლიავი**) ჩვენ უკვე შევეხეთ ერთ-ერთ სტატიაში (ფ.

ანთაძე 2011). ეს ერთეული სპარსული ენის ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე და შესაბამისად სხვადასხვა ფონეტიკური ფორმით შემოვიდა ქართულში და ამავდროულად მას არ მოეძიება საშუალო სპარსული ეტიმონი. წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეხებით ანალოგიური ტიპის ზოგიერთ სხვა ნასესხობას. რიგ შემთხვევებში **ზირაკ//ძირაკის** მსგავსად, ამ ნასესხობათა ფონეტიკური სახე მათ საშუალო სპარსულ წარმომავლობაზე მიუთითებს, თუმცა შესაბამისი ეტიმონი არ დასტურდება და ქართულ და ახალ სპარსულ ფორმათა მიხედვითაა აღდგენილი.

საშუალო სპარსული **ramak**-ისა და ახალი სპარსული **räme** ‖კლასიკური სპარსული **rämä**-ს მნიშვნელობა „ჯოგი, ფარა“ სრულად ემთხვევა ერთმანეთს (Nyberg 1974; Рубинчик1985; änväri 1993; äfšår 1994). ახალი სპარსულიდან მომდინარე ქართული **რემა** — „ცხენის ჯოგი“ ჰიპონიმიზებულია, ანუ მასში ვიწროვდება ეტიმონის ზოგადი მნიშვნელობა. ზოგადად **ჯოგისა** და **ფარის** პარალელურად მხოლოდ ერთ ახალ სპარსულ ლექსიკონში დასტურდება **räme**-ს უფრო სპეციალიზებული, თუმცა ქართული პარალელისგან განსხვავებული მნიშვნელობა: „ოთხფეხთა გროვა, განსაკუთრებით ცხვართა და თხათა“ (äfšår 1994). რაც შეეხება საშუალო სპარსული **ramak**-იდან მომდინარე ქართული **რემაკს**, აქ დაკარგულია ეტიმონში წარმოდგენილი კრებითობის სემანტიკური კომპონენტი და მისი შინაარსი გულისხმობს „უხედნ, ჭაკ ცხენს“ (საბა 1991-1993), „გაუხედნავ ჭაკ ცხენს ან ვირს“ (ქეგლ). მსგავსი, სადღეისოდ არქაიზებული მნიშვნელობა „ცხენის ჯოგის“ პარალელურად დასტურდება **რემა** ფორმაშიც: „გაუხედნავი ცხენი“ (ქეგლ 1950-1965); ამავდროულად ხევსურულ დიალექტში **რემა** ნიშნავს „კარგ ცხენს“ (ქეგლ 1950-1965). ამგვარად, **რემაკ** ფორმამ სემანტიკური ცვლილების ფონზე შეინარჩუნა ეტიმონის მონოსემიურობა, მაშინ როცა **რემა** პოლისემიზდა, თუმცა ქართული ენის თანამედროვე მატარებლები მას მონოსემანტად აღიქვამენ, რამდენადაც **გაუხედნავი ცხენისა** და **კარგი ცხენის** მნიშვნელობები **რემასთან** დაკავშირებით მივიწყებულია. ლექსიკური მდგრადობის თვალსაზრისით, ნაკლებ გამძლე აღმოჩნდა **რემაკ** ფორმა, თუმცა დღეს არც **რემა** წარმოადგენს აქტიურად ფუნქციონირებად სიტყვას.

შინაარსობლივად იგივეობრივია საშ. სპარს. **čapuk** და ახ. სპარს. **čäbok** „სწრაფი, მკვირცხლი“ (Nyberg 1974; Рубинчик 1985; änväri 1993; äfšår 1994).თუმცა ახალი სპარსული ფორმა პოლისემიზაციისკენაა მიდრეკილი. ის სწრაფისა და მკვირცხლის გარდა, მოიცავს მნიშვნელობებს „ცოცხალი, მარჯვე, ყოჩაღი“; Рубинчик 1985; änväri 1993; äfšår 1994), მას აქვს ზმნიზედური

დატვირთვაც: „სწრაფად, მკვირცხლად, ცოცხლად, ყოჩაღად, მარჯვედ“ (Рубинчик 1985; änväri 1993; äfšår 1994). შესაძლებელია ამგვარი დატვირთვა საშ. სპარს. **čapuk** -საც ჰქონდა, რადგანაც ზედსართავები საშუალო სპარსულშიც გამოიყენებოდა ზმნიზედური ფუნქციით (Основы 1981:97). ქართულში **ჭაბუკი** მორფოსემანტიკურად ცვლილია, იგი გაარსებითებულია და ნიშნავს „ახალგაზრდა ვაჟს“ (საბა 1991-1993; ქეგლ 1950-1965), დადასტურებულია ასევე მისი მოძველებული მნიშვნელობა „მოყმე, რაინდი“ (ქეგლ1950-1965). სადღეისოდ ხშირად ხმარებული **ჭაბუკი** მონესემანტად აღიქმება. **ჭაბუკის** ბაზაზე წარმოქმნილი ნასახელარი ზმნები **ჭაბუკობს**, **აჭაბუკებს** (იხ. ასევე სახელზმნა და აბსტრაქტული არსებითი სახელი „**ჭაბუკობა**“)ან კომპოზიტი **მზეჭაბუკი** ამ ნასესხობის დერივაციულ შესაძლებლობათა ამოქმედებაზე მიუთითებს, რასაც გამოყენების სიხშირესთან ერთად ნასესხობათა ადაპტაციის ერთ-ერთ კრიტერიუმად მივიჩნევთ.

ფონეტიკური ფორმის მიხედვით, **ჭაბუკი** მსგავსად **ზირაკ//ძირაკ**-ისა, საშუალო სპარსულის ადრინდელ საფეხურზე ჩანს ქართულში შემოსული, როცა ინტერვოკალური და პოსტვოკალური **k** ჯერ კიდევ არ იყო გამჟღერებული და **g**-დ გარდაქმნილი (Основы 1982:7), თუმცა ამ ნასესხობაში ინტერვოკალური **p** გამჟღერებულია (**p>ბ; čapuk>ჭაბუკი**), რაც **k>g**-ს ანალოგიურად გვიანდელ საშუალო სპარსულს ახასიათებს. არ გამოვრიცხავთ **ჭაბუკის** სომხური მეშვეობით შემოსვლას ქართულში, რადგან ამ სიტყვის ქართულ და სომხურ პარალელებში საშუალო სპარსული **č** გადმოცემულია **ჭ**-თი. **č>ჭ** გადასვლათა დიდძალი სახით არსებობა საშუალო სპარსული წარმომავლობის ქართულ-სომხურ პარალელებში (მ. ანდრონიკაშვილი 1966:279-416) გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი გადასვლა სომხური გავლენით უნდა იყოს განპირობებული, რადგან რიგ სხვა შემთხვევებში საშ. სპარს. **č** ქართულში **ჩ**-ს იძლევა (მ. ანდრონიკაშვილი 1966:200).

čapuk -ის სომხური პარალელი სრულად იმეორებს ეტიმონის შინაარსს „სწრაფი, მკვირცხლი“, გაარსებითებული ქართული ვარიანტი დეტერმინატული შესიტყვების, სავარაუდოდ „**ჭაბუკი ვაჟის**“ელიფსური ფორმა უნდა იყოს, სადაც საშუალო სპარსულში წარმოდგენილი „**სწრაფისა**“ და „**მკვირცხლის**“ მნიშვნელობა ასოციაციურად ჩანაცვლებულია „**ყმაწვილით, ახალგაზრდით**“ სიმილაციის საფუძველზე. სიტყვათმნიშვნელობებს შორის სიმილაციური მიმართება ეფუძნება რეალიათა თვისებების მსგავსებას (ნიკიტინი 1983:40). ჰიპო-ჰიპერონიმიულ და იმპლიკაციურ მიმართებათა ცნებებთან ერთად სიმილაციური მიმართების ცნება გამოიყენება პოლისემანტის სიტყვათმნიშვნელობათა შორის კავშირთა

აღსაწერად (ნიკიტინი 1983:37-40). ეს კავშირები ნიკიტინისეული სისტემის მიხედვით, ორი ძირითადი სახეობითაა წარმოდგენილი: 1) იმპლიკაციური, რომელიც სახეობებს, თვისებებსა და მიმართებებს შორის კავშირებზეა დამყარებული და ჩვენეული ინტერპრეტაციით, ძირითადად ერთსა და იმავე ლექსიკურ-სემანტიკურ ველს ან უფრო ვიწროდ თემატურ ჯგუფს მოიცავს; 2) კლასიფიკაციური, რომელიც ორ ქვეტიპს გულისხმობს: ა) ჰიპო-ჰიპერონიმულს, ის მოიცავს როგორც გენერალიზაციის (მნიშვნელობის გაფართოება, ჰიპერონიმიზაცია), ასევე სპეციალიზაციის (მნიშვნელობის დავიწროება, ჰიპონიმიზაცია) კავშირს. ზემოთ მოტანილი ახ. სპარს.**räme**>ქართ. **რემა** ჰიპონიმიზაციის მაგალითს წარმოადგენს, მაშინ როცა საშ. სპარს. **ramak**-სა და ქართულ **რემაკს** შორის მიმართება აშკარად იმპლიკაციურია. ცხადია, ჰიპო-ჰიპერონიმიზაციული მიმართება არასდროს არ სცდება თემატური ან ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის ფარგლებს; ბ) სიმილაციურს, რომელიც ზემოაღნიშნულის თანახმად, საგანთა და ცნებათა თვისებების მსგავსებითაა განპირობებული. ამგვარი მიმართება ძირითადად არ ხორციელდება ერთი და იმავე ლექსიკურ-სემანტიკური ველის ფარგლებში (ფ.ა.), რადგან სიმილაციით დაკავშირებულ სიტყვათმნიშვნელობებს არ აერთიანებთ დამაქვემდებარებელი ჰიპერსემა (ნიკიტინი 1983:43). პოლისემანტის სიტყვათმნიშვნელობათა ურთიერთმიმართების აღსაწერად გამოყენებული იმპლიკაციის, ჰიპო-ჰიპერონიმიზაციისა და სიმილაციის ცნებები ჩვენ მოვარგეთ ეტიმონსა და ნასესხობას შორის არსებულ შინაარსობლივ კავშირს, რამდენადაც აქაც სიტყვათმნიშვნელობათა მიმართებებია გასაანალიზებელი, ოღონდ არა ერთი, არამედ ორი — გამსესხებელი და მსესხებელი ენის ფარგლებში.

საშ. სპარს. **čapuk** >ახ.სპარს. **čäbok** სემანტიკურად უცვლელი სახით უკვე სხვა ქრონოლოგიური, კერძოდ, ფარსის, ანუ ახალ სპარსულ ეპოქაში ისესხა ქართულმა **ჩაუქ** ფონეტიკური ფორმით, იხ. **ჩაუქი** „მარდი, შემძლე, მამაცი“ (ქეგლ 1950-1965); „ცქვიტი და შემძლე“ (საბა 1991-1993). ასევე **ჩაუქად** „მარდად, შემძლედ“ (ზმნიზედა) და **სიჩაუქე** „სიმარჯვე, სიმარდე“. როგორც ვხედავთ, **ჩაუქში** ასახულია ახალ სპარსული **čäbok** –ის პოლისემია.

ჩაუქის ეტიმონად ახ. სპარს. **čäbok** -ის ადრეულ ფონეტიკურ ფორმას მოვიაზრებთ, როცა ფარსის ეპოქის პირველ ეტაპზე ინტერ- და პოსტვოკალური **p** სპირანტ β-დ გარდაიქმნა (ხშული **b**-ს სახე მან მოგვიანებით მიიღო). β-მ როგორც ჩანს, ქართულში **ვ** მოგვცა, რომელიც ქართულისათვის ბუნებრივი ტენდენციის თანახმად, **უ**-ს წინ დაიკარგა (ანდრონიკაშვილი 1996:170). ლექსიკური მდგრადობის

თვალსაზრისით, **ჩაუქ** ფორმა ჩამორჩება აქტიურად ფუნქციონირებად **ჭაბუკს**, ქართული **ჩაუქ** იშვიათად ხმარებულ ფუძეთა რიცხვს მიეკუთვნება.

სემანტიკურად სხვაობენ ასევე საშუალო სპარსულიდან მომდინარე **ხანაგა** და ახალი სპარსული წარმომავლობის **ხანა** ფორმები. იხ. **ხანაგა** 1. „თავშესაფარი სახლი დავრდომილებისა და ობლებისათვის"; 2. „იგივეა რაც სასტუმრო" (ქეგლ 1950-1965); „ობლების საკრებულო სახლებია" (საბა 1991-1993) და **ხანა**—მოძველებული სიტყვა 1. „სახლი, შენობა", „მათთვის დაცალეს ყოველგან ქარვასლები და **ხანები**" (თეიმურაზი); 2. რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი: **ზარაფხანა, თოფხანა** (ქეგლ 1950-1965). როგორც **ხანაგა,** ასევე **ხანა** არქაიზმია. ეს უკანასკნელი დღეს მხოლოდ კომპოზიტის ნაწილად თუ გვხვდება, იხ. ზემოთ მოტანილ მაგალითთა ანალოგიური **ჩაიხანა, ყავახანა.**

საშ. სპარს.**xänak**და ახ. სპარს. **xåne||**კლას.სპარს. **xånä** იგივეობრივი შინაარსისაა და ნიშნავს „სახლ"-ს(Nyberg 1974; Рубинчик 1985; änväri 1993; äfšår 1994), თუმცა **xåne** პოლისემიურია და სახლის გარდა მოიცავს მნიშვნელობებს: „შენობა, ნაგებობა";უჯრედი, კვადრატი; უჯრა (მაგიდის, კარადის); „ქულა" (Рубинчик 1985, änväri 1993, äfšår 1994). āāჰიპო-ჰიპერონიმულ მიმართებაშია საშუალო სპარსულ **xänak**-თან, რამდენადაც **ხანაგაში** დავიწროებულია, ჰიპონიმიზებულია ეტიმონის ზოგადი მნიშვნელობა „სახლი, საცხოვრისი".

ხანაგა ფორმის საშუალო სპარსული **xānak**-იდან მომდინარეობისთვის არ არსებობს სემანტიკური და მით უმეტეს, ფონეტიკური დაბრკოლება, თუმცა ეტიმონად ასევე შეიძლება ვივარაუდოთ ახალსპარსული **xånägåh||xånegåh** 1. „დერვიშთა მონასტერი, დერვიშთა სავანე"; 2. „სახლი, საცხოვრისი", ამ შემთხვევაში ეტიმონსა და ნასესხობას შორის იმპლიკაციური მიმართება მოიაზრება, რამდენადაც „დერვიშთა მონასტერი, დერვიშთა „სავანე" და „ობოლთა და დავრდომილთა სახლი" ერთმანეთის მიმართ ეკვონიმებს წარმოადგენენ, ანუ ისინი მიეკუთვნებიან ერთი და იმავე ჰიპერსემით („სახლი, საცხოვრისი") გაერთიანებულ თემატურ ჯგუფს, თუმცა მათ შორის არ შეინიშნება იერარქიული დამოკიდებულება, რადგან ერთის მნიშვნელობა არ ფარავს მეორისას. თუ **ხანაგას** ეტიმონია **xånägåh||xånegåh,** მაშინ გამოირიცხება **ხანაგა||ხანა** ნასესხობათა ციკლურობა.

რიგ შემთხვევებში ქართულში არსებულ ფორმათა საშუალო სპარსული წარმომავლობა სრულიად გამჭვირვალეა, თუმცა საშუალო სპარსული ეტიმონი არ მოიძიება და დადასტურებულია მხოლოდ

შესაბამისი ახალსპარსული ეკვივალენტი. ჰიპოთეტური საშუალო სპარსული ეტიმონებიდან მომდინარე ქართულში შემოსულ ნასესხობებს ზოგჯერ არ მოეძიება ახალ სპარსული წარმომავლობის პარალელები **(ამხანაგი, ნოვაგი, ჭარმაგი),** რიგ შემთხვევებში კი ამგვარი პარალელიზმი და შესაბამისად ციკლურობა დასტურდება **(ფარდაგი||ფარდა, სადაგი|| სადა, ჭალაკი|| ჭალა)**. იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები:

ამხანაგი, რომლის მიხედვით აღდგება საშუალო სპარსული ფორმა ***hamxānak|| hamxānag** (ანდრონიკაშვილი 1996:280-281). ახ. სპარს. ფორმა **hämxåne** ქართული პარალელისგან განსხვავებით პოლისემიურია და „მეგობრის, ამხანაგის“ (სინონიმი**hämnešin,** იხ.änväri 1993) გარდა აქვს კომპოზიტ **hämxåne** -დან სიტყვასიტყვით გამომდინარე მნიშვნელობა „თანამოსახლე, მეზობელი“.სავარაუდოდ, საშუალო სპარსული ფორმაც პოლისემიური უნდა ყოფილიყო, რომელიც სესხებისას მონოსემიზდა და ქართულში გადმოვიდა მხოლოდ „მეგობრისა და კომპანიონის“ მნიშვნელობით;

ნოვაგი, სანოვაგე „საჭმელ-სასმელი“(ქეგლ 1950-1965); „სალხინო საჭმლები“ (საბა 1991-1993). არ დასტურდება საშუალო სპარსული ***navak||navag** ფორმები, თუმცა გვაქვს ახალ სპარსული **nävä** 1)„საარსებო საშუალება, საზრდო“; 2)„კეთილდღეობა, სიმდიდრე“; 3) მოძვ. „ბე“ (Рубинчик 1985; änväri 1993; äfšår 1994). ქართული პარალელი ახ. სპარს.**nävä**-ს I სიტყვათმნიშვნელობასთან („საარსებო საშუალება, საზრდო“) მიმართებაში ჰიპონიმიზებულია. ახალ სპარსულ და ქართულ სიტყვათმნიშვნელობათა მიმართება ანალოგიურადაა წარმოდგენილი ქართულ პოლისემანტ **საზრდოს** სიტყვათმნიშვნელობათა შორისაც: 1)„საკვები, საჭმელი, სანოვაგე, სარჩო“, 2)„რაც ზრდის, ხელს უწყობს, ასულდგმულებს“, (ანუ **საარსებო საშუალება** – ფ.ა.) (ქეგლ 1950-1965) ამგვარი მაგალითები ნათლად მიგვანიშნებს ერთი მხრივ, სემანტიკურად ცვლილი ნასესხობის მის ეტიმონთან მიმართებისა და მეორე მხრივ, პოლისემანტის სიტყვათმნიშვნელობათა ურთიერთმიმართების ძირეულ მსგავსებაზე. სავარაუდოდ, საშუალო სპარსულ ***navak||navag**-საც უნდა ჰქონოდა „საარსებო საშუალების, საზრდოს, სარჩოს“ მნიშვნელობა.

ქართულში წარმოდგენილი **ჭარმაგის** ეტიმონად ჰიპოთეტური საშუალო სპარსული ფორმა***čarmak||čarmag** გვეგულვის, რომელსაც არქაიზმად კვალიფიცირებული ახალსპარსული **čärme**-ს მნიშვნელობა „თეთრი ცხენი, თეთრონი“ (Рубинчик 1985; änväri 1993; äfšår 1994)

უნდა ჰქონოდა. ქართულში ჭარმაგის მნიშვნელობაა „თეთრი ცხენი შავი ხალებით“ (ქეგლ 1950-1965; საბა 1991-1993), თუმცა ის სადღეისოდ მივიწყებულია, რადგან პოლისემიზებულ ქართულ ვარიანტში ამჟამად ძირითად სიტყვათმნიშვნელობად წარმოგვიდგება „ხანში შესული ვაჟკაცური გარეგნობის მამაკაცი“ (ქეგლ 1950-1965), რომელიც სიმილაციურ მიმართებაშია ეტიმონთან. სიმილაციის საფუძველი **თეთრი (ჭაღარა)** ან **ჭაღარანარევი თმიანი საფარი** და **ფიზიკური ძლიერებაა**.

ზოგიერთ შემთხვევაში ქართულში წარმოდგენილია როგორც ჰიპოთეტურ საშუალო სპარსულ, ასევე დადასტურებულ ახალ სპარსულ ფორმათაგან მომდინარე პარალელური ფორმები, ანუ ციკლური ნასესხობები:

ფარდაგი<საშ. სპარს. ***pardak||pardag** და **ფარდა**<ახ. სპარს. **pärde//**კლას. სპარს. **pärdä. ფარდაგ** და **ფარდა** ფორმებს შორის დასტურდება როგორც ფონეტიკური, ასევე სემანტიკური განსხვავება. (ანალოგიური მაგალითები იხილეთ ზემოთ განხილულ **რემაკ//რემა**; **ჭაბუკ//ჩაუქ** და **ხანაგა//ხანა**-ს შემთხვევაში). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, **ფარდაგი** პოლისემიურია, რომლის ხმარებიდანგასული მნიშვნელობა **ფარდის** იდენტურია: „ასმათ ფარდაგსა აზიდა, გარე ვდეგ მოფარდაგულსაჲ (ვეფხისტყაოსანი; ქეგლ 1950-1965). სადღეისოდ და როგორც ჩანს, უკვე სულხან-საბას დროს დომინანტურად ქცეულა **ფარდასთან** იმპლიკაციურად დაკავშირებული სიტყვათმნიშვნელობა „მსხვილი მატყლის ძაფის უხაო ქსოვილი საფენად და კედელზე გასაკრავად“ (ქეგლ 1950-1965), „კედლის შესამოსი“ (საბა 1991-1993). **ფარდაგმა** დერივაციული შესაძლებლობები გამოავლინა ქართულში, იხ. ნასახელარი ზმნა **აფარდაგებს (მოფარდაგება)** და შესაბამისი ნამყოს მიმღეობები **მოფარდაგებული** და **მოუფარდაგებელი.** რაც შეეხება **ფარდას**, ქართულში ის ფაქტობრივადმონოსემიურია და აღნიშნავს ფანჯარაზე ან კარზე ჩამოსაფარებელ, ოთახის გადასაღობად ან სცენის დასაფარად გამოყენებულ ქსოვილს (ქეგლ 1950-1965). ქართული პარალელისგან განსხვავებით, ახალსპარსული **ფარდა** პოლისემანტია და ქართულში წარმოდგენილ მნიშვნელობათა გარდა, გულისხმობს **ზოგადად საფარველს, სურათს, ფენას, გარსს, აპკს, ასევე კარავს** (Рубинчик 1985; änväri 1993; äfšår 1994). როგორც **ფარდა**, ასევე **ფარდაგი** აქტიურად გამოყენებული ნასესხობებია თანამედროვე ქართულში.

სადღეისოდ სემანტიკური განსხვავება ჩანს **სადაგსა** (ეტიმონისაშ. სპარს. ***sadak||sadag)** და **სადა** (ეტიმონი ახ. სპარს. **såde//**კლას.სპარს**. sådä)** ფორმებს შორის პოლისემიური**såde** ძირითადი შინაარსი „უბრალო, მარტივი, რიგითი, უპრეტენზიო, გაუპრანჭავი“

(Рубинчик 1985; änväri 1993; äfšår 1994) გადმოტანილია ქართულ **სადა**-ში (ქგლ 1950-1965). როგორც ჩანს, თავიდან იგივე მნიშვნელობა ჰქონდა **სადაგსაც**: „მიეც ხორცთა შენთა საზრდელი **სადაგი** და გუამსა შენსა სამოსელი ადვილი ფასისა“ („მამათა სწავლანი“, იხ. ანდრონიკაშვილი I 1966:368), „მოყვარენი გულ**სადაგნი** („ვეფხისტყაოსანი“ იხ. ანდრონიკაშვილი I 1966:368). ქეგლ-ის საილუსტრაციო მაგალითების მიხედვით, XIX-XX საუკუნის დასაწყისის ტექსტებში **სადაგი** და **სადა** შეზღუდული ვალენტობის ზედსართავადაც გვევლინებიან მნიშვნელობით „უქმე, არასამუშაო (დღე)“. ეს მნიშვნელობა არაა წარმოდგენილი ახალ სპარსულ ფორმაში. სულხან-საბასთან **სადაგი** განიმარტება, როგორც „ძნელსა და ადვილს საშუალი“. განსხვავებით **სადასაგან**, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ეტიმონისეული მნიშვნელობა „უბრალო, მარტივი“. **სადაგი** სემანტიკურად ცვლილია, მას შეძენილი აქვს ლექსიკონებში აუსახავი მნიშვნელობა „სარგო, შესაფერი“.ეს შინაარსობლივი ნიუანსი კარგად ჩანს **სადაგით** მოტივირებულ ზმნებში **უსადაგებს** „არგებს“, „**ესადაგება**, ერგება, შეეფერება“.

შინაარსობლივად იგივეობრივია **ჭალაკ**<საშ. სპარს. ***čālak||čālag** და **ჭალა**<ახ. სპარს. **čåle//**კლას. სპარს. **čålä** ფორმები: „ვაკე ადგილი ტყიანი ან უტყეო მდინარის პირას“ (ქეგლ 1950-1965), „წყლის პირი ნაყოფიერი“ (საბა 1991-1993), **ჭალაკს** აქვს ასევე ხმარებიდან გამოსული მნიშვნელობა „კუნძული“ (ქეგლ 1950-1965; საბა 1991-1993). უცნობია რა სემანტიკისა იყო სავარაუდო საშუალო სპარსული ეტიმონი, მაგრამ ახალსპარსულ პოლისემანტ **čäle**-ს მნიშვნელობებია „ორმო, ჩაღრმავებული, ოღროჩოღრო ადგილი, ღრანტე“, ასევე „თიხა-მიწოვანი წიდით წარმოქმნილი ჩაღრმავებული ადგილი“ (änväri 1993). სწორედ, ეს უკანასკნელია ქართული პარალელის მნიშვნელობასთან იმპლიკაციურ მიმართებაში. გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით, **ჭალა** სჭარბობს **ჭალაკს.**

განხილულ ნასესხობათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულში ციკლურად, სპარსული ენის ისტორიის ორ სხვადასხვა ეტაპზე შემოსული საშუალო და ახალი სპარსული წარმომავლობის პარალელური ვარიანტები განსხვავდებიან არა მხოლოდ ფონეტიკური ფორმით, არამედ სემანტიკური შინაარსითაც. ამავდროულად მათ შორის სადღეისოდ არსებული სემანტიკური სხვაობა უკავშირდება ეტიმონისგან ერთ-ერთი ან ორივე პარალელური ფორმის მეტ-ნაკლებ შინაარსობლივ დაშორებას იმპლიკაციის, ჰიპო-ჰიპერონიმიზაციის ან სიმილაციის საფუძველზე. საკვლევ მასალაში წარმოდგენილია ეტიმონთა როგორც მონოსემიზაციის, ასევე პოლისემიზაციის მაგალითები.

ახალსპარსულ ეტიმონთა ძირითად სიტყვათმნიშვნელობების შინაარსი ემთხვევა დადასტურებულ საშუალო სპარსულ

პრაფორმებს. რეკონსტრუირებულ საშუალო სპარსულ ეტიმონთაგან მომდინარე ქართული ვარიანტის სემანტიკური კავშირი ახალ სპარსულ ფორმასთან მუდამ გამჭვირვალეა, რაც ამ უკანასკნელის სემანტიკურ იგივეობას ან სიახლოვეს გვავარაუდებინებს დაუდასტურებელ საშუალო სპარსულ ეტიმონთან და კიდევ ერთხელ მიგვითითებს ახალ სპარსულ ფორმათა და სხვა ენებში შესულ სპარსიზმთა შესწავლის მნიშვნელობაზე საშუალო სპარსულ ეტიმონთა აღსადგენად.

დამოწმებული ლიტერატურა

მ. ანდრონიკაშვილი 1966 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966;

მ. ანდრონიკაშვილი 1996 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, თბილისი, 1996;

ფ. ანთაძე 2011 - ფ. ანთაძე, ქართულში შემოსული სამი ორიენტალიზმის შესახებ, „ენათმეცნიერების საკითხები“. 2012;

ნ. ბართაია 2010 - ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა, თბილისი 2010;

საბა 1991-1993 - ორბელიანი სულხან-საბა ლექსიკონი ქართული, I, II, Tbilisi 1991-1993;

Никитин 1983 - Никитин М.В. Лексические значение слова. Структура и комбинаторика. Москва 1983;

Основы 1981 - Основы иранского языкознания. Среднеиранские языки. Москва 1981;

Основы 1982 - Основы иранского языкознания. Новоиранские языки. Москва 1982;

Рубинчик 1985 - Персидско-русский словарь. т. I-II. Москва 1985;

გიპერტი 1993 - Gippert J. Iranica. Armeno-Iberica, I-II Wien 1993;

Nyberg 1974 - Nyberg H.S. A Manual of Pahlavi. Glossar, Wiesbaden 1974;

äfšår 1994: äfšår q.s.; häkämin; häkämin. Färhäng-e moåser-e fårsi, Tehrån 1994;

änväri 1993: änväri h. färhäng-e fešorde-ye soxän Tehrån 1993.

Pati Antadze-Malashkhia

Persian Loanwords Borrowed into ceorgian Language in Various periods

Present paper deals with some loan words (**რემაკი//რემა; ჭაბუკი//ჩაუქი; ხანაგა//ხანა; ფარდაგი//ფარდა; სადაგი//სადა; ჭალაკი//ჭალა**),that penetrated into Georgian twice on various stages of the history of Persian language, namely Middle and New Persian. Such cyclic borrowing led to the phonetic differences in the parallel forms derived from Middle and New Persian etymons. This phonetic difference also means semantic divergence. At the same time, the above-mentioned parallels are semantically similar from the diachronic point of view. The semantic difference observed on the synchronic plane is due to semantic deviation from the Middle Persian etymon based on hypo-hyperonymy, implication or similation. The research material includes examples of both monosemization and polysemization of the etymon. The meaning of words of New Persian version semantically coincides with the initial forms in Middle Persian. In certain cases the original form is restored by scholars on the basis of Persian loans in Georgian (Georgian **ფარდაგი**<Middle Persian ***pardak||pardag,** Georgian **სადაგი**<Middle Persian ***sadak||sadag,** Georgian **ჭალაკი**<Middle Persian ***čālak||čālag**;).

The analysis also deals with Georgian variants based on Middle Persian etymons that have no parallels in the form of borrowings from New Persian (Georgian **ამხანაგი**<Middle Persian ***hamxānak|| hamxānag** Georgian **ნოვაგი**<Middle Persian ***navak||navag** Georgian **ჭარმაგი**<Middle Persian***čarmak||čarmag;**). The semantic link of such loans with corresponding New Persian forms (**hämxåne** , **nävä, čärme**) is quite transparent. Therefore, we should assume the semantic similarity of these forms to the reconstructed Middle Persian original forms.

From the phonetic viewpoint, the analyzed Middle Persian forms reflect both early stages of Middle Persian (Georgian რემაკი<Middle Persian **ramak**; **Georgian** ჭაბუკი<Middle Persian **čapuk**; Georgian ჭალაკი<Middle Persian ***čālak**), and later stage of Middle Persian (Georgian ფარდაგი<Middle Persian ***pardag**; Georgian სადაგი<Middle Persian ***sadag**; Georgian ამხანაგი<Middle Persian ***hamxānag;** Georgian ნოვაგი<Middle Persian ***navag;** Georgian ჭარმაგი<Middle Persian ***čarmag;** Georgian ხანაგა<Middle Persian **xānag**).

The analyzed loan words chiefly reveal lexical stability and derivative activity in Georgian. However, in certain cases there is a tendency of their transfer to vocabulary archive (რემაკი, ხანაგა, ჩაუქი, ჭალაკი).

ამირან არაბული

„მძლევარი“ და „მკვდართა მზე“ - ორი ქვეყნის, ორი სამყაროს მეკავშირენი ხალხურ სიტყვიერებაში

წელიწადის დროთა ციკლური მონაცვლეობის ბუნებრივი პროცესის თანმდევი გადაადგილება, ფრინველთა ერთი ნაწილისთვის რომ დაუწერია და დაუწესებია განგებას, ხალხურ მსოფლხედვაში ფართო მასშტაბის კოსმიურ გააზრებას იძენს და ცალსახად მოწმობს მითოსური სიუჟეტების მთხზველთა მხატვრული წარმოსახვის უნაპირობას.

ცალკეულ სფეროებად, არეებად თუ სეგმენტებად დანაწევრებული ემპირიული სამყაროს სტატიკურ უძრაობას ფერადოვან შტრიხსა და სიცოცხლის ნიშატს მატებენ ის სულიერი არსებანი, რომელთა მოწოდება და ფუნქციური დატვირთვა დაშორიშორებული სივრცული მოცემულობების შუამავლობასა და მეკავშირეობაში მდგომარეობს.

ადამიანის შემწე ფრთოსნებს შორის თავიანთი საკრალური მისიით გამოირჩევიან გუგული და მერცხალი. ისინი მორბედებად, გაზაფხულის მახარობლებად გვევლინებიან და თავისთავში სამყაროული კომუნიკაბელობის ხელშემწყობ კეთილ ძალებს ასახიერებენ.

ამ თვალსაზრისით მერცხლისა და გუგულის რიგშივე მოიაზრება კიდევ ერთი „აქტიური“ ფრინველი, ე.წ. „**საჭნაურა**“ (დიალექტებში: „**ურნატა**“, „**მაჭნავა**“, „**გუთნის-ჩიტა**“, „**ჭარ - წინა**“...). სამივე მათგანი, თავის მხრივ, “მძლევრად“ არის სახელდებული არცთუ მრავალრიცხოვან ზეპირ თუ წერილობით წყაროებში.

არქაული აზროვნების ელემენტებით გაჯერებულ ნარატივებში ხარისხობრივად და, გნებავთ, მენტალურად, განსხვავებულ ორ სამყაროს შუა მიმოიქცევა და თავის უცვალებელ მოვალეობას ასრულებს დაღლილი ღმერთის ასტრალურ სახესთან ასოცირებული დღის მნათობი, რომელსაც ფშავში “მკვდართა მზეს“ უწოდებენ.

ეთნოგრაფიულ წერილში „**ფშავლები**“ ვაჟა აღნიშნავს: “ფშავლის „**შავეთს**“. შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასულის მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტად - ღა არიან ამ დროს წითლები. ამას ფშაველი ეძახის „**მკვდართა მზეს**“ (ვაჟა - ფშაველა 1956:16)

„**მკვდართა მზე**“, ისევე როგორც „**მშვენიერი მძლევარი**“, მუდმივ მოძრაობასა და მიმოსვლაშია. როგორც პირველის, ისე მეორის სამოქმედო სივრცე რეალურ და წარმოსახვით, საგნობრივ და ირეალურ განზომილებებს მოიცავს და ცხადად მიანიშნებს მათ

მკვიდრ ადგილს და პრიორიტეტულ მდგომარეობას მთიელთა ძველთუძველეს რწმენა - წარმოდგენებში...

მძლევარი შემოდგომაზე თბილ ქვეყანაში მიფრინავს, ხოლო დათბობისთანავე უკან ბრუნდება და ადრიანი გაზაფხულიდან ვიდრე აცივებამდე მეურნე ხალხთან ერთად ინაწილებს მზის სხივთა წყალობასა თუ ბუნების მოვლენების რისხვას.

ამ კეთილხმოვანი სახელის სემანტიკური შინაარსი მისით აღსანიშნ არსებათა უნებლიე ქმედების მაგიურ ხასიათში ჰპოვებს სათავეს: **ფშავ - ხევსურეთში სწამდათ, რომ ვინც დილით „უნაწილო“ ანუ უზმო სახლიდან გავიდოდა, მათგან დაიძლეოდა**.

„გაზაფხულზე, გუგულის მოსვლის დრო რომ მოახლოვდებოდა, ყველა ცდილობდა, გუგულს არ დაეძლია, ე.ი. დილით უნაყროს არ გაეგონა მისი ხმა. თუ გუგული პურუჭმელს ძახილს დაასწრებდა, იმ ზაფხულს ადამიანი დასუსტდებოდა. ამიტომ ლოგინიდან ადგომისთანავე ლუკმას ჩაიდებდნენ პირში. თუ ჭამის შემდეგ გაიგონებდნენ გუგულის ძახილს, დაუძახებდნენ: „**გუგულო, მიძლევიხარო**“. თუ გუგულს ხეზე მჯდომარეს შენიშნავდნენ, ჩუმად მიეპარებოდნენ იმ ხეს და მის პატარა ტოტს კბილით მოკვნეტავდნენ, თან გუგულს დაუძახებდნენ: „**გუგულო, ღალა მოგპარე, დო სქელი, კარაქ მრავალი**“. ამ სიტყვებს სამჯერ გაიმეორებდნენ. ხის ქერქს წაიღებდნენ სახლში და რძის სადღვებელს შეაბამდნენ. ეს იყო სიმბოლო ბარაქიანობისა. ამ საქმეს ახალგაზრდებს ავალებდნენ“ (ლ. ბოძაშვილი 1988:90).

და მახსენდება გულქან რაზიკაშვილის ნათქვამი ლექსი, გასული საუკუნის 90 - იანი წლების ზამთარში რომ შეაგება ჩარგალში მასთან სასაუბროდ ასულ სტუმარს:

ვიმძლევიმცა ხარ, მერცხალო,
მოხვედი, ჭიკჭიკელაო,
გამარჯვებისამც იქნება
შენი აქ გადმოფრენაო...

გუგული გაზაფხულის მყოლად, მხლებლად და, მერცხლისგან განსხვავებით, მარცვლეულის პატრონად ითვლებოდა მთაში. დაძახება დასწრებაზე იყო და ხეზე შემომჯდარს რომ დაინახავდნენ, ასე მიმართავდნენ:

გუგულო, ღალა მოგპარე
დოხშირი, კარაქმრავალი...

„**როცა გუგულ მოვას, ფოთლობის დროს, მაშინ დედაკაც ან კაც ტყეში წავა, გატიტვლდება იმ ხის ძირში, სადაც გუგული ზის და სამჯერ უნდა გაუაროს ხეს და მოსთვალოს: „გუგუტავ, ღალა მოგპარე, დო ბევრი, კარაქმრავალი“. თუ არ გაფრინდა გუგული, ბევრი რძე - კარაქ ექნება. ამოთლის პატარა ქერქს და მოწველილ რძეში ჩააგდებს**“ (გ. ჩიტაია 2001:329; 1929 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური).

სამივე მძლევარი - გუგული, მერცხალი და საჭნაურა - გაზაფხულის დადგომასთან, მცენარეულის მკვდრეთით აღდგომასთან,

სიცოცხლის განახლებასთან არის დაკავშირებული, რის გამოც ვეგეტატიურ ღვთაებებთან მათ გენეტიკურ სიახლოვეზე მიუთითებენ.

საინტერესოა „**საჭნაურას**“ მეორენაირი სახელი - „**ურნატა**“.

ესაა შავ - თეთრით ჭრელი ჩიტი, რომელიც გაზაფხულობით ნახნავის კვლებში ჩნდება და საკვებს დაეძებს.

ნახნავის კვალი ხომ იგივე „ორნატია“ („ქართლის ცხოვრების“ ლექსიკით: „**...განპებასა შინა ორნატთასა თამარის ქებასა მელექსეობდიან...**“) და ვინაიდან „ს**აჭ**ნაურა“ (ხვნასათან დაკავშირებული ფრთოსანი) ყანაში, ყამირსა თუ ნარბილში გავლებული კვალის მოუმცდარი სტუმარია, ამიტომაც დარქმევია მას „ურნატა“.

მძლევართან მიმართებაში ცხადად იკვეთება ფუნდამენტური ბინარული ოპოზიციები: ზამთარი - გაზაფხული; სიცივე - სითბო; სამზეო - მიწისქვეშეთი...

გუგული, მერცხალი და ურნატა, მსგავსად „მკვდართა მზისა“, პერიოდულად თვალს ეფარებიან, უჩინარდებიან, პირობითად, სხვა - კაცთათვის უხილავ - ქვეყანაში მიფრინავენ, რათა, დადგება თუ არა მკვდრული მდუმარებიდან ბუნების გამოსვლის შესაფერისი ჟამი, შუასკნელში დაბრუნდნენ და ღვთით დადგენილი მისიის შესრულება განაგრძონ.

უღრან ტყეში ხარობს წითელი ფერის ყვავილი, რომელსაც ფშავლები „**გუგულის კაბას**“ ეძახიან. ვაჟა - ფშაველას ერთ მოთხრობაში სწორედ ეს ყვავილი უხმობს და ელის თავის მოსახელეს: „**სადა ხარ, მშვენიერო მძლევარო? სადა ხარ, ჩემო ტურფა პატრონო, გუგულო**?“ (ვაჟა-ფშაველა 1964).

თამაზ ჩხენკელმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ „**არხოტში გაზაფხულის მომყვანი გუგული ცალთვალაა**“ (თ. ჩხენკელი 1989:26).

მკვლევარმა იქვე აღნიშნა: „გუგულს თვალი მინდიმ გამოსთხარა და ამ მხრივ იგი დევებისთვის თვალის გამომთხრელ და თვალის მომპარავ ღვთისშვილებს ენათესავება...“

მართალთა ქვეყნიდან სამშობლოში მიმავალ ხოგაის მინდის ცალთვალა გუგული მეგზურობს. ის, ამ ასპექტით, წყვდიადით მოცული უსიხარულო ქვესკნელიდან ამირანის ამომყვანი ფასკუნჯის ფუნქციამონაცვლეა.

გუგულების ძირითადი სამყოფელი, მითოლოგიური გადმოცემის თანახმად, ზერეალური ქვეყანაა, რომლის საზღვართან წყალი დის და გადალახავენ თუ არა ამ წყალს, ციდაკაცებად იქცევიან, ხოლო როდესაც თავიანთი ქვეყნიდან მიდიან და მდინარის მეორე ნაპირზე გადავლენ, ისევ ფრთოსნების აღეს იბრუნებენ... ასე რომ მათთვის არც მეტამორფოზის, გარდასახვის, სხვა სულიერ არსებად გარდაქმნის სასწაულებრივი უნარი ყოფილა უცხო და უცადი. ისინი ამ ნიშნითაც ენათესავებიან ლოკალურ ღვთაებებს, იგივე ღვთისშვილებს, რომელთაც შესწევთ საიმისო ძალა და მადლი,

შექმნილი მდგომარეობის კარნახით იცვალონ იერი, გარეგნობა და იოლად დააღწიონ თავი მძიმე განსაცდელს...

ნაივურმა ხალხურმა წარმოდგენამ იმის შესახებ, რომ სულეთი ბევრი რამით სააქაოს მსგავსია, მის თარგზეა მოწყობილი და გარდაცვლილთა მუდამდღიური მოთხოვნილებანი ცოცხალთა საარსებო სურვილების შესაბამისია, წარმოსახვისმიერი იმქვეყნიური ყოფის ესთეტიზირება განაპირობა.

სამოთხის ფოლკლორული ხატი სხვა არაფერია, თუ არა საამო და სასურველი სინამდვილის თვალწარმტაცი ორეული.

გარდა იმისა, რომ საიქიოს სამუდამო ბინადართ „ადგილსა მას მწვანილოვანსა“ არც ვეშაწყარო უშრებათ და „ღვთის ულუფაც“ დაუგვიანებლად ეძლევათ, მათ ღმერთიც „საკუთარი“ ჰყავთ, ღმერთი, რომელიც სულიწმიდათა საიმსოფლო წესრიგს ამყარებს, იცავს და ინარჩუნებს.

სულის თვალით სახილველ უპიროვნო ტრანსცენდენტულ ძალას ამგვარად ემუდარება ხმით მოტირალი:

სულეთის ღმერთო, მადლიანო,
მამეც ნებაი საუბრისაო,
გამამაცხადე სამზეოსაო,
შენ ამაძრახე სამზეურთაო...

იმისდა მიუხედავად, რომ გარდაცვლილთა ეპიტეთად „უმზეურნიც“ გვხვდება სამგლოვიარო პოეზიაში, მათთვის მაინც ანათებს მცხრალი, მოღალული მნათობი, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, „მკვდართა მზე“ ეწოდება მთიელ მთხრობელთა ფოლკლორულ რეპერტუარში...

ეს ის უცნაური, ასე ვთქვათ, არატრივიალური მზეა, ღვთისნასახების, ახოვანი მხედრების, მისტებისა და მეომრების სულთახდის წუთებში წითლად რომ ცხრება, ილევა და მთათა მწვერვალებსაც ალისფრად ღებავს:

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა...

მკვდართა მზე, როგორც თამაზ ჩხენკელი განმარტავს, იგივე ღამეული მზეა, რომელიც მის „წილ“ მიცვალებულთან ერთად შედის შავეთში, რათა დილის დადგომისთანავე კვლავ აღდგეს მკვდრეთით და თავისი სამისდღეშიო ფუნქცია შეასრულოს.

მკვდართა მზე მხოლოდ ნეტარი, მართალი, ღირსეული სულებისთვის ანათებს შავეთის შუაგულს. და, სხვათაშორის, გარდა ქართველი მთიელებისა, ასევე ფიქრობდნენ თრაკიელი გეტები...

სახისმეტყველებითი მითოსური აზროვნების ისეთი უჩვეულო და ამ უჩვეულობით უაღრესად მეტყველი სინტაგმა, როგორიცაა „**მკვდართა მზე**“, არ შეიძლებოდა ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილ ქართველ შემოქმედთა გონსაწიერის მიღმა დარჩენილიყო.

და სავსებით ბუნებრივია მისი წამიერი გაელვება თუ შეყოვნებით გამოჩენა ბაჩანას პოეზიაში („**...მთებზედ მკვდართ მზენი ჰქრებიან...**“); გიორგი შატბერაშვილის მოთხრობაში “მკვდრის მზე“

(„... **ერთმა შუბათელმა ბერიკაცმა ამიხსნა: მკვდრის მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდებაო...**“); ანა კალანდაძის ლექსის „მკვდართა მზე ვარ“ სტრიქონებში („**ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ, გულო, რისად მეხურები, სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ, ჩემს სხივებში ყივყივებენ ბეღურები...**“)

პოლითემატურობით აღბეჭდილი ქართული მითოლოგიის საზღვრულ სამყაროში, როგორც ვხედავთ, იკვეთება კიდევ ერთი სიუჟეტური ბირთვი თუ წახნაგი: ორმაგობა და ორბუნებოვნება „მშვენიერი მძლევარისა“ და „მკვდართა მზისა“, ორ სკნელში მოარულ ღვთაებათა ჰიპოსტასებისა, რომელთაც (და ეს შემდგომი კვლევის საგანია) ბევრი რამ აკავშირებთ ისეთ პოპულარულ ფოლკლორულ პერსონაჟებთან, როგორებიც არიან ამირანი, კოპალა, იახსარი, პირქუში, ხოგაის მინდი და ხახმატის ხატის - გიორგი ნაღვარმშვენიერის მკადრე გახუა მეგრელაური.

დამოწმებული ლიტერატურა:

ლ. ბოძაშვილი 1988 - ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, თბ., 1988;
ვაჟა - ფშაველა 1956 - ვაჟა - ფშაველა, თხზ. ტ. VII, თბ., 1956;
ვაჟა - ფშაველა 1964 - ვაჟა - ფშაველა, თხზ., ტ. VII, თბ.,1964;
გ. ჩიტაია 2001 - გ. ჩიტაია, შრ., III, თბ., 2001;
თ. ჩხენკელი 1989 - თ. ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ., 1989.

Amiran Arabuli

‘Mdzlevari’ (triumphant) and ‘Mkvdarta Mze’ (the sun of dead) – Messengers of Two Countries, Two Worlds in Folk Speech

Name ‘Mdzlevari’(triumphant) unites three seasonal birds. These are: cuckoo, swallow and სახნაურა (ვარ, ”ურნატა”). They are associated with the messengers of two different countries, ot two diverse worlds (visible and invisible) in folk speech, as well as ‘Mkvdarta Mze’ (the sun of dead) is associated with astral images of tired god, ‘the dead sun’.

‘Mdzlevari’ (triumphant) and ‘Mkvdarta Mze’ (the sun of dead) become invisible periodically and according to people’s believes, they travel underneath the earth, they have two natures.

ლია ახალაძე

ჯავახეთის წარწერები როგორც საისტორიო წყარო

მსოფლიო ისტორიაში წერილობითი კულტურის უძველესი ნიმუშები ეპიგრაფიკული ძეგლების სახით არის შემორჩენილი. მათი შესწავლა და სასიტორიო წყაროდ გამოყენება ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში დაიწყო. სხვა სახის წერილობით წყაროებთან შედარებით ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი უმრავლესობა თანამედროვის მიერ შესრულებული წარწერებია და ისტორიული წარსულის აღწერის პროცესში მათ პირველხარისხოვანი და სანდო საისტორიო წყაროს ღირებულება გააჩნიათ. საქართველო უძველესი წერილობითი კულტურის ქვეყანაა და ბუნებრივია, ამ კულტურის მრავალრიცხოვანი ნიმუშები ეპიგრაფიკული ძეგლების სახითაა შემორჩენილი. მათ შორის არის, როგორც უძველესი, ასევე შუა საუკუნეებისა და ახალი დროის წარწერები.

მრავალრიცხოვან ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის გამორჩეული და თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჯავახეთის წარწერებს, როგორც მრავალრიცხოვნებით, ასევე ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიისა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულებით.

ჯავახეთის წარწერების ზოგადი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მიმოხილვაც კი ცხადყოფს, თუ რაოდენ მდიდარია ეს მასალა ინფორმაციულობის თვალსაზრისით. მათში უმნიშვნელოვანესი ცნობებია დაცული არამარტო ჯავახეთის, არამედ მთელი ქვეყნის ისტორიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცალკეული საკვანძო საკითხების შესახებ. მრავალრიცხოვანი ცნობებია დაცული საეკლესიო ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ამ მასალას საქართველოს ისტორიის წერილობით წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მეცნიერულ ქართველოლოგიაში დიდ ინტერესს იწვევს.

ჯავახეთის წარწერების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი VI საუკუნეა. ამ პერიოდიდან მოყოლებული მთელი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის მანძილზე რეგიონი ქართული კულტურის, მათ შორის წერილობითი კულტურის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო.

რეგიონის ეპიგრაფიკული ძეგლები გარეგნული ნიშნის მიხედვით შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. ლაპიდარული, ანუ ქვაზე ამოკვეთილი წარწერები
2. ფრესკული, ანუ საღებავით შესრულებული წარწერები და
3. ჭედური, ანუ ლითონზე შესრულებული წარწერები

მოზაიკური წარწერები აქ გამოვლენილი არ არის.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსზე მუშაობის პროცესში ძეგლების სიმრავლემ და მრავალფეროვნებამ განსაზღვრა ლაპიდარული წარწერების ცალკე შესწავლისა და გამოცემის აუცილებლობა. ეს ნაწილობრივ, განაპირობა ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის მსოფლიო გამოცდილებამ და ქართველოლოგიაში დამკვიდრებულმა ლაპიდარული და ფრესკული წარწერების კორპუსების ცალ-ცალკე გამოცემის ტრადიციამ (ლარფელდი 1914; შოშიაშვილი 1980; სილოგავა 1980; აბრამიშვილი 1989).

ქართული ლაპიდარული წარწერების შინაარსობრივი კლასიფიკაციის ერთ-ერთი პირველი მცდელობა ჯავახეთის ეპიგრაფიკის მაგალითზე ვ. ცისკარიშვილმა მოგვცა. „ეპიგრაფიკული ძეგლები ხასიათის მიხედვით შეიძლება 2 ძირითად ჯგუფად დაიყოს: იურიდიული და საამშენებლო-მემორიალური. ზოგჯერ კი საამშენებლო და მემორიალური ხასიათის წარწერები ერთგვარად იურიდიულ სახესაც ატარებენ. ასე რომ თუ შეიძლება ითქვას გარდამავალნი არიან საამშენებლო მემორიალურიდან იურიდიული ხასიათის წარწერებში“ (ცისკარიშვილი 1959:4; ვახუშტი 1973:292; ახალაძე 2005:8-10; ახალაძე 2008:9-14).

დღეს მიღებულია ეპიგრაფიკული ძეგლების შინაარსობრივი კლასიფიკაციის შემდეგი სახე: საამშენებლო, იურიდიული, მემორიალური, პილიგრიმული. ალბათ, ცალკე უნდა გამოიყოს საფლავის ქვის ეპიტაფიები, რომლებსაც პირობითად მემორიალურ წარწერებსაც მიაკუთვნებენ, მაგრამ მემორიალურ წარწერებში სხვა შინაარსობრივი დატვირთვის (მაგალითად განდიდების, ლოცვის, შენდობის, შეწყალების) მქონე მრავალრიცხოვანი წარწერებიც ერთიანდებიან და ამ ტიპის ეპიგრაფიკული მასალა იმდენად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, რომ მათთან ერთად საფლავის ქვის ეპიტაფიების გაერთიანება სწორი არ უნდა იყოს, რადგან ეპიტაფიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის ეთნოსოციალური შემადგენლობის შესწავლის პროცესში.

ჯავახეთის წარწერების მაღალ წყაროთმცოდნეობით ღირებულებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ შორის გვხვდება ქართული წარწერების შინაარსობრივი კლასიფიკაციის ყველა ნიმუში:

- საამშენებლო წარწერები,
- იურიდიული ხასიათის წარწერები (ეპიგრაფიკულ საბუთები),
- მემორიალური წარწერები,
- სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების ეპიგრაფიკული ძეგლები,

- წარწერები საფლავის ქვებზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მშენებლობის ისტორიაში ჯავახეთს გამორჩეული ადგილი ეკავა. სწორედ ამან განაპირობა ამ რეგიონის წერილობით კულტურაში იმ მრავალრიცხოვანი ინფორმაციის დალექვა, რომელსაც ჩვენ ვხდებით ლაპიდარულ წარწერებში.

წარწერებში ვხვდებით ძველი საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენას დაწყებული მეფეებიდან უბრალო მლოცველებითა და პილიგრიმებით დამთავრებული. ბუნებრივია, რომ ლაპიდარული წარწერების დიდი უმრავლესობა შექმნილია ადგილობრივი მცხოვრებლების, ხელოსნებისა და კალიგრაფების, მშენებელ-ოსტატთა მიერ მაღალი საერო და სასულიერი ფენის წარმომადგენელთა დაკვეთით. წარწერებში სწორედ ისინი არიან მოხსენიებულნი.

დასახელებულია უმაღლესი საერო და სასულიერო პირები: ბაგრატ IV ბაგრატიონი, გიორგი III, მეფე თამარი, გიორგი IV ლაშა - „ჯავახთ-უფალი“, დავით ულუ VII, გურგენ კურაპალატი, ავაგ ამირსპასალარი, შალვა და ივანე ახალციხელები, ანტონ ჭყონდიდელი, კათალიკოსი იოანე ოქროპირი, ივანე ათაბაგი, ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი, ფარსმან თმოგველი, იჩქით გურგენის ძე, მურვან კჳთხასძე, შალვა მეჭურჭლეთუხუცესი, ზოსიმე კუმურდოელი, იოანე ეპისკოპოსი, ბასილი აკანელი, გიორგი საფარელი, და სხვები და სხვები.

ადრეული პერიოდის (VI—X სს.) ლაპიდარული წარწერები ჯავახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში (შოშიაშვილი 1980:14) შემორჩენილია: **საკულტო ძეგლებზე** (ქვაჯვრები, ეკლესიები); **საფლავის ქვებზე** და **ეპიგრაფიკული აქტების** სახით.

საამშენებლო ხასიათის წარწერები გვხვდება სხვადასხვა სახის ნეგებობებზე: ქვაჯვრებზე, ეკლესიებზე, თავდაცვითი ხასიათის ნაგებობებზე და ა. შ. მათ შორის უძველესია ქვაჯვრები/ სტელა ჯვრები.

ქვაჯვრები ადრეფეოდალური ხანის საქართველოსათვის არის დამახასიათებელი. მათ იურიდიული შინაარსი ჰქონდათ პოლიტიკური დაქუცმაცებულობის ხანაში, როდესაც არსებობდნენ ცალკეული საუფლო-სამამფლოები და როცა ეს უფალი-მამფლები თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას სტელა ჯვრებით გამოხატავდნენ. ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შემდეგ სტელა-ჯვრები კარგავენ აღნიშნულ შინაარსს. მათ ადგილს იკავებს სამეფო სტელა-„ჴელი“, სამიჯნე სტელა და სამლოცველო ქვაჯვარი (შოშიაშვილი 1980:19).

ჯავახეთის მაგალითზე კარგად ჩანს ქვაჯვრებისა და „ჭელი“-ის როგორც მამულის მფლობელობის დამადასტურებელი იურიდიული აქტის მონაცვლეობა. რეგიონში მრავალრიცხოვანი ქვაჯვრებია შემორჩენილი და როგორც დ. ბერძენიშვილი იტყოდა, უტყეო ზეგანთა შედარებით სწორი ზედაპირის ერთგვაროვან გარემოში, ეს მაღალი სილუეტები შორიდანვე შეიმჩნევა და მნახველს მიანიშნებდა გზა-გადასასვლელს, საზღვარს სხვის სამფლობელოს მიწაზე (ბერძენიშვილი 1975:101). ნ. ბერძენიშვილის აზრით, ამ ძეგლებს საკულტო-მემორიალურ დანიშნულებასთან ერთად (ძველი ვეშაპ-მენჰირების განვითარება), სხვა ფუნქციაც ჰქონდათ: აღნიშნონ მიწის ნაკვეთზე კერძო უფლება (ბერძენიშვილი 1966:156). ამ დებულების საფუძველზე დ. ბერძენიშვილმა დაასკვნა, რომ მაშინ ამათი სიმრავლეც მიწისმფლობელობის ნიშნად შეიძლებოდა მიგვეღო (უნდა ვიფიქროთ, ასევე იქნებოდა ეს ქართლის სამეფოს ბარშიაც, მაგრამ აქ უმეტესი მათგანი მოისპობოდა მიწისმფლობელობის გამსხვილებასთან ერთად) (ბერძენიშვილი 1975:101).

ჯავახეთში ქვაჯვრები გვხვდება, როგორც წარწერებით, ასევე წარწერების გარეშე. ყველა მათგანს იურიდიული დანიშნულება ჰქონდა: 1) სამამულო მიწისმფლობელობის აღნიშვნა, 2) ტაძრის მშენებლობის დაწყების დადასტურება კტიტორების მიერ, 3)შეწირულების აქტი, 4) საზღვრის აღმნიშვნელი იურიდიული დოკუმენტი და ა. შ.

როგორც ვხედავთ ქვაჯვრების აღმართვას, გარდა მიწისმფლობელობის დანიშნულებისა, ჰქონდა სხვა მიზანიც. ქვაჯვრის, სტელა - ჯვრის აღმართვა ზოგჯერ დაკავშირებული იყო ტაძრის მშენებლობის დაწყებასთან. ეს ტრადიცია დადასტურებულია როგორც სამხრეთ, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკულ მასალაში. ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდეგ ქვაჯვრები ეკლესიის ეზოს, ან ზოგჯერ მის ინტერიერსაც ამშვენებდნენ. ასეთივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა „ქვის დასმის“ ფაქტსაც. ალასტანის ეკლესიის კედლის X ს. წარწერა მოგვითრობს: „ესე მე ნო/შელმან/ დავდე/ ქვა“. ფილაზე ჯვარია გამოსახული, რაც მიუთითებს, რომ ნოშელის მიერ წარწერაში მითითებული „ქვის დადება“ ჯვრის აღმართვის ტოლფასია და ეს აქტი ტაძრის აგებამდე უნდა განხორციელებულიყო. ტაძრის მშენებლობის დასრულების შემდეგ ნოშელის, როგორც კტიტორის მიერ დადებული ქვა ეკლესიის კედელში იქნა ჩაშენებული. ქვის შეწირვის ფაქტი დასტურდება სხვა წარწერებშიც. მაგალითად, ზველის წმიდა გიორგის ეკლესიისადმი: „ესე ეკ(ლესია)ჲ წ(მიდის)ა გ(იორგის)ი, ესე ქვაჲ ე(კ)ლ(ესი)ას (შე)ვ(წ)ი(რენ) გ(ი)რ(შ)ელ(ის) ძემან“ და. ა. შ.

ეკლესიისადმი ჯვრის შეწირვის ცნობილი ფაქტი გვაქვს არეშის წარწერაში: „ძემ(ა)ნ გ(უ)რგ(ე)ნ კურაპალა[ტი]სამ(ა)ნ

[შ](ე)წ(ი)რა არ(ე)შტი ს(ა)ყდ(ა)რსა [კუმ]რდ(ო)ჲსა სად[(ი)დ(ე)ბლ(ა)დ ღმრთ(ი)სა]“. წარწერიანი ქვაჯვრის კვარცხლბეკი დგას მეღრეკის X საუკუნის ეკლესიის საკურთხეველში, (ჯავახეთი, 2000, ტაბ. 195), რომელიც ეკლესიისადმი ჯვრის შეწირვის აქტი უნდა იყოს. ასევე ჯვრის აღმართვაზე არის საუბარი ხიზაბავრის X საუკუნის ეკლესიის ქვის ფილაზე.

თუმცა ფარავნიდან 3-5 კმ-ზე აღმართულ 3 მ. სიმაღლის ქვაჯვარს განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ალბათ, იგი მნახველს მიანიშნებდა გზა-გადასასვლელს, ან საზღვარს სხვის სამფლობელოს მიწაზე. ფარავნის სტელაზე ამოკვეთილ წარწერაში იკითხება: „შვილნო ღმრთისანო, ქრისტიანენო საწყალი დათვია ლოცვასა გვედივარ“ (ჯავახეთი 2000:11, №2).

წარწერიან ქვაჯვრებს შორის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია არეშისა და ხუნამისის ქვაჯვრების წარწერები. არეშის წარწერა დამაჯერებლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კუმურდოს ტაძრის ადგილზე, 964 წლამდე გაცილებით ადრე, არსებობდა მაშინდელი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სალოცავი. წარწერაში გარკვეული ცნობებია დაცული X საუკუნის ჯავახეთის მფლობელთა ვინაობის დადგენისათვის (ცისკარიშვილი 1959:8-9) არეშის სტელისა და მისი კვერცხლბეკის წარწერები საინტერესო მასალაა IX საუკუნის საქართველოს ონომასტიკისა და ტოპონიმიკის კვლევის თვალსაზრისითაც.

ხუნამისის ქვაჯვარი IX საუკუნით, კერძოდ 898 წლით არის დათარიღებული, რომელიც იმ იშვიათ წარწერათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც თარიღის ზუსტი მონაცემები გვაქვს. წარწერაში დასახელებულია ადრეფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტერმინი „უფალი“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სანამ ქართულ მწერლობაში სიტყვა „პატრონი“ შემოვიდოდა, მანამდის უკვე სხვა ადგილობრივი ქართული ტერმინი „უფალი“ არსებობდა და მიღებული იყო (ჯავახიშვილი 1982:257). „უფალი“ გვხვდება ლეონტი მროველის, „მატიანე ქართლისაჲს“ უცნობი ავტორის, ბასილი ზარზმელის, იაკობ ხუცესის, იოანე საბანისძის და სხვა თხზულებებში. როგორც ვხედავთ, გარდა ქართული ჰაგიოგრაფიული და საისტორიო თხზულებებისა „უფალი“ დადასტურებულია ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც. ძველ ქართულში მას ჯერ უფროსის, ხოლო შემდეგ მმართველის მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენს შემთხვევაში - ხუნამისის წარწერაში „უფალი“ წარმოდგენილია როგორც სამოხელეო ტერმინი. ხუნამისის წარწერიდან ჩანს, რომ IX საუკუნის მიწურულს ჯავახეთს „უფლობდა“ სულა ჯაფარიძე.

ქვაჯვრები, როგორც მამულის საზღვრის აღმნიშვნელი იურიდიული დოკუმენტი დადასტურებულია ბასილი ზარზმელის

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (საბინინი 1882). ამ თვალსაზრისით საყურადღებო ცნობაა დაცული ათონის ერთ-ერთ ისტორიულ ხელნაწერში, რომელშიც ქვაჯვარი დასახელებულია, როგორც თორნიკეს მამულის საზღვრის აღსანიშნავად აღმართული დამადასტურებელი დოკუმენტი-იურიდიული აქტი (მეტრეველი 1996:34).

შესაძლოა, ქვაჯვრები საეკლესიო მიწისმფლობელობის, ან სამწყსოს საზღვრის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტიც ყოფილიყო. ძველი ქართული სამართლის ძეგლების ერთ-ერთ დოკუმენტში კუმურდოელის სამწყსოს ერთ-ერთ საზღვრად ხავეთია დასახელებული (დოლიძე 1970:245; ჟორდანია 1897:53). სოფელ ხავეთის თავზე, დასავლეთით ორ კილომეტრზე, მდგარი ქვაჯვარი დაუმთავრებელი წარწერით ჩვენი აზრით კუმურდოელის სამწყსოს საზღვარი უნდა ყოფილიყო. აქვე დგას მეორე ქვაჯვარიც, სადაც მთავრდებოდა წყაროსთავის სამწყსო. ხომ არ მიანიშნებს ეს იმ ფაქტზე, რომ ეს ქვაჯვარი იყო წყაროსთავის სამწყსოს საზღვარი, ხოლო დაუმთავრებელწარწერიანი ქვაჯვარი კუმურდოელის სამწყსოს დასაწყისი? ვფიქრობთ, ხავეთის ორი ქვაჯვარი ამ ორი სამწყსოს საზღვარს აღნიშნავდა, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია ქვაჯვართა ერთი ნაწილის, როგორც ეპიგრაფიკული საბუთისა.

ეპიგრაფიკულ აქტებს მიეკუთვნებიან ჭელის გამოსახულებიანი სტელები და მათი წარწერები. XX საუკუნის 90-იან წლებამდე ჯავახეთიდან ჭელის გამოსახულებიანი ორი წარწერიანი სტელა იყო ცნობილი, მაგრამ 1997 წელს ჯავახეთის ექსპედიციამ დევი ბერძენიშვილის, ნიკა ვაჩეიშვილის, ირინე ელიზბარაშვილისა და ციცინო ჩაჩხუნაშვილის შემადგენლობით, კუმურდოდან სამხრეთით 4-5 კმ-ზე, კუმურდო-ახალქალაქის გზაზე, ზრესკის ტბის სანაპიროზე 1996 წელს აგებულ პატარა სომხურ სამლოცველოში აღმოაჩინა ქვა, რომლის წინა პირზე, თაღოვან ჩაღრმავებაზე გამოქანდაკებულია ხელის გამოსახულება და ამოკვეთილია წარწერა : თ(ა)მ(ა)რ/ის ძის/ა გ(იორგი)ს ჭ/ელ[ი]. ბუნებრივია, აქ საქართველოს მეფე ლაშა-გიორგი (1210-1223 წწ) უნდა ვიგულისხმოთ. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო ლაშა-გიორგის ორი ჭელი, გუნიაყალას და პრტენას (თამარისა და ლაშას ჭელი) (ოთხმეზური 1981:21, 72-74.) და აი, აღმოჩნდა ლაშა-გიორგის კიდევ ერთი მესამე ჭელი, ისიც ჯავახეთში. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ცნობილია, რომ ჯავახეთის ნაწილი და თრიალეთი ლაშა-გიორგი საუფლისწულო დომენს წარმოადგენდა და მას ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები „ჯავახთუფლის“ სახელითაც მოიხსენიებენ.

თრიალეთი და ჯავახეთის ნაწილი XII საუკუნის ბოლოდან, ვიდრე XIV საუკუნემდე სამეფო დომენია (ლაშა-გიორგის ერთმეფობამდე კი საუფლისწულო დომენად ჩანს), ამ ტერიტორიაზე

მოპოვებულ ყველა ჭელიან სტელას აქვს ერთი საერთო ნიშანი გაშლილი ხელის მტევანი, რაც მეფის ძალაუფლების სიმბოლოა (ოთხმეზური 1981:46).

ლაშა გიორგის ერთმეფობიდან მოყოლებული ეს რეგიონი როგორც ჩანს სამეფო დომენს წარმოადგენდა. გ. ოთხმეზურის აზრით, ლაშა-გიორგიმ ეს მხარე აქცია სამეფო დომენად, რასაც მოწმობს რუსუდანისა და ულუ დავითის ჭელიანი სტელების აღმოჩენა (ოთხმეზური 1981:47). ამ მოსაზრებას ადასტურებს კიდევ ერთი ხელიანი სტელის აღმოჩენა ჯავახეთში. 2003 წელს ახალქალაქის სოფ. გომანში მცხოვრები -მიასნიკ ფილოიანის ეზოში აღმოჩნდა წარწერიანი სტელა, რომელშიც იკითხება : „ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, ადიდე მეფეთ/მეფე რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ და ძე მ(ა)თი/ დ(ავი)თ“; ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჯავახეთი, XIII საუკუნის I მესამედში, საუფლისწულო დომენიდან სამეფო დომენად იქცა.

ამრიგად, ჯავახეთიდან დღეს ცნობილია ჭელის გამოსახულებიანი 4 წარწერიანი სტელა : პრტენას თამარისა და ლაშას ჭელი, ზრესკის ლაშას ჭელი, გომანის რუსუდან მეფის ჭელი და საღამოს დავით მეფის ჭელი.

ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი არის საამშენებლო წარწერები, რომლებსაც ვხვდებით ამ რეგიონის საკულტო დანიშნულების ძეგლების უმრავლებაზე. საამშენებლო წარწერების უმრავლესობა ამოკვეთილია ტაძრებზე, მათი ქტიტორების, ხუროთმოძღვრებისა და ხელოსნების მიერ, რომელთა სახელები სამუდამოდ შემოინახა ქვაში ამოკვეთილა ქართულმა დამწერლობამ. წარწერებში დასახელებულია ისტორიული პირები და მათი საქმიანობის ამსახველ მრავალრიცხოვან მასალას ზოგჯერ სხვა სახის ისტორიულ წყაროებშიც ვხვდებით, რაც გვეხმარება ამა თუ იმ ძეგლის მშენებლობის ქრონოლოგიის ზუსტ განსაზღვრაში. ზოგჯერ ლაპიდარული წარწერა თარიღიანია და იგი აზუსტებს ამა თუ იმ ისტორიული პირის მოღვაწეობის ეპოქას და ა. შ.

ქართული ლაპიდარული წარწერებისათვის დამახასიათებელია მეფეთა და ადგილობრივ მსხვილ ფეოდალთა, საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა - ერისთავთ ერისთავთა დასახელების ფაქტები, რაც ამ რეგიონში მათ კტიტორულ-სააღმშენებლო საქმიანობას უკავშირდება. წარწერებში ჩანს, როგორც „აფხაზთა მეფეები“, ასევე ტაო-კლარჯეთისა და გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სახელები: მათ შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი უნდა იყოს ლეონ III „აფხაზთა მეფის“ მოხსენიება კუმურდოს წარწერაში, რაც მიუთითებს, რომ ჯავახეთს ამ დროს დასავლეთ საქართველოს მეფე, XI საუკუნის შემდეგდროინდელ საისტორიო წყაროებში „აფხაზთა მეფედ“ წოდებული ლეონ III ფლობდა. ტაო-კლარჯეთის

მეფეებიდან ყალა-ბოინას წარწერაში ვხვდებით ბაგრატ II-ისა („ქართველთა მეფე“) და დავით კურაპალატის სახელებს. გაერთიანებული საქართველოს მეფეებიდან ბაგრატ III (978-1014 წწ) დასახელებულია მაჭატიას წარწერაში, ზედა თმოგვის („გიორგი აფხაზი“) და ყაურმის წარწერებში დასახელებულია გიორგი I (1014-1027) და „შვილნი მისნი“, კუმურდოს და ზედა თმოგვის წარწერებში ბაგრატ IV (1027-1072) და დედა მისი მარიამ დედოფალი, ღულალისის წარწერაში ბაგრატ IV (1027-1072) და გიორგი კურაპალატი (გიორგი II უფლისწულობაში), ფოკას წარწერაში მხოლოდ ბაგრატ IV, დავით IV (1089-1125) დასახელებულია ახალქალაქის წარწერაში, დემეტრე I (1125-1156 წწ) საროს ციხის საამშენებლო წარწერაში, თამარ მეფე პრტენას, ვანის ქვაბების (იჩქით გურგენის ძის და ანტონ ჭყონდიდელის), დავით VIII (1293-1311 წწ) თმოგვის (სამინამის) წარწერაში, გიორგი V (1318-1346 წწ) განძანის წარწერაში, დავით IX (1346-1360 წწ) თმოგვის მურვან კჯთხას ძის 1350 წლის წარწერაში და ა. შ.

საქართველოს სამეფო კარის ცენტრალური მმართველობის აპარატის მოხელეთა და ერისთავთ - ერისთავთა, ანუ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა საქმიანობის ამსახველი უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია დაცულია ჯავახეთის არაერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში. ამ მხრივ საყურადღებოა ახალქალაქის, წუნდის, ვანის ქვაბების, მირაშხნის, ვარნეთის, ზედა ვარძიის, ზედა თმოგვის, კვარშას, კუმურდოს, წუნდის, მერედისის და ა. შ. წარწერები.

ბაგრატ IV-ის ეპოქის მოღვაწე ფარსმან ერისთავთ-ერისთავი იგივე ფარსმან თმოგველი, ჯავახეთის გარკვეულ ნაწილს ფლობდა. იგი დასახელებულია ჯავახეთის სამ ეპიგრაფიკულ ძეგლში - მირაშხნის, სათხისა და ზედა თმოგვის ლაპიდარულ წარწერებში. ფარსმანის შესახებ ცნობები მოგვეპოვება სხვა საისტორიო წყაროებშიც. როგორც ჩანს, იგი თავისი ეპოქის ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეა და ასევე აქტიურ კტიტორულ საქმიანობასაც ეწეოდა თავის მამულში. ზედა თმოგვის წარწერაში იგი მეფე ბაგრატ IV-სთან და მარიამ დედოფალთან ერთად ზედა თმოგვის ეკლესიის კტიტორად გვევლინება, სათხის ეკლესია კი ფარსმანის სადიდებლად და მისი მშობლების სალოცველად არის აგებული. მირაშხნის წარწერა მოგვითხრობს ფარსმან ერისთავთ ერისთავის გმირობისა და ტრაგიკული დაღუპვის ამბავს სულთან ალფ-არსლანის შემოსევის დროს.

XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დამდეგს, თამარის მეფობის დროს, წუნდა-თმოგვის მიდამოები ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს — გურგენისძეთა მფლობელობაში ყოფილა. ჩვენამდე მოაღწია ამ საგვარეულოს უმთავრესი წარმომადგენლის იჩქით გურგენისძის სამმა წარწერამ. ისინი იმდროინდელი ფეოდალური საგვარეულოების ტიპიურ წარწერებს წარმოადგენენ. ერთი წუნდის

ეკლესიაზეა, ხოლო ორი 1965 წელს აღმოჩნდა ვანის ქვაბების არქეოლოგიური გათხრების დროს.

წუნდის ეკლესიის წარწერა პირველად აკადემიკოსმა მარი ბროსემ გამოსცა 1850 წელს, ქრონოლოგიურად, შინაარსის მიხედვით, მას წინ უსწრებს ვანის ქვაბებში აღმოჩენილი წარწერები. ვანის ქვაბების პირველი წარწერის ტექსტი ასეთია: „† ესე არს სამკჳდრებელი ჩუენ — გურგენათი. მე, იჩქითმან აღვაშენე; შეგვინდვნეს ღმერთმან“. მეორე წარწერა უფრო ვრცელია და ზუსტ ქრონოლოგიურ მინიშნებასაც შეიცავს: „† იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იჩქითმან გურგენისძემან, აღვაშენე კედელი ესე და დავასუენენ ხატნი: მაცხოვრისაჲ, ღმრთისშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ, და ჯუარი წმიდისა სჯმონისი; ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიჯსენეთ“. იჩქით გურგენიძის მესამე წარწერა, მოთავსებული წუნდის პატარა ეკლესიაზეა ამოკვეთილი: „† სახელითა ღმრთისაჲთა. მე, იჩქითმან გურგენისძემან, აღვაშენე ეკლესიაჯ ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმინდისა ნათლისმცემლისასა, სალოცველად ჩემთჳს და მშობელთა ჩემთათჳს“.

მეორე წარწერის მიხედვით ჩანს, რომ იჩქითი თამარის დროის მოღვაწეა, ხოლო პირველი და მესამე წარწერების მიხედვით ჩანს, რომ თმოგვი თავისი მიდამოებით იჩქით გურგენისძის სამამულო სამკვიდრებელი ყოფილა, ასევე ვანის ქვაბთა მონასტერიც. როგორც ჩანს, იჩქით გურგენის ძეს მემკვიდრე არ დარჩენია, მის შემდეგ ვანის ქვაბთა მონასტერი და მისი მიდამოები სამეფო მფლობელობაში გადასულა. ვანის ქვაბებიდანვე მოაღწია 1204 წლის კიდევ ერთმა წარწერამ, საიდანაც ჩანს, რომ მონასტერს კედელს უშენებს მეფის მოხელე, ვაზირი ანტონ ჭყონდიდელი .

იჩქით გურგენისძეს იერუსალიმის ქართველთა მონასტრისთვისაც გაუწევია სამსახური — შეწირულობა გაუცია. მონასტრის აღაპთა წიგნში, 24 ნოემბრისათვის მისი მოსახსენებელია ჩაწერილი.

საგულისხმოა, რომ გურგენისძეთა ფეოდალური გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩანს XI საუკუნის ილორის ეკლესიის ერთ-ერთ ლაპიდარულ წარწერაში. აქ დასახელებული ისტორიული პირი - გიორგი გურგენისძე ილორის ეკლესიის საერო კტიტორი და ამშენებელი არი (სილოგავა 2004:274; ახალაძე 2005:101). ილორის ეკლესიის წარწერები ქრონოლოგიურად საუკუნენახევარზე მეტი ხნით უსწრებენ წინ ვანის ქვაბების და წუნდის ეკლესიის წარწერებს. ამრიგად, გურგენისძეთა ფეოდალური გვარი XI - XIII საუკუნეების საქართველოს საზოგადოების ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალური გვარი ჩანს, რომელიც გარკვეულ პერიოდში დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში ფლობდა ფეოდალურ მამულს. იჩქით გურგენისძის სამი წარწერა კი არის ტიპიური ნიმუშები XII-XIII საუკუნეების ქართველ ფეოდალთა საამშენებლო-მემორიალური წარწერებისა.

ჯავახეთში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო ფარავნის წყლისა და მტკვრის შესაყარში აგებული უძლიერესი ხერთვისის ციხე (დ. ბერძენიშვილი 1975:92). ხერთვისის ციხის პირველი მოხსენიება გვაქვს ლეონტი მროველთან, რომელიც ხერთვისს ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლის ამბებთან დაკავშირებით ახსენებს „შემდგომად ამისა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთ'სი მტკურისა“ (ს. ყაუხჩიშვილი 1955:1). როგორც ჩანს, ეს ციხე ქართლის სამეფოს შექმნის დროს და შემდეგაც ფეოდალურ ხანაშიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ, თავდაცვით ფუნქციებს ასრულებდა. უდავოა, რომ ხერთვისსა და მის შემოგარენში წერილობითი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები იქნებოდა, მაგრამ ჟამთა სიავესა და ისტორიის ქარტეხილებს მხოლოდ ორმა გაუძლო. ხერთვისის ციხიდან ცნობილია ორი წარწერა: 985 წლით დათარიღებული ციხის ეკლესიის წარწერა (ბაქრაძე 1885:146) და კოშკისა და გალავნის საამშენებლო წარწერა 1354 წლისა, რომელიც პირველად მარი ბროსემ გამოაქვეყნა, მაგრამ მან შემდეგ რამდენჯერმე შეასწორა წარწერის ტექსტი, რომლის საბოლოო წაკითხვა ეკუთვნის ექ. თაყაიშვილს. ხერთვისის ორივე წარწერა მნიშვნელოვანია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით. XIV საუკუნის წარწერაში დასახელებულია ქართული სამოხელეო წყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელო-მოლარეთუხუცესი. რადგან წარწერა ზედმიწევნით ზუსტად არის დათარიღებული -1354-1356 წწ., ჩვენ შეგვიძლია თამამად ვისაუბროთ გიორგი ბრწყინვალეს მემკვიდრის-დავით IX-ის (1346-1360 წწ) ეპოქაში მოლარეთუხუცესის სამოხელეო ინსტიტუტის არსებობაზე. მოლარეთუხუცესი ზაქარია ქამქამისშვილი ადგილობრივი ფეოდალია ჯავახეთიდან, მაგრამ ჩანს იგი დავით IX—ის სამეფო კარის მოხელეა.

ჯავახეთის საამშენებლო წარწერებს შორის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი უჭირავს ფოკას, განძანის, ვანის ქვაბების, იხტილას, ვაჩიანის, პრტენას, ქარზამეთის, ზედა ვარძიის, თმოგვის, ზედა თმოგვის, ზრესკის, კარნეთის, კვარშას, კაჭიოს, კულალისის, კუმურდოს, მაჭატიას, ფიის, მირაშხნის, მურჯახეთის, ნაისას, სათხის, სამსარის, სულდას, ქარცების წარწერებს.

ჯავახეთის წარწერებში საინტერესო მასალაა დაცული ძველი ქართული სამოხელეო ინსტიტუტების შესახებ. წარწერებში დასახელებულია უხუცესთა საგამგეო უწყების წევრი - გალატოზთუხუცესი, გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის აპარატის-სავაზიროს წევრები-მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. XIV საუკუნის ქართულ სამოხელეო აპარატში კი უკვე ჩანს მოლარეთუხუცესის სახელო. XV—XVI საუკუნეებიდან ქართულ სამოხელეო აპარატში

გაჩნდა ახალი ინსტიტუტი - გამგებლი. ქარცების წარწერაში დასახელებულიაგამგებელი ოქროპირ ალაბისძე.

დასახელებული სამოხელეო ინსტიტუტებიდან ყველზე ძველი უნდა იყოს გალატოზთუხუცესის სახელო, რომელიც გარდა ლაპიდარული წარწერებისა არ გვხვდება არცერთ სხვა სახის საისტორიო წყაროში. შოროთას სამონასტრო კომპლექსის ლაპიდარულ წარწერაში არის დასახელებული გალატოზთუხუცესის სახელო დასახელებულია კიდევ ორ ქართულ წარწერაში - ბედიისა და დიხაზურგის ეპიგრაფიკულ ძეგლებში.

აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის დროს ჩვენ შევეხეთ სამივე წარწერის, როგორც საისტორიო წყაროს ღირებულებას და მივედით იმ დასკვნამდე, რომ შოროთას, ბედიისა და დიხაზურგისა წარწერების მიხედვით ჩვენთვის ცნობილი ხდება ძველი საქართველოს „უხუცესთაჲ ინსტიტუტის სამოხელეო თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი-გალატოზთუხუცესი. ამ თვალსაზრისით სამივე წარწერა უნიკალურია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქართული სამოხელეო ინსტიტუტების შესწავლისათვის.

საამშენებლო ხასიათის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ხშირად გვხვდება სიტყვა „გალატოზი“ (ჯრუჭის, გომარეთის, ილორის წარწერები). სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „გალატოზი“ ნიშნავს „კედლის მდგმელს, კედლის მგებელს“ (აბულაძე 1991:130). თუ გალატოზი კედლის მგებელი და მშენებელია, მაშინ გალატოზთუხუცესი მშენებელთა შორის უხუცესი და უფროსი უნდა იყოს. რაც შეეხება „უხუცესთა“ ინსტიტუტს, საქართველოში სავაზიროს ჩამოყალიბებამდე არსებობდა ცალკეული საგამგეო უწყებები, რომელთა მეთაურებსაც უხუცესები ერქვათ. უხუცესის წოდება ემატებოდა ცალკეული დარგის მოხელეთა უფროსს, მაგალითად, მანდატურთუხუცესი, განმგებელთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი და სხვ. მკვლევართა აზრით, „უხუცესები“ ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და განვითარებული და რომ „უხუცესობის“ ინსტიტუტი ჩვენში ძალიან ძველი მოვლენაა — ამის მაუწყებელია მათი მოხსენიება უძველეს წერილობით წყაროებში (ლორთქიფანიძე 1955:68-69). მცხეთაში, 1938 წელს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი IV-V საუკუნეების ბერძნული წარწერა-ეპიტაფია, რომელშიც მოიხსენიება „ავრელი აქოლისი, მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი“ (ყაუხჩიშვილი 1951:255; ყაუხჩიშვილი 2004:30, 256. №236) მიუთითებს, რომ საქართველოში უხუცესთა ინსტიტუტი ძალიან ძველი მოვლენაა და რომ „უხუცესთა“ ინსტიტუტი და ხუროთმოძღვრის თანამდებობა საქართველოში ანტიკურ ხანაშივე არსებობდა. ქრონოლოგიურად ავრელი აქოლისის წარწერის შემდეგ ტერმინი ხუროთმოძღვარი გვხვდება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, იმავე სერაპიონის ცხოვრებაში იხსენიება „გალატოზი“, რომელიც ვ. ბერიძის აზრით, ქვითხუროს სინონიმი ჩანს. გალატოზი იყო თანაშემწე „ხელოვნებით

განთქმული კაცისა“ ხუროთმოძღვრისა. სერაპიონის ცხოვრების მეორე ადგილას „ხელოვნებით განთქმული კაციც“ გალატოზადაა წოდებული ე.ი. არსებითად გალატოზი და ხუროთმოძღვარი აქ ერთსა და იმავეს ნიშნავს (ვ. ბერიძე 1956).

„გალატოზი“ გვხვდება აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანის ტექსტშიც. „ესე ბასილი იყო ქვითხურო, რომელსა ეწოდების გალატოზი“ (მუსხელიშვილი 1941:56). როგორც ვხედავთ, აქ გალატოზის განმარტება პირდაპირაა მოცემული და იგი, ისევე როგორც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრბაში“ აქაც ქვით ხუროს აღმნიშვნელი ტერმინია. „სერაპიონის ცხოვრების“ და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანის ქრონოლოგიური შედარების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინ „გალატოზის“ შინაარსობრივი დატვირთვა X-XIII საუკუნეების საქართველოში არ უნდა შეცვლილიყო.

ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში „გალატოზის“ გარდა გვხვდება ამ სახის სხვა ტერმინებიც, კერძოდ, „გალატოზთა ზედა მომგე“ (რუისი, XVს), „ზედამდგომელი“, ან „ზედამდგომი“ (ოშკის წარწერა) (ვ. ბერიძე 1956) და ა.შ. გვიანფეოდალურ ხანაში მშენებელი თავისთავს უმეტესად ოსტატს უწოდებს. მაგ: ბარაკონის, მანგლისის, ვაშლოვანის და სხვა წარწერებში. მის პარალელურად როსტომ მეფის დროს ხმარებაში შემოდის სპარსული სიტყვა „სარაიდარი“, რომელმაც ქართული ხუროთმოძღვარი შეცვალა.

ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს სამეფო კარის ხელისუფალთა ჩამოთვლისას ასახელებს ხუროთმოძღვარსაც: „ხუროთმოძღვარი, ამის ჴელისა იყო სრულიად ჴელოსანნი და შენობა სასახლეთა და ეკლესიათა, ჴიდთა და ფუნდუკთა“ (ვახუშტი 1973:23).

როგორც ვხედავთ, ქართულ სინამდვილეში ხუროთმოძღვრის ინსტიტუტის აღსანიშნავად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შემდეგი ტერმინები ჩანს: ხელოვნებით განთქმული კაცი, გალატოზთუხუცესი, ხუროთმოძღვარი და სარაიდარი. აქედან სარაიდარის წარმოშობის ისტორიული პირობები ვიცით, იგი არაქართული სიტყვაა და ირანის პოლიტიკურ-კულტურული გავლენით გავრცელდა საქართველოში. რაც შეეხება ხუროთმოძღვარს, „ხუროსა“ და „მოძღვრის“ შეერთების საფუძველზე წარმოქმნილი სიტყვაა და მის შინაარსში იგულისხმება მრავალი ხუროს მოძღვარი და ხელმძღვანელი. აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანის განმარტებით ვიცით, რომ ქვით ხურო იგივე გალატოზია, ხოლო გალატოზთა ხელმძღვანელი, ჩვენი ვარაუდით, „გალატოზთუხუცესი“ უნდა იყოს (აქაც ორი სიტყვის შეერთების საფუძველზე მიღებული ტერმინი გვაქვს „გალატოზი“+„უხუცესი“) (ლ. ახალაძე 2005:29).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, როცა სერაპიონის ანდერძის თანახმად, განიზრახეს მეორე ეკლესიის აგება, წინამძღვარმა მიქაელმა „ჴელოვნებით განთქმულ კაცსა მოუწოდა — ქვეყნისაგან

ბერძენთასა... რომელსა თანაშემწედ აქუნდა გალატოზი სახელითა შუარტყლელი და ორნივე იყვნეს მოძღუარ და მასწავლებელ სიმრავლეს მუშაკთასა“ (საბინინი 1882). ე.ი. „ჴელოვნებით განთქმული კაცი“ თანამდებობრივად უფრო მაღლა დგას, ვიდრე გალატოზი, მაგრამ ორივენი იყვნენ მრავალი მშენებლის („მუშაკთა“) მოძღვარი და მასწავლებელი (გავიხსენოთ „ხუროთ+მოძღვარი“). აქ ფაქტობრივად, ორი მოხელის თანამდებობრივ გათანაბრებასთან გვაქვს საქმე. ალბათ, ეს მომენტი ჰქონდა მხედველობაში აკად. ვ. ბერიძეს, როცა განაცხადა, „აქ გალატოზი და ხუროთმოძღვარი არსებითად ერთი და იმავეს ნიშნავს“. როგორც ვხედავთ, „სერაპიონის ცხოვრება“ მშენებელთა შორის სამ კატეგორიას ასახელებს: „ჴელოვნებით განთქმული კაცი“, „გალატოზი“ და „მუშაკნი“. ჩვენი აზრით, მოგვიანებით, ამ კატეგორიებს, უნდა დამატებოდა „გალატოზთუხუცესიც“.

ბასილი ზარზმელის ეპოქა, როცა არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტები, როცა საეკლესიო და სამონასტრო მშენებლობა, ძირითადად, სასულიერო და კერძო პირთა ინიციატივითა და ენთუზიაზმით მიმდინარეობდა, არ საჭიროებდა სახელმწიფო მოხელის ფუნქციებით აღჭურვილ თანამდებობის პირს. მაგრამ ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. სამონასტრო მშენებლობის ინიციატივა ამჯერად სახელმწიფომ აიღო ხელში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. აქ, ალბათ, უნდა გავიხსენოთ ბაგრატ III-ის (978-1014) მიერ ფართოდ გაშლილი საეკლესიო მშენებლობა (ბედიისა და ბაგრატის ტაძრების, ასევე სვეტიცხოვლის მშენებლობის დასაწყისი და ა.შ.), რისთვისაც მას აუცილებლად დასჭირდებოდა სახელმწიფო მოხელის რანგში აყვანილი „ჴელოვნებით განთქმული კაცი“. ჩვენი აზრით, ასეთ პირობებში X ს. II ნახევარში გაჩნდა კიდევ ერთი მოხელის „გალატოზთუხუცესის“ თანამდებობა . ე.ი. ვახუშტისდროინდელი „ხუროთმოძღვარი“ ბაგრატ III-ის სამეფო კარზე უხუცესთა საგამგეო უწყებაში „გალატოზთუხუცესის“ ტიტულით შედიოდა. რომელსაც ქვეყნის მართვა-გამგეობაში ნაკლები ფუნქციები გააჩნდა, მაგრამ მთავარ როლს თამაშობდა ქვეყანაში გაშლილ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საეკლესიო მშენებლობაში. ჩვენს მოსაზრებას დამაჯერებლობას მატებს ისიც, რომ „ხუროთმოძღვრის“ შესატყვისი სხვა ტერმინი ამ ეპოქის წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება. შოროთას წარწერა ადასტურებს, რომ გალატოზთუხუცესის სამოხელეო ინსტიტუტმა XIII-XIV საუკუნეებამდე იარსება და შემდეგ იგი სხვა ინსტიტუტმა ჩაანაცვლა.

ამავე საკითხს ეხმაურება ჯავახეთის კიდევ ერთი წარწერა სოფელ ფოკადან. ფოკას წარწერების გაშიფვრის შედეგად ი. გაგოშიძემ და გ. გაგოშიძემ მიიღეს ტერმინი „ბანაქარსალარი“, რაც ავტორთა აზრით, ხუროთმოძღვარს უნდა ნიშნავდეს (გაგოშიძე 1992: 190).

ფოკას წარწერის ტექსტი ასეთია: „ქ(რისტ)ე, ად(ი)დე მ(ი)ქ(ე)ლ ქ(ა)რთ(ლი)სა ბნქსლრი“ (აქვე იხილეთ წარწერა №). ბოლო დაქარაგმებულ სიტყვას მკვლევარები ი. გაგოშიძე და გ. გაგოშიძე ხსნიან, როგორც „ბანაქარსალარი“. აღნიშნულ დაქარაგმებას ყველა მკვლევარი ხსნიდა, როგორც „სალარი“, რაც სპარსულად ნიშნავს „მეთაურს“, „თავს“, „უფროსს“. იგი თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინების მაწარმოებელია ირანსა და ირანის გავლენის არეალში მოქცეულ ქვეყნებში. „რადგან „ბანა“ აღნიშნავდა პრაქტიკოს-არქიტეტორს, მშენებელს, ამიტომ მშენებელ-არქიტექტორთა ზედამხედველს სპარსული ენის კანონების სრული დაცვით, „ბანაქარ-სალარი“ უნდა ერქვას. მიგვაჩნია, — აღნიშნავენ ავტორები — რომ ფოკას ეკლესიის ერთ-ერთ საამშენებლო წარწერაში დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელის, ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესის ანუ „ბანაქარ-სალარის“ ტიტული (გაგოშიძე 1992:190).

ფოკას წარწერის ტექსტის დადგენის ამ ეტაპზე, ჩვენ არ გამოვრიცხავთ აღნიშნულ მოსაზრებას, შესაძლოა, ქართლში ბაგრატ IV-ის ეპოქაში, მელქისედეკ და ოქროპირ კათალიკოსების ზეობისას, მართლაც იყო ასეთი თანამდებობა, მაგრამ, როგორც ჩანს იგი არ იყო საქართველოს სამეფო კარის სამოხელეო თანამდებობა. რადგან სამეფო კარზე ამდროს უკვე არსებობდა „გალატოზთუხუცესის“ სახელო.

შოროთას წარწერაში მოხსენიებული ისტორიული პიროვნება გალატოზთუხუცესი ნიკოლოზ ორბისძე, ჩვენთვის სხვა წყაროებით უცნობია; ვიცით, რომ იგი სამეფი კარის მოხელეა და მისი ხელმძღვანელობით აშენდა შოროთას სამრეკლო, რისთვისაც მოიპოვა საველრებლის უფლება ლაპიდარულ წარწერაში.

ფოკას წარწერებს შორის საყურადღებოა ბაგრატის კურაპალატის წარწერა. მასში დასახელებული ბაგრატ კურაპალატი არის საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბაგრატ IV რომელიც ჯავახეთის რამდენიმე წარწერაში არის დასახელებული. კურაპალატობა მისი პირველი ბიზანტიური ტიტული იყო. ღულალისის 1060 წლის წარწერის მიხედვით, იგი უკვე რანგით მომდევნო-სევასტოსის ტიტულის მატარებელია. ამიტომ ეს წარწერა 1027-1060 წწ. თარიღდება. თარიღი კიდევ უფრო დავიწროვდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ფოკაში იმავე ფილაზე, იმავე წესით მოთავსებულია სხვა, უფრო ვრცელი წარწერა ქართლის კათალიკოსის იოანე-ოქროპირისა (1033-1045) რაც საშუალებას გვაძლევს ბაგრატ IV-ის ეს წარწერა და იმავე ფილაზე მოთავსებული სხვა წარწერების თარიღი 1033-1048 წწ. განვსაზღვროთ. როგორც ჩანს, ბაგრატ IV-ეს სევასტოსის ტიტული 1048 წელსაც, ღულალისის 1060 წლის წარწერაში მის პირველ დოკუმენტურ დაფიქსირებამდე ბევრად ადრე ჰქონია. 1010-1033 წწ. დათარიღებულ მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში (თ.

ენუქიძე.. 1984:20) სვეტიცხოველისადმი ბაგრატი ჯერ კიდევ კურაპალატის ტიტულით იხსენიება, ამიტომ მის მიერ სევასტორის ტიტულის მიღების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი 1033 წლით შეიძლება განისაზღვროს.

ჯავახეთის წარწერებში ზოგჯერ გვხვდება ისეთი სახელები და გვარები რომლებიც ქართულ ონომასტიკონში საერთოდ არ გვხვდება, მაგალითად მომწულისძის გვარი ფოკას წარწერაში, ბავრელი იმავე ფოკას წარწერაში, თუმცა ბავრა ძველი ისტორიული სოფელია ჯავახეთში და როგორც ჩანს, წარწერის ავტორი ამ სოფლიდან იყო. ამის უტყუარი ნიშანია წარმომავლობის სუფიქსი -ელ. უცნაურია, რომ იგი თავის სახელს არ აღნიშნავს. მეცნიერებაში ამ ტერმინის მნიშვნელობის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისია გამოთქმული: როგორც ჩანს იგი მაინც მშენებლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ბავრელი თავის თავზე აღნიშნავს: ღირს ვიქმენ ამ ეკლესიის შენებადო და საფუძველის დადგამასა თანა დავშვერიო. როგორც ჩანს, ბავრელი ფიზიკურადაც შრომობდა ეკლესიის საფუძვლის გაჭრაში და ეს თავმდაბლობა დამახასიათებელი მოვლენაა აღმოსავლური ქრისტიანობისათვის. ბავრელი ოქროპირ ქართლის (იოანე II ოქროპირი) კათალიკოსის ხელოსანი ყოფილა და მისი კათალიკოსობის წლების მიხედვით წარწერა 1033-1041 წწ. თარიღდება.

ზედა ვარძიის ეკლესიის შესასვლელის კარის თავზე ამოკვეთილ კიდურწაისრული წარწერა მოგვითხრობს, რომ ბაგრატ IV-ის ეპოქის კლდეკარის გულზვიად ერისთავს ლიპარიტ IV-ს, დიდი „გ(უ)ლსმოდ/გ(ი)ნებ(ი)თ“ აუშენებია ზედა ვარძიის ეკლესია. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბაგრატ IV-ს მეფობის დროს, 1051-1057 წლებში „ქართლი და მესხეთი ლიპარისტს სჭერია და ბაგრატს იქ ხელი არ მიუწვდებოდა“ (ი. ჯავახიშვილი 1983:148). როგორც ჩანს ბაგრატ IV—მ ამ კონკრეტულ დროს დაკარგა ჯავახეთზე ძალაუფლება და შემდეგ, ლიპარიტის დასჯის შემდეგ კვლავ შეძლო მისი აღდგენა. ამ ფაქტზე მეტყველებს ჯავახეთის საამშენებლო წარწერების ერთი ნაწილი, რომელშიც ბაგრატ IV არის დასახელებული.

გარდა ეკლესიის საამშენებლო წარწერებისა ჯავახეთის წარწერებში გვხვდება სტოას, ციხის, კოშკისა და გალავნის, ეგუტერის, საამშენებლო წარწერები. მათ შორის საყურადღებოა ვარძიის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის სამხრეთით მიშენებილი სტოას შესასვლელის ზემოთ ამოკვეთილი წარწერა, რომელშიც საქართველოს ისტორიაში ცნობილი ისტორიული პირი ივანე ათაბაგი არის დასახელებული. ივ. ათაბაგი 1391-1444 წწ. მოღვაწეობდა და წარწერის ტექტის მიხედვით მან ვარძიის მონასტრისათვის სატრაპეზო ააგო. კ. მელითაურის აზრით, ივანე ათაბაგს დაზიანებული სტოას კედლის გასამაგრებლად ეს ბურჯი აუგია (კ. მელითაური 1955:80), მაგრამ წარწერაში საუბარია

ტრაპეზის მშენებლობაზე და არა გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებაზე. მით უფრო რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ბროსეს დროს, რომელმაც ეს წარწერა ვერ იპოვა, ქვა იქ არ იდო სადაც ახლა დევს და ადრე სადღაც უნდა ყოფილიყო მიგდებული. ამდენად მთავარი ტაძრის სამხრეთით მიშენებული სტოას შესავლელის ზემოთ წარწერა XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების დროს მეორედ გამოყენების დროს უნდა იყოს ჩაშენებული (ვ. ცისკარიშვილი 1959:116; ვ. სილოგავა 1983:278). ვ. ცისკარიშვილის აზრით, წარწერაში მეფის მოუხსენიებლობა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ სამცხე-საათაბაგო გამოყოფილი იყო საქართველოდან და ათაბაგი არ ცნობდა მეფის უზენაესობას, მეფეს ვარძიაზე, ერთ დროს სამეფო მონასტერზე ხელი არ მიუწვდება (ვ. ცისკარიშვილი 1959:116). მიუხედავად იმისა, რომ ივანე ათაბაგი სეპარატისტულად განწყობილი ფეოდალი იყო და ცდილობდა არამარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, არამედ სამცხე ეკლესიურადაც მოეწყვიტა ერთიანი საქართველოსაგან (მ. რეხვიაშვილი 1992:45-46), აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან საისტორიო წყაროებით ცნობილია, რომ ალექსანდრე I-მა (1412-1442 წწ.) შეიპყრო განმდგარი ათაბაგი და სამცხე დაიმორჩილა.

საამშენებლო წარწერებში დასახელებულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსები და უბრალო მღვდლები. ამდენად, საქართველოს ეკლესიის კათალიკოს - პატრიარქთა, მღვდელმთავართა და ეპისკოპოსთა კტიტორული საქმიანობის, ასევე ქრონოლოგიის შესასწავლად ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენენ.

ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიან საფლავის ქვის ეპიტაფიები, რომელთა შესწავლა, ქრონოლოგიის დადგენა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევა მნიშვნელოვანია ამ რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. საფლავის ქვის ეპიტაფიების ერთი ნაწილი იკითხება, ერთი ნაწილი გადაშლილია, ან საამშენებლო მასალად არის გამოყენებული XIX საუკუნეში ახალი ტაძრების მშენებლობის დროს.

საფლავის ქვის ეპტაფიები გვხვდება ვაჩიანის (ზურაბის XV ს. საფლავის ეპიტაფია), ბავრის (მგელაის XV—XVI სს. საფლავის ქვა), ბარალეთის (პეტრე ხმალაძის 1855 წლის ეპიტაფია), ეშტიის (XIს), ვარევანის (დარდაგანის საფლავის ქვა), ზედა თმოგვის (ზურაბის XVIII ს. ეპიტაფია) და ა. შ. როგორც ვხედავთ ჯავახეთში ყველა ეპოქის საფლავის ქვის ქართული ეპიტაფიები გვხვდება.

ამრიგად, ჯავახეთის 200-მდე ლაპიდარული წარწერა მდიდარ საისტორიო წყაროს წარმოადგენს არამარტო ამ რეგიონის, არამედ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით. უმნიშვნელოვანესია ჯავახეთის როგორც საამშენებლო, ასევე იურიდიული ხასიათის წარწერები, ანუ, ეპიგრაფიკული აქტები, რომლებიც კონკრეტულ იურიდიულ ნორმას აწესებენ. ეპიგრაფიკული აქტების სახით ჯავახეთის წარწერებში გვხვდება მამულის მფლობელობის დამადასტურებელი, ნასყიდობისა და შეწირულების ქვაზე ამოკვეთილი დოკუმენტები, რომლებშიც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული რეგიონში არსებული მიწისმფლობელობის ფორმები და მისი ვარიაციები.

ჯავახეთის ლაპიდარული წარწერების ზოგადი წყაროთმცოდნეობითი მიმოხილვა და მათი საერთო ისტორიულ კონტექსტში გააზრება ამ მხარის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სარწმუნოებრივი ისტორიის მრავალ საკითხს ჰფენს ნათელს და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ჯავახეთის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურული განვითარების ისტორიაში.

დარწმუნებულნი ვართ, მომავალი კვლევები ჯავახეთში მეტ სიახლესა და საინტერესოს გამოავლენს.

დამოწმებული ლიტერატურა:

ი. აბულაძე 1991 - სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ. 1991;

გ. აბრამიშვილი 1989 - ქართული წარწერების კორპუსი III, ფრესკული
წარწერები I. ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ. თბ. 1989;

ლ. ახალაძე 2004 - ლ. ახალაძე, ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა მეფეთა“ ტიტულატურის შესახებ. წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“, VII, თბ. 2004;

ლ. ახალაძე, 2005 - ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბ. 2005;

ლ. ახალაძე, 2008 - ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხისათვის, კრებული ქართველური მემკვიდრეობა. ტ. XII. თბ. 2008;

ბაქრაძე 1885 - ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ტფ. 1885;

ვ. ბერიძე 1956 - ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ. 1956;
დ. ბერძენიშვილი 1975 - დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, კრებული: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ტ. V. თბ. 1975;
ნ. ბერძენიშვილი 1966 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1966;
ნ. ბერძენიშვილი 1964 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964;
შ. გლოველი 2004 - შ. გლოველი, აფხაზთა სამეფო, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 2004;
ი. გაგოშიძე 1992 - ი. გაგოშიძე, გ. გაგოშიძე, ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესი, ლიტერატურა და ხელოვნება, №2-3, 1992;
ი. დოლიძე 1970 - ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტყექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ. 1970;
თ. ენუქიძე 1984 - თ. ენუქიძე, ვ. სილოგავა, ნ. შოშიაშვილი, 1984, გვ. 58:123-126) ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I. IX—XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1984;
ვახუშტი 1973 - ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნში; ქართლის ცხოვრება ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973;
კ. მელითაური 1955 - კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, თბ. 1955;
მ. ლორთქიფანიძე 1955 - მ. ლორთქიფანიძე, ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი, მსკი, ნაკვ. 32, თბ. 1955;
ლ. მუსხელიშვილი 1941 - ბოლოკ ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, „1233წ. ტექსტი გამოსცა ლევან მუსხელიშვილმა, თბ. 1941;
ელ. მეტრეველი 1962 - ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962;
ელ. მეტრეველი 1996 - ელ. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ. 1996;
გ. ოთხმეზური, 1981 - გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1981;
თ. ჟორდანია 1897 - ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თედო ჟორდანიას მიერ.. წ. II. თფ. 1897;
მ. რეხვიაშვილი 1992 - მ. რეხვიაშვილი, სამცხის სამთავრო თბ. 1992;

მ. საბინინი 1882 - საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა, 1882;
ვ. სილოგავა 1980 - ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I. (IX—XIII სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბ. 1980;
ვ. სილოგავა 1983 - ვ. სილოგავა, სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ექსპედიციის მიერ. მრავალთავი, X. 1983;
ვ. სილოგავა 2004 - ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ. 2004;
ს. ყაუხჩიშვილი 1955 - ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955;
ს. ყაუხჩიშვილი 1951 - თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქათველოში, თბ. 1951;
ს. ყაუხჩიშვილი 2004 - თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ. 2004;
ნ. შოშიაშვილი 1980 - ქართული წარწერების კორპუსი, I. ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა. თბ. 1980;
ვ. ცისკარიშვილი, 1959 - ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1959. გვ. 4;
ივ. ჯავახიშვილი 1982 - ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი. თხზულებანი თორმეტ ტომად. თ. VI. თბ. 1982;
ივ. ჯავახიშვილი 1983 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი. II. თბ. 1983;
ჯავახეთი, 2000 - ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. რედაქტორი: დ. თუმანიშვილი. ტექსტის ავტორები: ისტორია, ისტორიული გეოგრაფია: დ. ბერძენიშვილი; ნივთიერი კულტურის ძეგლები: ირ. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი. თბ. 2000;
Larfeld 1914 - Larfeld 1914, Grichische epigraphic von Wilchelm Larfeld. Dritte volling neubearbeitete Auflage, mit 4 Teilen, Munchen, 1914;

Lia Akhaladze

Inscriptions of Javakheti as a historical source

Inscriptionsof Javakheti has a distinguishedandprominentplaceamong the numerous Georgian epigraphic monuments as in terms ofplurality as due to the development history of Georgian alphabet and historical-Source Studyvalues.

The VI th century is a lower chronological limit of Javakheti lapidary inscriptions. Since that period, during the whole Middle Ages till modern time, the region has been one of the most important centers of the development of Georgian culture, among them the written Georgian culture.

The region's epigraphic monuments can be divided into three main groups according to their outer sign:

1. **Lapidary** or inscriptions carved on the stone;
2. **Fresco** or inscriptions done with paint;
3. **Chasing** or inscriptions done on metal.

Inscriptions of Javakheti have high values of source studies. It is proved with the fact that we meet all samples of content classification of Georgian inscriptions, such as:

- Construction inscriptions,
- Juridical inscriptions (epigraphic documents),
- Memorial inscriptions,
- Epigraphic monuments with different contents and mission,
- Epitaphs on the grave stones.

Javakheti always had an exceptionally distinguished place in the history of Georgian state and ecclesiastic constructions. Exactly it has conditioned various and numerous information in the written culture of the region which we meet in the lapidary inscriptions.

In the inscriptions we meet different social class of the population of old Georgia beginning with kings and noblemen finishing with simple prayers and pilgrims. It's natural that the majority of lapidary inscriptions have been

created by the local residents: handicraftsmen and calligraphists, builders and masters. They are the very people mentioned in the inscriptions.

Bagrat IV Bagrationi, Davit IV the Builder, Giorgi III, King Tamar, Giorgi IV Lasha- " Javakhs' Sovereign", David Ulu VII, Gurgen Kurapalati, Avag Amirspasalari, Shalva and Ivane Akhaltsikhelebi, Anton Chondideli, Catholicos called Ioane Okropiri, Ivane Atabagi, Liparit Eristavt-Eristavi, Farsman Tmogveli, Ichkit Gurgenis dze, Gurgen Kvatkhasdze, Zosime Kumurdoeli, Ioane bishop, Basili Akaneli, Giorgi Saphareli and others are those high secular and ecclesiastic people mentioned in the inscriptions.

Up to 200 lapidary inscriptions of Javakheti is a rich historical source in terms of to study not only the region's but also the country's political, cultural and social-economic situation.

ნომადი ბართაია

ქართველები და ირანელები ერთმანეთის წარმოდგენაში

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სრულიად ირანს სამჯერ ჰქონდა და აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ერთხელ — აქემენიდების დროს (ძვ.წ.V—IIIსს.), მეორედ — სასანიდებისა (III—VIIსს.) და მესამედ — მოყოლებული სეფიანთა ხანიდან (XVI—XVIIIსს.), — დღემდე. სამივეჯერ, საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი, ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მართალია, ირანი-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა არ იყო მუდმივი, მაგრამ შეიძლება ითქვას, ურთიერთობა კულტურის სფეროში, ამ ორ ქვეყანას შორის, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ფორმით, ყოველთვის არსებობდა.

ჩვენ დაგვაინტერესა, ისტორიულად თუ როგორ აღიქვამდნენ ერთმანეთს ქართველები და ირანელები.

ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მიმოხილული იქნება თუ რა წარმოდგენისანი არიან ირანელები ქართველებზე, მეორეში კი პირიქით — ქართველები ირანელებზე.

რა წარმოდგენის არიან ირანელები ქართველებზე

ქართველი და **საქართველო** ძველ, საშუალო და ახალ სპარსულში შემდეგი ტერმინებით აღინიშნებოდა: ძველ სპარსულში — **vrkan** (წერეთელი 1993:92-105), საშუალო სპარსულში **waručan** (ჩხეიძე 1993:107-118) და ახალ სპარსულში — **abxâz** და **gorj**.

რამდენადაც **vrkan** და **varučân** ნიშნავს „მგელთა ქვეყანას“ და მგელი ირანელთათვის სიძლიერისა და სიმამაცის სიმბოლოა, ნათელი ხდება თუ რა წარმოდგენისანი ყოფილან ირანელები ქართველებზე, როცა ამ ტერმინებით აღნიშნავდნენ მათ.

სხვა წყარო ამ საკითხთან დაკავშირებით ძველსა და საშუალო სპარსულში ჩვენთვის უცნობია, ხოლო რაც შეეხება ქართველთა აღმნიშვნელ ახალ სპარსულ ტერმინებს **აბხაზსა და გორჯს,** მათ შესახებ მრავალი სპარსული წყარო არსებობს, სადაც ნათლად ჩანს ირანელთა დამოკიდებულება ქართველთა მიმართ.

განვიხილოთ ცალ-ცალკე:

აბხაზი

X-XV საუკუნეებში, აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის ირანში, ქართველთა და საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინი იყო **აბხაზ**-ი, რომელიც ჯერ მთლიანად ფარავდა საქართველოს (XI—XIIIსს.), ხოლო შემდეგ (XIII—XVსს.) — მის დასავლეთ

ნაწილს. მიზეზი ამისა VIII საუკუნეში საქართველოს ძირძველ კუთხეში აფხაზეთში „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბება და დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად ქუთაისის გამოცხადება იყო, რომელიც ბაგრატ III-ის დროს ერთიანი საქართველოს დედაქალაქი (975-1014) გახდა. ბაგრატ მეფის ტიტულატურაც იწყებოდა ასე — „მეფე აბხაზთა“ შემდეგ მოჰყვებოდა - რანთა და კახთა. ასე რომ **აბხაზებში** იგულისხმებოდნენ **ქართველები** და არა — დღევანდელი გაგებით **აბხაზები**, ანუ **აფსუები**, რომლებიც XVI საუკუნის მერე ჩამოსახლდნენ ჩრდილოკავკასიიდან **აფხაზეთის** ტერიტორიაზე და აფხაზებად გამოაცხადეს თავი.

აბხაზ-ი, ანუ ქართველი, ირანელთა წარმოდგენაში არის სიმამაცისა და სილამაზის სიმბოლო, ნათქვამის დასტურად მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს სპარსული წყაროებიდან. ეს ტერმინი სპარსულ წყაროებში პირველად თავს იჩენს XI საუკუნის ირანელი პოეტების ასადი თუსელის „სპარსულ ლექსიკონსა“ (შენიშნა გ. ბერაძემ) და ფახრ ედ-დინ გორგანელის პოემა „ვეის ო რამინში“. ერთ შემთხვევაში შექებულია **აბხაზური ისარი,** მეორე შემთხვევაში — **აბხაზი,** როგორც კარგი მოისარი.

ჯერ მივმართოთ ლექსიკოგრაფიულ მასალას:

ასადი თუსელის „სპარსულ ლექსიკონში“ ერთ-ერთი ლექსიკური ერთეული - **تموک** [**tamuk**]-ი განმარტებულია ასე: ისარია **აბხაზური**, რომელსაც ახლა ყველგან აკეთებენ. ბასრი წვერი აქვს, რამდენადაც სხეულში ადვილად შედის, იმდენად მისი გარეთ გამოტანა ძნელია. თუ ხორცს არ ამოგლეჯენ, ისე არ გამოვა تموک - تیریست که بابخاز میباشد و اکنون بهر جای میسازند بیکانش را بندگشای باشد چنانک در تن اسان رود ولیکن برون کشیدن از تن دشخوار باشد تا گوشت باز نگیرند بیرون نیاید

იქვე მოყვანილია X საუკუნის სპარსელი პოეტის ამარეს შემოქ-მედებიდან ერთი ბეითი:

بسر خواجه دست برد بکوک

خواجه او را بزد بتیر **تموک**

ხოჯას ვაჟმა კაკბისკენ წაიღო ხელი,

ხოჯამ მას **თამუქის** ისარი ესროლა (ასადი თუსელი 1319).

ორივე მაგალითის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ **აბხაზური**, ანუ ქართული, ისარი **თამუქი** ირანელთა წარმოდგენით განთქმული ყო-ფილა.

ახლა კი ჩავიხედოთ ფახრ ედ-დინ გორგანელის „ვეის ო რამინ-ში“ („ვისრამიანი“).

ნაწარმოების ერთ-ერთ თავში — „რამინის ჩასვლა გორაბში და გულზე გამიჯნურება“ — ვკითხულობთ შემდეგ ბეითს: به چشم آورد تیر افکان ز **ابخاز**

به زلف آورد جراره ز آهواز

თვალით მოეყვანა მოისრე **აბხაზეთიდან,**

ზილფით მოეყვანა მორიელი აჰვაზიდან (გორგანელი 1971: 326).

ეს პოეტური მეტაფორა ასე გაიხსნება: „თვალით მოეყვანა“ (გულს) მოისრე **აბხაზით** ნიშნავს - გულს თვალებში თითქოს მოისრე **აბხაზი** ჰყავდა, ისე სტყორცნიდა (წამწამთა) ისრებს (რამინს).

„ზილფით მოეყვანა მორიელი აჰვაზიდან“ ნიშნავს: გულს აჰვაზის მორიელივით დახვეული თმები ჰქონდაო.

აჰვაზის მორიელი ცნობილი **ყოფილა** თავისი დახვეულობით, დაგრეხილობით.

ამ მაგალითებიდან დასტურდება, რომ XI საუკუნის სპარსულენოვან სამყაროში იმდენად საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი **აბხაზი** ანუ **ქართველი** და **აბხაზური** ანუ **ქართული** ისარი რომ ისინი იმ დროის სპარსულ მხატვრულ აზროვნებაში მეტაფორადაც კი ქცეულა.

XI—XV საუკუნეთა სპარსული წყაროებიდან იმ ადგილების მოხმობა, სადაც **აბხაზი** ნიშნავს **ქართველს** და **საქართველოს** და ამავე დროს დადებითი ნიშნის მატარებელია, შორს წაგვიყვანდა. მათგან მხოლოდ ხაყანი შირვანელის (1120-1199) ერთ რობაიზე შევაჩერებთ ყურადღებას:

از عشق صلیب موی رومی رویی
ابخاز نشین گشتم گرجی گویی
از بس بگفتمش که مویی مویی
شد موی زبانم و زبان هم مویی

ხვეულთმიანი ლამაზის სიყვარულით
აბხაზეთის (საქართველოს) მკვიდრი და
ქართულად მეტყველი გავხდი.
იმდენი ვუთხარი მას მოი, მოი,
რომ ენა თმასვით დამიწვრილდა და თმები მექცა ენად (ხაყანი 1979:742).

მსგავს წყაროებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს, ირანელთა წარმოდგენით, **აბხაზი** იგივე **ქართველი** ყოფილა: განთქმული მეომარი (მოისარი) და მშვენიერი გარეგნობის.

გურჯი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ქართველსა და საქართველოს** ირანელები, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე აღნიშნავდნენ შემდეგი ტერმინებით: ძველ სპარსულში — **vrkân**, საშუალო სპარსულში — **varučan** და ახალი სპარსულში — **abxâz** და **გორჯ.**

XV საუკუნის შემდეგ სპარსულ წყაროებში ქრება ტერმინი **აბხაზი** და მის ნაცვლად ჩნდება **گرج** [gorj].

საიდან მომდინარეობს ტერმინი **گرج** [**gorj**]-ი]?

گرج [**gorj**]-ი მომდინარეა საშუალო სპარსული ტერმინიდან **varuč.**

ენათმეცნიერულად დადასტურებულია, რომ საშუალო ირანული **ʒ** ახალ სპარსულში გადმოდის **g** ბგერად (ირან. ენათ. საფუძვლები 1982). **varuč -** იდან **gorǯ**-ამდე ფონეტიკური გზა ასეთი ჩანს: **varuč -> goruč -> gorč ->gorj**.

gorǯis ფონეტიკური ვარიანტებია:

gurǯ//gorz//qorǯ//qorz//qurz//qurǯ (წერეთელი 1993; 92-105).

თვით **varučan** კი მომდინარეა ძველი სპარსული ტერმინიდან — **vrkan** (**ან** სუფიქსი აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს).

ქართველს არც XV საუკუნის შემდეგ დაუკარგავს ის დადებითი სემანტიკური დატვირთვა, რაც მანამდე გააჩნდა ირანელთა წარმოდგენაში, ამის დასტურია განსაკუთრებით სეფიანთა ხანა (XVI-XVIIIსს.), როცა ირანის სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული სფერო, შეიძლება ითქვას, მთლიანად ქართველთა არენად იყო ქცეული და **gurǯები** უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენდნენ მთელს ირანში.

gurǯi დღემდე რჩება ირანელთა (არა მხოლოდ ირანელთა, არამედ აღმოსავლეთის სხვა ხალხთა) წარმოდგენაში სიმამაცისა და სილამაზის სიმბოლოდ. მაგალითად, თანამედროვე სასაუბრო სპარსულში **گرجی** [**gorjî**], გარდა **ქართველისა**, ნიშნავს **ლამაზს**. სინტაგმაში **بچه گرجی** [**bače-ie gorji**] — **gurǯi** ბავშვი — **گرجی** [**gorjî**]-ის მნიშვნელობაა არა **ქართველი**, არამედ — **ლამაზი**. შესაბამისად, **بچه گرجی** [**bače-ie gorji**], გადატანითი მნიშვნელობით, ნიშნავს **ლამაზ** ბავშვს. ასევე ნიშნავს **gorǯi** ლამაზ ბავშვს სხვა აღმოსავლურ ენებშიც, მაგალითად — არაბულში (ǯაფარიძე 1993:143).

ამგვარად, ისტორიულად, ქართველთა აღმნიშვნელი ორივე ტერმინი — **აბხაზი** და **gorǯi** ირანელში მხოლოდ დადებით ემოციებს აღძრავს.

რა წარმოდგენისანი არიან ქართველები ირანელებზე

ქართველები ირანელთა აღსანიშნავად იყენებენ შემდეგ ტერმინებს: **სპარსი, ყიზილბაში, ირანელი**. ჩვენთვის უცნობია თუ რა წარმოდგენისანი იყვნენ ქართველები ირანელებზე ქრისტიანობის მიღებამდე, მაგრამ ცნობილია, თუ როგორ აღიქვამდნენ ჩვენი წინაპრები ირანელებს ქრისტიანობის მიღების შემდეგ.

ტერმინი **სპარსი** პირველსავე ქართულ მხატვრულ ნაწარმოებში, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“, დასტურდება და იგი მხოლოდ უარყოფით ემოციებს აღძრავს ქართველი კაცის წარმოდგენაში, ვინაიდან სწორედ სასანიანთა **სპარსეთის** სამეფო კარიდან დაატყდა თავს რისხვად თავის მეუღლეს, შუშანიკს გამაზდეიანებული ვარსქენ პიტიახში და ქრისტიანობის უარყოფა და

მაზდეიანობის მიღება უბრძანა, რასაც შუშანიკის მხრივ უკიდურესად მძაფრი რეაქაცია და ტრაგიკული აღსასრული მოჰყვა.

აღნიშნული ნაწარმოები V საუკუნის მხატვრული ძეგლია. ეს არის საქართველოში სასანიანთა (III—VIIსს.) ბატონობის ხანა, რომელიც აღინიშნება მაზდეიანობასა და ქრისტიანობას შორის დაპირისპირებებითა და ქართველთა მხრივ სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლებით.

რა თქმა უნდა, ასეთ დროს სპარსელის ხატი დადებითად არ აისახებოდა ქართველის წარმოდგენაში.

VII საუკუნეში, არაბების გამოჩენასთან ერთად, ისტორიის არენიდან მიდიან სასანიდები.

ირანში გაბატონდნენ არაბები.

ასევე გაბატონდნენ არაბები საქართველოზე.

ამ დროს ქართველებს და სპარსელებს ერთმანეთთან პირდაპირი პოლიტიკური შეხება არა აქვთ. ორივენი, ასე ვთქვათ, ერთი ბატონის მსახურნი არიან.

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ირანსა და მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკურ არენაზე გამოდიან თურქ-სელჩუკები, რომლებმაც ირანში სპარსული ენის თურქულით ჩანაცვლების მძიმე პროცედურას, თავის ფუნქციებში სპარსულის დატოვება არჩიეს.

ამგვარად, თურქ-სელჩუკთა იმპერიის ფარგლების გაფართოებასთან ერთად, სპარსულ ენას მანამდე არნახული გასაქანი მიეცა და ამ ენაზე ჰქმნიდნენ იმპერიაში შემავალი სხვადასხვა ეროვნების ხალხები თავიანთ უკვდავ ქმნილებებს. ეს პროცესი გაგრძელდა მონღოლთა და თემურელთა ბატონობის ხანაშიც და ასე შეიქმნა ის დიდი ლიტერატურა, რომელსაც შემდეგ მსოფლიოში სახელგანთქმული სპარსული კლასიკური მწერლობა ეწოდა.

არც ამ დროს, XII საუკუნეში, როგორც არაბობისას, საქართველოსა და ირანს, არა აქვთ ერთმანეთთან პირდაპირი პოლიტიკური კავშირები, რადგან ისინი სხვადასხვა პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან — საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო ირანი — თურქ-სელჩუკთა იმპერიაში შემავალი ქვეყანა. თუმცა ამას სრულებით არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ, ირან-საქართველოს შორის არსებულიყო კულტურული ურთიერთობანი — ამ დროს სპარსულიდან ქართულში შემოედინება დიდი რაოდენობით მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული ლიტერატურა. არსებულმა ვითარებამ ტერმინ **სპარსის** სემანტიკური ველის გაფართოება გამოიწვია. **სპარსი** უკვე გასცდა ეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინის ჩარჩოს და მაჰმადიანის აღმნიშვნელ საერთო ტერმინად იქცა. **სპარსში** უკვე იგულისხმება არა მხოლოდ ეთნიკურად **სპარსელი**, არამედ, ზოგადად, **მაჰმადიანი** (გაბაშვილი 1985:12), ასე მაგალითად: „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ დავით მეფემ საქართველოს დედაქალაქი თბილისი „ოთხას წელს ქონებული **სპარს-**

თა მტერს ხელითგან გამოჰგლიჯა“ (ჯავახიშვილი 1965:204). სინამდვილეში კი დავით მეფემ (1889-1125) არაბებს გამოჰგლიჯა ხელიდან თბილისი და არა სპარსელებს. ცხადია, რომ მემატიანე **სპარსში** გულისხმობს ზოგადად მაჰმადიანს.

გარდა ამისა „მონღოლთა დროინდელ ისტორიაში“ **სპარსი** მოხსენიებულია შემდეგ სინტაგმებში „**სპარსნი** ტფილელნი“, „**სპარსნი** ბაღდადელნი“, „**სპარსნი** ხუარაზმელნი“ (ჟამთააღმწერელი 1959:685), სადაც **სპარსში,** ეთნიკურ სპარსელთან ერთად, უნდა ვიგულისხმოთ **არასპარსელიც,** ზოგადად **მაჰმადიანი**.

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში, სადაც საკითხი ეხება ნაწარმოების ამბის წარმომავლობას, ერთი ასეთი ტაეპია — „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (რუსთველი 1966:9/1). მაგრამ **ესე ამბავი,** რომელზედაც, ასე ვთქვათ, შექმნილია აღნიშნული პოემა, არასად არსებობს. მაშინდელი ლიტერატურული კანონების მიხედვით პოემა რაიმე ნაცნობ ამბავზე უნდა აგებულიყო. პოეტი **სპარსულ ამბავში** გულისხმობდა **უცხო ამბავს, კარგ ამბავს**.

ასე, რომ XII საუკუნეში **სპარსი** ქართველთათვის დადებითი შინაარსის მატარებელი ტერმინი გახდა.

ყურადსაღებია ის, რომ XII საუკუნეში დიდი იყო სპარსული ლიტერატურის გავლენა ქართულ მწერლობაზე, რასაც არ შეიძლება დადებითი განწყობა არ მოჰყოლოდა სპარსელთა მიმართ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მონღოლთა გამოჩენის შემდეგ, **სპარსს**, როგორც ზოგადად მაჰმადიანის აღმნიშვნელ ტერმინს, უარყოფითი ნიშნით, ჩაენაცვლა **თათარი**, რამაც გარკველწილად შებღალა ის იმიჯი, რომელიც **სპარსს** ქართველის წარმოდგენაში თურქ-სელჩუკთა ბატონობისას ჰქონდა მოპოვებული, რადგან **თათარში**, იგივე თათარ-მონღოლში, იგულისხმებოდა მხოლოდ ველური და დამანგრეველი ძალა.

სხვა ვითარებაა ირან-საქართველოს შორის სეფიანთა ხანაში (XVI—XVIIსს.). განსხვავებით XII საუკუნისგან, ამ დოს ირანი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო საქართველო ფეოდალურ სამთავროებად დაქსაქსული ქვეყანა. მართალია, ამ დროსაც არანაკლები რაოდენობით შემოდის საქართველოში სპარსული ლიტერატურა, ვიდრე XII საუკუნეში, რასაც არ შეიძლება დადებითად არა განეწყო ქართველი ხალხი ირანელთა მიმართ, მაგრამ ირან-საქართველოს შორის არსებულმა მწვავე პოლიტიკურმა კოლიზიებმა, რაც კიდევ უფრო გამწვავდა კავკასიაში რუსული ძალის გამოჩენის მერე, ყველაფერი გადაფარა. აღამაჰმადხანის მიერ 1795 წელს თბილისის გადაწვამ კი ქართველის წარმოდგენაში, ირანელის სახით, საბოლოოდ ჩამოაყალიბა მტრის ხატი.

მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში კი, რაც ირან-საქართველოს შორის გაწყდა ურთიერთობანი და ქვეყანა რუსეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა, ქართველთა წარმოდგენაში

ირანელის სახით მტრის ხატს, თუ არაფერი მომატებია, არაფერი დაკლებია.

მოგვიანებით **სპარსის** სინონიმი გახდა **ირანელი** (ირანის ძვ. სპარს. სახელწოდებაა — Ariyânâm, ავესტური — Airyanam და საშ. სპარს. Erân (დეჰხოდა 1372), რომელიც ასევე უარყოფითი შინაარსის მატარებლად იქცა ქართველისთვის.

ამგვარად, ირანელთა აღმნიშვნელი ტერმინები — **სპარსი, ყიზილბაში და ირანელი,** ქართველის წარმოდგენაში დღემდე მხოლო უარყოფით ემოციების აღმძვრელი იყო. დღეს კი, მას მერე, რაც საქართველო 1992 წლიდან დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა და ირანთან შეძლო პირდაპირი კავშირების დამყარება, სრულიად ახალი რეალობის მოწმენი ვხდებით. ირანი და საქართველო, რომელთა ურთიერთობანი სუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს, პირველად განიხილავენ ერთმანეთს როგორც თანაბარ პოლიტიკურ ერთეულებს და ჩვენ თვალწინ იმსხვრევა მტრის ის ხატი, რომელიც, ირანელის სახით, ბოლო საუკუნეებში, ქართველი კაცის წარმოდგენაში იყო ჩამოყალიბებული.

დამოწმებული ლიტერატურა:

გ. წერეთელი 1993 — გ. წერეთელი, საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის, კრებ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993;

თ. ჩხეიძე 1993 — თ. ჩხეიძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში, კრებ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993;

ირან. ენათ. საფუძვლები 1982 — Основы иранского языкознания, Новоиранские языки, Москва, 1982; ფაშანგი 1377 — مصطفی پشنگ، فرهنگ پارسی ریشه یابی واژگان، تهران،1377

ასადი თუსელი 1319 — لغت فارسی، کتاب تالیف ابو منصور عالی بن احمد اسدی طوسی، بتصحیح و اهتمام عباس اقبال، تهران، 1319.

გორგანელი 1971 — فخرالدین اسعد گرگانی، "ویس و رامین" تصحیح ماگالی تودوا، الکساندر گواخاریا، انتشارت بنیاد فرهنگ ایران، تهران،1971

ხაყანი 1357 — خاقانی شروانی، به کوشش ضیاءالدین سجادی، تهران، 1357

ვ. გაბაშვილი 1980 — ვ. გაბაშვილი, შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლური კულტურა, კრებ., აღმოსავლური კულტურა, თბილისი, 1980;

ივ. ჯავახიშვილი 1965 — ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965;

„ქართლის ცხოვრება“ 1959 — „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1959;

რუსთველი 1966 — რუსთველი შ., „ვეფხისტყაოსანი“, აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966;
دهخدا، لغت نامه فارسی، تهران، 1372 — 1372 علی اکبر
გ. ჯაფარიძე 1993 — გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები, კრებ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993.

Nomadi Bartaia

Georgians and Iranians in Each Other's Notion
Summary

Iranians referred to Georgians with the following terms: Vrkan - in old Persian, Varu n - middle Persian and Abkh z and Gorji - in modern Persian.

As long as Vrkan nad Varu n means 'the country of wolves' (suffix 'n' refers to geographical names) and the wolf for Iranians represents the symbol of strength and bravery, it becomes clear what was the image of Georgians in Iranian notion.

According to the Persian sources, the new term denoting Georgians like 'Abx z' and 'Gorj' evoked only positive emotions.

Georgian people referred to Iranians with the following terms: Persian, 'Kizilbash' and Iranian.

According to the Georgian sources, terms denoting Iranians evoked negative feelings in Georgians. The term 'Persian' was not an exception, mainly in the XII century, when Persian was a state and literary language in the Turkish-Seljuq Empire, the term 'Persian' implied not only ethnic Persian but Muslims, in general.

Since Georgia become an independent state and in 1992 Iran and Georgia, as two independent states, managed to form direct relationship with each other, the image of enemy of Iranians formed in the notion of Georgians for centuries, has begun to disappear.

თეიმურაზ გვანცელაძე

„აფსუარა“ — აფხაზთა იდენტობის კოდექსი და მისი მეტამორფოზები

სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ აფხაზი ხალხი საკუთარ ეთნიკურ ვინაობას განსაზღვრავს **აფსუარა**-ს მაიდენტიფიცირებელ კატეგორიაზე დამყარებით. ტერმინი **აფსუარა** წარმოადგენს აფხაზთა ავტოეთნონიმ **აფსუა**-ს კრებით-აბსტრაქტულ ფორმას (**აფსუა** „აფხაზი“ + კრებითობა-აბსტრაქტულობის სუფიქსი **-რა**) და ითარგმნება როგორც „**აფხაზობა**“, შდრ.: ჩერქეზული (ადიღეურ-ყაბარდოული) **ადიღაღა** ადიღელობა“, ქართული **ქართველობა**... ცნება **აფსუარა** მეტად რთული და ფართოა. მას სპეციალისტები სხვადასხვაგვარად განმარტავენ, თუმცა ყველა განმარტებაში მეორდება ერთი და იგივე სემანტიკური ბირთვი:

აფსუარა მოიცავს ყველა იმ ეთნიკურ-გენეტიკურ, ლინგვისტურ, კულტურულ, რელიგიურ, ზნეობრივ-ეთიკურ, ესთეტიკურ, კომუნიკაციურ და ქცევის თავისებურებათა ერთობას, რაც აფხაზ ხალხს განასხვავებს ყველა სხვა, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ხალხისაგან და ქმნის დიქოტომიას **ჩვენ — ისინი.**

შენიშვნა: ტერმინი პირველად დასტურდება 1920 წლიდან, როცა იგი გამოიყენა აფხაზური მწერლობის ფუძემდებელმა დიმიტრი გულიამ იხ.: http://apsnyteka.narod2.ru/abhazskaya_entsiklopediya/a/index.htm. ტერმინის უახლესი განმარტება იხ.: http://apsnyteka.narod2.ru/abhazskaya_entsiklopediya/a/index.htm.

აფსუარა-ს ცნებაში ასახულია აფხაზი ხალხის კოლექტიური თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ რა სავალდებულო თვისებები უნდა ჰქონდეს პიროვნებას, რომ იგი ჭეშმარიტ **აფსუა**-დ (აფხაზ-ად) ჩაითვალოს. შესაბამისად, **აფსუარა** წარმოადგენს **აფსუა**-ს ეროვნულ იდეალს, მის მაიდენტიფიცირებელ-ზნეობრივ კოდექსს, რომლის ნორმათა დარღვევა არ შეიძლება.

შენიშვნა: ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობის საკითხებს. ბათუმელ აფხაზთა იდენტობის თავისებურებათა აღწერა იხ. ნაშრომებში: თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე. აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობა. 1. პირველი სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიციის წინასწარი შედეგები. თბ., 2011; Т. Гванцеладзе, М. Табидзе, Т. Гитолендиа, С. Чаава. Основные аспекты идентности абхазов, живущих в Аджарии. Тб., 2011; T. Gvantseladze, M. Tabidze, T. Gitolendia, S. Chaava. Basic Aspects of Identity of the Abkhazians Living in Ajaria. Tbilisi, 2011.

აღსანიშნავია, რომ **აფსუარა**-ს იდეალურ **კომპონენტთა დიდი ნაწილი** ასევე იდეალურია სხვა ეთნოსებისთვისაც, ანუ **უნივერსალურია**. ასეთებია, მაგალითად, შემდეგი მოთხოვნები:

1. პატივი უნდა სცე შენი ხალხის ეროვნულ ნიშან-თვისებებსა და ინტერესებს. საჭიროების შემთხვევაში უნდა იბრძოლო და თავი შესწირო მათ დასაცავად;
2. უნდა იცოდე შენი დედაენა და მოუარო მას;
3. უნდა გიყვარდეს სამშობლო და დაიცვა მისი თავისუფლება;
4. უნდა იყო პატიოსანი, კეთილშობილი, ღირსეული ვაჟკაცი/ქალი, კაცთმოყვარე (ჰუმანისტი), სამართლიანი, თავდაჭერილი, მომთმენი (მიმტევებელი);
5. პატივი უნდა სცე მშობლებსა და ნათესავებს...

უნივერსალურ იდეალთა გარდა, აფხაზებს აქვთ ის იდეალებიც, რომლებიც საზიაროა მათ მონათესავე სხვა ხალხებთან (აბაზებთან, ჩერქეზებთან, ქართველებთან, ჩეჩენ-ინგუშებთან, დაღესტნის ხალხებთან). ამ იდეალებს შეიძლება **იბერიულ-კავკასიური იდეალები** ეწოდოს. ესენია: უფროსი ასაკის ადამიანთა განსაკუთრებული პატივისცემა, სტუმარმასპინძლობა, ძველი ტრადიციების დაცვის მოთხოვნა, ძმადნაფიცობა და სხვ.

აფხაზთა იდენტობა კომპლექსური, დაუნაწევრებელი იდეოლოგიური ერთეულია და მასში ზოგადსაკაცობრიო და იბერიულ-კავკასიური იდეალები ტრანსფორმირებულია ეროვნული, ინდივიდუალური, მხოლოდ აფხაზთათვის სპეციფიკური ნორმების მიხედვით და ემატება მხოლოდ აფხაზთათვის დამახასიათებელი ნორმები. **აფსუარა**-ს იდეალურ სისტემაში გადამწყვეტია თვით ამ ცნების სემანტიკა (**აფხაზობა**, ანუ აფხაზად ყოფნა), რაც გულისხმობს **პიროვნების სურვილს**, იყოს **აფსუა** (აფხაზი) და სხვა აფსუების მიერაც განიხილებოდეს **აფსუა**-დ, აგრეთვე აფსუა ინდივიდებისაგან შემდგარი **სოციუმის თანხმობას**, ჩათვალოს მოცემული პიროვნება ამ სოციუმის სრულფასოვან წევრად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აფხაზთა ეთნიკურ იდენტობას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს აფსუა ინდივიდებისაგან შემდგარი სოციუმის კოლექტიური თვითშეგნება.**

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ბინადარი ეთნოსის იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია **განსაკუთრებული მიჯაჭვულობა სამშობლოსადმი, მშობლიური მიწისადმი, წინაპართა საფლავებისადმი.** სწორედ ეს კომპონენტი აჩენს ეთნოსში სამშობლოს სიყვარულსა და მისი დაცვის აუცილებლობას. ისტორიული სამშობლოდან ახალ საცხოვრისში გადანაცვლებულ ინდივიდსაც და ჯგუფსაც თან ახლავს ხოლმე სამშობლოს ნოსტალგია. ამის პარალელურად მიგრანტებს სჩვევიათ წინაპართა სალოცავების გადატანა ახალ საცხოვრისში, რაც უიოლებს მათ ახალ საბინადროსთან ადაპტირებას. წინაპრების მიწის ხსოვნა და მონატრება გადაეცემა თაობიდან თაობას და აისახება როგორც

ფოლკლორში (ისტორიულ გადმოცემებში), ისე ეთნოგრაფიულ ყოფაში (წინაპართა სალოცავებისა და საფლავების მონახულების აუცილებლობაში).

როგორც დადგენილია, ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები XVI საუკუნემდე ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში და წარმოადგენდნენ ერთიანი აფხაზურ-აბაზური ეთნოსის განუყოფელ ნაწილს. ახლანდელი აფხაზეთის მიწაზე გადმოსახლებისას მათ უეჭველად თან მოჰყვებოდათ ისტორიული სამშობლოს სიყვარული, ექნებოდათ ნოსტალგია წინაპართა მიწისადმი, პერიოდულად ივლიდნენ წინაპართა საბინადროში დარჩენილი სალოცავების მოსალოცად და წინაპართა საფლავების მოსანახულებლად. ამასთანავე, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებენ, ახალმოსახლეებს აფხაზეთში შეუქმნიათ თუ გადმოუნაცვლებიათ თავიანთი ტრადიციული წარმართული სალოცავები, კერძოდ, **აბჟ-ნგხა** „შვიდი ხატი“, რომლებსაც ახლაც დიდი როლი აკისრია აფხაზთა ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, ამ სალოცავთა გადმონაცვლებამ ახალ ადგილზე ხელი შეუწყო ერთიანი აფხაზურ-აბაზური იდენტობის საბოლოო რღვევასა და ახალი, საკუთრივ აფხაზური (აფსუური) ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებას. ამის გამო აფხაზები თავს უკვე აღარ განიხილავენ აფხაზურ-აბაზური ეთნოსის განუყოფელ ნაწილად და ჩამოუყალიბდათ საკუთარი ეთნიკური იდენტობა, თუმცა ხსოვნა იმისა, რომ აბაზა ხალხი მათი უახლოესი მონათესავეა, დღემდეა შენარჩუნებული აფხაზთა შორის.

რა თქმა უნდა, ადრინდელი ეთნიკური იდენტობის ფარგლების დავიწროება და ახალი ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბება უმტკივნეულო პროცესი ვერ იქნებოდა, რასაც კიდევ უფრო გაამძაფრებდა აფხაზეთში ახლადმოსულ აფსუათა სერიოზული ოპოზიცია დამხვდურ ქართულ მოსახლეობასთან, რომელიც მოსული აფხაზებისაგან განსხვავდებოდა ეთნიკური იდენტობით, ენით, რელიგიით, კულტურით, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნებით, ეკონომიკურად, ეთნოგრაფიული თავისებურებებით.

განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომმა აფხაზებმა ნებით თქვეს უარი ისტორიულ სამშობლოზე. ისინი არ იყვნენ ჩვეულნი ბარში და ზღვისპირას ცხოვრებას, მისდევდნენ ექსტენსიურ მიწათმოქმედებასა და ინტენსიურ მესაქონლეობას (უპირატესად მთაში შედარებით იოლად მოსავლელი წვრილფეხა პირუტყვის, განსაკუთრებით თხების მოშენებას), არ ჰქონდათ სახელმწიფოს მოქალაქის შეგნება, არ იყენებდნენ წერილობით კულტურას. აფხაზები, როგორც ჩანს, დიდხანს ვერ შეეგუვნენ ახალ საცხოვრებელს, ვერ აითვისეს აქაური მიწა და ზღვა, არ იცოდნენ მათი გამოყენების ხერხები, რის გამოც აფხაზთა მთავარ საქმიანობად მეზობელ ქართველებზე და თანატომელებზე თავდასხმები, მათი დატყვევება-გაყიდვა, ძარცვა იქცა, რასაც უამრავი წერილობითი წყარო ადასტურებს (მაგალითად, არქანჯელო

ლამბერტის XVII საუკუნის ჩანაწერები). წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ აფხაზთა მთავარი საქმიანობა სამხედრო ვარჯიში, ძარცვა-თარეში და მესაქონლეობა ყოფილა, ანუ მათი იდენტობა ჯერ კიდევ არ გულისხმობდა ბინადარი და ავტოქთონი მოსახლეობისათვის დამახასიათებელ ცხოვრების წესსა და მორალს.

მეტად საყურადღებოა ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგი ცნობა აფხაზთა შესახებ:

„ხოლო კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს ცქჯტნი და ტანოვანნი, წერწეტნი, მპარავნი, ავაზაკნი, ზღუათა შინა მავალნი ოლეჭკანდარებითა, რომელთა შინა შთასხდებიან რ [= 100], ს [=200] და ტ [300], დაუჭდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ-გურიასა. არამედ არიან ბრძოლასა შინა მდედრნი, მალ-მიმდრეკნი, ზღუასა შინა მაგარნი და ძლიერნი. სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხჯან, ვითარცა კერპნი, ვინაჲთგან არა დაჰფლვენ მკუდართა თჳსთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკუეთუ შტვენს მკუდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსუენებულად მერმესა მას. გარნა უწყიან ნათესაობა, ცოლი ერთი, მარხუა, აქუთ სასოება მღუდელთა ფრიად. არა იქმნებიან მათ შორის სიძვა, მრუშება, რამეთუ დასწუენ შემცოდეთა. უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად. ენა საკუთარი თჳსი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული. სხდებიან სკამთა ზედა და სჭამენ ტაბლასა ზედა. და არიან ერდგულნი ფრიად თჳსთა მეპატრონეთა და მორჩილნი მისნი“ (ვახუშტი 1973:785-786).

ციტირებული ცნობა გვიჩვენებს, რომ ა. ლამბერტის შემდგომ XVIII საუკუნისათვის აფხაზთა იდენტობასა და ყოფაში ბევრი რამ უცვლელად დარჩენილა, თუმცა მცირედი ცვლილებანიც მომხდარა: აფხაზები კვლავაც მისდევენ ქურდობა-ძარცვა-თარეშს; ოჯახებში სკამები და ტაბლები გაჩენილა; თავს უკვე ქრისტიანებად რაცხენ, თუმცა მათი რწმენა ნომინალურია და წამყვანი ადგილი კვლავ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს უჭირავს; შესჩვევიან ზღვას, ოღონდ მას იყენებენ არა როგორც საკვების მოპოვების უშრეტ წყაროს, არამედ როგორც ძარცვა-თარეშის არეალის გაფართოების საშუალებას. ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ აფხაზურ მრავალღმერთიან წარმართულ პანთეონში არ არსებობს ზღვის, მეთევზეობისა და ნაოსნობის მფარველი ღვთაება, მაგრამ წმინდა გიორგის (აფხაზურად **აირგი // აერგი**) გაწარმართებულ კულტში ამ წმინდანის ფუნქციებს შემატებია **ყაჩაღობა-ძარცვისა და ქურდობის, მესაქონლეობის, ნადირობისა და ჭექა-ქუხილის ღვთაების** ფუნქციებიც (თ. გვანცელაძე 2011:339), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ახალ ადგილზე დასახლებულ აფხაზებს დროთა მანძილზე ქართველებისაგან ზედაპირულად შეუთვისებიათ ქრისტიანობა და

მოურგიათ იგი წარმართობისათვის, ხოლო ადრინდელი მთავარი საქმე კვლავაც „წმინდა საქმედ“ შეუნარჩუნებიათ.

ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოხმობილი ცნობიდან იკვეთება ის ფაქტიც, რომ XVIII საუკუნის აფხაზთა იდენტობაში საყურადღებო სიახლე იყო ქართული ენის ცოდნის საყოველთაო გავრცელება წარჩინებულთა შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ იმდროინდელი აფხაზური არისტოკრატია იწყებს ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ სისტემასთან ადაპტირებას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს აფხაზთა დიდი ნაწილი თავს ქრისტიანად აცხადებს, იცავს მარხვას, პატივს მიაგებს სამღვდელოებას, თუმცა ისინი ღრმადმორწმუნე ქრისტიანებად ჯერ კიდევ არ ქცეულან, რადგან მტკიცედ იცავენ აფსუარას ძირითად მოთხოვნას წინაპართა რწმენის ერთგულების შესახებ (ისევე, როგორც ა. ლამბერტის ეპოქაში, ასი წლის მერეც ისინი მიცვალებულებს ხეზე ჰკიდებდნენ).

აფხაზთა მასობრივი ინტეგრაცია ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ, ენობრივ და რელიგიურ-კულტურულ სივრცეში დროთა მანძილზე ალბათ უფრო ინტენსიური იქნებოდა, რომ არა XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში დაწყებული კატაკლიზმები: ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა რუსეთის იმპერიის მიერ, ქართული ენის დევნა-შევიწროება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ეთნოსთა დაპირისპირების პოლიტიკის გატარება და ა.შ. XIX საუკუნის 80-იან წლებამდე აფხაზეთში ინტენსიურად მიმდინარეობდა აფხაზთა გაქრისტიანების პროცესი, რაშიც წამყვან როლს ქართველი სასულიერო მოღვაწენი ასრულებდნენ. მათი დამსახურებაა ის, რომ მუჰაჯირობის დროს აფხაზეთიდან გადასახლებას გადაურჩნენ ის აფხაზები, ვინც მოასწრო ქრისტეს რჯულზე მონათვლა. აფხაზი ხალხის ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ და რელიგიურ იდენტობაზე დიდი გავლენა მოახდინა მუჰაჯირობამ და „დამნაშავე ხალხის“ სტატუსის ოფიციალურად მინიჭებამ.

ეთნიკური წარმოშობის თვალსაზრისით ამჟამინდელი აფხაზები ერთგვაროვანნი არ არიან. ამ ეთნოსის შემადგენლობაში ძალზე დიდ წილს ქმნიან გააფხაზებული პირები, ვისი წინაპრებიც ქართველები, უბიხები, ჩერქეზები, ყარაჩაელები, თურქები იყვნენ. ეს პირები დღეს, რა თქმა უნდა, თავს აფხაზებად მიიჩნევენ, მაგრამ მათ იციან თავიანთ წინაპართა ეროვნება, მათი გააფხაზების ისტორია და ეს, ერთი მხრივ, გარკვეულ ოპოზიციას ქმნის წმინდა აფხაზური წარმოშობის აფხაზთა ეთნიკურ იდენტობასთან, მეორე მხრივ კი დისკომფორტს უქმნის აფხაზი ხალხის შემადგენლობაში შესულ ამ მრავალრიცხოვან ინდივიდებს, ვისი წინაპრებიც არ იყვნენ ეთნიკური აფხაზები და სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მიზეზების გამო გვიან გახდნენ აფხაზი ხალხის ნაწილი (გააფხაზდნენ).

ამჟამად არააფხაზური ეთნიკური წარმომავლობის გააფხაზებულ პირთა შორის ყველაზე დიდ ჯგუფს ყოფილი ქართველები ქმნიან, რაც ცხადად ჩანს გვარსახელებიდან. მაგალითად, ამჟამინდელ აფხაზთა ძალიან დიდ ნაწილს აქვს ქართული ეტიმოლოგიის მქონე გვარები (ჭითანავა, ნოდია, კამკია, ჭკადუა, ხალვაში, ამფარ < მეფორია, აჯინჯალ < ჯინჯოლია...), თუმცა ისინი უკვე ეთნიკურ აფხაზებად განიხილავენ საკუთარ თავს და სხვა აფხაზებიც ეთანხმებიან ამას. მათ არ იციან ქართული ენა და მისი მიკროვარიანტები, ფლობენ აფხაზურ ენას და ა.შ. მაშასადამე, გამოდის, რომ **აფხაზ ხალხს არ აერთიანებს ისეთი, ერთი შეხედვით, გადამწყვეტი ნიშანი, როგორიცაა ეთნიკური წარმომავლობა.**

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ კონფლიქტის შემდეგ ზოგმა აფხაზმა, ვისაც ქართული წარმომავლობის გვარები ჰქონდა, გვარებს ქართული სუფიქსები აფხაზურით შეუცვალა, ან საერთოდ გამოიცვალა გვარი. მაგალითად, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტში მუშაობს რამდენიმე ასეთი მეცნიერი: ლინგვისტი ლეონიდ **სამანბა** კონფლიქტამდე გვარად **სამანჯი**ა იყო, ისტორიკოს იგორ **მარგხვბას** ადრინდელი გვარია **მარხოლია**, ხოლო ეთნოლოგი გალინა **თარჯმან-იფა** ადრე **კოპეშავიძე** იყო. იხ.: http://kolhida.ru/index.php3?path=_abigi&source=otdel. ამ 3 ახალი გვარიდან არცერთი არ არსებობდა კონფლიქტამდე.

ასეთივე სურათი იკვეთება აფხაზთა **რელიგიურ-კონფესიური ნიშნით** დახასიათების შემთხვევაშიც. აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ 2003 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, აფხაზები ამ ნიშნის მიხედვით მოზაიკურ სურათს წარმოგვიდგენენ: მათი 60 % მართლმადიდებელი ქრისტიანია, 16 % - სუნიტი მაჰმადიანი, 3 % — „აფხაზური რელიგიის“ მიმდევარი, 5 % — წარმართი (ე.წ. აფხაზური რელიგია რეალურად წარმართობაა, თუმცა აფხაზი ეთნოლოგები არ აღიარებენ ამას), 8 % — ათეისტი, 2 % აღიარებს სხვა კონფესიებს, ხოლო 6 %-ს უჭირს თავისი რელიგიური იდენტობის განსაზღვრა (АБХАЗИЯ (Республик Абхазия). — http://apsnyteka.narod2.ru/abhazskaya_entsiklopediya/a/index.html).

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ 1994-1998 წლებში აფხაზეთში ჩატარებული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ რეალურად აფხაზთა უმრავლესობა წარმართია და მათი ქრისტიანობა, ან მაჰმადიანობა ფორმალურია, ვინაიდან ქრისტიანები არ დადიან, ან იშვიათად დადიან ეკლესიაში, არ ჰყავთ მოძღვარი, არ ამბობენ აღსარებას, არ ეზიარებიან, არ მარხულობენ, არ კითხულობენ ბიბლიას; აფხაზი მაჰმადიანები არ დადიან, ან იშვიათად დადიან ჯამეში, არ ასრულებენ ლოცვებს, არ ასრულებენ წინადაცვეთას, არ კითხულობენ ყურანს, ჭამენ ღორის ხორცს, სვამენ ღვინოსა და

არაყს, არ ჰყავთ ერთზე მეტი ცოლი. ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც სწამთ წარმართული ღვთაებები, ემინიათ ხეების სულებისა, სჯერათ წარმართული სალოცავების (**ანგ**ხა-ს) ყოვლისშემძლეობა. ქრისტიანები, მაჰმადიანები და წარმართები ერთად აღნიშნავენ დიდ ქრისტიანულ, მაჰმადიანურ და წარმართულ დღესასწაულებს, სადაც მათ, რუს მეცნიერთა აზრით, ყველაზე მეტად ქეიფი იზიდავს. იმავე მეცნიერთა ცნობით, გამოკითხულ აფხაზთა უმრავლესობას თვითონ, ან მათ ახლობლებს აქვთ ტრადიციული სალოცავები, ან მიუმართავთ ამ სალოცავებისათვის. მეტიც, აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა დაამტკიცა დღესასწაულების სია, რომელშიც 8 უქმე დღიდან თითო არის ქრისტიანული (7 იანვარი — ქრისტეშობა), მაჰმადიანური (6 ნოემბერი — ყურბან-ბაირამი) და წარმართული (13 იანვარი — აჟგრნგჰვა/ხეჩხვამა, ანუ სამყაროს შექმნა-განახლების დღე). სოციალურ ქსელებში გავრცელდა ე.წ. აფხაზური ეკლესიის საეპარქიო საბჭოს ყოფილი მდივნის გერმან მარშანის მიერ გადაღებული კურიოზული ვიდეომასალა, რომელშიც ასახულია, თუ როგორ მონაწილეობს ახალი ათონის მამათა მონასტრის 3 აფხაზი ქრისტიანი სასულიერო პირი წარმართულ რიტუალში — აფხაზი აბიტურიენტისთვის აინარ წვიჯბასთვის ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე წარმატების საგარანტიოდ კლავენ თხას სოფელ ჭლოუს წმინდა ტყეში (АБХАЗИЯ (Республика Абхазия). ერთობა არ არის არც ქრისტიანთა შორის, რომლებიც ნაწილდებიან მართლმადიდებლობასა და სხვადასხვა სექტაში, მეორე მხრივ კი მართლმადიდებელთა შორისაც არის დიდი განხეთქილება: ე.წ. აფხაზური ეკლესიის მმართველ პრორუსულ ჯგუფს - დეკანოზ ბესარიონ აფლიას (ამ სასულიერო პირის ნამდვილი გვარი **ფილია** იყო. გვარი მან კონფლიქტის შემდგომ გადაიკეთა თავისი ჭეშმარიტი აფხაზობის დასამტკიცებლად) ჯგუფს დაუპირისპირდა პრობერძნულად განწყობილ აფხაზთა მცირერიცხოვანი ჯგუფი (იერომონაზვნების ანდრეი ამფარისა და დოროფეი დბარის ჯგუფი)(http://ruskline.ru/analitika/2011/04/15/ne_poddavatsya_na_provokacii_raskolnikov_i_modernistov/).

ეს მონაცემები იძლევა იმ დასკვნის გამოტანის უფლებას, რომ **აფხაზ ხალხს არ აერთიანებს არც რელიგიურ-კონფესიური ფაქტორი**.

ნებისმიერი ეთნოსის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი დუღაბია **სამშობლოს ცნება და დამოკიდებულება სამშობლოსადმი**. აფხაზი ხალხისთვისაც ასე უნდა იყოს. როგორც ბოლო პერიოდის კვლევებმა აჩვენა, აფხაზთა ისტორიული სამშობლო მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში, სადაც აფხაზები აბაზა ხალხთან ერთად ერთ ეთნოსად ცხოვრობდა XVI საუკუნემდე და ემეზობლებოდა ჩერქეზებს, უბიხებსა და ყარაჩაელ-ბალყარელებს (ვრცლად იხ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი.

თბილისი, 2007; Очерки из истории Грузии. Абхазия. С древнейших времен до наших дней. Тбилиси, 2009).

ამ 30-40 წლის წინათ აფხაზ მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვდათ, რომ მათი წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან მოსულნი. XIX-XX საუკუნეთა მიჯნიდან დაწყებული მიმდინარეობდა აფხაზეთის ისტორიის გაყალბების ინტენსიური პროცესი და წერილობით, კარტოგრაფიულ და ეთნოლოგიურ მონაცემთა მცდარი ანალიზის გზით საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით მასობრივად ინერგებოდა თვალსაზრისი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა მონოავტოქთონობის შესახებ. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ ეს თვალსაზრისი აფხაზთა შორის გავრცელებულ **ერთადერთ ფუძემდებლურ კონცეპტად გადაიქცა,** რაც ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი იყო აფხაზთა და ქართველთა შორის დაპირისპირების გაღვივებისა. ელცინის, შევარდნაძისა და არძინბას კლანების მიერ ინსპირირებული 1992-1993 წლების ომი, რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია-ანექსია და 2008 წელს იმავე რუსეთის მიერ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის ოფიციალურად ცნობა აფხაზებს მასობრივად მიაჩნიათ საქართველოსაგან განმათავისუფლებელ სამამულო ომად და დამოუკიდებლობის აღდგენად, ანუ **ფაქტობრივად აფხაზმა ხალხმა ტოტალურად დაივიწყა თავისი რეალური ისტორია, წინაპართა ისტორიული სამშობლო და უსამართლოდ ცდილობს მიითვისოს აფხაზეთის ერთადერთი მემკვიდრის უფლებები,** რასაც თან მოჰყვა რეგიონის ეთნიკური წმენდა და იქ ჩარჩენილ ქართველთა დევნა-შევიწროება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აფხაზებს დღეს რეალურად აერთიანებს საკრალური სიყვარული აფხაზეთისადმი,** რომელსაც განიხილავენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ, მაგრამ გაფეტიშებული დამოკიდებულება ახლანდელი სამშობლოსადმი ემყარება უსამართლობას, საკუთარი ფესვების დავიწყებას, სხვისი ღირსებებისა და უფლებების შელახვას, რაც **აფხაზთა ეთნოფსიქოლოგიის რადიკალური ტრანსფორმაციის გამოვლინებაა და საფუძველშივე ეწინააღმდეგება აფსუარას ფუძემდებლურ იდეალებს**, რომლებიც ყოველი აფხაზისაგან მოითხოვენ სამართლიანობას, სხვისი ღირსების პატივისცემას, საკუთარი ისტორიული ფესვების ცოდნა-დაფასებას.

განვიხილოთ **ენის ფაქტორისადმი აფხაზთა დამოკიდებულება და აფხაზური ენის ფუნქციონირება ამჟამინდელ ფსევდოდამოუკიდებელ აფხაზეთში.**

აფხაზ ხალხს აქვს თავისი საკუთარი ენა, რომელიც, მართალია, ყველა ენობრივ დონეზე ძალიან ახლოს დგას აბაზურ ენასთან, მაგრამ მათ შორის აბსოლუტური იდენტურობა არ არის (აფხაზურ-აბაზური ენობრივი კონტინუუმი, ჩვენი აზრით, დაიშალა XVI საუკუნის ახლო ხანებში) (გვანცელაძე 2008:22-39). რაკი **აფსუარა**-ს სისტემაში დიდ ადგილი უჭირავს უნივერსალურ და იბერიულ-კავკასიურ იდეალებს, ხოლო აფხაზური ენა განსხვავებულია არა

მარტო არამონათესავე, არამედ თვით მონათესავე ენებისგანაც კი, სწორედ **აფხაზური ენა უნდა იყოს აფხაზი ხალხის იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი მარკერი** (იდეალური პრინციპი: ყოველ ეთნოსს საკუთარი, სხვისგან განსხვავებული ენა უნდა ჰქონდეს): ამ ეთნოსის წარმომადგენელთა უმრავლესობა აფხაზურ ენას უნდა მიიჩნევდეს საკუთარ დედაენად; მათ კარგად უნდა იცოდნენ თავიანთი ეროვნების ენა; უნდა უვლიდნენ მას; იყენებდნენ არა მარტო ყოფით ურთიერთობაში, არამედ განათლების სისტემაში, კულტურის დარგებში, მასმედიაში, ოფიციალურ საქმისწარმოებაში, მეცნიერებაში, რელიგიურ ცხოვრებაში და ა.შ.

თუ მეფის რუსეთისა და საბჭოთა პერიოდებში ილახებოდა არარუსულ ენათა და მათ შორის აფხაზური ენის უფლებები, ამ ენის სრული მასშტაბით ფუნქციონირებისათვის ყველაზე კარგი პირობები აფხაზეთის „დამოუკიდებლობის აღდგენის“ შემდეგ უნდა შეექმნა „ეროვნულ ხელისუფლებას“, რომელსაც ამ საქმეში ხელს ვერ შეუშლიდნენ „ქართველი დამპყრობლები“.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, კონფლიქტამდე, 1989 წელს თავის დედაენად აფხაზურს ასახელებდა აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა 97 %, მაგრამ ეს მონაცემი არ ასახავს მაშინდელ რეალურ ვითარებას. მონაცემთა სიმცდარეს ძირითადად 2 ფაქტორი განაპირობებდა:

1. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას არ სურდა იმის ოფიციალურად აღიარება, რომ ავტონომიის სატიტულო ეთნოსის ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა განუხრელად იკლებდა სსრკ-ს არსებობის 70 წლის მანძილზე განხორციელებული ანტიეროვნული და გამარუსებელი ენობრივი პოლიტიკის შედეგად;

2. აღწერების დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაენის განსაზღვრის საკითხს სტერეოტიპულად უყურებს, რასაც ხელს უწყობს დასმულ შეკითხვათა თანმიმდევრობა: ჯერ ეკითხებიან, თუ რომელია რესპონდენტის ეროვნება, მერე კი დაისმის შეკითხვათა სერია ენების შესახებ (რომელია თქვენი დედაენა? დედაენის გარდა რომელი ენები იცით?...). რესპონდენტები ამ დროს ავტომატურად ფიქრობენ, რომ მათი ეროვნების განსაზღვრა პირდაპირ კავშირშია მის დედაენასთან და ენების ცოდნასთან. მათ გონებაში უმალვე ამუშავდება სტერეოტიპი: „რაკი მე მივუთითე, რომ ვარ X ეროვნების წარმომადგენელი, უხერხულია ჩემს დედაენად Y ეროვნების ენის დასახელება; გარდა ამისა, რატომ უნდა ვაღიარო უცხო ადამიანთან [აღმწერთან - თ.გ.], რომ მე არ ვიცი/ცუდად ვიცი ჩემი ეროვნების ენა?!“ ამიტომ გამოკითხულ პირთა დიდი ნაწილი უხერხულობას გრძნობდა საკუთარი ეროვნებისა და დედაენის სხვადასხვაობის გამო; არ აფიქსირებდა, რომ არ იცოდა, ან ცუდად ფლობდა საკუთარი ეროვნების ენას და აცხადებდა, რომ მისი დედაენა საკუთარი ეროვნების ენაა;

3. აღწერის დროს შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს რესპონდენტთა დედაენის ცოდნის დონე და ხარისხი. შეიძლება ადამიანმა ცუდად იცოდეს დედაენა, მაგრამ განაცხადოს, კარგად ვიცი.

ჩვენი შეფასებით, 1989 წლისათვის აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრებ აფხაზთაგან **აფხაზური ენა კარგად და საშუალოდ იცოდა დაახლოებით 60 %-მა. მათთვის აფხაზური ენა რეალურად წარმოადგენდა დედაენას.** აფხაზური მოსახლეობის ეს კატეგორია შედგებოდა შემდეგი სტრატებისაგან:

— მონოეთნიკური აფხაზური სოფლების მოსახლეობის საშუალო და უფროსი ასაკის ორივე სქესის მცხოვრებნი (50 წელზე უფროსი აფხაზები);

— ბიეთნიკურ და პოლიეთნიკურ სოფლებში კომპაქტურად მცხოვრებ აფხაზთა უფროსი თაობა. ასეთი მოსახლეობა იყო, მაგალითად, გულრიფშის რაიონის სოფელ მარდახუჭში; გალის რაიონის სოფლებში: ჩხორთოლში, გუდავაში, ტოგონში, ბულიშხინჯში; გუდაუთის რაიონის სოფლებში: ანუხვაში, ახალსოფელში, ოთჰარაში, პრიმორსკოეში; ოჩამჩირის რაიონის სოფლებში: ბესლახუბაში, ნაგვალოუში, კოჩარას სასოფლო საბჭოს სოფელ ჭლოუში, მერკულაში, ფოქვეშში, ნაოჩში, წიკრიშში; სოხუმის რაიონის სოფლებში აძიგეჟსა და შიკვარაში; გაგრის რაიონის სოფლებში აყვარაში, ლიძავასა და რაფიწაში;

— მონოეთნიკური აფხაზური სოფლებიდან ქალაქებში ახლად მიგრირებული აფხაზების საშუალო და უფროსი თაობა;

— ქალაქებში დიდი ხნის წინ მიგრირებულ აფხაზთა უფროსი თაობა, აგრეთვე ჰუმანიტარულ სპეციალობათა მქონე ყველა თაობის ინტელიგენცია (საბავშვო ბაღებისა და სკოლების პედაგოგები, უნივერსიტეტის პროფესურა, მეცნიერები, ჟურნალისტები, მწერლები, მსახიობები...).

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ აფხაზური ენის კარგად და საშუალოდ მცოდნეთა შორის 2 ჯგუფი გამოიყოფოდა:

1. ვინც კარგად/საშუალოდ ლაპარაკობდა აფხაზურად და ამასთანავე მაღალ/საშუალო დონეზე იცოდა სამწიგნობრო აფხაზური ენაც;

2. ვინც კარგად/საშუალოდ ლაპარაკობდა ამ ენაზე, მაგრამ ცუდად იცოდა/სრულებით არ იცოდა სამწიგნობრო აფხაზური ენა.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინ გაცილებით დაბალი იყო დედაენის ცოდნის დონე სოფლის ახალგაზრდობასა და ბავშვთა შორის; მათთან შედარებით აფხაზური ენის ცოდნა ბევრად უფრო იშვიათი იყო ქალაქების აფხაზური მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. მეტიც, როგორც თვით აფხაზი ავტორებიც აღნიშნავენ, ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა **მონოეთნიკურ გარემოშიც კი** სხვა ენას (რუსულს) იყენებდა და იყენებს კომუნიკაციისათვის (Михаил

Джергения. Современная культура Абхазии и глобализация.http://www.apsnyteka.org/d/sovremennaya_kultura_abhazii_i_globalizatsiya/index.html).

აფხაზეთში აფხაზურ ენას ქართულ და რუსულ ენებთან ერთად 1926 წლიდან მინიჭებული ჰქონდა რეგიონის სახელმწიფო ენის ოფიციალური სტატუსი, მაგრამ **რეალურად აფხაზური, ქართული ენის მსგავსად, ფუნქციონირებდა მხოლოდ მონოეთნიკურ გარემოში, გაბატონებული და პრესტიჟული კი რუსული ენა იყო.**

როგორც სოფლების, ისე ქალაქების აფხაზური მოსახლეობა ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის იყენებდა აფხაზური ენის დიალექტებს (აბჟუურსა და ბზიფურს), **აფხაზურ სალიტერატურო ენას კი კარგად ფლობდნენ მხოლოდ გარკვეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები**: საბავშვო ბაღებისა და სკოლების მასწავლებლები, უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მიმართულების პროფესურა, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, ჟურნალისტები, მწერლები...

აფხაზთა უმრავლესობა თავისი ეროვნების ენის ნაკლებად ცოდნას ამართლებდა და ამართლებს აფხაზური ენის სირთულით, სპეციალური ტერმინოლოგიის სიღარიბით, ამ ენის უპერსპექტივობით, რუსული ენის პრესტიჟულობითა და ფართო გავრცელებით, პირადი კარიერისათვის აფხაზური ენის გამოყენების სიძნელით, აფხაზურ ენაზე ორიგინალური მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის დაბალი ხარისხით, მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის თარგმანთა ნაკლებობით და ა.შ.

სერიოზულ პრობლემას ქმნის განათლების სისტემის ანტიაფხაზური ხასიათი. ე.წ. აფხაზური სკოლები მოქმედებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში შექმნილი **საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოდელის** მიხედვით, რაც შემდეგს გულისხმობს: დედაენა გამოიყენება სწავლების დაწყებით საფეხურზე, პირველ 4 წელიწადს, როცა ამ ენაზე ისწავლება დისციპლინათა უმრავლესობა რუსული ენის გაძლიერებული სწავლების პარალელურად. მიზანი: სწავლების პირველ ეტაპზე მოსწავლემ იმ დონეზე უნდა შეისწავლოს რუსული ენა, რომ მეორე საფეხურიდან (მე-5 კლასიდან) ყველა დისციპლინა (გარდა მცირე დატვირთვის მქონე აფხაზური ენისა და ლიტერატურის კურსებისა) უნდა აითვისოს რუსულ ენაზე, ანუ **სასკოლო სწავლების პირველ საფეხურზე მზადდებოდა და მზადდება ნიადაგი აფხაზ მოსწავლეთა გარუსებისათვის, ხოლო მეორე საფეხურიდან იწყებოდა და იწყება მოსწავლეთა გარუსების მძლავრი პროცესი**. უნივერსიტეტში, გარდა ფილოლოგიის ფაკულტეტის აფხაზური ენისა და ლიტერატურის სპეციალობისა, ყველა მიმართულებაზე სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ რუსულ ენაზე.

განათლების ამჟამად მოქმედი სისტემა პრაქტიკულად ხელს უწყობს აფხაზური ენის სიცოცხლისუნარიანობის (ვიტალურობის) ხარისხის დაქვეითებასა და მისი ფუნქციონირების სფეროების კატასტროფულ შემცირებას. როგორც აფხაზი ავტორებიც აღნიშნავენ, ე.წ. აფხაზური სკოლის კურსდამთავრებულებს არა აქვთ მინიმალური წარმოდგენაც კი ამ ენის სტრუქტურაზე, ორთოგრაფიის წესებზე, ორთოეპიაზე; ვერ ფლობენ ძირითად ლექსიკურ ფონდს; არ შეუძლიათ აფხაზურ ენაზე საუბარი არასაყოფაცხოვრებო საკითხების შესახებ; არ კითხულობენ ორიგინალურ თუ თარგმნილ ლიტერატურასა და პრესას; არ უყურებენ მცირერიცხოვან აფხაზურენოვან ტელეგადაცემებს; არ უსმენენ აფხაზურ რადიოგადაცემებს; არ დადიან აფხაზურ თეატრში; იშვიათად მღერიან აფხაზურ ენაზე; დაბალია აფხაზური ენის სწავლების ხარისხი; სოციალურ ქსელებში განთავსებულ ისედაც მცირერიცხოვან აფხაზურენოვან მასალებს არა აქვთ ავტორიტეტი და არ ჰყავთ მომხმარებელი და ა.შ. მშობლები, რომლებიც თვითონ იზრდებოდნენ ე.წ. აფხაზურ, რეალურად კი რუსულ სკოლებში და ნაკლებად იციან აფხაზური ენა, **აფხაზურ ენას უპერსპექტივო და უპრესტიჟო ენად მიიჩნევენ,** ამიტომ მათი უმრავლესობა ამჯობინებს შვილების უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად შეიყვანოს შვილები რუსულ სკოლებში. აფხაზი ავტორები ასახელებენ **აფხაზურ პარადოქსს**, როცა **საბჭოთა პერიოდში აფხაზებს არ სურდათ გარუსება, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ აფხაზთა შორის აფხაზური ენის გავრცელების განუხრელ შემცირებას.** ეს პარადოქსი არსებობს დღესაც. აღნიშნავენ იმასაც, რომ, სამწუხაროდ, **აფხაზებს აფხაზური ენა არ მიაჩნიათ განათლების, მეცნიერებისა და ინტელიგენტობის ენად,** რაც ენისათვის **მომაკვდინებელი განაჩენია** (Михаил Джергения. http://www.apsnyteka.org/d/abhazskii_yazik_i_obschestvo_nastoyaschee_proshloe_i_buduschee/index.html).

ახალგაზრდა აფხაზი მკვლევრის ამ სწორ შეფასებებს ჩვენი მხრიდან დავუმატებდით, რომ აფხაზებს აფხაზური ენა არ მიაჩნიათ არც საქმისწარმოებისა და კომუნიკაციის ენად. მაგალითად, აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა 2007 წლის 29 ნოემბერს დაამტკიცა „კანონი აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენის შესახებ“, რასაც დიდი ხმაური მოჰყვა, ერთი მხრივ, რუსეთის ხელისუფლებასა და მასმედიაში და, მეორე მხრივ, აფხაზურ საზოგადოებაში:

კრემლს არ მოეწონა ის, რომ კანონმა აფხაზურს სახელმწიფო ენის სტატუსი განუსაზღვრა, ხოლო რუსული სახელმწიფო და სხვა დაწესებულებათა ენად გამოცხადდა, რაც კანონში **მხოლოდ რევერანსი იყო აფხაზური ენის მიმართ და მხოლოდ ვერბალურ სხვაობას ქმნიდა**, ვინაიდან აფხაზურ, რუსულ და ქართულ ენებს საბჭოთა პერიოდშიც ჰქონდათ სახელმწიფო ენის სტატუსი, მაგრამ

რეალურად მხოლოდ რუსული ასრულებდა ამ სტატუსით ნაგულისხმევ ფუნქციას. ამ უმცირესი ვერბალური სხვაობის გამო გაღიზიანება ვერ დამალა რუსეთის მედიამ და პუბლიცისტიკამ, რომლებიც ირონიით აშუქებდნენ ამ კანონის მიღების პერიპეტიებს (http://abhazy.com/ goslanguage.html). აფხაზმა ჟურნალისტებმაც პროტესტი გამოთქვეს კანონის იმ მოთხოვნის გამო, რომლის თანახმადაც, მასმედია ვალდებული გახდა, კანონის მიღებიდან 6 თვეში გადასულიყო აფხაზურ ენაზე (ტელე- და რადიოგადაცემების, აგრეთვე საგაზეთო სტატიების ნახევარი მაინც ამ ენაზე უნდა ყოფილიყო). ჟურნალისტთა არგუმენტაცია ასეთი იყო: ელექტრონულ და ბეჭდურ მედიას დასჭირდება ახალი თანამშრომლების აყვანა, დამატებითი (და არცთუ მცირე) თანხების გაღება ტექნიკის შესაძენად, გაიზრდება სასტამბო ხარჯები. ყოველივე ეს კი გააკოტრებს მასმედიასო...(მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე 2010:118-119). კანონმა ვერ იმოქმედა ვერც მასმედიაში და ვერც აფხაზეთის ე.წ. პარლამენტში: რამდენიმეჯერ სცადეს აფხაზურ ენაზე სხდომების წაყვანა, მაგრამ იმის გამო, რომ დეპუტატების უმრავლესობამ არ იცის ეს ენა და არ ჰყავთ სინქრონული თარგმანის სპეციალისტები, სხდომები კვლავ რუსულ ენაზე მიმდინარეობს (http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=25746; http://kiaraz. org/ page76; http://www.ekhokavkaza. com /content/article/1969652.html და ა.შ.).

აფხაზური ენის ისედაც მძიმე მდგომარეობას საშიშროებას უქმნის კონფლიქტის შემდგომ მასობრივად ქცეული **აფხაზთა ურბანიზაციის მაღალი ტემპიც,** რაც პრაქტიკულად ხელს უწყობს, ერთი მხრივ, აფხაზური სოფლების დაცლას აფხაზი მოსახლეობისაგან, მეორე მხრივ, სოფლებში აფხაზური ენის გადარჩენის შანსის შემცირებას, ხოლო მესამე მხრივ, ქალაქებში ჩასახლებულ აფხაზთა ახალი თაობების დაჩქარებული ტემპით გარუსებას.

სწორედ ამგვარი დამოკიდებულების შედეგად შეიქმნა უმძიმესი ვითარება: თუ საბჭოთა კავშირის დაშლის წინ ასე თუ ისე მეტი იყო აფხაზური ენის კარგად და საშუალოდ მცოდნე აფხაზთა წილი (60 %-მდე), ამჟამად, ჩვენი ვარაუდით, ამ კატეგორიის აფხაზთა წილი არ უნდა აღემატებოდეს 40 %-ს, რაც **აფხაზური ენის კატასტროფული მდგომარეობის მაჩვენებელია — ეს ენა უკვე გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე დგას.** თუ აფხაზური საზოგადოება არ მიიღებს სათანადო ზომებს (მაგალითად, არ იქნება უზრუნველყოფილი უწყვეტი განათლება აფხაზურ ენაზე საბავშვო ბაღიდან დაწყებული უნივერსიტეტის ჩათვლით და არ მოიძებნება სტიმული ამ ენის შესასწავლად), უმოკლეს დროში მივიღებთ სამწუხარო შედეგს: გაქრება მრავალი თვალსაზრისით უნიკალური აფხაზური ენა და აფხაზი ხალხი შეემატება იმ ეთნოსთა რიცხვს, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ შერჩენილი

საკუთარი ეთნიკური იდენტობა, მაგრამ ლაპარაკობს სხვის ენაზე. ისეთი მცირერიცხოვანი ეთნოსისათვის, როგორიც აფხაზი ხალხია, შემდგომი საფეხური ეთნიკური იდენტობის სრული გაქრობა იქნება.

დამოწმებული ლიტერატურა:

თ. გვანცელაძე 2008 - თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის
ლინგვისტური საფუძვლები. ძირითადი პრობლემები. თბილისი, 2008;
თ. გვანცელაძე . . . 2011 - თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე. აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობა, 1. პირველი სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიციის წინასწარი შედეგები. თბ., 2011;

თ. გვანცელაძე. . .2011 - Т. Гванцеладзе, М. Табидзе, Т. Гитолендиа, С. Чаава. Основные аспекты идентности абхазов, живущих в Аджарии. Тб., 2011;

თ. გვანცელაძე. . .2011ა - T. Gvantseladze, M. Tabidze, T. Gitolendia, S. Chaava.Basic Aspects of Identity of the Abkhazians Living in Ajaria. Tbilisi, 2011.

ვახუშტი, 1973 - ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა - ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973
მ. ნაჭყებია... 2010 - მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე. აფხაზეთის (გალის რაიონის) სოციოლინგვისტური დახასიათება. 1993-2010 წლები. თბილისი, 2010, გვ. 118-119;

http://abhazy.com/goslanguage.html; http://www.media.ge/ka/node/20221

Teimuraz Gvantseladze

Apsuara – The Codex of Abkhazian’s Identity and its metamorphosis

There is a concept and a term expressing Abkhazian language - **Apsuara**, which means all the obligatory positive characteristics for any Abkhazian. In fact **Apsuara** is the identity codex for Abkhazians.

In the work there is reconstructed the historical face of this codex, based on the old written sources and it is compared to the present Abkhazian identity.

როზეტა გუჯეჯიანი

ეთნოკულტურული პროცესები ბურსის რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ეთნიკურ ქართველთა შორის

ბურსის ვილაიეთში (რეგიონში) ქართველთა კომპაქტური დასახლებები XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩნდება. თურქეთის ამ მხარეში ქართველები ჩასახლდნენ ე. წ. მუჰაჯირობის შედეგად. ბურსის ვილაიეთში ჩასახლებული ქართველი მუჰაჯირები, ძირითადად, აჭარისა და მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან იყვნენ. მათ რამდენიმე წელიწადში 7-მდე სოფელი შექმნეს, ხოლო მოგვიანებით ქართულ სოფელთა რაოდენობამ იმატა, მოსახლეობა გამრავლდა და დღეისათვის ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ არა მხოლოდ ბურსის ვილაიეთის სოფლებში, არამედ რეგიონის მთავარ ქალაქებშიც და წარმოადგენენ ამ მხარის მოსახლეობის მნიშვნელოვან ეთნიკურ ჯგუფს.

ბურსის რეგიონის ეთნიკურ ქართველთა ყოფისა და კულტურის შესასწავლად ქართველ ეთნოლოგთა ჯგუფმა შეადგინა ორწლიანი სამეცნიერო კვლევითი გეგმა, რომლის ფარგლებშიც 2010-2011 წლებში განხორციელდა 2 ხანმოკლე და ერთი ათდღიანი ექსპედიცია . ექსპედიციების მთავარი მიზანი იყო თურქეთის ცენტრალურ რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა კომპაქტური დასახლებების დაზუსტება, მათი ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესწავლა და თანამედროვე ვითარების გამოვლენა.

ექსპედიციის ფარგლებში შემოვლილ იქნა მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა სოფლები, ქალაქები, ასევე, აფხაზებით დასახლებული სამი სოფელი და ორი ჩერქეზთა დასახლება; ყურადღება გამახვილდა ეთნიკურად შერეულ სოფელთა ყოფით თავისებურებებსა და ეთნიკურ ჯგუფთა ურთიერთობის საკითხებზე.

საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროს მოძიებულ იქნა და შემდგომ დაზუსტდა ეთნიკურ ქართველთა განსახლების არეალი, გამოვლინდა ქართველთა ეთნიკური იდენტობის სურათი და მათ მიერ შექმნილი მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურა. წარმოჩინდა ეთნიკურ ქართველთა და აფხაზთა, ქართველთა და ჩერქეზთა ურთიერთობების ეტაპები და თავისებურებები.

საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად გამოვლინდა ეთნიკურ ქართულ სოფელთა განსახლების არეალი, დასახლების სახეები, ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნო ნაგებობები, კულტურულ-სამეურნეო ტიპი, სამეურნეო და ყოფითი ინვენტარი, მეურნეობისა და ხელოსნობის ტრადიციული დარგები, საოჯახო

ყოფის თავისებურებები, ეთნომუსიკალური ნიმუშები და სხვა სახის ფოლკლორული მასალა, ყოფაში შესული ნოვაციური ელემენტები, დედაენის დაცულობის ხარისხი, ეთნიკური ქართული იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემები და ა. შ. ეთნოგრაფიული მასალა დაფიქსირდა როგორც წერილობითი ჩანაწერების, ასევე, ვიზუალური (ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალა) სახით.

მარმარილოს ზღვის რეგიონთა შორის ეთნიკურ ქართველთა უდიდესი რაოდენობა თავმოყრილია ბურსის ვილაიეთში, სადაც ქართველები სხვადასხვა დროს და ეტაპობრივად არიან ჩასახლებულები. მუჰაჯირთა პირველი დიდი ტალღა XIX საუკუნის 80-იან წლებში სახლდება ამ ტერიტორიაზე. მუჰაჯირობის მეორე დიდი ტალღა 1920-30-იანი წლებით თარიღდება, გარდა ამისა, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ბურსის რეგიონში სახლდებიან ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართველებიც, შიდა მიგრაციული პროცესების შედეგად.

ბურსის რეგიონში (რაიონული ცენტრები: ბურსა, იზნიკი, ორჰანგაზი, ინეგოლი, მუსტაფა ქემალფაშა, გემლიქი, მუდანია, ნილუფერი, ბუიუკორჰანი, ილდირიმი, გიურსუ, ჰარმანჯიკი, კარაჯაბეი, კელეში, კესთელი, ორჰანელი, იენიშეჰირი, ოსმანგაზი) შედგა ეთნიკურ ქართველთა განსახლების ამსახველი პირობითი რუკა, დაზუსტდა ქართულ სოფელთა სახელწოდებები და და იქ მოსახლე კომლთა რაოდენობა, მათ მიერ დედაენის ფლობის ხარისხი. კვლევის არეალში მოექცა არ მხოლოდ სასოფლო დასახლებები, არამედ ამ რეგიონის ქალაქური ქართული კულტურაც, რადგან ეთნიკურ ქართველთა დასახლებები არსებობს არა მხოლოდ სოფლებში, არამედ მთავარ ქალაქებშიც. ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართული დასხლებებია ინეგოლში, გემლიქში, იენიშეჰირში, ორჰანგაზში; ქართველთა შედარებით მცირე ჯგუფებია სხვა რაიონებში.

ეთნოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა ტრადიციული ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი მრავალი კულტურული ფაქტი (ტრადიციული დასახლების ტიპი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, საოჯახო და სამეურნეო ინვენტარი, კულტურულ-სამეურნეო ტიპი, სოციალური და სულიერი ყოფის ელემენტები, ნათესაური და სამეზობლო ურთიერთობის ქართული ხასიათი, შრომითი ურთიერთდახმარების ფორმები, ტრადიციული კვებითი კულტურა, ფოლკლორი და სხვ).

ბურსის რეგიონში, ქართველთა სიმრავლის მხრივ, განსაკუთრებით გამორჩეულია ინეგოლის რაიონი. ინეგოლის რაიონის სოფელთა უმრავლესობა ქართულია. აქ მუჰაჯირთა პირველი ტალღა 1887 წელს გამოჩნდა და მას შემდეგ აქაურობა თანდათანობით ქართველებით დასახლდა. ინეგოლის რაიონის დღემდე ქართული სოფლები არის: ბათაქლუ, ბახჩეკაია, ბაჰარიე, გიუნდიზლუ, გულბახჩე, გუნეი ქესთანე, ელმაჩაი, ერიქლი, თუფექჩიყონაღი,

იენეჯა, ილმიე, მესრურიე, მურათბეი, ოილათი, საადეთი, სულჰიე, ფევზიე, ფინდიკლი (შიფლიქი), ქოჩბირი, ყარაჯაყაია, ჩაილიჯი, ჩიფთლიქი, ჩიფლიქოი, ჰაირიე (ხეირიე), ჰამამლი, ჰამიდიე, ჰასანფაშა, ჰაჯიყარა და სხვ. მოსახლეობის ნახევარს ქართველები შეადგენენ დაბა იენიჯეში. ბევრი ქართველია ქალაქ იენიშერში, ქალაქ გემლიკში, ქალაქ ბელექესირში, ქალაქ გონენში; ქართველები ცხოვრობენ ქალაქ იზნიკის გარშემო მდებარე სოფლებშიც. მოსახლეობის დიდი ნაწილს ქმნიან აჭარიდან და მაჭახლიდან წამოსულ ქართველთა შთამომავლები, რამდენიმე სოფელში კი იმერხეველებიც სახლობენ: ქარაჯაფეი, ბოღაზქოი და სხვ.

ტრადიციული ყოფის ამა თუ იმ ნიუანსის გამოვლენის პარალელურად, საინტერესოა ამ რეგიონების ქართველთა შორის მიმდინარე თანამედროვე ეთნოკულტურული პროცესები. ამ პროცესებზე დაკვირვება ავლენს შემდეგს — თვალსაჩინოა თურქეთის ქართველთა ნაწილის მზაობა ქართული იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებისათვის. ვლინდება ეთნიკურ ფესვებთან დაბრუნების და საქართველოსთან კულტურული ურთიერთობების გაღრმავების ტენდენციები. ამგვარი პროცესები განსაკუთრებით შეინიშნება ქალაქებში თავმოყრილ ახალგაზრდა ქართველთა შორის.

თურქეთელ ქართველთა ეთნიკური იდენტობის გადარჩენის კუთხით უდიდესი წვლილის მქონე ორივე მოღვაწე ბურსის რეგიონიდანაა: ახმედ ოზკანი (მელაშვილი) (1922-1980 წწ.) და ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) (1936-2002 წწ.).

ახმედ ოზკანი//მელაშვილი ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალი იყო. მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ახმედ მელაშვილის მოღვაწეობა ფართო მასშტაბებს იძენს (ჩლაიძე 1996). მისი ძირითადი საქმიანობა ქართველთა შორის ეროვნული გრძნობების გაღვივება და ქართული იდენტობის განმტკიცება იყო. იგი აგროვებდა სამეცნიერო და პოპულარულ მასალას ქართველთა ისტორიისა და კულტურის შესახებ და ამ ცოდნას ავრცელებდა ქართველთა შორის. ამავე დროს ახმედ მელაშვილი ზრუნავდა თურქეთელ ქართველთა დასაქმებისა და განათლებისათვის და ამ მიზნით სოფელ ჰაირიეში დააარსა კოოპერატივი, რომლის მეშვეობითაც ქართველ ახლაგაზრდებს აგზავნიდა ევროპაში სამუშაოდ და განთლების მისაღებად. 2011 წელს ახმედ მელაშვილის ხსოვნის დღეზე (5 ივლისი) გერმანიიდან რამდენიმე ქართველი ჩამოვიდა — ეს უკვე ხანდაზმული მამაკაცები, თავის დროზე, ახმედ მელაშვილის დახმარებით ჩავიდნენ გერმანიაში, დაეუფლნენ პროფესიებს და იქვე დასახლდნენ. მათი ინფორმაციით, დღეს გერმანიაში ინეგოლიდან მიგრირებულ ქართველთაგან შექმნილი რამდენიმე დასახლებაა და, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა, იქ მცხოვრები მეორე თაობის თურქეთელ ქართველთა შთამომავლები ფლობენ ქართულ ენას.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ახმედ მელაშვილი ჩამოდის საქართველოში, მას დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინა უცხოეთში

მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ“ (ხელმძღვანელი პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი). ამ საზოგადოების თანადგომით ახმედ მელაშვილი დაუკავშირდა ქართველ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ამავე დროს, ახმედ მელაშვილს კონტაქტი ჰქონდა ევროპაში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებთანაც.

1962 წელს ახმედმა სოფელ ჰაირიეში (ქართულად ხეირიე) დააარსა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. 1970-იან წლებში ქალაქ ინეგოლში შექმნა კავკასიის კულტურის საზოგადოება, რომელიც დღესაც მოქმედია. კულტურის სახლი დააარსა სოფელ ჰაირიეშიც (ხეირიე) და ეს სახლი ამჟამადაც ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს.

1968 წელს გამოიცა ახმედ მელაშვილის მიერ შედგენილი კრებული „გურჯისტანი“ (თურქულ ენაზე). წიგნი მკითხველს მოუთხრობდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის შესახებ. აქვე შეტანილი იყო ქართული ლიტერატურის თარგმანებიც. წიგნს დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი და ახმედ მელაშვილის ორი თვით დაპატიმრება მოჰყვა, თუმცა შემდეგ სასამართლომ ახმედი გაათავისუფლა და წიგნის გავრცელების ნებაც დართო. ამ წიგნზე ქართველთა რამდენიმე თაობა გაიზარდა.

1977 წელს ახმედ მელაშვილმა თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად შეძლო ჟურნალ ჩვენებურების პირველი ნომრის გამოცემა. მას დიდი დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა ქართველებმა, მათ შორის ჰაირი ჰაირიოღლუმ (ვახტანგ მალაყმაძე). ჟურნალი სტოკჰოლმში გამოსცა თურქეთელმა ქართველმა შალვა თევზაძემ. ჟურნალის გამოცემა გაგრძელდა. ამ საქმეს ახმედ მელაშვილის დაღუპვის შემდეგ ბატონი ვახტანგ მალაყმაძის//ჰაირი ჰაირიოღლუს დახმარებით აგრძელებდნენ ბატონი გურამ ხიმშიაშვილი//მუსტაფა იაკუთი, ბატონი იბერია მელაშვილი//ოზქანი, ბატონი ოსმან მერჯანი და სხვები.

სამეცნიერო, მთარგმნელობიითი და საგამომცემლო მოღვაწეობის პარალელურად, ახმედ მელაშვილი დაუცხრომლად იღვწოდა ადგილობრივი ქართული და ზოგადად კავკასიური ფოლკლორის შეკრებისა და გადარჩენისათვის. ამავე პერიოდში ახმედმა თურქულად თარგმნა და გამოსცა ქართული ლიტერატურული შედევრები.

1978 წელს ახმედი უკანასკნელად ჩამოვიდა საქართველოში, ხოლო 1980 წლის 5 ივლისს იგი მოკლეს. გამოჩენილი მოღვაწე დიდი გლოვითა და პატივით დაკრძალეს სოფელ ჰაირიეში (ხეირიე).

ბურსის რეგიონში ცხოვრობდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი ვახტანგ მალაყმაძე/ჰაირი ჰაირიოღლუ. სამწუხაროდ, მისი სახელი თითქმის უცნობია ქართველი საზოგადოების ფართო წრეებისათვის (გუჯეჯიანი 2011-ბ).

ვახტანგ მალაყმაძე იყო ახედ მელაშვილის უახლოესი მეგობარი, სამეცნიერო კონსულტანტი, მხარდამჭერი, მისი საქმის გამგრძელებელი.

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) 1936 წელს დაიბადა ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში, მისი წინაპრები 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მაჭახლიდან (სოფელ ჩიქუნეთიდან) წასულან მუჰაჯირებად და დასახლებულან სოფელ ხეირიეში (ჰაირიეში).

ვახტანგ მალაყმაძემ (ჰაირი ჰაირიოღლუმ) განათლება მიიღო სტამბოლის ილდიზის პოლიციის სკოლაში. მუშაობდა საკმაოდ მაღალ თანემდებობებზე სამოქალაქო თავდაცვის სფეროში, სხვადასხვა ვილაიეთებში. ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) დაძაბული შრომითი რიტმი გრძელდებოდა 1982 წლამდე. ამ სფეროში მუშაობის პარალელურად, ვახტანგ მალაყმაძე სერიოზულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იყო ინიციატორი და სულისჩამდგმელი ყოველი ქართული საქმისა, მხარდამჭერი და მფარველი ყველა ქართველი მოღვაწისა.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ), ძირითადად, ინეგოლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართული კულტურის გადარჩენისა და მეცნიერული შესწავლის მიმართულებით. სამწუხაროდ, სიცოცხლის ბოლო წლებში მხედველობა დაკარგა. გარდაიცვალა 2002 წელს. დაკრძალულია ქალაქ ინეგოლის „მაჰმუდიეს“ სასაფლაოზე.

ვახტანგ მალაყმაძემ (ჰაირი ჰაირიოღლუმ) ქართული ლაპარაკი ოჯახში ისწავლა, ხოლო 1951 წელს ქართულ წერა-კითხვასაც დაეუფლა სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის ბიბლიოთეკაში.

ვახტანგ მალაყმაძე აქტიურ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. მის მიერ თარგმნილი ლიტერატურული შედევრები გამოქვეყნდა „გურჯისტანში“. ვახტანგ მალაყმაძემ მოამზადა და გამოსცა „ქართული საბავშვო ზღაპრები“. წიგნი ორტომეულის სახით დაიბეჭდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ წიგნი დადებითად შეაფასა სახელმწიფო უწყებამაც — თურქეთის განათლების სამინისტრომ.

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ), ახმედ მელაშვილი (ოზკანი) და სხვა თურქეთელი ქართველი მოღვაწეები მუდამ ცდილობდნენ თურქეთის ლაზების დაახლოებას საერთოქართულ კულტურასთან. ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომლითაც თურქეთის საზოგადოება და თვით ლაზები გაეცნენ ლაზთა ისტორიის, წარმომავლობისა და კულტურის საკითხებს — ობიექტურ სამეცნიერო კვლევას ამ პრობლემებზე, იყო ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) მიერ თურქულად თარგმნილი და 1992/3 წელს გამოცემული მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ნაშრომი — „ლაზების ისტორია“. ამ ნაშრომის გავრცელებით დაიწყო ლაზთა ტრადიციული კულტურის შენარჩუნებისათვის ბრძოლა და აღნიშვნა

იმ ობიექტური რეალობისა, რომ ლაზთა ეთნოგენეზის იტორია ქართველთაგან განუყოფელია.

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მას სურდა თურქეთის ქართველებისათვის მიეწოდებინა საქართველოს ისტორია თურქულ ენაზე. რამდენიმე წლის დაუღალავი შრომის შედეგად თარგმნა ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“. ბუნებრივია, პრობლემა იყო საგამომცემლო თანხის მოძიება და ამ საქმეში მას მხარდაჭერა კვლავ ცნობილმა საგამომცემლო სახლმა „სორუნ იაინლარ“-მა აღმოუჩინა. „საქართველოს ისტორია“ 1997 წელს გამოიცა, განმეორებით გამოიცა 2000 წელს. წიგნი 305 გვერდს მოიცავს. დღესაც ეს წიგნი წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ არსებულ უმთავრეს გამოცემას, რომლითაც სარგებლობს თურქეთის დაინტერესებული საზოგადოება.

ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეძღვნება ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) მიერ მომზადებული, შედგენილი და თურქულად თარგმნილი კიდევ ერთი ნაშრომი — „ტრაპიზონიდან აფხაზეთამდე — აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ხალხების ისტორია და კულტურა“. ნაშრომი წაროადგენს რამდენიმე ცნობილი ავტორის პუბლიკაციების ნაკრებს. რასაკვირველია, კრებულში შესულია ვახტანგ მალაყმაძისეული სამეცნიერო ანალიზიც ამა თუ იმ საკითხის გარშემო. კრებულში წარმოდგენილია ქართველების (ჭანების/ლაზების, მეგრელების, სვანების) ტრადიციული ყოფისა და კულტურის საკითხები, ასევე, ზოგადად საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაბმული თხრობაცაა მოწოდებული უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის შუაწლებამდე. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ვ. მალაყმაძის მიერ თურქული წყაროებიდან ამოკრებილი ინფორმაცია, მაგალითად, „ისლამური ენციკლოპედიის“ ცნობა ლაზთა ქართული წარმოშობის შესახებ („ლაზები ქართველთა ერთ-ერთი შტოა“) და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს სვანეთის ტრადიციული ყოფის ამსახველი თავი, სადაც მოცემულია საინტერესო ანალიზი სვანეთის ხალხური დღესასწაულების, ეპოსის და მენტალობის შესახებ. კრებულში ქართველთა გვერდით წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა - აფხაზთა და ოსთა ისტორია და ყოფა.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, ის იყო ქართული იდენტობისა და კულტურის გადარჩენისაკენ მიმართული ყველა კეთილი წამოწყების მონაწილე, მხარდამჭერი და, ხშირ შემთხვევაში, ინიციატორიც. ახმედ მელაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ სწორედ მან იტვირთა ეროვნულ-კულტურული მოძრაობის წარმართვის მთელი სიმძიმე. ვახტანგ მალაყმაძის რჩევებითა და თანადგომით შეძლო ქართველ მოღვაწეთა

ახალგაზრდა თაობამ (გურამ ხიმშიაშვილი, იბერია მელაშვილი, გურამ ქოქოლაძე, გიორგი ირემაძე, მამია დუმბაძე, ფარნა ჩალაშვილი, არჩილ ზოიძე, ელიზბარ ციმნარიძე და სხვები) დიდი ახმედ მელაშვილის მიერ დაწყებული კულტურული მოძრაობის გაგრძელება. ამავე დროს, ვახტანგ მალაყმაძე იდგა 1984 და 1987 წლებში დაარსებული ქართული საზოგადოებების სათავეებთან.

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) მორწმუნე მუსლიმი გახლდათ, მაგრამ ნებისმიერი საზოგადოებრივი შეხვედრის ან დისკუსიის დროს, მკაფიოდ ავითარებდა აზრს, რომ მთავარი ქართველების ერთიანობაა, მიუხედავად რელიგიური განსხვავებულობისა.

ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) საქართველოში პირველად 1977 წელს ჩამოვიდა და მას შემდეგ სხვადასხვა სიმპოზიუმებშიც მონაწილეობდა. ის პოეტიც იყო და მთარგმნელიც.

ახმედ მელაშვილის და ვახტანგ მალაყმაძის მიერ დაწყებული ეროვნულ-კულტურული მოძრაობა მათმა შემდეგმა თაობამ გააგრძელა.

სოფელ ჰაირიეს (ხეირიე) განსაკუთრებული ადგილი უკავია თურქეთელ ქართველთა, და არა მხოლოდ მათ, გულში. ყოველ წელს ახმედ მელაშვილის დაღუპვის დღეს (5 ივლისს), სოფელ ჰაირიეში მის საფლავთან იკრიბებინ თურქეთის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ქართველები და პატივს მიაგებენ დიდი მოღვაწის ხსოვნას. დღის მეორე ნახევარში კი შეკრებილი ხალხი გადაინაცვლებს სოფელ ჰაირიეში (ხეირიე) ახმედ მელაშვილის მიერვე დაარსებულ ქართული კულტურის სახლში, სადაც იმართება ამ დიდი ქართველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ღონისძიებში მონაწილეობს საქართველოს საელჩოც. ამ დღისათვის, სპეციალურად საქართველოდანაც ჩადიან სტუმრები. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო 2010 წლის 5 ივლისი, ამ დღეს ახმედ მელაშვილის საფლავს წმიდა ილია მართლის საფლავის მიწა მოაყარა არქიმანდრიტმა ადამმა (ახალაძე) და ამ მეტად ამაღელვებელმა მომენტმა — რომ ქრისტიანი სასულიერო პირი პატივს მიაგებდა მუსლიმი ქართველის საფლავს, უდიდესი როლი შეასრულა თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ცნობიერებაში.

ახმედ მელაშვილის ღვაწლით შექმნილი ინეგოლის „კავკასიური კულტურის საზოგადოება“ უკვე ათწლეულების განმავლობაში აქტიურად საქმიანობს. ქალაქ ინეგოლის ცენტრში არსებულ კავკასიური კულტურის საზოგადოებას, ფაქტობრივად, სათვისტომოს ფუნქციაც აქვს შეთავსებული. ცენტრში მოქმედებს კავაკასიური ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ბატონი მამია დუმბაძე). „კავაკასიური კულტურის საზოგადოება“ ჩართულია „ჩვენებურების“ ფესტივალის ყოველი წლის პროგრამაში. ზაფხულობით, ივლისის პირველ კვირას აქ იმართება ფესტივალის დასკვნითი ნაწილი. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს

(პროფესორი გიული ალასანია, პროფესორი დარეჯან კუხიანიძე, ბატონი ანზორ ერქომაიშვილი) საქართველოდან ჩამოჰყავს სხვადასხვა ფოლკლორული ჯგუფები და ადგილობრივ ანსამბლთან ერთად იმართება გრანდიოზული კონცერტები. კონცერტები არა მხოლოდ ხელოვნების ზეიმია, არამედ ადგილობრივ ქართველთა შეკრების, ეთნიკურ ფესვებთან ზიარებისა და ეთნიკური იდენტობის გამოვლენაცაა. შესაბამისად, ეს კულტურული ფაქტი დიდი ისტორიული მნიშვნელობისაა და მისი როლი წლიდან წლამდე იზრდება. ამავე დროს, „ჩვენებურების“ ფესტივალის ორგანიზატორებს საქართველოში ყოველ წელს (2003 წლიდან) ჩამოჰყავთ თურქეთში მოქმედი ქართული ფოლკლორული ანსამბლები, რაც თურქეთელ და აქაურ ქართველთა ურთიერთობების გაღრმავებისა და ქართულ-თურქული კულტურის გაცნობის შესანიშნავი საშუალებაა.

თურქეთის ქართველთა თანამედროვე მდგომარეობა ენობრივი კუთხით მეტად სავალალოა. ახალი თაობის დიდი ნაწილი უკვე ვეღარ ფლობს დედაენას. ეს პროცესი დაუყოვნებლივ მოითხოვს ჩარევას და გამოსწორებას. საშულაო თაობა და ხანდაზმულები კი, ცხადია, ქართულად საუბრობენ საშინაო ყოფაში: „მუსაფირი მოვიდა, თუ არ იცის, თურქჩე ილაპარაკებენ, შიგნით ქართულად ლაპარაკობენ“.

ინეგოლის რაიონში მცხოვრებ ქართველ მეწარმეთა ერთი ნაწილი ცდილობს თავის საწარმოს ან ნაწარმს ქართული სახელები დაარქვას. თვალს სასაიამოვნოდ ხვდება ამგვარი წარწერები, მაგალითად, ავეჯის სახლზე - ვარდი, სინათლე და სხვა.

თანამედროვე ეთნო-კულტურულ პროცესებზე დაკვირვება კვლავაც გრძელდება და ახლო მომავალში იგეგმება ეთნიკურად ქართული დასახლებების ეთნოგრაფიული თავისებურებების სიღრმისეული შესწავლა.

დამოწმებული ლიტერატურა:

რ. გუჯეჯიანი 2011-ა - რ. გუჯეჯიანი, თანამედროვე ეთნოკულტურული პროცესები მარმარილოს ზღვის რეგიონის ეთნიკურ ქართველთა შორის (თურქეთის რესპუბლიკა), — საქართველოს უნივერსიტეტის III ყოველწლიური ეროვნული კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, თბ., 2011;

რ. გუჯეჯიანი 2011-ბ — რ. გუჯეჯიანი, ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) — ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თურქეთში, — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, თბ., 2011;
ი. ღუტიძე 2010 — ი. ღუტიძე, მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები, — კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, თბ., 2010;
ლ. ჩლაიძე 1996 — ლ. ჩლაიძე, „დედო მემლექეთი არ დავიწყნიათ“, ჟურნალი საქართველოს ქალი“, 1996, თბ., № 10-12.

Rozeta Gujejiani

Ethno-cultural Processes among the Ethnic Georgians in Bursa Region (Republic of Turkey)

The article presents short history of origin of ethnic Georgians living in the republic of Turkey, Bursa Region. (Georgians living in this region were established here gradually. The fist great wave of Muhajirs in this territory took place in the 80ies of the XIX century. The second great wave dates back to 1920-1930ies).

The area/map of inhabitation of Georgians and the names of compactly populated areas are specified. Besides, the main elements of traditions and culture were revealed.

The attention is focused on the issues concerning the ethnic identity of Georgians, material and spiritual culture created by them (variety of their settlement, traditional houses and agricultural buildings, agricultural and other objects of everyday life, agricultural and handicraftsman implements, traditional fields of agriculture and handicraftsman, system of nutrition, spiritual and social life, forms of relationship in the family and among relatives, ways of mutual assistance in labour, ethno-musical samples and other kinds of folk materials, some innovative elements in their life, the quality of maintenance of mother tongue, problems connected with identity and maintenance of culture of ethnic Georgians, etc.)

According to the ethnographic researches, alongside the settlement of ethnic Georgians, the culture of Georgian villages in Bursa region was also revealed. The settlements of ethnic Georgians exist not only in villages but also in major cities.

The article also refers to the contribution of two great Georgians, inhabitants of Bursa region – Akhmed Ozkan (Melashvili) (1922-1980) and Vakhtang Malakmadze (Hairi Hairioglu) (1936-2002) who did a lot to rescue and preserve Georgian ethnic identity and culture.

The article analyzes several important segments of present ethno-cultural processes: events commemorated to Akhmed Melashvili, works conducted by Ineglo Caucasus Cultural Society founded by Akhmed Melashvili, international festival ‘Chveneburebi’.

შანშე დარჩიაშვილი

ქართული და სომხური წყაროების ცნობები ზაქარია მხარგრძელის მიერ „შაჰანშაჰის“ ტიტულის მიღების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით

ძველი სომხური პერიოდული სამეცნიერო გამოცემების გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია სომხეთის რესპუბლიკაში გამომავალმა ისტორიულ-ფილოლოგიურმა ჟურნალმა „პატმა-ბანასირაკან ჰანდესის“ 1968 წლის №2-ში მოთავსებულმა ა. შაჰინიანის სამეცნიერო სტატიამ, „კოშის სტელა და მისი წარწერა“. სამეცნიერო წერილი სომხურ ენაზეა შესრულებული და ფრიად საინტერესოა მასში გამოთქმული მოსაზრებანი, რომელთა გაცნობისას განსხვავებული შეხედულებები იჩენენ თავს, რა თქმა უნდა ქართული ისტორიოგრაფიისა თუ, ზოგადად, საქართველოს ისტორიის გადასახედიდან.

წარწერის შინაარსისა და ამასთან დაკავშირებით კომენტარების გაცნობამდე, უნდა ითქვას, რომ თავად სომხურ ეპიგრაფიკაში ერთი თვალშისაცემი გარემოება გვხვდება. სომეხი საზოგადოების წარმომადგენლები, არა აქვს მნიშვნელობა საზოგადოების რომელ ფენას ან წოდებას ეკუთვნიან ისინი, ხშირად იჩენენ უგულისყურობას მათ მიერვე შედგენილი ტექსტების მიმართ იმ დროს, როდესაც ქვაზე ამომკვეთლებს, „ამომჭრელებს“, ე.წ. „მწერლებს“ მაგარ მასალაზე გადაჰქონდათ ქტიტორთა და ასევე, სხვა საერო თუ სასულიერო პირები, ანდა, ვაჭარ-ხელოსანთა, ზოგადად, შემწირველთა მიერ შედგენილი ტექსტები, რაც არც თუ იშვიათად, იწვევდა ტექსტში შინაარსობრივ ცვლილებებს, ეს კი საგრძნობლად ართულებდა მსგავსი წარწერების როგორც ლინგვისტურ, ასევე, ისტორიულ-ქრონოლოგიური ღირებულებების განსაზღვრას.

ამდენად, პირველ რიგში, სომხურ წარწერათა არასწორი განმარტებების მიზეზია წარწერაში დამოწმებული თარიღების უტყუარად მიიჩნევა, განსაკუთრებით ეს ხდება საქართველოს ისტორიასთან მიმართებაში. ასევე, სომეხი ისტორიკოსები, როდესაც კომენტირებას უწევენ გამოქვეყნებულ წარწერას, ან სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებთან კავშირში აფასებენ მის ღირებულებას, ხშირად ანგარიშს არ უწევენ ქართულ წყაროებსა და მათთვის საინტერესო საკითხებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ, ნ. მარმა მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და შენიშნა: „ეჭვს არ იწვევს, რომ ზოგიერთი სომხური წარწერა მიწერილი ნაგებობებზე და დათარიღებული ზუსტად, ან მიახლოებით, ქრონოლოგიურად არ

ეკუთვნიან იმ დროს, მაშინაც კი, როდესაც ისინი შინაარსით ორიგინალებს წარმოადგენენ. ისინი გადაწერილია: წარწერებს იწერდნენ ეკლესიათა გადაკეთებისას, ან კიდევ პერგამენტიდან, განსაკუთრებით, როცა გავრცელდა სხვადასხვა აქტების მიწერა ტაძრებზე და საერთოდ ნაგებობებზე. ამას გარდა, წარწერები სრულდებოდა მოვლენათა პარალელურად და გადაჰქონდათ ქტიტორთა ან კიდევ შეწირულობათა აქტებიდან, როგორც ჩანს, ზოგჯერ არასრულად და დიპლომატიკური სიზუსტის დაუცველად". სწორედ, ნ. მარი იყო, 1913 წელს, პეტერბურგში საიმპერატორო ტიპოგრაფიაში აწყობილი კ. კოსტანიანცის მიერ შეგროვებული სომხური წარწერების კრებულის რედაქტორი და კარგად უწყოდა, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ამა თუ იმ წარწერისათვის, თუნდაც ქრონოლოგიურად ადგილის განსაზღვრა. ზემოთქმულს ისიც უნდა დავამატოთ, რომ თავად სოფელ კოშის წარწერა ნიმუშია ყოველივე ამის, რომ მან, როგორც ჩანს, 1968 წლამდე არ მიიქცია სპეციალისტების ყურადღება, როგორც ამას თავად ა. შაჰინიანიც შენიშნავს.

ჩვენთვის საინტერესო წარწერა ამოჭრილია სომხეთში, აშტარაკის რაიონის სოფელ კოშის საზღვართან გამავალი გზის გასწვრივ განმარტოებულ, მშვენიერ სკულპტურულ ხაჩქარზე (ქვაჯვარზე), რომლის სიმაღლე 6 მეტრზე. მეტია და დამაგრებულია ადგილობრივი ტუფის ქვის საძირკველზე.

ხაჩქარის კვარცხლბეკის აღმოსავლეთ მხარეზე მოთავსებულია ათსტრიქონიანი, როგორც მისი გამომცემელი შენიშნავს, სომხეთის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე, ალაგ-ალაგ დაზიანებული სომხური წარწერა და იქვე აღნიშნავს, რომ წარწერის პირველ გამომცემლებს იმდენად დაუმახინჯებიათო წარწერის ტექსტი, რომ იგი გაუგებარი და უაზრო რჩებოდა თვით პროფესიონალი ისტორიკოსებისთვისაც კი, თუმცა, 1958 წელს, ს. ბარხუდარიანს აღნიშნული წარწერა გამოუქვეყნებია გაზეთ „ავანგარდში"; ამის შემდგომ კი, როგორც ამას გვამცნობს ა. შაჰინიანი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დაწვრილებით შეუსწავლია ქვის სტელაზე (სომხ. კოთოღი) ამოჭრილი წარწერა და წარმატებით აღუდგენია მისი ძირითადი ტექსტიც.

შედარებისთვის გთავაზობთ, მართლაც ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავებულ, ერთი და იმავე წარწერის, როგორც ადრინდელ, ასევე შემდგომ, ე.ი. ა. შაჰინიანსეულ ვარიანტის ქართულ თარგმანებს.

I **ვარიანტი:**

„მე პეტროს ვარდეპეტმა აღვმართე ეს ნიშანი... რომელი უწინ ვიხილე სულის თვალით „ოიდ" (=1175) რიცხვსა და სიტყვით... და გადმოვიდა ღრუბელი ნათლისა აღმოსავლისა [და] წმიდა ნიშანი იგი ღვთისა და შემდგომ უფლისა... ჯვარისაგან... ერთი... საკვირველება... დაბნელდა მზე... მე ვარ... ზაქარიასაგან და... დიდის... იგივე ფორმა და სახე აქვს, რომელი... ჯვარისა

ქრისტესი და... ქვეყანა... განამტკიცა, და... გრძელობასა შა...ის და...თაყვანისცა წმიდასა... ქრისტეს... "

II **ვარიანტი:**

1. „იოხდე" (=1195წ.) მე პეტროს ვარდაპეტმა აღვმართე ნიშანი ესე ზეციური რომელი უწი—
2. ნარეს ვიხილე სულის თვალით ოიდ (=1175) რიცხვსა სიტყვა ესე ზეცისა და გადმოსვლა ღრუბელისა
3. ნათლისა აღმოსავლისა და გამოცხადება ღვთის ნიშნისა და შემდგომ უფლისა და ძალმიცემული
4. ჯვრისაგან მიეწია ყოველთავე ქმნილთა და ერთისა წლისა შემდგომ დაბნელდა
5. მზე და... შეიძრა ქვეყანა და შემდგომ „ი" (=20) წლისა ვიხილე
6. ზაქარია და ივანე ძენი დიდი სარგისისა იგივე გარეგნობა და
7. სახე ჰქონდათ რომელი... ჯვარისა ქრისტესი და გაიწმინდა ქვე
8. ყანა ჩვენი და გაბრწყინდა ეკლესიები სომხეთისა: და აწ ჩემია
9. შეძენილი ესე მზეგრძელობა შაჰინშაჰისა და დიდება ჩვენი და თაყვა-
10. ნისცემა ამის დღესა დიდისა მოსვლისა ქრისტესი; ამენ.

წარწერის ზემომოტანილ ორივე ვარიანტის მიხედვით, ტექსტების თანახმად, ავტორი პეტროს ვარდაპეტია, რომელსაც იხსენიებს ვარდან ვარდაპეტი თავის „აშხარჰაცუიც"-ში და მას „აკანატეს"-ს (ქართ. „მოწმე", „თვითმხილველი") უწოდებს. ვარდანისავე სიტყვით, კოშავანქში ყოფილა წმინდა ვარდაპეტ პეტროს აკანატესის სამარხიც. ა. შაჰინიანის აზრით, პეტროს ვარდაპეტმა მეტსახელი „აკანატესი" 1175 წლის ხილვის შემდგომ შეიძინა.

ამავე, აშტარაკის რაიონის სოფელ ანტარუსტის საგაშენის ეკლესიაში დაცულია ამირსპასალარ ზაქარიას 1200 წლით დათარიღებული, არც თუ დიდი მოცულობის ხაჩქარი (ქვაჯვარი), რომლის თავდაპირველი სამყოფელი უცნობია, თუმცა სავარაუდოდ, ამავე სოფლის საზღვრებში იქნებოდა აღმართული. ხაჩქარი დამზადებულია ვარდისფერი ტუფისაგან, რომლის სიმაღლე 1,40 - ია, სიგანე — 0,80 და მასზე მოთავსებულ წარწერაში ვკითხულობთ, რომ „ოხთ" (=1200) ზაქარიას ქართველთა და სომეხთა ამირსპასალარს, დიდი სარგისის ძეს, აუღია მიუვალი სიმაგრე ანბერდისა...

აშტარაკის რაიონშია სოფელი ფარპი, რომლის მომცრო, ბაზილიკური ტაძრის აღმოსავლეთის კარის თავზე იკითხება ზაქარიას სახელით ამოჭრილი წარწერა, „რიცხვსა „ოხ" (=1191) მე, ზაქარიამ სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარმა ქრისტეს შეწევნით ავიღე ეს ქვეყანა ტაჭიკთაგან და გავათავისუფლე ფარპის უხუცესნი ხარკისაგან..." ამავე წარწერას მიჰყვება ძალზედ დაზიანებული მცირე წარწერაც. დათარიღება წარწერაში არ იკითხება, თუმცა წარწერის დანიშნულება ნათლად ჩანს. ა.

შაჰინიანის აზრით, წარწერა ეკუთვნის შაჰინშაჰ ზაქრიას, რომლისთვისაც ოთხგზის წირვა განუსაზღვრავთ ამავე ეკლესიაში: „რიცხვსა(ო)... (შა)ჰინშაჰ რომელი... ჩემი... უცვლელად ქრისტეს მოსვლამდე: დ (4) დღე წირვა იყოს ზაქ(არიასი)“ (აღდგენილი სიტყვები ა. შაჰინიანისეულია).

ამრიგად, სოფელ ფარპის წარწერების თანახმად, ა. შაჰინიანის აზრით, აშკარაა, რომ არაგაწოტნის მხარეში 1195 წლის გამათავისუფლებელ ლაშქრობას წინ უსწრებდა 1191 წელს ზაქარიას მიერ ორგანიზებული ლაშქრობა, თუმცა რადგანაც ანბერდის აღება არ მოხერხდა, ზაქარიას ჯარები სტოვებენ ამ მხარეს. ა. შაჰინიანი ფიქრობს, რომ, როდესაც 1195 წელს, ზაქარიამ და ივანემ ხელმეორედ დალაშქრეს არაგაწოტნი და ამავე წელს, პეტროს აკანატესმა სოფელ კოშში აღმართა წარწერიანი სტელა ანბერდის ციხე-სიმაგრეც, სწორედ, ამ წელს უნდა გათავისუფლებულიყო თურქთაგან, ვარდაპეტ პეტროსის სიტყვით ხომ ამ წელს „გაიწმინდა ჩვენი ქვეყანა და გაბრწყინდა ეკლესიები სომხეთისა“.

საყურადღებოა ა. შაჰინიანის შემდეგი მოსაზრება, მისი აზრით, პეტროს ვარდაპეტის 1195 წლის წარწერაში ზაქარია ამირსპასალარი პირველად იხსენიება „შაჰანშაჰად“. მანამდე კი, ზაქარია და მისი ძმა ივანე ამირსპასალარებად სახელდებიან ამავე ვარდაპეტის 1175 წლის წარწერაში, „შაჰანშაჰად“ არც მათი მამა სარგისი არ იწოდებოდა, ასე რომ, ზაქარიანებს „შაჰანშაჰის“ ტიტულის პატივი უკავიათ მოყოლებული 1195 წლიდან და არა ანისის აღების, 1199 წლიდან, როგორც ამჟამად ვარაუდობენო — აღნიშნავს ა. შაჰინიანი. იგი ქართულ წყაროს, ბასილი ეზოსმოძღვრის ისტორიიდანაც ახდენს ციტირებას თამარის მიერ ანისისა და ანისის მფლობელთა ტიტულის ზაქარიასათვის „ბოძების“ შესახებ, თუმცა ანბერდის 1196 წლის გათავისუფლებიდან იწყებს. ასე რომ, ბასილის ცნობა ზაქარიასთვის თამარის მიერ ანისის ფლობასთან ერთად „შანშეობის“ ბოძება ნაგვიანევად მიიჩნია. ასევე, მისთვის არადამაჯერებელია თავად ზაქარიას სახელით, ანბერდის გათავისუფლების, 1200 წელს ამოჭრილი წარწერის თარიღიც.

ამრიგად, ამირსპასალარ ზაქარიას „შაჰანშაჰის“ ტიტულით წარმოჩენა, ჯერ კიდევ 1995 წელს, მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ანისის შედადიანებისგან არაგაწოტნის გათავისუფლებით ზაქარია მისიანებისთვის „შაჰანშაჰი“ ხდება, ხოლო ანისის დაუფლებით ეს ტიტული უფრო მეტად მტკიცდება და გადაიქცევა სამემკვიდრეოდ მისი საგავარეულოსათვის. ასეთია ა. შაჰინიანის მსჯელობა ზაქარიას მიერ „შაჰანშაჰის“ ტიტულის მიღების ქრონოლოგიასთან დაკავშირებით.

ქართულ-სომხურ წერილობით ძეგლებში, როგორც ნარატიულ, ასევე ლაპიდარულ წარწერებში, მრავლად ვხვდებით ფრიად საინტერესო ტერმინოლოგიას, სოციალური და ეკონომიკური, ასევე, პოლიტიკური შინაარსის მქონეთ, რომელთა მიმართება ისტორიულ

პროცესებთან მუდმივ ინტერესს იწვევს მკვლევარებში. მხედველობაში გვაქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტერმინი, რომლის სამშობლოდაც ძველი სპარსეთი ითვლება. ტერმინი, რომელიც ერთ დროს, მძლავრად იყო დატვირთული პოლიტიკური შინაარსით, ირანულ აგრესიასთან ერთად ფეხს იკიდებს და მკვიდრდება ამიერკავკასიის სახელმწიფოებში და ამ ქვეყნების სახელმწიფოებრიობის განვითარების კვადაკვალ, მოყოლებული X საუკუნიდან, გვხვდება ამავე ქვეყნების თავდაპირველად სომხეთის მეფეთა იტულატურაში. ესაა „მეფეთა მეფის“ შესატყვისი, ირანულ წიაღში აღმოცენებული „შაჰინშაჰ“, „შაჰანშაჰ“, „შაჰანშაჰან“, „შაჰნშაჰ“, ე.ი. ძველ სპარს მეფეთა ტიტულები. აშკარაა, რომ თანდათანობით ჯერ კიდევ სომხური სახელმწიფოებრიობის დაცემის შემდგომ, განსაკუთრებით კი, ანისის გადასვლამ ქურთული წარმომავლობის ანისის მფლობელ შედადიდების ხელთ, გარკვეულწილად გააფერმკრთალა „შაჰანშაჰობის“ პოლიტიკური სტატუსი. შესაძლოა, განსაკუთრებით სომხეთში, სამეფო-სამთავროების არსებობის დროს, აღნიშნულ ტერმინს, მართლაცდა, პოლიტიკური ელფერი თან ახლდა, მაგრამ მოგვიანებით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის განვითარების კვალდაკვალ, იგი გარკვეულ დევალვაციას განიცდის. ივ. ჯავახიშვილი ამ ტიტულზე ასეთი აზრისაა: „შაჰანშას“ სახელის დაჩემებას პოლიტიკური აზრი და მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, საქართველოს მეფეები ამ სახელს გადამეტებულ ფასსა და ღირსებას არა სდებდნენ, მეფის წოდებულებაში „შაჰანშას“ უკანასკნელი ადგილი ეკუთვნოდა და „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფესა და შარვანშას“ მისდევდა. ეს წოდებულობა საქართველოს მეფეს სომხეთის შემოერთებასთან ერთად უნდა ჰქონოდა შეთვისებული“-ო , აღნიშნავს დიდი მეცნიერი.

რაც შეეხება „შაჰანშაჰის“ ტიტულს ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველად ეს ტიტული გვხვდება გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში, სადაც გიორგი მეფე იხსენება, როგორც „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა და აღმოსავალისა და ჩრდილოისა მფლობელი..“ ტიტული „შაჰანშა“ საქართველოს მეფეებს შეეძლოთ მიეღოთ დავით აღმაშენებლის მიერ ანისის თურქთაგან გათავისუფლების, ე.ი. 1124 წლის შემდეგ.

შენიშვნა: პროფ.მარიკა ლორთქიფანიძის აზრით, „შაჰანშას“ ტიტული ქართველ მეფეთა ტიტულატურაში დავით აღმაშენებლის მიერ ანისის დაპყრობის შემდეგ უნდა გაჩენილიყო. იხ. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს ისტორიაIX-XIII სს. თბილისი, 1974, გვ.124.

მართალია, ამის შემდეგ, ანისს მაჰმადიანი მფლობელები დროდადრო იბრუნებდნენ, მაგრამ „შაჰანშას“ ტიტულს შესაძლებელია ქართველი მეფეები მაინც იტოვებდნენ. არაა გამორიცხული, რომ ეს ტიტული პირველად გიორგი III-ს მიეღო

მის მიერ ანისის გათავისუფლების ე.ი. 1161 წლის შემდეგ. 1189 წლის სიგელში კი თამარ მეფე იხსენიება, როგორც „...აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელი...“

რა შეიძლება ითქვას კოშის სტელაზე ამოჭრილ პეტროს ვარდაპეტის, იგივე აკანატესის სომხური წარწერის შესახებ. წარწერა არ იწვევს ეჭვებს, არც დათარიღებისა და არც შინაარსის თვალსაზრისით. წარწერაში მოხსენიებულ მზის დაბნელებას მართლაც ჰქონია ადგილი სომხეთში 1176 წლის აპრილში. ასევე, ვარდაპეტის „ხილვაში“ არც ზაქარიას შაჰანშაჰად მოხსენიება ჰბადებს ეჭვებს. რაც შეეხება, სარგის მხარგრძელს, რომელიც ა. შაჰინიანის აზრით, არ იწოდება არსად, როგორც „შაჰანშაჰი“, უნდა მივუთითოთ ანისის, 1215 წლის, მცდარად დათარიღებულ წარწერაზე, სადაც ვკითხულობთ: „რიცხვსა „ოკდ“ (=1215), უფლობასა მანდატორთა ხუცეს ამირსპასალარ შაჰანშაჰ ზაქარიასი, ძისა... შაჰანშაჰ სარგისისა.

„მე, სარგისმა სამუელის ძემ... ალალი შრომით ავაშენე ეს ძეგლი ჩემს სახსოვრად და მშობელთა და შვილთა ჩვენთა...“ შაჰანშაჰ სარგისი, ზაქარია მანდატურუხუცესის და ამირსპასალარის მამაა და არა სხვა ვინმე. ამასთანავე, გავიხსენოთ, რომ „შაჰანშაჰობა“, ვარდანის მოწმობით, ანისის მფლობელობასა თუ გამგებლობასთან იყო დაკავშირებული. ანისი საქართველოს სამეფოს გიორგი III-ის მეფობის პერიოდში შედარებით ხანგრძლივად მისი მეორედ შემოერთების დროიდან, 1173-1174 წლიდან ჰქონდა და სწორედ ამ დროს, შეიძლებოდა მიეღო სარგისს, როგორც შედადიდთა ქურთული საგვარეულოს გამგებლობის შემცვლელს ანისში, „შაჰანშაჰის“ ტიტული.

რაც შეეხება წარწერის „ხილვას“, შესაძლებელია ასეც ვიფიქროთ, რომ პეტროს აკანატესმა, როგორადაც თვითონ აღნიშნავს, 20 წლით ადრე, წინასწარ იხილა ზაქარიას „შაჰანშაჰობა“ და 1195 წლისათვის, თავადვე მოიხსენია აღნიშნული პატივით ზაქარია ამირსპასალარი ისე, რომ აღარ დაელოდა 1199 წელს, ანისის აღება-გათავისუფლებასა და არც საქართველოს სამეფო ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა თამარის თანხმობით, ზაქარიასათვის ანისთან ერთად „შანშეობის“ პატივის „ბოძების“ თაობაზე.

სომხურ წყაროებზე დაკვირვებისას ერთი გარემოება შეიმჩნევა, როგორც ამას აკად. ა. ოვანისიანი აღნიშნავს, თანამედროვენი მარტო „ზაქარიანებს“ ე.ი. მხარგრძელებს კი არ ამკობდნენ ასე გულუხვად სამეფო ტიტულებით, არამედ „შაჰნშაჰ“-ის ტიტულით მოხსენიებულია მხარგრძელთა „ყმა“ — ვასალი ვაჩეს ძე ქურდი, როგორც ამას ალ. აბდალაძე შენიშნავს, „შაჰნშაჰი“ საკუთარ სახელადაა ქცეული, თუ უფრო ადრე არა, XII საუკუნის შუა ხანებიდან მაინც. ცნობილია, XII ს. II ნახევარში მცხოვრები 4

პიროვნება, შაჰანშაჰის სახელის მატარებელი. თუ ერთ შემთხვევაში შაჰნშაჰი ანისის შედადიან ამირას ჰქვია, დანარჩენ სამ შაჰანშაჰს ანისთან არაფერი აკავშირებს.

ძნელი სათქმელია, მართლაცდა რას უკავშირდება ზაქარიას შაჰანშაჰობის დროს აღნიშნული ტიტულის პარალელურად მისი მოხსენიება, როგორც ჩანს, ნებისმიერ კერძო შემთხვევებიც კი, სხვადასხვა წოდებისა და წარმომადგენლობის პირებზე, დროის ერთ მონაკვეთში, როდესაც ცნობილია, რომ ნომენკლატურული, ანუ სახელმწიფო ინსტიტუტების მორგება ცალკეული, მაღალი რანგის მოხელეზე მუდმივად სახელმწიფოს პრეროგატივად რჩება.

ვცდილობთ მოვიპოვოთ ახსნა-განმარტება მსგავს მოვლენებთან დაკავშირებით. საფიქრებელია, რომ ძირითადი მიზეზი უნდა იყოს სომეხი მოსახლეობის საკუთარი სახელმწიფოებრიობის მატარებელი მოტივაციის ძლიერი მუხტის არსებობა. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, სომხური საზოგადოება, მისი ნაწილი მაინც, ყურადღებას ამახვილებს არა სახელმწიფოებრივი აქტების თანამიმდევრობასა და მიღების კანონიერებაზე, არამედ მის წიაღში არსებულ მუდმივ სწრაფვაზე საკუთარი თვითმყოფადობისა და არსებობის შენარჩუნებისა და მისი გამოხატვის შესაძლო ფორმაზე.

ასე რომ, საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ განადიდებდნენ და რა ეპითეტებით ამკობდა თუნდაც ზაქარია მხარგრძელს, ან კიდევ, რომელიმე სიუზერენს ადგილობრივი მოსახლეობა. ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა და ამაში გასაოცებელი, ან საძიებო არაფერია. ასეთი „მოვლენა“ არც ხელისუფლებას არ აწუხებს, პირიქით, ასეთ სიტუაციაში იგი საკუთარ, სახელმწიფოებრივ პოლიტიკას უფრო მეტი დამაჯერებლობითა და მოქნილობით ახორციელებს. ამდენად, ისტორიული ქრონოლოგიისათვის საინტერესოა პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე აქტების დათარიღებისა და მათი საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტილებების მიღების ზუსტი ქრონოლოგია.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. შაჰინიანი, 1968 - ა. შაჰინიანი, ჟურნალი „პატმა-ბანასირაკან ჰანდეს“ ერევანი,№2, 968;

მ. ლორთქიფანიძე 1974 - მ ლორთქიფანიძე, საქართველოს ისტორია IX-XIIIსს. თბილისი, 1974;

ივ. ჯავახიშვილი 1966 - ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. IX, 1966;

ივ. ჯავახიშვილი 1984 - ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VII, 1984;

ალ. აბდალაძე 2005 - ალ. აბდალაძე, სომხური ანდერძ-მინაწერები საქართველოს შესახებ X-XIII სს. თბ., 2005;
ვ.არეველცი 2002 - ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, თარგმანი ნოდარ შოშიაშვილისა და ეკა კვაჭანტირაძის, თბ. 2002;
მესხია 1979 - შოთა მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ. 1979, გვ. 285;
კ. კოსტანიანცი, ვიმაკან ტარეგირ, სპბ. 191გ, გვ. XVIII-XIX (სომხ.).

Shanshe Darchiashvili

Georgian and Armenian Sources Concerning the Chronology of 'Shahanshah' title by Zakaria Mkhargrdzeli

Summary

The author intends to remind the reader of the fact that any term referring to the ranks is due to turn into a title only after it is sanctified by legal act of the government. Until then, it remains just at the emotional level of local inhabitants. Thus, the 'Shahanshah' title of Zakaria Mkhargrdzeli is officially connected with the year 1199, the date when Anisi was set free and the decision was made at the Georgian royal court to reward Zakaria Mkhargrdzeli with city Anisi as well as the title of 'Shahanshah', previously belonging to Moslem owner.

ბიჭიკო დიასამიძე

აჭარა პირველმოციქულთა ხანაში

ქრისტიანობა პირველად ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში, დღევანდელ აჭარაში შემოვიდა და აქედან მოეფინა სრულიად საქართველოს. ამიტომ საინტერესოა და აქტუალური ვიცოდეთ რა ტერიტორიას მოიცავდა ქრისტეს პირველმოციქულთა დროის აჭარა და რა ადგილი ეჭირა მაშინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებში. ეს მით უფრო საჭიროა იმიტომაც, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არაა ერთი აზრი ისტორიული აჭარის ადმინისტრაციული და ეთნიკური საზღვრების შესახებ. პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ისტორიული აჭარა მოიცავდა მხოლოდ აჭარისწყლის ხეობას, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, თუ მასში შედიოდა ისტორიული ქობულეთის ქვეყანა, ჩაქვი და ბათუმი მიმდებარე ტერიტორიებით, ანუ დღევანდელი აჭარის ტერიტორია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლეონტი მროველის (XIს.) ცნობა იმის შესახებ, რომ ფარნავაზმა ქვეყნის საერისთაოებად დაყოფისას „**მექუსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტაშისკარიდამ, ვიდრე არსეანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა**“ (ქცა-I 1955:24)

აშკარაა, ზღვამდის საზღვარი, ამ წყაროს მიხედვით, აჭარას უნდა ჰქონოდა. ასეთივე აზრი იკითხება ბოლო წლებში სტამბულის არქივში მოძიებულ ოსმალურ წყაროში „**ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი**“ (ზ. შაშიკაძე 2006:3-10), რომელიც XVI საუკუნის 70-იან წლებშია შედგენილი. მასში აღწერილია აჭარისწყლის ხეობის ყველა დასახლებული პუნქტი, მაგრამ დოკუმენტს „ზემო აჭარის“ ჰქვია, რაც გვაფიქრებინებს, რომ აჭარისწყლის ჭოროხთან შესართავის ქვემოთ „ქვეყანა“, ქვემო აჭარა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ,,ბათუმის ლივა“ ერქვა, მთავარი ცენტრის სახელის მიხედვით (ბ. დიასამიძე 2009: 36). ასეთივე აზრი იკითხება ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიაშიც“, როცა იგი გურიის აღწერისას ჯუმათის ეკლესიაზე საუბრობს, 525-ე სქოლიოში განმარტავს, რომ „**ჯუმათი მაღალს გორაზეა, საიდანაც მოჩანს მთელი იმერეთი იალბუზამდე და ფესათამდე, აგრეთვე გურია, ბათომის მხარე, შავი ზღვა, ფოთი**“ (ვახუშტი1904:313), ხოლო კიდევ უფრო გარკვევით ჩანს მისი მიდგომა აჭარის ტერიტორიულ შემოსაზღვრულობაზე სხვა ადგილას როცა ამთავრებს ჭოროხის ხეობის აღწერას და იწყებს აჭარაზე საუბარს. იგი მკითხველს განუმარტავს, რომ „**ვინათგან აღვწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს**

ზეიდამ ვიწყებთ აჭარისწყლის შესართავიდამ“ (ვახუშტი 1904:325) აქ მკლევარი განმარტავს აჭარის აღწერას რატომ აჭარისწყლის ჭოროხთან შესართავიდან იწყებს და არა ბათუმ-გონიო-ერგეს ჩათვლით. აჭარის ნაწილად განიხილავდა ბათუმ-ქობულეთის მხარეს ცნობილი მკლევარი დ. ბაქრაძეც. იგი წერდა: „ეტყობა ეს საზღვარი წარსულში არ არსებობდა და მთელი კინტრიშის ხეობა აჭარაში შედიოდა, ზღვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა (დ. ბაქრაძე 1987:69). ამ აზრს იზიარებს აკად. დ.მუსხელიშვილიც. იგი წერს: „რადგანაც ,,ოდესღაც არსებობდა ,,ქვეყანა დიდაჭარა“, რომელიც აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა, ცხადია, ეს გულისხმობს „მცირე აჭარის“ არსებობასაც. ზემოთქმულის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი („მცირე აჭარა“) სწორედ დღევანდელი ბარის აჭარის უძველესი სახელწოდება იყოს“. უფრო ქვემოთ აზუსტებს: ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი, ქვემო და ზემო აჭარა „ქვეყანა აჭარის“. შემადგენელი სტრუქტურული ერთეულებია, „ხევებია“, რომელთა წარმოქმნაც ჩვენ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში ვივარაუდეთ“ (დ. მუსხელიშვილი, 2007:74-103). თუ ყველა ზემოთთქმულს იმასაც დავამატებთ, რომ უძველესი დროიდან, ისტორიის ყველა ეტაპზე, აშკარად ჩანს აჭარისწყლის ხეობის ზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა (ა. ინაიშვილი 1975:48-49; ა. კახიძე 1991:56; დ. მუსხელიშვილი 2007:90-91), კიდევ უფრო დამაჯერებელი გადხება ის, რომ ისტორიული აჭარის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედიოდა დღევანდელი ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების და აჭარისწყლის ხეობის ტერიტორიები ქალაქი ბათუმით.

რა ვითარება იყო ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე ჩვენთვის საინტერესო ქრისტეს პირველმოციქულთა ხანაში - ახალი წ-ის I-II საუკუნეებში? წყაროები ძველი და ახალი წელთააღრიცხვების მიჯნაზე საქართველოს რომზე პოლიტიკურად დამოკიდებულ ქვეყნად წარმოგვიდგენენ, სადაც ჯერ კიდევ დასრულებული არაა მთიელ ტომთა ბარში ჩამოსახლების პროცესი, რაც ქვეყანაში ანარქიასა და ძალმომრეობის ატმოსფეროს ქმნის. ამას ემატება რომაელთა მცდელობა შინარჩუნონ აქ ბატონობა და ამ მიზნით მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებში გარნიზონები ჰყავთ ჩაყენებული (მარტო აფსაროსში 3000 ჯარისკაცი ყოფილა), თუმცა საშინაო და საგარეო პირობების გართულების გამო რომი იძულებულია სამოკავშირეო ხელშეკრულება დადოს ჯერ ქართლთან, მოგიანებით ეგრისთანაც. ახალი წელთააღრიცხვის I საუკუნის ბოლოდან ქართლი ახერხებს მდგომარეობის გამოსწორებას და II საუკუნის შუა ხანებში ფარსმან II-ის მმართველობისას (30-40-იანი წლები) ნომინალურ დამოუკიდებლობას აღწევს და ზოგჯერ რომის მიმართ აგრესიულ პოლიტიკასაც ატარებს. ხოლო ეგრისი პოლიტიკურად დაქუცმაცებული, პატარ-პატარა სამეფოებად დაყოფილი ქვეყანაა რომის გავლენის ქვეშ.

კაპადოკიის პროვინციის პროკონსულის ფლავიუს არიანეს საინსპექციო დათვალიერების ანგარიშის მიხედვით, რომელიც მან იმპერატორ **ადრიანეს** (117-138) გაუგზავნა 134 წელს, სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ტრაპეზუნტელების შემდეგ-კოლხები (დრილები, სანები), შემდეგ მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეზობლები ძიდრიტები არიან, ძიდრიტების გვერდით ლაზები ცხოვრობენ, შემდეგ აბსილები, აბასკები და სანიგები. არიანე იძლევა მათი საცხოვრებელი ადგილების საზღვრებასაც და ამ წყაროს მიხედვით ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე ძიდრიტი ტომები ჩანან, რომლებიც მისი თქმით, ფარსმანის ქვეშევდრომნი არიან (არიანე ფლავიუს 1961:42-43). ეს იმას ნიშნავს, რომ ფარსმან II შეჭრილა რომის გავლენის ქვეშ მყოფ სამფლობელოებში და მოუპოვებია შავ ზღვაზე გასასვლელი (ნ. ლომოური 1962:10). ამ დროიდან ისტორიული აჭარის ნაწილი-ჭოროხის სამხრეთით მდებარე მხარე გონიო-აფსაროსის ჩათვლით, რომის დაქვემდებარებაში მყოფი მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო დანარჩენი ნაწილი ბათუმ-ქობულეთის ჩათვლით ქართლის იურისდიქციაში (ნ. ლომოური 2007:329). ფაქტობრივად ქართლის საზღვრებში შემავალი აჭარა ერთგვარ ჯებირად და მცველად იქცა, როგორც ქართლის, ისე ეგრისისათვის.

ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები ძიდრიტი და მოსაზღვრე ტომების საციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე წარმოდგენას გვიქმნის აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ადგილობრივი წარმოების და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი მასალები. ისინი ადასტურებენ აქაურთა რკინის წარმოების მაღალ კულტურასა და აქტიურ საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას, როგორც ქვეყნის სხვა მხარეებთან, ისე მეზობელ და შორეულ ქვეყნებთანაც.

რომ არაფერი ვთქვათ ბარის აჭარის ტერიტორიაზე არსებულ ცენტრებსა (პეტრა-ციხისძირი, გონიო-აფსაროსი) და აღმოჩენილ განძებზე, შიდამთიან აჭარაში ამ და უფრო ადრე პერიოდის ცხრა განძია (**მახუნცეთის, საღორეთის, ქედის, ვერნების, დიდაჭარის, ხიხაძირის, სიხალიძეების, თაგოს, ზუნდაგის**) აღმოჩენილი. განვითარებული და დახვეწილი მატერიალური კულტურის საფუძველს მაღალი სულიერი კულტურა წარმოადგენდა. ი.ჯავახიშვილის გამოკვლევით „**ქართველ ტომებს სათავისო სათემო ღვთაებათა გარდა, ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონიათ, საერთო ქართველური წარმართობაც ყოფილა**“ (ი. ჯავახიშვილი 1979:155). როგორც ჩანს, ყველა ზემოთქმულმა შეამზადა საფუძველი მცირე აზიაში ქრისტიანული იდეებისა და მოძღვრების საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად. ამას ხელს უწყობდა I საუკუნის 70-იანი წლებიდან იმპერატორ ვესპანიანეს დროს (69-79 წწ) ტიტუსის მიერ იერუსალიმის აღების და ტაძრის დანგრევის შემდეგ (70 წ) აქედან ებრაელების განდევნა და მათი

საქართველოში მასობრივად დასახლება. ასევე ქრისტიანობას ნაზიარები მცირეაზიელებით დაკომპლექტებული რომაული გარნიზონების ჩაყენება ზღვისპირა ციხეებში. ასე, რომ ყველა ზემოთქმული და უცხოელ ავტორთა ცნობებსა და „ქართლის ცხოვრებაში“ ჩანართის სახით მოცემული ინფორმაცია ქრისტეს პირველმოციქულთა მისიონერული მოღვაწეობის შესახებ ერთმანეთს ავსებს და ადასტურებს (ბ. დიასამიძე 2001:302).

მცირე აზიაში პირველ საუკუნეში მიმდინარე მოვლენები (ქრისტეს მოღვაწეობა და მისი შედეგები) როგორც ჩანს, ქართლის დედაქალაქ მცხეთაში ცნობილი ყოფილა. ამასვე გვამცნობს „ქართლის ცხოვრების“ ჩანართიც, სადაც ნათქვამია, რომ როცა იესომ თავი ღვთის ძედ გამოაცხადა, იერუსალიმელმა ებრაელებმა მოიწვიეს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდანაც „მეცნიერნი სჯულისანი“, რათა „განებჭოთ და განეკითხათ“ ეს საკითხი (ქცა 1955:37). ყურადღებას იქცევს ჩანართის ის ნაწილიც, სადაც იერუსალიმში გასამგზავრებლად მომზადებულ ელიოზს დედა ევედრება მონაწილეობა არ მიიღოს იესოს მიმართ სასიკდილო განაჩენის გამოტანაში. თითქოს მან იცის იესოს განსაკუთრებული მისიის შესახებ კაცობრიობის წინაშე. ასევე ყურადღებას იქცევს ელიოზის დის უცნაურ ვითარებაში სიკვდილის თაობაზე ნათქვამი: „**განისმა ყოველსა მას ქალაქსა მცხეთას და ვითარცა საცნაურ იქმნა, მეფეცა და ყოველთა მთავართა, და ყოველსა ერსა და ყოველთა ერთბაშად დაუკვრდა საქმე საშინელი**.“ ანუ მაცხოვრის მოწამეობრივი აღსასრულისა და მცხეთაში მისი გამოძახილის შესახებ ამბავი საყოველთაო გახდა, სრულიად საქართველომ გაიგო და რათქმა უნდა, ქართლის სამეფოში გაერთიანებულმა აჭარამაც.

მაცხოვრის ცად ამაღლების შემდეგ, მისმა მოწაფეებმა სამოციქულოდ გაინაწილეს ქვეყნები. საქართველო ღვთისმშობელ მარიამს ერგო, რომელმაც უფლის რჩევით ანდრია პირველწოდებული გამოგზავნა ხატით „მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“ (ქცა 1955:38). ანდრია „მოვიდა.... ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა“. აქედან კი „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგებად სახარებისა“..... იქ, სადაც ღვთისმშობლის ხატი დაასვენეს, „აღმოეცენა წყარო და ფრიად შუენიერი და დიდი“. მოციქულმა დაადგინა მღვდელნი და დიაკონნი... აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა,“— ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრების“ დანართში (ქცა 1955:39).

ეს იყო ალბათ პირველი ეკლესია არა მარტო აჭარა-საქართველოში... როცა მოციქულმა წასვლა ინება, მოსახლეობამ თხოვა: „**უკეთუ შენ წახვალ, ხატი ეგე ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა აქა დაგვისვენე, სასოდ და მცუელად ჩვენდა**“, რითაც გამოხატეს ის დამოკიდებულება და განწყობილება, რასაც მოციქულთა ქადაგება და საქმიანობა იწვევდა მოსახლეობაში.

ორი ათას წლამდეა გასული დიდაჭარაში ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლიდან, უფლის ზეციური მადლის მოფენიდან. დრომ და ისტორიულმა ქარტეხილებმა ბევრი რამ მეხსიერებიდან და მიწის ზედაპირიდან წაშალა, აღარ ჩანს იმ პირველი ეკლესიის ნანგრევებიც, მაგრამ დარჩა მძლავრი ბალავარი ქართველობისა და წყარო ჩვენი რწმენისა, რომელიც უწყვეტად მოედინებოდა და მოედინება საზრდოდ ქართული ეროვნული ცნობიერებისა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ვახუშტი 1904 - ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ. ჯანაშვილისა, ტფილისი, 1904;

დ. ბაქრაძე 1987 - დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა ა.ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987;

ბ. დიასამიძე 2001 - ბ. დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები), ბათუმი, 2001;

ბ. დიასამიძე 2009 - ბ. დიასამიძე, ისტორიული ეტიუდები, ბათუმი, 2009;

ა. ინაიშვილი 1975 - ა. ინაიშვილი, დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი,- სდსძ, V, 1975;

ა. კახიძე 1991 - ა. კახიძე, შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1991;

ნ. ლომოური 1968 - ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ.,1968;

ნ. ლომოური 2007 - ნ. ლომოური, ლაზიკის სამეფოს წარმოქმნა და აჭარა, წგ.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. I, ბათუმი., 2007;

დ. მუსხელიშვილი 2007 - დ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, წგ.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I, ბათუმი, 2007

ფლავიუს არიანე 1961 - ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაყმაძისა, თბ., 1961;

ქართლის ცხოვრება 1955 - ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955;

ზ. შაშიკაძე 2006 - ზ. შაშიკაძე, აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში.-ჟურნალი „ჩვენებურების“ ვებგვერდი, www.cvenebur.net (ქართული ვარიანტი), 2006;

ივ. ჯავახიშვილი 1979 - ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. I, 1979.

Bichiko Diasamidze

Adjara in the Period of the Apostles of Christ

Historical Adjara covered the gorge of Adjaristskali and surrounding territories of Batum-Kobuleti. In the period of the apostles of Christ (I-II centuries) these territories were populated by Dzidriti triebs. At this time one part of Adjara, situated in the South of the river Chorokhi and including Gonio-Apsarosi, was incorporated into the kingdom of Makron-Heniokh subordinated to Rome and the gorge of Adjaristskali with Batum-Kobuleti into the Kingdom of Kartli. Under such conditions Adjara played a role of bulwark for both Egrisi and Kartli.

After resurrection of Christ, his Apostles (Saint Andrew the First Called, Simon Cananeus, Matthew) visited Did-Adjara and preached a New Testament. They built churches, installed the priests… It can be admitted that it was the first church not only in Georgia…

Since Christianity has become the symbol of spiritual and cultural-political unity of the Georgian people.

კახა კვაშილავა

ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის
(ერთი ახლადაღმოჩენილი საარქივო დოკუმენტის ანალიზი)

გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდის ორ ქართულ ფეოდალურ პოლიტიკურ ერთეულებს — ოდიშსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების ისტორიის საგანგებო კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლები წარმატებით ვითარდება (ანჩაბაძე 1947; ხორავა 1996). თუმცა სამუშაო მკვლევართათვის ჯერკიდევ ბევრია. ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკვლევი ობიექტის ირგვლივ არსებულ საისტორიო წყაროებსა და დოკუმენტებს. ეს ბაზა კი საკმაოდ მწირია და, ამდენად, ამ მიმართულებით ახალი მასალების გამოვლენა მეტად საშური საქმეა.

ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრობლემად ჩანს სამურზაყანოს საკითხი.

სამურზაყანო კი, როგორც ცალკე ფეოდალური სამფლობელო, რომელსაც სათავეში აფხაზეთის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები ედგნენ, წარმოიქმნა XVII-XVIIIსს. მიჯნაზე (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: კვაშილავა 2011). აფხაზთა მთავრებმა, ისარგებლეს რა შინაარეულობებით დაუძლურებული ოდიშის მდგომარეობით, შეძლეს ეს მხარე დადიანისთვის წაერთმიათ. თუმცა, მალევე, 1702წ. მიწურულს სამეგრელოს ახალმა მთავარმა გიორგი ლიპარტიან-დადიანმა მოახერხა ენგურ-ღალიძგას შუამდინარეთზე, რომელსაც, მოგვიანებით „**სამურზაყანო**“ ეწოდა (XVIIIს. I მესამედი — ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: კვაშილავა 2011:97), კონტროლის აღდგენა (ვახუშტი 1973:862-863; დადიანი1962:169; კვაშილავა 2011:94-95).

მიუხედავად ერთგვარი სტატუს-ქვოს აღდგენისა, ენგურ-ღალიძგას შუამდინარეთი აფხაზეთ-სამეგრელოს შორის ერთგვარ „საჯილდაო ქვად“ იქცა. აფხაზეთის სამთავრო XVIIIს. მანძილზე პერმანენტულ შეტევებს ახორციელებდა სამურზაყანოზე საკუთარი კონტროლის დასამყარებლად, თუმცა აღნიშნული ქმედებები მისთვის მაინც, ძირითადად, უშედეგოდ მთავრდებოდა (ამის შესახებ დაწვრილებით: კვაშილავა 2011:74-190). საბოლოოდ, ეს საკითხი მხოლოდ 1812 წლის მიწურულს გადაიჭრა, როცა სამურზაყანოს მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე მოკლეს. ამის შედეგ კი, ადგილობრივ საქმეთა გამგებლობას მანუჩარის ცოლის ძმა — სამეგრელოს მთავარი ლევან V დადიანი შეუდგა (კვაშილავა 2011:249-252).

მიუხედავად დადიანისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობებისა, ვითარება არც ისე ადვილი ჩანდა. სამურზაყანოელები, რომლებიც გათავისუფლდნენ შარვაშიძეთა მმართველობისგან, არ აპირებდნენ

ლევანის ხელისუფლების აღიარებას (თაკალანძე 1999:77). ადგილობრივი თავად-აზნაურობის ერთ-ერთი წარმომადგენელი თემურყვა ანჩაბაძე ამის თაობაზე რუსებს პირდაპირ ეუბნებოდა, რომ: „В сей земле существует безначалие, ибо Дадиани не имеет средства к обузданию жителей; и будьте уверены, что ни Дадиани, ниже кто-либо из фамилии Шарвашидзе не могут управлять и распоряжаться здесь“ ამ მხარეში ხელისუფლება არ არის, რამეთუ დადიანს არ გააჩნია შესაძლებლობა მოსახლეობის დასამორჩილებლად; „და იყავით დარწმუნებულნი, რომ არც დადიანი, და არც ვინმე შარვაშიძეთა გვარისაგან ვერ შეძლებენ აქ მმართველობასა და აქაურობის განკარგვას“(თარგმანი ჩვენია - კ.კ.)/ (Акты, VII:396). ამას ცნობილი ფრანგი დიპლომატიც ჟაკ ფრანსუა გამბაც ადასტურებდა: „იგი (სამურზაყანო — კ. კ.) დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს; მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება“ (გამბა 1987:112). ამიტომ სამურზაყანოში დადიანის წინააღმდეგ მღელვარებები არ წყდებოდა (დუმბაძე 1942:75). მართალია, აფხაზეთის მთავარმა გიორგი შარვაშიძემ აღიარა, რომ აფხაზეთის „უშინაგანესი ადგილების“ მფლობელი იყო („მე მთავარი და მპყრობელი აფხაზთა უშინაგანესი ადგილებისა და მემკვიდრე ზუფუსა და წებელისა“— Акты, III: 204), მაგრამ წარმოუდგენელი იყო, რომ მას სამურზაყანოზე დადიანის კონტროლი მოსწონებოდა (პაპასქირი 2004:147).

მ. დუმბაძე მიიჩნევდა, რომ საფარ-ბეი, თავის მხრივ ცდილობდა აფხაზეთზე საკუთარი გავლენის გავრცელებას (დუმბაძე 1942:75). ზ. პაპასქირი გამორიცხავს, რომ დადიანის საწინააღმდეგოდ, აფხაზეთის მთავარი რაიმე კონტრზომებს მიმართავდა, რადგან აფხაზეთის მთავრის ხელისუფლება პირდაპირ დამოკიდებული იყო დადიანის მხარდაჭერაზე (პაპასქირი 2004:147). ზოგადად, ვიზიარებთ რა მკვლევარის ამ მოსაზრებას, მიგვაჩნია, რომ გიორგი შარვაშიძე ფარულად მაინც ცდილობდა ევნო ლევან დადიანისათვის და მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ძალებს უჭერდა მხარს ოდიშში, მდ. ენგურის ორივე სანაპიროზე. ლევან V-ის უმცროსი ძმა, გიორგი, რომელიც ცნობილი იყო დადიანისადმი დაუმორჩილებლობით, ხშირად აფარებდა თავს აფხაზეთსა და სამურზაყანოში. როგორც ჩანს, ლევანს ეჭვი ჰქონდა, რომ მის ძმას გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძე მფარველობდა (სხეც.დოკუმენტი Hd-10595, Hd-10597). ამიტომ 1818წ. დადიანმა, სამურზაყანოს პრობლემასთან დაკავშირებით, მისგან ოფიციალური პოზიციის გამოხატვა მოითხოვა. ამისთვის ლევანმა შესაფერისი ვითარებაც შეარჩია: 1818 წლის აპრილში აფხაზეთში ისევ ამბოხება დაიწყო. მან თავისი ბიძის (აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე ლევან დადიანის მამიდის მეუღლე იყო) დასახმარებლად ოდიშის ლაშქარი მიავლინა, რომლებმაც აფხაზეთის მთავარს მოწინააღმდეგე თავადები დაუმორჩილეს (ქადარია2003:112).

ამ ამბების შემდეგ, დადიანმა რუსეთის ხელისუფლებისაგან მოითხ-

ოვა ოფიციალური კომისიის შექმნა ოდიშ-აფხაზეთ-სვანეთის საზღვრების დასადგენად (ქადარია 2003:112). გიორგიმ, რომელმაც ხელისუფლება ისევ მეგრელთა დახმარებით შეინარჩუნა, იმერეთის მმართველის, გენერალ ვ. კურნატოვსკის თანდასწრებით, 1818წ. მაისში (რუსი ჩინოსნები, მაისის ნაცვლად, იანვარს ასახელებენ. იხ.: Содержание записки.., ფ. 140) სამურზაყანო ოფიციალურად ცნო ოდიშის ტერიტორიად (Записка.., ფ. 13).

მოგვიანებით, 1840-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დღის წესრიგში დადგა სამურზაყანოზე დადიანის უფლებების ჩამორთმევის საკითხი, რუსებმა სცადეს ეს ხელშეკრულება ოდიშის ხელისუფლების წინააღდეგ გამოეყენებინათ იმ აბსურდული მოტივით, რომ თითქოს, გიორგიმ არ იცოდა, თუ რას აწერდა ხელს.

პოლკოვნიკი ნ. ნ. მურავიოვი გენერალ პ. ე. კოცებუს აცნობებდა, რომ ამ აქტის გაფორმების დროს აფხაზეთის მთავარმა არ იცოდა ქართული ენა (რომელზედაც დაიწერა დოკუმენტი) და მის მხარეს წარმოადგენდა მღვდელი მამა იოანე ქავთარაძე („სამეგრელოს მკვიდრი“, როგორც მას ნ. ნ. მურავიოვი მოიხსენიებდა). რუსი მოხელის თქმით, როდესაც გიორგიმ გაიგო, თუ რა შეთანხმებას მოაწერა ხელი ლევანთან, მან მაშინვე გააგდო მამა იოანე აფხაზეთიდან (Раппорт Исправляющего.., ფ. 40-41; Содержание записки.., ფ. 141).

ეს იმდენად აბსურდული ცნობაა, რომ, სავარაუდოდ, მისი უშუალო ავტორი და ამ ლეგენდის შემთხზველი გიორგის შვილი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე უნდა იყოს, რომელიც უშუალოდ დაინტერესებული იყო ოდიშისაგან სამურზაყანოს ჩამორთმევის საკითხით და, შესაბამისად, ტენდენციურიც იყო. ძალზედ საეჭვოა, გიორგი იმდენად გულუბრყვილო პოლიტიკოსი ყოფილიყო, რომ არ სცოდნოდა, რას აწერდა ხელს. მან იმთავითვე მშვენივრად უწყოდა, რაც ხდებოდა ამ შემთხვევაში.

ამ ვითარებაში კი უაღრესად საყურადღებოა ერთი დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ 2010 წლის შემოდგომაზე საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მივაკვლიეთ და, ამდენად, პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში. მხედველობაში გვაქვს გიორგი შარვაშიძის წერილი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ გენერალ ალ. ველიამინოვისადმი (სხეც. დოკუმენტი Hd-10597), რომელიც მის მიერვეა ხელმოწერილი და შედგენილია 1820წ. 10 ივლისს (ძველი სტილით), ანუ ორი წლის შემდეგ 1818 წლის ზემოხსენებული ხელშეკრულების გაფორმებიდან. ამ წყაროში საუბარია ლევანის უმცროს ძმაზე, გიორგი დადიანზე, რომელიც, სამეგრელოს მთავრის ცნობით, აფხაზეთში იმალებოდა. საფარ-ბეი უარყოფს ამას და ალ. ველიამინოვს აცნობს, რომ გიორგი დადიანი სამურზაყანოში უნდა ყოფილიყო. ეს მხარე კი, აფხაზეთის მთავრის, საფარ-ბეის, სიტყვებით რომ ვთქვათ, „**დადიან ლევანის საბძანებელი არის**“

(სხეც. დოკუმენტი Hd-10597) **/იხ. დანართი/.**

როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტში სრულიად ნათლად ჩანს, იგი სავსებით კარგად ერკვეოდა ორი სამთავროს საზღვრებში და ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთს ლევან V დადიანის საგამგებლო რეგიონად აღიარებდა. ამასთანავე, არსებობს თანამედროვეთა ცნობები, რომ გიორგი შარვაშიძეს ესმოდა ქართული, თუმცა თვითონ საუბარი უჭირდა ამ ენაზე (ავალიშვილი 1967:29-30).

აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ცხადი ხდება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია საუბარი იმაზე, რომ საფარ-ბეი მამა იოანეს მიერ მიზანმიმართულად იყო შეცდომაში შეყვანილი. თუკი მამა იოანეს აფხაზეთიდან გაძევება ამ შეთანხმებას უკავშირდება, ალბათ, მიზეზი ისევ გიორგი შარვაშიძე იქნებოდა, რომელმაც ამ გზით ერთგვარი „განტევების ვაცი“ იპოვა მის დაუმორჩილებელ ქვეშევრდომებთან თავის გასამართლებლად. მღვდელი იოანე, საქართველოს გულმხურვალე პატრიოტი, როგორც ღვთისმსახური, ბუნებრივია, არ დაუმალავდა აფხაზეთის მთავარს შეთანხმების არსს, თუკი ეს, მართლაც, მის მოვალეობაში შედიოდა. ამიტომ ამ სასულიერო პირის „დამნაშავედ“ გამოყვანა მხოლოდ ცარიზმის მოხელეების მთავარი მიზანი იყო, რომლებიც დადიანისთვის სამურზაყანოს ჩამორთმევის „ლეგალურ“ საფუძვლებს ეძებდნენ და, ამასთანავე, იმთავითვე ცდილობდნენ ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლის ჩამოგდებას. სწორედ ამიტომაც არის ზემოხსენებულ ანგარიშში აგრერიგად ხაზგასმული მამა იოანეს წარმომავლობა — „სამეგრელოს მკვიდრი“ (Раппорт Исправляющего.., ფ. 40-41; Содержание записки.., ფ. 141) — რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

ლევან დადიანის მეცადინეობით მიღწეული შეთანხმება მაქსიმალურად გამოხატავდა და იცავდა სამეგრელოს მთავრის ინტერესებს სამურზაყანოში. ოდიშსა და აფხაზეთის სამთავროებს შორის საზღვარი მდ. ღალიძგაზე დადგინდა (Статистическое описание..:8). 1821 წელს აფხაზეთში დაწყებული არეულობების ჩასახშობად მიმავალი რუსთა და ოდიშართა საექსპედიციო კორპუსი ლევან დადიანმა მდ. ღალიძგამდე მიაცილა. ეს ხაზგასმით აღნიშნა ნ. დადიანმა თავის თხზულებაში: „**თვით მთავარი ჩვენი ლეონ დადიანი მიჰყვა თავის საზღვრამდე ღალიძგამდე**“ (დადიანი 1962:209).

ვფიქრობთ, 1818 წლის აღნიშნული შეთანხმება უნდა ასახულიყო ლევან დადიანის ტიტულატურაშიც, სადაც ოდნავ დაკონკრეტდა 1814წ. დაფიქსირებულ ტიტულში „**აფხაზთა**“-ს რაობა. კერძოდ, ჩვენს მიერ დადიანების მუზეუმში მიკვლეულ ერთ საბუთში, რომელიც დათარიღებულია 1823წ. 19 მაისით, სამეგრელოს მთავარი მოხსენიებულია როგორც: „ს˙დ ოდიშისა, ლეჩხუმისა და **ნაწილთა აფხაზეთისათა** და სუანეთისა მემკვიდრეობით მფლობელი“ (დადიანთა ფონდი, ფ. 8). ასეთივე ვითარებაა 1824წ. ერთ-ერთ დოკუმენტშიც: „მემკვიდრეობითი მფლობელი და მთავარი მენღრელიისა და

რამოდენისამე ნაწილის აფხაზეთისა და სვანეთისა“ (იხ.: ლევან V დადიანის ბრძანება). ზემოთ აღნიშნული შეთანხმების თანახმად, ორივე მხარე ვალდებული იყო, არ მიეცა თავშესაფარი მეაბოხეებისა და სხვა სჯულის დამნაშავეებისათვის: „…Обязались… не давать пристанища и покровительства разбойникам, грабителям и вообще преступным той или иной стороны“ /*„...ვივალდებულნეთ... არ მიგვეცა თავშესაფარი და მფარველობა ყაჩაღებისათვის, ქურდებისათვის და საერთოდ დამნაშავეთათვის ამა თუ იმ მხარისა”* (თარგმანი ჩვენია — კ. კ.)/ (Записка...ფ. 13). ამ მუხლით, გიორგი შარვაშიძეს მოესპო შესაძლებლობა დადიანის მოწინააღმდგე სამურზაყანოელთა დასაცავად. დადიანი კმაყოფილი დარჩა და აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება ორ სამთავროს შორის მშვიდობის დამყარების გარანტი იქნებოდა (თაკალანძე 1999:77). ნ. თაკალანძის სამართლიანი შეფასებით, იგი აკანონებდა ლევან V-ს უფლებებს სამურზაყანოზე და შემდგომში აფხაზეთის მთავართან ამ საკითხზე ნებისმიერი დავის წამოჭრისას, ხელშეუხებელს ხდიდა ამ უფლებას (თაკალანძე 1999:77).

ამდენად, ჩვენს მიერ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივში მიკვლელული ზემოხსენებული ხელნაწერი (სხეც. დოკუმენტი Hd-10597) მნიშვნელოვანი დოკუმენტია ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობების და სამურზაყანოს წარსულის შესწავლისათვის. განსაკუთრებით, ის ნათლად მოწმობს ამ მხარეზე დადიანის იურისდიქციის არსებობას, რის უარყოფას, ისტორიული წარსულისა და წყაროების გაყალბებით, ძალიან ცდილობენ ჩვენი აფხაზი კოლეგები (ბღვაჟბა... 2006:245; ბღაჟბა... 2007).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

გ. ავალიშვილი 1967 — გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ., 1967;

ვახუშტი 1973 — ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, — ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილისმიერ. ტ. IV. თბ., 1973;

ნ. დადიანი 1962 — ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1962;

მ. დუმბაძე 1942 - მ. დუმბაძე, სამეგრელოს სამთავრო 1803-1857წწ. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომა. თბ., 1942.

გამბა 1987 — გამბა, ჟაკ ფრანსუა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. ტ. I, თბ., 1987;

დადიანთა ფონდი, №13, დოკ. №7312, ფ. 8;

ნ. თაკალანძე, 1999 — ნ. თაკალანძე,სამურზაყანოს საკითხი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს სამთავროს ურთიერთობაში, - ჟურნ.: „მაფშალია", №5, 1999;

კ. კვაშილავა2011 — კ. კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIIIსს. მიჯნა — 1840 წელი. თბ., 2011;

ლევან V დადიანის ბრძანება - 1824წ. 5 თებერვალი. ლევან V დადიანის ბრძანება ცაიშის ტაძრისათვის თავადთა და აზნაურთა მიერ წართმეული მამულების დაბრუნებაზე კაცია დადიანის და გრიგოლ დადიანის სიგელების დამტკიცების შესახებ. — წგნ.: ა. ტუღუში. ცაიშის საეპისკოპოსო. ზუგდიდი, 2001, გვ. 98;

სხეც. დოკუმენტი Hd-10595;

სხეც. დოკუმენტი Hd-10597;

ზ. პაპასქირი 2004 — ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბ., 2004;

თ. ქადარია 2003 — თ. ქადარია, სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2003;

ბ. ხორავა1996 — ბ. ხორავა,ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.). თბ., 1996;

ანჩაბაძე 1947 — З. В. Анчабадзе, Мегрелия и Абхазия в XVII веке. *Диссертационная работа на соискание ученной степени кандидата исторических наук*. Тб., 1947;

ბღაჟბა... 2006 — О. Х. Бгажба, С. З. Лакоба., История Абхазии. *С древнейших времён до наших дней. 10-11 классы.* Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухум, 2006;

ბღაჟბა... 2007 — О. Х. Бгажба, С. З. Лакоба, История Абхазии. *С древнейших времен до наших дней. Сухум, 2007;*

Акты, III — Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммисиею. Архив главного управления Наместника Кавказскаго. Напечатан под редакциею председателя коммиссии ст. сов. Ад. Берже. Т. III. Тфл., 1869;

Акты, VII — Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммисиею. Архив главного управления Наместника Кавказскаго. Напечатан под редакциею председателя коммиссии ст. сов. Ад. Берже. Т. VII. Тфл., 1878;

Содержание записки... — Содержание записки представленной Генерал-Лейтенантом Князем Дадьяном, при всеподданнейшем прошении о праве

его на владение Самурзаканским округом и объяснения составленныя в Корпусном штабе противу записки этой, — სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357;
Статистическое описание... — Статистическое описание Закавказскаго края. В двух частях. Составитель О. Евецкий. СПб., 1835;
Записка... — Записка о действительной и законной принадлежности Владетелю Мингрелии Самурзаканской земли, отобранной ныне от него по распоряжению Г^на^ Главноуправляющего Закавказским Краем, — სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357. დოკუმენტირუსულენაზეაშედგენილიდამოიცავსფურცლებს 10-32;
Раппорт Исправляющего... — Раппорт Исправляющего должность Начальника III отделения Черноморской Береговой линий, Полковника Муравьева Начальнику Штаба Отдельнаго Кавказскаго Корпуса, Господину Генерал-Майору и кавалеру Коцебу от 27 марта 1841 года (№136), — სეასა. ფონდი 1087, აღწ. 2, საქმე 357.

შემოკლებანი:

დადიანთა ფონდი — ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ხელნაწერთა ფონდები. *დადიანთა ფონდი.*
სეასა — საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივი.
სხეც — საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

Kakha Kvashilava

On The History Of Odishi-Abkhazian Relatios
(Analysis of One Newly Discovered Important Archival Document)

Special researches concerning the history of political relations between two Georgian feudal political units – Odishi and Abkhazia in the late mid-centuries have been more or less successful in Georgian historiography. There is no doubt that historical sources and documents referring to the topics of research are materials of great importance. As the lack of these materials is noticeable, the work in the direction of obtaining new documents is highly encouraged.

One of the most problematic issues in the Odishi-Abkhazian relations is Samurzakano. Samurzakano, as a separate feudal domain run by the lateral branch of Abkhazian principality, was formed between XVII and XVIII centuries. The document discovered in the Georgian National Centre of Manuscripts in spring 2010 is a very important material in this respect and it has been wide-

ly applied in the scientific circles. This is Giorgi (Sapar-Bey) Sharvashidze's letter addressed to Georgian civic governor general Al. Veliaminovi. The letter is signed by Giorgi Sharvashidze and is dated July 10, 1820 (old style). It is clearly stated in the letter that Saparbey recognized Samegrelo as the possession of Dadiani dynasty.

Thus, the manuscript discovered by us is a document of great importance in research of Odishi-Abkhazian relations and the history of Samursakano. The letter confirms existence of Dadiani jurisdiction in this region, which has constantly been disacknowledged by our Abkhazian colleagues on the basis of forged historical sources.

დანართი:



ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აფხაზი მწერლები და საქართველო

საქართველოსადმი აფხაზ მწერალთა დამოკიდებულების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ქართულმა თემამ მეოცე საუკუნის აფხაზური ლიტერატურის ყველა თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებაში დაიმკვიდრა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი. ამ თვალსაზრისით ვითარების ჯერ თანდათანობითი, შემდეგ კი მკვეთრად და რადიკალურად შეცვლის პროცესი გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან იწყება (თუმცა სეპარატისტული მისწრაფებებით განპირობებულ რეციდივებს დროდადრო ადრეც ჰქონდა ადგილი). ამ დროიდან მოყოლებული, მანამდელი აფხაზური ლიტერატურის ერთ-ერთ საგულისხმო თემად დამკვიდრებული პროქართული სულისკვეთება ანტიქართულ ისტერიად გარდაიქმნა და აფხაზ მწერალთა უდიდესი ნაწილის წარმოდგენით, ქართველი ხალხი მათი დაუძინებელი და სისხლისმსმელი მტერია.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ეპოქაში ხელისუფლების მიერ გატარებული უმკაცრესი იდეოლოგიური პოლიტიკის შედეგად ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკების წინაშე მწვავედ მდგარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბევრი პრობლემა ხელოვნურად იყო მიჩქმალული და მათი განმაპირობებელი მიზეზების შესახებ ობიექტურ მსჯელობას ფაქტობრივად ტაბუ ჰქონდა დადებული. საბჭოთა საქართველოში ამ თვალსაზრისით არსებულ ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხად თავიდანვე გამოიკვეთა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან შინაგანად რთული და წინააღმდეგობრივი ურთიერთობა, რომელიც დროდარო იმდენად დაძაბულ ხასიათსაც კი იძენდა, რომ რეალურად ჩნდებოდა საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყნის ღვიძლ ნაწილად ქცეული ამ რეგიონის დაკარგვისა და ტერიტორიულად რუსეთთან მიერთების საფრთხე.

საბჭოთა იმპერიის მესვეურთა მიერ ხელოვნურად შექმნილი ეს კონფლიქტი შიგადაშიგ იმდენადაც კი მწვავდებოდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებული ხდებოდა მოსკოვის მკაცრ მითითებებს დამორჩილებოდა და აფხაზ სეპარატისტთა ამბიციური და რეალურ საფუძველს მოკლებული ბევრი სურვილი უპირობოდ შეესრულებინა. ასეთმა დამღუპველმა პოლიტიკამ

სანამდეც მიგვიყვანა, დღეს ეს ყველასათვის კარგადაა ცნობილი და ჩვენი ქვეყნის მესვეურები ჯერჯერობით წარუმატებლად ცდილობენ რუს აგრესორთა სამხედრო დახმარებით აფხაზი სეპარატისტების მიერ მიტაცებული ამ ძირძველი ქართული მხარის უკან დაბრუნებას.

აფხაზური პრობლემის საჭირბოროტო მხარეებზე საუბარი საბჭოთა პერიოდის საქართველოში უმკაცრესად იყო ტაბუდადებული. არადა დიდი დაკვირვება და გონებაგამჭრიახობა სულაც არ ჭირდებოდა იმის დანახვას, თანდათანობით როგორ საბედისწეროდ ღრმავდებოდა საქართველოსა და აფხაზეთს შორის რუსული მმართველობის დამკვიდრების შედეგად გაჩენილი უფსკრული. სამწუხაროდ, ხელისუფლება ამ ტრაგიკულ მოვლენაზე ობიექტური და საფუძვლიანი მსჯელობის ნაცვლად ვითარებას ისე წარმოაჩენდა, თითქოს ქართველებსა და აფხაზებს შორის მხოლოდ სამაგალითო ძმობა და მეგობრობა იყო დამკვიდრებული.

ასეთ ვითარებაში მართალი სიტყვის თქმა უდიდეს რისკთან და გაბედულებასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მწერალი და მეცნიერი უკან არ იხევდა და მაინც ახერხებდა მართალი სიტყვის თქმას, რაც მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფას მოვლენას წარმოადგენდა.

საბჭოთა პერიოდში მოღვაწე მამულიშვილთაგან ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდი გაბუდულება **პავლე ინგოროყვამ** გამოიჩინა. ე. წ. აფხაზურ პრობლემასთან დაკავშირებით მის მიერ დაწერილმა ნაშრომებმა ობიექტურად და ნიღაბახდილად წარმოაჩინეს ამ პრობლემათა ნამდვილი არსი.

იგივე უნდა ითქვას კონსტანტინე გამსახურდიას შესახებაც, რომლის შემოქმედებიდანაც არა მარტო ქართველთა და აფხაზთა ძმობისა და მეგობრობის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ, არამედ ჩვენი ხალხების ურთიერთობაში რეალურად არსებულ პრობლემათა მიუკერძოებელი სიმართლით განსჯა-გაანალიზებისაც.

თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობით **კ. გამსახდურდიამ წარმატებით განაგრძო და კიდევ უფრო მეტად გაამდიდრა ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული ე. წ. აფხაზური თემის ტრადიცია.** ამ თვალსაზრისით მისი „მთვარის მოტაცებაᲐ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ განუყოფელი თანაცხოვრების შესახებ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო დამკვიდრებული ქართველებსა და აფხაზებს შორის. **კ. გამსახურდიას რომანის ქართველი და აფხაზი პერსონაჟები ყოველდღიური ადამიანური ურთიერთობებით იმდენად ახლოს იმყოფებიან ერთმანეთთან, რომ ეროვნულ-ენობრივი ნიშნით მათ**

შორის არანაირი გამიჯნვა არ არსებობს. თავიანთი საერთო ისტორიითა და დღევანდელობით ისინი ერთი ქვეყნის, ერთი სამშობლოს შვილები არიან — საქართველოსი და მათ შორის ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირების ოდნავი საშიშროებაც კი არ არსებობს.

რუსეთის მიერ მიზანმიმართულად გატარებული კოლონიური პოლიტიკის შედეგად აფხაზებსა და ქართველებს შორის ტრადიციულად არსებული ეს ურთიერთობა თანდათანობით იმდენად გამწვავდა და დაიძაბა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საომარ დაპირისპირებაში გადაიზარდა და აფხაზეთის ფსევდოდამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნით დაგვირგვინდა.

მეტად სამწუხარო და გულსატკენია ის ფაქტი, რომ აფხაზთა დიდ ნაწილს, მათ შორის, მწერლებსაც, სიღრმისეულად არ აქვთ გაცნობიერებული, საქართველოდან მათი ჩამოცილება და აფხაზეთის ვითომცდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს ჩამოყალიბება რაოდენ დამღუპველ მოვლენასაც წარმოადგენს მათთვის. ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმით აფხაზები ფაქტობრივად თავიანთ ეროვნულ თვითარსებობას აყენებენ რეალური საფრთხის წინაშე და უახლოეს მომავალში უკვალოდ ჩაინთქმებიან რუსეთის იმპერიის წიაღში.

სამწუხაროდ, აფხაზთა უმეტესობა დღემდე ვერ იაზრებს იმ ფაქტს, რომ მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მხოლოდ ილუზიაა და რუსეთს ამ ფარსის გათამაშება თავისი კოლონიურ-დამპყრობლური გეგმების განხორციელების გზაზე მორიგი მსხვერპლის გადასასანსლად დასჭირდა.

რაც შეეხება ქართველ ხალხს, აფხაზებისადმი მათი ტრადიციული ერთგულება და თანადგომა თუნდაც იმითაც გამოიხატა, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მცხოვრები სხვა მცირერიცხოვანი ხალხებისაგან განსხვავებით, რომელთაც საკუთარი ეროვნული კულტურის შექმნის პროცესში ხელშესახებად მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ მიაღწიეს, აფხაზებმა პირველ ყოვლისა სწორედ ქართველების აქტიური თანამონაწილეობით შეძლეს მათი მწიგნობრობის, საგანმანათლებლო სისტემისა და სულიერი კულტურის შექმნა და განვითარება.

ნათქვამის დასტურად აქ თუნდაც იმ ფაქტების გახსენებაც იქნება საკმარისი, რომ **აფხაზური ანბანის შესაქმნელად პირველი რეალური ნაბიჯებიც ქართველებმა გადადგეს და პირველი აფხაზურენოვანი წიგნებიც თბილისში დაიბეჭდა. აქვე ის აქტიური საქმიანობაც უსათუოდ უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რასაც ქართველი მეცნიერები ეწეოდნენ და დღესაც ეწევიან აფხაზური ენისა და კულტურის შესასწავლად.** კერძოდ, აფხაზური ენის სწავლება პირველად თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში იქნა შემოღებული 1924 წელს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით. ამ საქმის უშუალო ხელმძღვანელად მან მაშინ სპეციალურად მოიწვია აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია. თბილისის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კი აფხაზური ენის მეცნიერულად შესწავლას ხსენებული ინსტიტუტის შექმნიდანვე ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი და ამ საქმეს სპეციალური განყოფილება ემსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდის აფხაზურ ლიტერატურაში ქართულ თემატიკაზე დაწერილ ნაწარმოებთა გარკვეული ნაწილის სულისკვეთებას აშკარად აზის იმდროინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის პირდაპირი ზეგავლენის დაღი და მათი ავტორების პროქართული პოზიცია ვითარების კონიუნქტურული განსჯა-შეფასების შედეგი უფროა, ვიდრე ნამდვილი ეროვნული თვალთახედვის გამოხატულება, საქართველოსადმი ბევრი მათგანის მიერ გამოვლენილი სიყვარული იმდენად ღრმაა და გულწრფელი, რომ მათში ეჭვის შესატანად, ვფიქრობ, არავითარი საფუძველი არ არსებობს.

წინამდებარე ნაშრომის დაწერის უმთავრესი მიზანი იყო, საგულდაგულოდ მომეძიებინა და კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წარმომეჩინა იმ დამოკიდებულების არსი, რასაც აფხაზი მწერლები ავლენდნენ საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ მანამდე, სანამ ჩვენს შორის ვითარება საბედისწეროდ დაიძაბებოდა და სისხლიან კონფლიქტში გადაიზრდებოდა.

მასალის სიუხვის გამო, აღნიშნული საკითხის განხილვის დროს, ამჯერად მხოლოდ პოეტური ნაწარმოებებით შემოვიფარგლები და სწორედ მათი მეშვეობით შევეცდები იმის გარკვევას, ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ერთ სახელმწიფოში საუკუნეების განმავლობაში ძმურად და მეგობრულად თანაცხოვრების ისტორიასა და სამომავლო პერსპექტივას მათ მიერ როგორი შეფასებაც აქვს მიცემული.

საკუთარი მწიგნობრობის შექმნამდე, საუკუნეების განმავლობაში, აფხაზთა ეროვნული სულიერი კულტურისა და განათლების უმთავრეს საფუძვლად უპირველეს ყოვლისა ქართული ენა იყო ქცეული.

ამის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მაგალითად აქ უპირველეს ყოვლისა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე — **გიორგი შარვაშიძე** (1846-1918 წწ.) მინდა გავიხსენო, ქრონოლოგიური თვალსაზრისით პირველი აფხაზი მწერალი. თავისი ეროვნული ცნობიერებით, აზროვნებითა და მსოფლმხედველობით იგი უწინარესად ქართული კულტურის უმდიდრეს ტრადიციებთან შესისხლხორცებული შემოქმედია. ეს ტრადიციები მისი სულისა და

გულის ნაწილად იყო ქცეული და შთაგონების უშრეტ წყაროდ დამკვიდრებული.

ამ ფაქტორს იმიტომაც ვუსვამ ხაზს, რომ გ. შარვაშიძის პიროვნებაში ჰარმონიულად შენივთდა და გამოვლინდა ქართულ კულტურასთან აფხაზური სულის ის განუყოფელი გენეტიკური კავშირი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა. ქართული და აფხაზური ეროვნული მისწრაფებანი მის ნააზრევში ისე ორგანულად და ბუნებრივად იყო ერთმანეთთან შეზრდილ-შედუღაბებული, რომ მათი ერთიმეორისაგან გამიჯვნა და განცალკევება ფაქტობრივად შეუძლებელია.

თავისი ანტირუსული და ეროვნულ-განმათავისუფლებლური იდეების გამო რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ აფხაზეთში ცხოვრებააკრძალულმა მწერალმა საცხოვრებელ ადგილად ქუთაისი აირჩია და ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწორედ აქ ეწეოდა აქტიურ ლიტერატურულ და კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას.

და ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი და ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მშობლიურ აფხაზეთზე თავდავიწყებით შეყვარებული ამ გულმხურვალე პატრიოტის მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა ნიმუში, გარდა რუსულად დაწერილი ორიოდე ლექსისა, ქართულ ენაზეა შექმნილი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა თემატიკამ გასულ საუკუნეში მოღვაწე ყველა აფხაზი მწერლის შემოქმედებაში დაიმკვიდრა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი, ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა მაინც ის ავტორები გამოირჩევიან, რომელთა ცხოვრების გარკვეული პერიოდი თბილისთან და ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებთან იყო დაკავშირებული. როგორც ცნობილია, **აფხაზური ინტელიგენციის არაერთმა წარმომადგენელმა, მათ შორის მწერლებმაც, უმაღლესი განათლება თბილისში მიიღეს, რამაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ქართულ რეალობასთან მათი დაახლოების პროცესს.**

სამწუხაროდ, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან ვითარება ამ თვალსაზრისით თანდათანობით იცვლება და აფხაზთა უმეტესობა სასწავლებლადაც და სამოღვაწეოდაც წასვლას თბილისის ნაცვლად მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში არჩევს. ამ გარემოებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ქართველებისადმი აფხაზთა ადრინდელი მეგობრული დამოკიდებულების გაცივებასა და მათი სეპარატისტული მისწრაფებების კიდევ უფრო მეტად გაძლიერებაში.

გარდა იმისა, რომ ამ ტრაგიკული პროცესის გაღრმავებას მიზანმიმართულად ცდილობდა და ახერხებდა კიდეც რუსული მხარე,

ამ სამწუხარო მოვლენის განვითარებას იმ არასწორმა პოლიტიკამაც არსებითად შეუწყო ხელი, რასაც საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება ატარებდა აფხაზების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფალთა საქმიანობა მოსკოვის მკაცრ ზედამხედველობას იყო დაქვემდებარებული, მათ იმხანად მაინც შეეძლოთ ბევრი ისეთი რამის გაკეთება, რაც ქართველი ხალხისადმი აფხაზთა დიდი ნაწილის გაუცხოების პროცესს შეაფერხებდა და მას შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობას არ მისცემდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართული თემატიკა XX საუკუნეში მოღვაწე თითქმის ყველა აფხაზი მწერლის შემოქმედებაში იმკვიდრებს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილს. იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს აფხაზურ ლიტერატურაში ხსენებული თემის გააზრებისა და წარმოსახვის მასშტაბებზე, ქვემოთ კონკრეტულად განვიხილავ ქართული თემატიკისადმი მიძღვნილ აფხაზი პოეტების ნაწარმოებებს.

აღნიშნულ ტრადიციას საფუძველი **დიმიტრი გულიამ** (1874-1960 წწ.) ჩაუყარა. როგორც ცნობილია, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მომენტები სისხლხორცეულადაა დაკავშირებული საქართველოსთან და ქართველ მოღვაწეთა აქტიურ თანადგომასთან. ქართული თემატიკით დ. გულიას დაინტერესება სამი უმთავრესი მიმართულებით გამოიხატა — მისი შემოქმედების ეპიკურ ნიმუშებში ქართველ პერსონაჟთა მხატვრული სახეების შექმნით, ლირიკულ ლექსებში შოთა რუსთაველის პოეტური გენიის განდიდებითა და ქართული მწერლობის ცნობილი ნიმუშების თარგმნით აფხაზურ ენაზე.

დ. გულიას მიერ სათავედადებულმა ტრადიციამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა **ბაგრატ შინკუბას** (1917-2004 წწ.) შემოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბ. შინკუბა მკაფიოდ გამოხატული პროქართული პოზიციის მქონე მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე არასოდეს ყოფილა, ქართულმა თემატიკამ მის მხატვრულ ქმნილებებში მაინც დაიმკვიდრა საგულისხმოდ მნიშვნელოვანი ადგილი. ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა ჩვენი ერის სახელოვანი შვილებისადმი მიძღვნილი მისი ლექსები მინდა გავიხსენო.

ბ. შინკუბას შემოქმედებაში ქართული თემატიკის დამკვიდრების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ძირითადად ორი გარემოება იქცა: პირველი, ის, რომ თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში, სწავლის პერიოდში იგი საფუძვლიანად გაეცნო ჩვენს მწერლობას და მისი არაერთი ნიმუში თარგმნა კიდეც აფხაზურად და მეორე, მას, როგორც ხანგრძლივი დროის განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მყოფ

მაღალჩინოსანს, ახლო ურთიერთობები აკავშირებდა თავის ქართველ კოლეგებთან.

ზემოთქმული გარემოებებიდან გამომდინარე, ბ. შინკუბა თბილისისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონების სტუმარიც არაერთგზის ყოფილა, რაც სათანადოდ აისახა კიდეც მის შემოქმედებაში..

აფხაზი პოეტების შემოქმედებაში დამკვიდრებული ქართული თემატიკა ყველაზე მეტად ჩვენი ერის დიდი შვილებისადმი, პირველ ყოვლისა კი მწერლებისადმი, მიძღვნილ ლექსებში გამოვლინდა. ამ თვალსაზრისით უპირველესი ადგილი რუსთაველისადმი აღვლენილ პოეტურ ხოტბას უჭირავს, თუმცა უყურადღებოდ მხატვრული სიტყვის არც სხვა დიდი ოსტატები არიან დატოვებულნი. მაგალითად, **ქიაზიმ აგუმაა** (1915-1950 წწ.) ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში (თარგმნა ა. შენგელიამ) არა მარტო ქართული პოეზიის ამ უდიდესი ოსტატის პოეტურ გენიას განადიდებს ზოგადი ფრაზებით, არამედ თავის პიროვნულ სიყვარულსაც გამოხატავს მისი პოეზიისადმი.

ქ. აგუმაასა და მისი კოლეგების ინტერესი ქართველი მწერლების შემოქმედებისადმი ცალკეულ შემთხვევებში იმითაც ვლინდება, რომ მათი პოეტური შთაგონების წყაროც ხდება ხოლმე. მაგალითად, მიხეილ ლაკერბაის ნოველა **„არგუნ სეიდიყი (1956 წ.) სიუჟეტური თვალსაზრისით თითქმის მთლიანად იმეორებს აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ შინაარსს, ხოლო ქიაზიმ აგუმაას ლექსი „სიმღერა სამშობლოზე“ (თარგმნა ვ. ჯავახაძემ) გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შედევრის — „ჰე, მამულოს!“ შთაგონების საფუძველზეა დაწერილი.**

მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში ცხადად და შეუნიღბავად გამოხატული თავისი პროქართული პოზიციით აშკარად გამორჩეულ აფხაზ მწერალთაგან განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **ივანე თარბა** (1921-1994 წწ.). არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობით მან ღირსეულად განაგრძო ჩვენი ხალხების მეგობრული თანაცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი ერთობის ის დიდი ტრადიცია, რასაც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდნენ ქართველთა და აფხაზთა საუკეთესო შვილები.

და ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი ისიც არის, რომ ი. თარბას მიერ ზემოთ აღნიშნული მიმართულებით გაწეულმა საქმიანობამ მის შემოქმედებაშიც ჰპოვა საკმაოდ ფართო ასახვა. ქართული თემატიკის მასშტაბურად წარმოსახვის თვალსაზრისით აფხაზთაგან იგი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამორჩეული მწერალია.

მართალია, ი. თარბას შემოქმედების ბევრი ნიმუში, მათ შორის ხსენებულ თემაზე დაწერილიც, იდეოლოგიური ყავლგასულობის გამო დღევანდელი მკითხველისათვის უკვე ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ მათი შეფასების დროს ამჯერად მთავარი ეს კი არ არის, არამედ ქართველი და აფხაზი ხალხების წარმომადგენლებს შორის მყარად დამკვიდრებულ ძმურ და კეთილმეზობლურ ადამიანურ ურთიერთობათა ავტორისეული წარმოსახვა.

საქართველოსადმი სიყვარულის გრძნობამ განსაკუთრებული ემოციური სიმძაფრით ჰპოვა გამოხატულება აფხაზური მწერლობის პირველი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის — **ალექსი ჯონუას** (დაიბადა 1920 წ.) პოეზიაშიც. ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა მინდა თბილისისადმი მიძღვნილი მისი ლექსები გავიხხენო, რომლებშიც ფართო განზოგადებულობით არის გამოვლენილი საქართველოსთან და მის დედაქალაქთან აფხაზი პოეტის სისხლხორცეულად დამაკავშირებელი მშობლიურობის გრძნობა.

ა. ჯონუას ეროვნული თვალთახედვის მკაფიოდ წარმომჩენ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე მისი ლექსი „საქართველოს პოეტებს“ (თარგმნა ხ. გაგუამ), რომელშიც ნათლად და არაორაზროვნადაა გამოხატული ავტორის აშკარად პროქართული პოზიცია ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქართველებთან აფხაზ სეპარატისტთა დაპირისპირების საფუძვლად ქცეულ ყველა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, აფხაზი პოეტის შეფასებით, ქართული ლექსი აფხაზისთვისაც ისევე ძვირფასია და მშობლიური, როგორც ქართველისთვის. ა. ჯონუას ხაზგასმით, აფხაზეთი უსაქართველოდ არც წარსულში ყოფილა და ვერც მომავალში იარსებებს. აფხაზ პოეტს ოდნავადაც კი არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ეს მთლიანობა მარადიულია და მას ვერაფერი დაარღვევს.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და განუყოფელობას ა. ჯონუა სხვა დროსაც არაორაზროვნად უსვამს ხოლმე ხაზს. და ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ აფხაზეთი მას ყოველგვარი დაეჭვების გარეშე მიაჩნია ამ მთლიანობის ღვიძლ და სისხლხორცეულ ნაწილად.

სამწუხაროდ, რუსი პოლიტიკოსების მიზანმიმართულ მცდელობათა შედეგად გაღვივებული და საბედისწეროდ მომძლავრებული აფხაზური სეპარატიზმის შედეგად ა. ჯონუას მიერ განდიდებული ქართულ-აფხაზური ძმობა და მეგობრობა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ნაცარტუტად იქცა და ლამის ეროვნულ სიძულვილადაც კი გარდაიქმნა.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, აფხაზურ ლიტერატურაში საკმაოდ მრავლად არსებული მსგავსი სულისკვეთების მქონე ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ, შემზარავი რეალობით სასოწარკვეთილებამდე მისულსა და შეძრწუნებულს, შინაგანად კვლავაც გწამს და გჯერა, რომ აფხაზი მწერლების ყველა თაობის წარმომადგენელთა შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად ქცეული და ესოდენ მასშტაბურად გამოხატული სიყვარული საქართველოსა და ქართველებისადმი მხოლოდ სიყალბე და თვალთმაქცობა არ ყოფილა და საუკუნეთა განმვლობაში დამკვიდრებულ-განმტკიცებული ეს წმინდა გრძნობა ჩვენს ხალხებს შორის მომავალშიც უსათუოდ აღსდგება.

როგორც ცნობილია, ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სადაც აფხაზური მწერლობის არაერთმა წარმომადგენელმა მიიღო განათლება. მათ შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა იმდროინდელ შთაბეჭდილებათა პოეტურმა წარმოსახვამ. უნივერსიტეტი მათთვის იქცა ქართულ სამყაროსთან სისხლხორცეულად დამაკავშირებელ ხიდად და ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მრავალი მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ **გიორგი გუბლიას** (დაიბადა 1928 წელს) პოეტური შემოქმედებიდან.

აფხაზურ მწერლობაში ქართული თემატიკის დამკვიდრების საქმეში საგულისხმო წვლილი აქვს შეტანილი **კონსტანტინე ლომიასაც** (დაიბადა 1928 წელს). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი თბილისური ციკლის ლექსები, როლებიც ორი უმთავრესი ასპექტით იქცევენ მკითხველის ყურადღებას — თბილისური პეიზაჟების პოეტური წარმოსახვითა (გავიხსენოთ ლექსები: „მთაწმინდა“ „მტკვარი“...) და იმ სიყვარულის წინა პლანზე წამოწევით, რითაც აფხაზი მწერალი საქართველოს დედაქალაქთანაა დაკავშირებული. ქართველებსა და აფხაზებს შორის დღესდღეობით უკიდურესად გამწვავებული ვითარების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ კ. ლომია, რომელიც თავისი პირადი ცხოვრებით მოსკოვთან უფრო მეტად იყო დაკავშირებული, ვიდრე თბილისთან, თბილისს მშობლიურ ქალაქად მიიჩნევს და მოსკოვში მყოფი პოეტი ჩვენი ქვეყნის მონატრებით გამოწვეულ სევდას რადიოთი მოსმენილი ქართული სიმღერებით იქარვებს.

ქართულმა თემატიკამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა პირველი აფხაზი ქალი მწერლის — **ნელი თარბას** (დაიბადა 1934

წელს) შემოქმედებაშიც. უმთავრესი და არსებითი, რითაც ნ. თარბას ხსენებული ციკლის ნაწარმოებები დღევანდელ ვითარებაში იქცევენ ყურადღებას, ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ერთობისადმი აღვლენილი ხოტბაა. თავად პოეტის თქმით, საქართველოსადმი სიყვარული და ერთგულება მას „აფხაზეთმა და მისმა წინაპრებმა ასწავლეს“ (იხ. ლექსი „საქართველოს“).

საქართველოსამი მიძღვნილ ლექსებში აფხაზი პოეტები არა მარტო ზოგადად წარმოაჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულს, არამედ ცდილობენ მკითხველს ამ სიყვარულის განმაპირობებელი ფაქტორებიც დაანახონ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების საგნად პირველ ყოვლისა საქართველოს ისტორიის გმირული ეპიზოდებისა და ჩვენი სახელოვანი წინაპრების ღვაწლის გახსენებაა ქცეული. მაგალითად, ლექსში „მთაწმინდა“ (თარგმნა ზ. ბოლქვაძემ) **ბორის გურგულია** (დაიბადა 1935 წელს) ქართველ კაცზე არანაკლები სიყვარულით იხსენებს მთაწმინდის პანთეონში დაკრძალული ჩვენი დიდი წინაპრების სახელებს და ქედს იხრის მათი აჩრდილების წინაშე.

რასაკვირველია, ყოველივე ზემოთქმული იმას სულაც არ ნიშნავს, რომ იმ პერიოდში, როცა განსახილველი ნაწარმოებები იქმნებოდა, ყველა აფხაზი მწერალი, თუნდაც წინამდებარე ნარკვევში მოხსენიებულ ავტორთა შორისაც კი, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე მსჯელობის დროს ერთსულოვანი იყო და ბოლომდე გულწრფელად და არაკონიუნქტურულად გამოხატავდა თავის ნამდვილ თვალთახედვას. ეს რომ ასე არ ყოფილა, ამას არა მარტო ბოლოდროინდელი მოვლენები ადასტურებენ ნათლად და დაუეჭვებლად, არამედ ის ანტიქართული გამოხდომებიც, რასაც გასულ საუკუნეშიც არაერთგზის ჰქონია ადგილი აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან. სამწუხაროდ, ამგვარი გამოხდომების გამოძახილი აფხაზ მწერალთა იმდროინდელი შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებშიც გამოვლინდა აშკარად და ხელშესახებად.

მოყოლებული გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, აფხაზი სეპარატისტების ანტიქართულმა გამოსვლებმა იმდენად ფართო მასშტაბები შეიძინეს, რომ აფხაზთა იმ ნაწილს, ვინც საქართველოსთან ტრადიციულად არსებული ურთიერთობის შენარჩუნების თაობაზე რაიმეს თქმას გაბედავს, საკუთარი ხალხის მტრად და მოღალატედ აცხადებენ.

ამ გარემოებამ, ბუნებრივია, აფხაზ მწერალთა შემოქმედებაზეც მოახდინა მეტად ნეგატიური ზეგავლენა და მანამდელი აფხაზური ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიმართულებად დამკვიდრებული ქართული თემატიკა ანტიქართულ ისტერიად გარდაიქმნა. ამ სამწუხარო მოვლენამ განსაკუთრებული ძალით

პირველ ყოვლისა იმ მწერალთა ნაწერებში ჰპოვა გამოვლინება, რომლებიც მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და ოცდამეერთე საუკუნეში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენი ხალხების ერთმანეთისაგან განმთიშველ ამ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება ამჯერად პრინციპულად არ მიმაჩნია საჭიროდ და გამართლებულად. ჩემის ღრმა რწმენით, მთავარი და არსებითი ამ შემთხვევაში ჩვენს ხალხებს შორის არსებული კონფლიქტური დაპირისპირების გამომწვევი მიზეზების განსჯა-შეფასების დროს მტყუან-მართლის ძიება და ერთიმეორის დადანაშაულება კი არ უნდა იყოს, არამედ ერთმანეთთან დამაკავშირებელ გზათა ძიება და აქტიური ზრუნვა ადრინდელ ძმურ ურთიერთობათა კვლავაც აღსადგენად.

წინამდებარე ნარკვევიც უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ კეთილშობილური მიზნით დაიწერა, იმის სურვილითა და რწმენით, რომ უახლოეს პერიოდში უსათუოდ დადგება ის დრო, როცა აფხაზი და ქართველი მწერლები კვლავინდებურად გახდებიან იმ დიდი სიყვარულისა და ძმობა-მეგობრობის მეხოტბენი, რითაც ჩვენი ხალხები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ერთმანეთის გვერდიგვერდ.

დამოწმებული ლიტერატურა

აფხაზური ლიტერატურა. მოკლე ნარკვევი, თბილისი, 1975;

აფხაზური ლიტერატურა. ქრესტომათია, შემდგენელი ხ. ბღაჟბა, თბილისი, 1978;

ა. ნიკოლეიშვილი 2010 - ა. ნიკოლეიშვილი, ქართველოლოგიური ეტიუდები, I, ქუთაისი, 2010;

წერილში დასახელებულ აფხაზ მწერალთა ქართულ ენაზე გამოცემული წიგნები.

Avtandil Nikoleishvili

Apkhazian Writers and Georgia

While analyzing the attitude of Abkhazian writers towards Georgia, particular attention should be paid to the fact that the topic of Georgia occupied more or less important place in the creative works of every generation representing the XX century Abkhazian literature. The process of gradual and then radical changes in this respect started in 80ies of the previous century. Since this period, one of the noteworthy topics of Abkhazian literature - the well-established pro-Georgian aspiration has started to transform into anti-Georgian hysteria. The majority of Abkhazian writers regard Georgians are the fiercest enemies of Abkhazian people.

As the result of Russian purposeful colonial politics, the relationship between Abkhazians and Georgians gradually aggravated and reached the stage where it turned into military conflict in the 90ies of the previous century and terminated with the formation of pseudo-independent republic of Abkhazia.

Unfortunately, the majority of Abkhazians, including writers, have not deeply realized that their separation from Georgia and taking this fatal step pose real threats to their national identity.

Although the direct influence of Soviet political ideology is reflected in certain part of Abkhazian literature devoted to Georgian theme of Soviet period and the pro-Georgian orientation of the authors is the result of political condition, the love revealed by those writers is so deep that there is no reason to doubt their sincerity.

In order to have clearer picture of scales of the abovementioned topics in Abkhazian literature, the article presents detailed analysis the works devoted to Georgian theme by Abkhazian poets (D. Gulia, B. Sinkuba, K. Agumaa, I. Tarba, A. Jonua, K. Lomia, N. Tarba, G. Gurgulia, G. Gublia).

ზურაბ პაპასქირი

„აფხაზთა“ სამეფოს ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახის სეპარატისტული ხედვის კრიტიკისათვის

VIII-X საუკუნეებში ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების, მათ შორის აფხაზთა სამეფოს წარმოქმნა-განვითარების ისტორია ფუნდამენტალურადაა დამუშავებული ისტორიოგრაფიაში. ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, ზურაბ ანჩაბაძის, მარიამ ლორთქიფანიძის, დავით მუსხელიშვილის, ნოდარ ლომოურის, გივი წულაიას და სხვა მკვლევართა შრომებში ძირფესვიანადაა გამოკვლეული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა კარდინალური საკითხი და დამაჯერებლადაა ნაჩვენები ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების როლი და ადგილი საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში.

ფაქტობრივად ყველა ანგარიშგასაწევი მეცნიერი, მათ შორის წამყვანი უცხოელი მკვლევრები, ერთნიშნად მიიჩნევენ „აფხაზთა“ სამეფოს ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანებად. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც დიდ ბრიტანეთში მოღვაწე გამოჩენილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის, ვლადიმირ მინორსკის (1877-1966) კომენტარები, რომელიც ერთვის მის შირვან-დერბენდის ისტორიისადმი მიძღვნილ კაპიტალურ გამოკვლევას. ასე მაგალითად, ძველი ქართული ქალაქის მცხეთის განმარტებისას, მეცნიერი მიუთითებს, რომ „Мцхет (лежащий на западе от Тифлиса) мог принадлежать скорее юго-западным Багратидам, чем **так называемой „Абхазской“ династии западных грузин**“ (Минорский 1963:210, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). ვ. მინორსკის შემთხვევით არ მოჰყავს დინასტიის სახელწოდება ბრჭყალებში და სრულიად ნათლად განმარტავს, თუ რომელ ეთნოპოლიტიკურ სამყაროს წარმოადგენდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტია. ანალოგიურად იქცევა მეცნიერი თავისი ნაშრომის სხვა მონაკვეთებზეც. კერძოდ, ეხება რა IX-X საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კონფიგურაციას, ის აღნიშნავს: „Помимо Квириканской династии Кахетии, существовали основная династия Багратидов в центральной и южной части Грузии и **так называемая Абхазская династия в Западной Грузии**“ — და ეს მაშინ, როდესაც ავტორმა მშვენივრად იცის საკუთრივ აფხაზთა („მცირერიცხოვანი ხალხის“), რომელიც ამჟამად ცხოვრობს „на восточном побережье Черного моря (около Сухуми)“ (Минорский, 1963:117, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

თავისი ნაშრომის სხვა ადგილას ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ „в первой половине X в. Картлия была присоединена правителями **так называемой „Абхазской“ династии**“ (Минорский 1963:214, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). გარდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტიისა, მეცნიერს ბრჭყალებში აქვს მოქცეული აგრეთვე სიტყვები: „Абхазия“, „Абхазский“ და ა.შ. მაგალითად, XIს. არაბი ავტორის მასუდის ცნობის კომენტირებისას, ვ. მინორსკი წერს: „Масуди проводит различие между истоками Куры, которые он помещает в стране Джурзан в царстве Джурджина, и ее последующим течением через **„Абхазские“ владения (выше Тифлиса)**“ (Минорский 1963:214, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). სხვაგან, მიუთითებს რა, რომ ბაგრატიონები თავიანთ თავს დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად მიიჩნევდნენ, განმარტავს: „Эти цари Грузии (Джурз) назывались „абхазскими“ царями ввиду их связей с правящим домом Абхазии“ (Минорский 1963:223, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). კახეთის მეფის აღსართანის მოღვაწეობაზე თხრობისას, ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ „он... находился в плохих отношениях с царём **Западной Грузии (Абхазии, как ее называли мусульмане, имея в виду происхождение её династии). Современным правителем „Абхазии“** (იგულისხმება სრულიად საქართველო — **ზ.პ.**) **был энергичный Баграт (1027-72гг.), сын Георгия I (1014-27)**“ (Минорский 1963 :94, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). და ბოლოს, მასუდი ბენ ნამდარის ცნობის კომენტირებისას, რომლის თანახმად, თითქოს შირვანშაჰმა ფარიბურზმა „**покорил абхазцев**“, ვ. მინორსკი აზუსტებს, რომ ამ შემთხვევაში „აფხაზების“ ქვეშ იგულისხმებიან ქართველები (Минорский 1963 :96, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

თანამედროვე რუსი ისტორიკოსები, რომლებიც იკვლევენ აღმოსავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით კავკასიის ისტორიულ წარსულს ასევე აღიარებენ „აფხაზთა“ სამეფოს ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იერსახეს. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის, ამიერკავკასიის ქვეყნების აღიარებული მკვლევრის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ანატოლი ნოვოსელცევის (ა. ნოვოსელცევის ღვაწლზე დაწვრილებით იხ.: **Метревели, Папаскири 2004:**724-729; **პაპასქირი 2009**:601-606) გამონათქვამები. მისი განმარტებით VIIIს. წარმოქმნილი „აფხაზთა“ სამეფო, რომელიც თავდაპირველად მოიცავდა „территории, преимущественно населенные абхазами, …**в IX в. (после переноса центра „в Западную Грузию“) стало, по сути дела, западногрузинским государством, игравшим важную роль в истории Грузии**“ (Константин Багрянородный 1989:401, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

თითქმის ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდა მეორე

გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ლევ გუმილიოვი. „Эристав Абхазии — წერდა ლ. გუმილიოვი — с помощью хазар добился независимости от империи. Его преемники стали претендовать и на западную Грузию, постепенно её подчинив. Это случилось позже, **в IX-X вв.**, **а возникшее первоначально Абхазское государство,** распространив свою власть на этнически картвельские земли, куда затем был перенесен и центр государства (в Кутаиси), **постепенно превратилось в грузинское политическое объединение**“ (Гумилёв, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). არანაკლებ ინტერესს იწვევს კავკასიის კიდევ ერთი ცნობილი მკვლევრის ვლადიმირ კუზნეცოვის ხედვა. აღნიშნავს რა VIIIს. მიწურულს აღმოცენებული „აფხაზთა“ სამეფოს მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ფაქტს „со столицей в Кутаиси“ მიზანშეწონილად მიიჩნევს ხაზი გაუსვას, რომ „**общим языком для всех народов Абхазского царства становится грузинский язык**“ (Кузнецов 2004, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). კიდევ უფრო საგნობრივად მსჯელობს „აფხაზთა“ სამეფოზე არანაკლებ ცნობილი კავკასიოლოგი სერგეი არუთიუნოვი. მისი დაკვნით: „**Абхазия была населена** всегда абхазами, **но всегда и грузинами**. Т.е. иногда было грузин там больше, иногда меньше, **но никогда не было так, чтобы на территории Абхазии жили только абхазы или только грузины.** Такого не бывало. **Эти народы жили совместно в течение двух тысячелетий, как минимум. ...В грузинской истории абхазы выступили так, как, может быть, русы-варяги выступили в России. И Абхазское царство стало собирателем грузинских земель...**“ („Суть событий“ 2004, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსები და მათი მოსკოველი მფარველები (ძირითადად კონსტანტინე ზატულინის ტიპის ვაი პოლიტიკოსები) ყოველნაირად ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება საპირისპიროში. სხვადასხვა სახის პუბლიკაციებში მუდმივად მიდის სპეკულიაცია სამეფოს სახელწოდებით და გაუთვითცნობიერებელ მკითხველს აჯერებენ, რომ „აფხაზთა“ სამეფო თითქოს იყო წმინდა აფხაზური (თანამედროვე გაგებით) ეთნოპოლიტიკური გაერთიანება.

„აფხაზთა“ სამეფოზე, როგორც აფხაზურ-აფსუურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე პირველად 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ არენაზე გამოსულმა აფხაზეთის ,,ეროვნული“ ინტელიგენციის წარმომადგენლებმა განაცხადეს. მათ შორის პირველთაგანი იყო 1917-1937 წლების სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აფხაზი მოღვაწე მიხეილ თარნავა, რომელმაც 1917 წელს გამოაქვეყნა ბროშურა აფხაზეთის „ეროვნული“ ეკლესიის ისტორიისა — ერთგვარი „მეცნიერული“ დასაბუთება დამოუკიდებელი (ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისაგან) აფხაზეთის საეკლესიო ორგანიზაცის შექმნისა (Тарнава 1917). მასში ავტორმა „აფხაზთა“

სამეფო თანამედროვე აფხაზების წინაპრების მიერ შექმნილ სახელმწიფოდ გამოაცხადა. მისი მტკიცებით, „могущество и расцвет Абхазии (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფოს — **ზ.პ.**) приходят в упадок с прекращением царствования её самостоятельных правителей“ (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო ტახტზე — ქუთაისში — ბაგრატ ბაგრატიონის ასვლა, რომელიც არის იგივე გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III — **ზ.პ**) რომლის შემდეგაც თითქოს „судьба Абхазии сливается с судьбой Грузии“ (Православная 1994:9).

ამ ტენდენციამ შემდგომი გაგრძელება ჰპოვა XX ს. 20-30-იანი წლების აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობის გამოჩენილ წარმომადგენლებში. მათ შორის ,,სახელი გაითქვა“ სემიონ აშხაცავამ (Ашхацава 1925) რომლის ფანტასტიკური წარმოსახვა შორს იდგა ჯანსაღი აზრისგან. ასე მაგალითად: ს. აშხაცავა ამტკიცებდა, რომ „Абхазское“ царство — **абхазское национальное государство просуществовало аж до конца XVв.,** когда оно распалось «на три царства: Кахетинское, Карталинское и Имеретинское и на пять княжеств: Самцхе-Саатабаго, Гурию, Мингрелию, Сванетию и Абхазию“ (**Ашхацава** 1925:21, ხაზგასმა ჩვენია — ზ.პ.), და რომ „распадение Абхазского царства в XVв. повело к прекращению чеканки **национальной** (იგულისხმება — **აფხაზურ-აფსუური** — **ზ.პ.**) монеты“ (Ашхацава 1925:28, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). XVI-XVII საუკუნეებშივე ავტორის აზრით, „являются эпохой наибольшего падения... **бывшего Абхазского государства**“ (Ашхацава 1925:21, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

ს. აშხაცავასა და მისი თანამოაზრეების გავლენის ქვეშ იყვნენ ზოგიერთი რუსი ისტორიკოსებიც, რომლებიც იმ დროს აფხაზეთზე წერდნენ. მათ შორის აღსანიშნავია კ. კუდრიავცევი, რომელიც ცნობილია თავისი ანტიქართული პოზიციით აფხაზეთის ისტორიაში. იგი ცდილობდა VIII-Xსს. „აფხაზთა“ სამეფო წარმოეჩინა აფხაზთა ეროვნულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად. კ. კუდრიავცევი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ამტკიცებდა, რომ „с момента свержения Тевдосе II Слепого на престол Абхазии… вступает новая, **не национальная, чуждая ей династия**“ (Кудрявцев: 120-121, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

მეორე რუსი ისტორიკოსი ვ. ფადეევი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სოხუმში, მართალია, ღიად არ საუბრობდა „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ „ეროვნულ“ პერიოდზე, თუმცა ბაგრატ III-ის ერთიან ქართულ სახელმწიფოს „союзным (ანუ აფხაზურ-ქართულ — **ზ.პ.**) государством“ აცხადებდა, ხოლო ბაგრატ მეფეს — „союзным государем“ მოიხსენიებდა (Фадеев 1934:84, 86). აქედან აშკარად ჩანს მისი მოსაზრება, რომ „ლეონიდების“ სამეფო

მხოლოდ ეთნიკური აფხაზების მიერ იყო შექმნილი. დაახლოებით იგივე შეხედულებას იზიარებდა აფხაზური ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია, რომელმაც XXს. 20-იან წლებში შექმნა ნაშრომი აფხაზეთის ისტორიის შესახებ (Гулиа 1925:191-222). თუმცა, მოგვიანებით, მან გადასინჯა თავისი მოსაზრება „აფხაზთა“ სამეფოს შესახებ და იგი ერთმნიშვნელოვნად აღიარა დასავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად (Гулиа 1951:14-16).

ზემოთაღნიშნულ აშკარად ტენდენციურად განწყობილი ავტორების (მოგვიანებით მათ შეუერთდა ი. ვორონოვი), რომლებიც „აფხაზთა“ სამეფოს მიიჩნევდნენ არა ქართულ, არამედ აფხაზურ (თანამედროვე ეთნიკური გაგებით) პოლიტიკურ გაერთიანებად, თვალსაზრისს ბაგრატ III-ის გამეფებით „აფხაზთა“ სამეფოს არსებობის შეწყვეტის შესახებ ანვითარებდა ისეთი კომპეტენტური და მიუკერძოებელი მკვლევარი, როგორიც იყო ზურაბ ანჩაბაძე (Анчабадзе 1959:166, 171). იმავე პოზიციაზე იდგა შალვა ინალ-იფა (Инал-ипа 1976:412).

მოგვიანებით, სამეცნიერო წრეებში და მათ შორის აფხაზ ისტორიკოსებშიც თითქოს არ იყო სადავო „აფხაზთა“ სამეფოს ქართული შინაარსი, რაც პირველ რიგში გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის ზ. ანჩაბაძის დამსახურება იყო (Анчабадзе 1959:95-158), რომელმაც ერთმნიშვნელოვნად აღიარა „აფხაზთა“ სამეფო დასავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად (**აფხაზეთის** 1981:313; Абхазская 1981:324), რომლის „**культурная и церковная политика..,** также как **его социальная и государственная политика, диктовалась общегрузинскими интересами**“ (Анчабадзе 1959:153, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

მიუხედავად ამისა, აფხაზეთში დრო და დრო ქვეყნდებოდა ნაშრომები, რომელშიც VIII-X საუკუნეების „აფხაზთა“ სამეფო წარმოდგენილი იყო, როგორც აფხაზური ეროვნული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. XXს. 60-იან წლებში ამ მიმართულების წარმომადგენლებს შორის გამოირჩეოდა რ. ხონელია (Хонелия 1967[ა]; Хонелия, 1967[ბ]). მოცემული შეხედულება ნაწილობრივ გვხვდება გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის შ. ინალ-იფას ნაშრომებშიც. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ იგი აფხაზური ეროვნული პერიოდის არსებობას უშვებს ლეონ II-ის მიერ შექმნილი სამეფოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანამდე, რომლის შემდეგაც, მეცნიერის თქმით, „აფხაზთა“ სამეფო უკვე „**превратилось** по существу **в грузинское государство по своей основной территории, составу преобладающего населения… и осуществлявшейся… общегрузинской политики**“

(Инал-ипат 1976:403, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

„აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ-ეროვნული იერსახის პროპაგანდას უწევდნენ ე.წ. „აფხაზი ხალხის მეგობრები“ რუსული ინტელიგენციის იმპერიულად განწყობილი წარმომადგენლები თავიანთ პუბლიკაციებში. მათ შორის პირველობა ეკუთვნის რუსული ფაშიზმის იდეოლოგიურ ბელადს ვადიმ კოჟინოვს, რომელიც გიორგი ტურჩანოვის მიერ „გაშიფრული“ აფხაზური დამწერლობის გამოყენებით, მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ „აფხაზთა“ სამეფოში საეკლესიო ღვთისმსახურება და სახელმწიფო მართვა-გამგეობა აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა (Кожинов 1977:256.). ყოვლისმცოდნე ვ. კოჟინოვის „აღმოჩენებიდან“ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მისი მტკიცება იმის შესახებ, რომ „**до 1931 года Абхазия никогда не была частью Грузии. Никогда, за всю свою тысячелетнюю историю. Зато были времена, когда часть Грузии входила в Абхазское царство**“ (Кожинов 1993, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

XXს. 80-იანი წლების II ნახევრიდან, განსაკუთრებით კი 1988 წლიდან იწყება სეპარატისტული მოძრაობის მომდევნო ესკალაცია. აფხაზმა მეცნიერებმა უფრო აგრესიულად დაიწყეს მტკიცება „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზ-აფსუური ეროვნულ-აფხაზური კუთვნილების შესახებ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემად იყო დემონსტრირებული ცნობილი აფხაზი არქეოლოგისა და ისტორიკოსის მ. გუნბას მონოგრაფიაში (Гунба 1989:232-249). ასევე აფხაზეთის ისტორიის საკითხებით გატაცებული ფილოლოგის ა. პაპასკირის პუბლიკაციებში (Папаскири 1988:114-129).

ამავე დროს ნამდვილი ანტიქართული ისტორიოგრაფიული კამპანია წამოიწყო სეპარატისტული მოძრაობის ოდიოზურმა წარმომადგენელმა, არქეოლოგმა ი. ვორონოვმა, რომლის ნაშრომებმა ამ მიმართულებით ყურადღება ჯერ კიდევ XXს. 70-იანი წლებიდან მიიქცია. თუ იგი ადრე ჯერ კიდევ ვერ ბედავდა თავისი ინსინუაციებისთვის პოლიტიკური მიმართულების მიცემას და არ გამოდიოდა აკადემიური ჩარჩოებიდან, 90-იანი წლების დასაწყისიდან მის „შემოქმედებაში“ საბოლოოდ წაიშალა ზღვარი მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის და იგი მთლიანად ჩადგა აფხაზურ-სეპარატისტულ მოძრაობის სამსახურში. ეს ნათლად გამოვლინდა მის მიერ გაზეთ „Абхазия“-ში გამოქვეყნებულ ბინძურ რეცენზიაში მ. ლორთქიფანიძის წიგნზე „აფხაზები და აფხაზეთი“ (Воронов 1991) ასევე ე.წ. „ექსპრეს-ნარკვევი“ „Абхазы. Кто они?“, რომელიც აფხაზეთში ომის დაწყების შემდეგ გამოაქვეყნა (Воронов 1992; Белая 1993).

შენიშვნა: ი. ვორონოვის ამ პასკვილს ღირსეული პასუხი გასცა მ. ლორთქიფანიძემ (**„Заря Востока“ 1991**). თავის დროზე ამ სტრიქონ-ების ავტორიც ოპერატიულად გამოეხმაურა და შეძლებისდაგვარად მოიგერია მისი თავდასხმები ქართულ ისტორიოგრაფიაზე (**პაპასქირი,**

1991; **პაპასქირი,** 1998). აღნიშნულ პუბლიკაციაში გადმოფრქვეული „სიბრძნეების“ შესახებ იხ. (**პაპასქირი**, 1992; **პაპასქირ**ი, 1998; **Папаскири**. 1993; **პაპასქირი**, 2009).

ამ პუბლიკაციებში საქართველო-აფხაზეთის სხვა საკითხებთან ერთად, ტენდენციურად იყო გაშუქებული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორია, და რაც მთავარია, და ადგილი ჰქონდა უხეშ ფაქტოლოგიურ დაუდევრობას. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი ფაქტი — მან გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე — ბაგრატ III („представителя рода южногрузинских Багратидов“), არც მეტი არც ნაკლები, **საკუთარ დედაზე — გურანდუხტზე** („наследнице абхазского престола”) დააქორწინა (Воронов 1992:21; Белая 1993:28).

სეპარატისტული ისტორიოგრაფიის „მონაპოვრები“ ,,აფხაზთა“ სამეფოს ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი იერ-სახის „შესწავლაში“ ერთგვარად შეჯამდა ე.წ. აფხაზეთის ისტორიის „დამხმარე სახელმძღვანელოში“, რომელიც გამოიცა სოხუმში 1991 წელს (История 1991:68-88). მიუხედავად იმისა, რომ „აფხაზთა“ სამეფოს შესახებ ქვეთავის ავტორი ი. ვორონოვი ყოველნაირად შეეცადა დაემალა აღნიშნული გაერთიანების ქართული შინაარსი, იგი ძალაუნებურად იძულებული გახდა ეღიარებინა ქართველებისა და აფხაზების ისტორიული ერთობა და მათი თანაარსებობა საერთო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში იმ საკითხების გაშუქებისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა VIII საუკუნეში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ი. ვორონოვი ვერ გაექცა ეჩვენებინა ქართველი ლიდერების წამყვანი როლი. ზემოაღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს მისი მხრიდან კონსტატაცია (ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულების ცნობაზე დაყრდნობით), ანაკოფიასთან (,,აფხაზეთის ერისთავი“ ლეონის რეზიდენცია) არაბი სარდლის მურვან იბნ-მუჰამედის (იგივე მურვან ,,ყრუ“) წინააღმდეგ მებრძოლ ქართლელთა და აფხაზთა გაერთიანებული ლაშქრის სათავეში, ქართლის „მეფეთა“ - მირისა და არჩილის ყოფნის ფაქტისა (История 1991:70). სხვა ადგილას ი. ვორონოვი ხაზგასმით მიუთითებს ბიზანტიის იმპერიის როლზე დასავლეთ საქართველოში ლეონ I-ის პოზიციის განმტკიცებაში და აღნიშნავს, რომ ამისთვის ხელს უწყობდა „передача ему (ლეონ I-სთვის — **ზ.პ.**) **знаков царского достоинства, принадлежавших картлийскому царю Миру**“ (История 1991:74, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ი. ვორონოვისთვის ემტკიცებინა, რომ „действия Леона II“, რომელიც „обычно рассматриваются в качестве проявления некоей его „общегрузинской“ политики“, სინამდვილეში მიმართული იყო საკუთარი სამფლობელოების

გაფართოებისათვის „врамках стремлений, характерных для каждого феодального деспота“. „Вместе с тем, — ასკვნის ი. ვორონოვი — **беспрерывно продолжавшаяся“ ბრძოლა და მეტოქეობა „с соседними царствами и** княжествами, особенно за владение Картлией. **Объективно…со временем привела к объединению всех картоязычных (грузинских) племен,** и Абхазское царство сыграло в этом процессе основную позитивную роль“ (История 1991:76, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

ცოტა ქვემოთ აღნიშნულია, რომ „…к концу X века восточная политика Абхазского царства, **объективно ведущая к объединению** значительной части западного и центрального Закавказья (რატომ არა საქართველო? — **ზ.პ.**), **завершилась созданием нового государства – „царства абхазов и картвелов“, позднее известного как объединенное грузинское царство**“ (История 1991:89, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). „События 975-978 гг., — აგრძელებს ი. ვორონოვი, — следует расценивать, с одной стороны, как удачу в деле захвата соседних территорий и укрепления Абхазского царства, а с другой — как первые шаги к образованию **качественно нового** феодального **государства**, **позже ставшего известным как „Грузинское“** (История 1991:89, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

რამდენადმე დაბნეული იმის კონსტანტაციით, რომ „აფხაზთა“ სამეფო **მაინც ტრანსფორმირდებოდა** ქართულ სახელმწიფოში, ი. ვორონოვი ყოველნაირად ცდილობს „გადაფაროს“ ეს შემდეგი განცხადებით: „Абхазские цари, расширяя то силой, то с помощью политических интриг границы своих владений, заботились, **прежде всего, освоем личном благе и могуществе. Их ещё не волновали вопросы национального** (в современном смысле слова) **приоритета, а соответствующие моменты (язык официальных документов, церковная соподчинённость, архитектурные школы и т.д.) – как проявления реальной жизни, обращенной больше в настоящее, зависели от конкретной ситуации**“ (История 1991:90 ხაზგასმა ჩვენია - **ზ.პ.**).

ამრიგად, გამოდის, რომ ლეონ II-სა და მისი მემკვიდრეების აშკარად გამოკვეთილი ქართული პოლიტიკა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სფეროში, საეკლესიო პოლიტიკასა და ა. შ. (ი. ვორონოვის მიერ უნებლიედ აღიარებული) იყო არა „ნაციონალური პრიორიტეტი“, არამედ მხოლოდ „проявление... реальной жизни“. და ეს მაშინ, როცა სხვა შემთხვევაში განვითარებას „в рамках византийской культурно-политической системы“, რატომღაც ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა არა მარტო აბაზგიისა და აფსილიისათვის, არამედ ,,აფხაზთა“ სამეფოსათვის. „Не будь, в VIII-

Хвв. политически независимого, но христианского, и в этом уже византизирующего (?!) Абхазского царства,-- წერს „სახელმძღვანელოს“ ავტორი, - не сложилось бы в XI-XII веках тяготевшего к тому же христианскому миру культурно-исторического единства, ныне называемого общегрузинским“ (История 1991:90).

თუ ბიზანტიის კულტურულ-პოლიტიკური გავლენა აბაზგიაზე და აფსილიაზე სრულიად აშკარა იყო, იგივეს ვერ ვიტყვით ,,აფხაზთა“ სამეფოზე. „აფხაზი“ მეფეების სტრატეგიული საგარეო პოლიტიკის წყალობით მოპოვებული დამოუკიდებლობა ბიზანტიის იმპერიის კულტურულ-იდეოლოგიური ზეგავლენისგან დამოუკედებლობას ნიშნავდა, რომელიც, რა თქმა უნდა, დრო და დრო არ გამორიცხავდა თანასწორ პარტნიორულ ურთიერთობას ქუთაისსა და კონსტანტინოპოლს შორის (პაპასქირი 1999: 325-335; პაპასქირი 2009:184-195).

ი. ვორონოვის რამდენადმე ფრთხილი პოზიცია (რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს პოზიცია შენარჩუნებულია დღევანდელი თვით აღიარებული რესპუბლიკის ოფიციალურ პოლიტიკურ ხედვაში (**Абхазское**)). „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერ-სახის განსაზღვრებაზე (აფხაზეთის „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შემდეგ) უკვე არ „შეეფერებოდა“ სეპარატისტების გაზრდილ ამბიციებს. მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ მხოლოდ „ლეონიდების“ სამეფოს გამოცხადება აფხაზურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანებად და, არც მეტი არც ნაკლები, მას XI-XII საუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფოც მიაყოლეს. თუ ი. ვორონოვი ზემოთაღნიშნულ სახელმძღვანელოში XI-XIIIსს. ერთიანი ქართული სახელმწიფოს განსაზღვრებისთვის იყენებდა ფორმულირებას: „აფხაზთა და ქართველთა სამეფო“ ((История 1991:98) და აღიარებდა რა ამ სახელმწიფოს ქართულ იერ-სახეს, მიუთითებდა აფსუა-აფხაზების როლზე. ზოგიერთ პუბლიკაციებში უცერემონიოდაა ნათქვამი იმის შესახებ, რომ „აფხაზთა“ სამეფო (მათი ავტორების აზრით აფსუა-აფხაზების ეროვნული სახელმწიფო) არსებობდა 1259 წლამდე. სხვათა შორის, ამ თარიღს იზიარებდა ი. ვორონოვიც, რომლის მიხედვით, სწორედ ამ დროს „царство „абхазов и картвелов“ ушло с исторической арены“ (История 1991:98).

მოცემული შეხედულება მკვიდრდება ბოლო დროს გამოცემულ მთელ რიგ პუბლიკაციებში. პირველ რიგში ეს არის სტატიები ზოგიერთ რუსულ ენციკლოპედიებსა და ცნობარებში, რომელიც აშკარად მიწოდებულია სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსების მიერ (**Страноведение**). აზრი, ,„აფხაზთა“ სამეფოს არსებობაზე XIIIს. შუა ხანებამდე გვხვდება ასევე ს. შამბას სტატიებში. ავტორი თვლის, რომ ლეონ II-ის მიერ შექმნილი „აფხაზთა“ სამეფო მხოლოდ აფხაზურ ეროვნული

სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო და აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ „в Абхазском царстве **в VIII-XIIIвв**.“ დომინირებდა აფხაზური მოსახლეობა (Шамба 1999, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). მაგრამ ყველაზე აგრესიულად „აფხაზთა“ სამეფოს — აფხაზთა „ნაციონალურ სახელმწიფოს“ — არსებობაზე 1259 წლამდე ამტკიცებს ე. აჯინჯალი (Аджинджал 1996:12-15).

ლეონ II-ის მიერ ახლად შექმნილი სამეფოს დედაქალაქის ანაკოფიიდან (ახლანდელი ახალი ათონი) ქუთაისში გადატანისა ფაქტის აღნიშვნისას, ს. შამბა აკეთებს სრულიად დაუსაბუთებელ განცხადებას იმის შესახებ თითქოს ლეონმა ახალ დედაქალაქს მისცა „абхазское название Кутышь, которое в абхазском языке употребляется и сегодня (означает „куриная гора“)“. ამავე დროს, ს. შამბა იმოწმებს ანტიკურ ტრადიციას, რომელიც თანახმადაც ამ მხარეში იყო ხოხბების სიმრავლე (Шамба 1999).

ს. შამბას — ბოლო დრომდე სეპარატისტული აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთმა წამყვანი ფიგურის, დიდი ხნის მანძილზე ე.წ. „საგარეო საქმეთა მინისტრის“, ხოლო მოგვიანებით „პრემიერ-მინისტრის“, რომელიც სხვათა შორის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მანტიითა შემოსილი — ინსინუაციები ამით არ მთავრდება. აღნიშნავს რა რომ „в 978 году корона абхазских царей по материнской линии перешла“ ბაგრატ უფლისწულზე, ამ უკანასკნელს მოიხსენიებს როგორც წარმომადგენელს „**южно-грузинской ветви армянского царского рода Багратуни**“ (Шамба 1999, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

> **შენიშვნა:** როგორც ჩანს, სწორედ ასეთი სახის განცხადებისთვის მიენიჭა ს. შამბას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი არა სადმე სხვაგან, არამედ ერევანში.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ს. შამბა სხვა პუბლიკაციაში იძულებულია აღიაროს, რომ „აფხაზთა“ სამეფო — „**могущественное** по тем временам **государство**“, რომელიც „შექმნა აფხაზმა ხალხმა“ XI საუკუნეში „в результате династических браков **трансформировалось в Грузинское царство**, просуществовавшее до XIII века“ (Шамба, Абхазия, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

შამბას გვარის კიდევ ერთი წარმომადგენლის, სეპარატისტული აფხაზეთის ყოფილი „პრემიერ მინისტრის“ ძმის ტ. შამბას მტკიცებით, (თავის დროზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პარტიული „ბოსი“ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი) აფხაზეთის „**государство** (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო — **ზ.პ.**) **абхазы создали самостоятельно на своей исконной земле** и напротяжении двух веков **абхазское государство** было сильнейшим среди соседей“. რაც შეეხება

„აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოებს, მისი სახელწოდება „название... **„Абхазо-Картвельское царство“**, — ტ. შამბას და მისი იდეური თანამებრძოლისა და თანაავტორის რუსული შოვინისტური კორპუსის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ვინმე ა. ნეპროშინის, მანამდე ყველასთვის უცნობი ეთნოპოლიტოლოგის, აზრით, — „**было фактически условным, поскольку пришедший на его правление Баграт III был не картвел, а представитель армянского** (а еще ранее персидского) **рода из Тао-Кларджети**, **мать которого была абхазка, т.е. не имел ничего общего с племенем картвелов**“ (Шамба… 2003. ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

სხვა პუბლიკაციაში ტ. შამბა თავის განუყოფელ თანაავტორთან ერთად კიდევ უფრო შორს მიდის. „В истории региона, — წერენ ისინი, — подтверждено существование Абхазского царства в период между VIII-Хвв. и Абхазско-Картвельского царства до начала XIIIв. **Абхазия представляет эти сведения как претензию на собственный суверенитет,** но **Грузия это же самое царство характеризует как... Грузинское государство (?)**, в котором преобладают грузинский язык и культура“ (Шамба, Непрошин. 2004, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). თუმცა **„главная неприменимость такого подхода“**, — ავტორების აზრით, — ...заключается в том, что „**в возражениях Грузии имеют место только голословные заявления без привлечения юридически достоверных документов...** подтверждающих действительные факты“ (**Шамба, Непрошин, 2004,** ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**), მაშინ, როდესაც „აფხაზურ ვერსიას“, ადასტურებენ **„Диван Абхазских царей“**.., **„Картлис Цховреба“, труд средневековых историков Абхазского царства**“ (Шамба… 2003. ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). ამასთან, როგორც ბოლო დროის ისტორიის მეცნიერების ახლად მოვლენილი „კორიფეები“ აცხადებენ „Абхазия никогда не считала себя Грузией, скорее княжества Закавказья, в том числе Картли и Кахетия, должны считаться принадлежащими территориально и административно Абхазии“ (Шамба, Непрошин, 2004).

როგორც ვხედავთ, „აფხაზ მეფეთა დივანი“ და „ქართლის ცხოვრება“ ჩვენი „ჭკუის კოლოფების“ მიერ ფაქტობრივად გამოცხადებულია „აფხაზთა“ სამეფოს (მათი გაგებით აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს) წერილობით ძეგლად ქართლი და კახეთი კი — კავკასიის სამთავროებად და არა ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნად. ამასთანავე, მათი „გენიალური“ მიგნებით **„домыслы о существовании Грузии на протяжении 26 веков не имеют ничего общего с исторической действительностью... До мая 1918г. государство „Грузия“, как и ее территория, не существовало! Только с объединением нескольких отдельных независимых княжеств,**

располагавшихся на территории Закавказья, из которых ни одно не носило самоназвание „Грузия“, в единое государство и присвоением этому объединению указанного наименования юридически правомерно возникновение такой страны, с этого момента — и не ранее!“ (Шамба, Непрошин, 2004, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). და ეს მაშინ, როცა საკუთრივ, „**Абхазия... в VIII-XIвв. и позже, до XVIIIв., была государством независимым**“, რომელიც (VIII-XIIIსს.) „**охватывало практически все Центральное и Западное Закавказье, включая в себя все государственные образования, находившиеся на этой территории. Ссылки грузинских политиков на то, что все эти территории в XI-XIIIвв. принадлежали Грузии, – полная бессмыслица, поскольку такого государства до 26 мая 1918г. не было**“ (Шамба, Непрошин, 2004, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

ზემოთმოყვანილი „შედევრების“ გაცნობის შემდეგ ნებისმიერი ნაკლებად ინფორმირებული მკითხველს შეუძლია მივიდეს მხოლოდ ერთ ჭეშმარიტად სენსაციურ დასკვნამდე: რომ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელმწიფო, და ცნობილი ძველი ქართული თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ (საინტერესოა რატომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არა?!) არის აფხაზი ერის ისტორიული მონაპოვარი (სხვათაშორის, მათ არ გააჩნდათ დამწერლობა XIXს. ბოლომდე) და არა ქართველების. აი როგორი თეორიული „სიბრძნით“ კვებავენ სეპარატისტებს იურისტი ტ. შამბა და მისი ძმობილი ა. ნეპროშინი — ს. აშხაცავას და ვ. კოჟინოვის იდეური მემკვიდრეები.

რა თქმა უნდა, სრულიად უაზროა კომენტირება ისტორიული მეცნიერებისაგან ასე შორსმდგარი ,,ექსპერტების“ ამგვარ აბსურდულ დასკვნებზე. სამწუხაროა, რომ ასეთი სახის ,,აღმოჩენები“ ზოგჯერ ჩნდება პროფესიონალ ისტორიკოსთა პუბლიკაციებშიც. ასე მაგალითად, ზემოთნახსენები ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი და არქეოლოგი მ. გუნბა „აფხაზების“ (აბაზგების) მიერ შექმნილ ,,აფხაზთა“ სამეფოს უწოდებს საერთო კავკასიურ სახელმწიფოს, რომელიც არსებობდა X-XV საუკუნეებში (Гунба. Об автохтонности).

თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ არა მხოლოდ VIII-X საუკუნეების „აფხაზთა“ სამეფო, არამედ ბაგრატ III-ისა და მისი მემკვიდრეების სამეფო („до нашествия монголов“) რჩებოდა აფხაზურ პოლიტიკურ წარმონაქმნად, აქტიურად უჭერს მხარს კიდევ ერთი დილეტანტი ისტორიული მეცნიერების სფეროში, ფილოლოგი ა. პაპასკირი (Папаскир 2005).

შენიშვნა: სხვათა შორის, სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერ-სიტეტში 1984 წლის დასაწყისში გამართულ ა. პაპასქირის მოხსენების „მოსმენაზე“ მთელი მისი დილეტენტური ,,მიგნებების“ - მათ შორის „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ-აფსუურ იერ-სახეზე — აბ-

სურდულობა მკაფიოდ აჩვენა გამოჩენილმა აფხაზმა ისტორიკოსმა ზ. ანჩაბაძემ.

ეს აზრი გამოკრთის ირინე აგრბას, მთლიანობაში, არც თუ ურიგო სადისერტაციო ნაშრომში (Агрба 1989:17). გ. გუმბას აზრით, „აფხაზთა“ სამეფო VIII-X საუკუნეებში იყო მხოლოდ აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო, მაშინ როცა გაერთიანებული საქართველოს სამეფო XI-XV საუკუნეებში თურმე იყო არა საქართველო, არამედ მხოლოდ „федеративное государство закавказских народов“ (Гумба 1994:4-5).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2006 წელს სოხუმში გამოიცა აფხაზეთის ისტორიის ე.წ. „სახელმძღვანელო“ „для общеобразовательных учебных учреждений“ (Бгажба… 2006). მასში (ჩვენთვის საინტერესო თავების ავტორი არის ი. ვორონოვის მეგობარი და თანამებრძოლი, ცნობილი არქეოლოგი ოლეგ ბღაჟბა) პრაქტიკულად შენარჩუნებულია VIII-X საუკუნეების ი. ვორონოვისეული ხედვა, თუმცა ზოგიერთ ადგილებში მაინც იგრძნობა თანამედროვე პოლიტიკური კონიექტურის კვალი. ეს პირველ რიგში, ეხება მურვან იბნ-მუჰამედის ლაშქრობას დასავლეთ საქართველოში. ახალი „სახელმძღვანელოს“ ავტორი ანაკოფიის ბრძოლის პერიპეტიებზე თხრობისას (ი. ვორონოვისგან განსხვავებით) არაფერს ამბობს ქართლის ერისმთავრების მირის და არჩილის წარმმართველ როლზე (Бгажба, Лакоба 2006: 118).

ასეთია, მთლიანობაში, „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის აფხაზური (სეპარატისტული) ხედვა. როგორც ვხედავთ, ზემოთ ხსენებული ავტორები ყველანაირად ცდილობენ დაარწმუნონ მთელი სამყარო იმაში, რომ VIII საუკუნის ბოლოს ლეონ II-ის მიერ შექმნილ „აფხაზთა“ სამეფო, რომელიც მინიმუმ ორი საუკუნის განმავლობაში (ბაგრატ III-ის „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებამდე) წარმოადგენდა მხოლოდ აფხაზურ ეროვნულ სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სხვა პუბლიკაციების მოყვანაც, რომელშიც ტირაჟირებულია მოცემული თვალსაზრისი, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილი მასალა სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად თუ რა ისტორიოგრაფიულ ბურანში ამყოფებენ თავიანთ თანამემამულეებს ჩვენი აფხაზი კოლეგები. ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით დამაჯერებლადაა ნაჩვენები „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის აფხაზური (სეპარატისტული) ხედვის სრული აბსურდულობა და მკაფიოდ არის განმარტებული თუ რატომ არ შეიძლება ,,აფხაზთა“ სამეფოს სახელწოდების მატარებელი პოლიტიკური გაერთიანება ჩაითვალოს აფსუა-აფხაზთა ეროვნულ-სახელმწიფოდ და რატომ წარმოადგენს იგი ერთნიშნად მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ნაციონალურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას (ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: პაპასქირი 2004:37-55, Папаскири: 68-106. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: პაპასქირი 2009:24-54; Папаскири 2010:26-51).

დამოწმებული ლიტერატურა:

აფხაზეთის 1981 - აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, – **ქართული საბჭოთა ენციკლოპედია**. ტ. საქართველოს სსრ,თბ., 1981;
პაპასქირი 1998 - ზ. პაპასქირი. აფხაზეთი საქართველოა.თბ., 1998;
პაპასქირი 1999 - ზ. პაპასქირი. „აფხაზთა“ სამეფოს საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის; **ქართული დიპლომატია**, წელიწდეული, ტ. VI. თბ., 1999;
პაპასქირი 2009 - ზ. პაპასქირი. და აღმოცისკრდა საქართველონიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, ელექტრონული ვერსია:http://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-georgian;
პაპასქირი 1991 - ზ. პაპასქირი. ინტერფრონტის ლიდერის ახალი „გმირობანი“, ანუ იმის შესახებ თუ როგორ გააკრიტიკა ი.ვორონოვმაპროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზები და აფხაზეთი“. - გაზ.: **„აფხაზეთის ხმა“,** 16.08.1991, 17.08.1991;
პაპასქირი 2004 - ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. უძველესი დროდან 1917 წლამდე. თბ., 2004;
http://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-georgian;
პაპასქირი, 1992; ზ. პაპასქირი. „უმეცრობის ფართი-ფურთი“, ანუცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამოხდომა. გაზ.: **„აფხაზეთისხმა“,** 21.11.1992, 26.11. 1992;
აფხაზეთის, 1981; Абхазская Автономная Социалистическая Советская Респуб лика. Исторический очерк. – Грузинская СоветскаяЭнциклопедия, т. Грузинская ССР. Тб., 1981.Абхазское;
Абхазское царство.– Официальный сайт Президента Республики Абхазия: http://www.abkhaziagov.org/ru/state/history/abkh.phpb;Царство Багратидов. – http:// www.abkhaziagov.org/ru/state/history/bagratid.php.
აგრბა 1989; И. Ш. Агрба. Взаимоотношения Абхазского царства и Византии (Конец VIII – Хвв). Авторефератнасоиск. уч. степ. Канд. историч.наук. М., 1989;
აჯინჯალი 1996 - Е. К. Аджинджал. Из истории Абхазской государственности. Сухуми, 1996;
ანჩაბაძე 1959; З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959;
აშხაცავა 1925; С. М. Ашхацава. Пути развития абхазской истории. ИзданиеНаркомпроса Абхазии, 1925;
bgaJba . . . 2006 -О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии.С древнейших времён до наших дней.10-11 классы.., Сухуми, 2006;

Белая, 1993; Белая Книга Абхазии. Документы, материалы, свидетельства. 1992-1993. М. 1993 ელექტრონ. ვერსია: http://psou.narod.ru/history/wb/wb_06.html);
ვორონოვი 1992; Ю. Н. Воронов. Абхазы. – кто они? Гагра, 1992;
ვორონოვი, 1991; Ю. Н. Воронов. Ядовитые уроки госпожи Мариам. – газ. „Аб хазия“, 16. 07.1991;
გულია 1925; Д. И. Гулиа. История Абхазии. Тифлис, 1925;
გულია 1951;Д. И. Гулиа. О моей книге „История Абхазии“. Сухуми, 1951; რეპრინტული გამოცემა. Тб., 1998, გვ. 14-16. ელექტრონული ვერსია: http://www.amsi.ge/istoria/div/gulia1.html;
გუმბა 1994; Г. Гумба. Значение терминов „Грузия“ и „Сакартвело“ в средневековых источниках. Сухуми, 1994;
გუმილიევი 2013 - Н. Гумилёв. История Востока (Восток в средние века) ინერნეტვერსია: http://gumilevica.kulichki.net/HE2/he2103.htm
გუმბა 1989 - М. М. Гунба. Абхазия в первом тысячелетии н. э. Социально-экономические и политические отношения. Сухуми, 1989;
გუმბა Об автохтонности; М. М. Гунба. Об автохтонности абхазов в Абхазии. – Абхазия – страна души. ელექტრონული ვერსია: http://www.abkhaziya.org/serverarticles/article67b29ce2daa13cbacb983efe16775a02.html.
„ЗаряВостока“, 1991; გაზ. „Заря Востока“, 7.08.1991, 8.08.1991;
Инал-ипа, 1976; Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976;
История 1991; История Абхазии. Учебное пособие. Гл. редактор С. З. Лакоба. Сухуми, 1991;
Константин Багрянородный, 1989; Константин Багрянородный. „Об управлении империей“. Греческий текст, перевод, комментарии. Под. ред. Г. Г. Литаврина, А. П. Новосельцева. М., 1989, комментарий 17 к главе 42, в соавторстве с М. В. Бибиковым. internet-versia: http://oldru.narod.ru/biblio/kb_k30_43.htm#42;
Кожинов 1977; В. В. Кожинов. Современная жизнь традиций. Размышления об абхазской литературе. – Дружба народов, №4, 1977.
Кожинов 1993; В. Кожинов. Шеварднадзе в Абхазии продолжает дело Берии. – Литературная Россия, 8 января 1993г. ინერნეტ ვერსია: http://abhazia.com/book/? page=book&cat=wb_41;
Кудрявцев, 1922; К. Кудрявцев. Сборник материалов по истории Абхазии. Сухуми, 1922;
Кузнецов, 2004; В. А. Кузнецов. Введение в Кавказоведение. Владикавказ, 2004. ინერნეტ ვერსია:http://www.ossetia.ru/caucasus/abx-adig;

Метревели, Папаскири, 2004; Р. В. Метревели, З. В. Папаскири. Видный учёный, большой друг Грузии. К 70-летию Анатолия Петровича Новосельцева. – qarTuli diplomatia, weliwdeuli, t. 11. Tb., 2004;
Минорский 1963; В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда. М., 1963;
Папаскир 2005; А. Л. Папаскир. Началоабхазо-русскихвзаимоотношений. НепризнанныегосударстваЮжногоКавказаиэтнополитическиепроцессына югеРоссии, вып. 29. 2005. ელექტრონულივერსია: http://kavkazonline.ru/csrip/elibrary/uro/uro_29/uro_29_ 07.htm;
Папаскири 1988; А. Л. Папаскири. Проблемы изучения русско-абхазских литературных и культурных связей. – Труды АГУ, т. VI. Сухуми, 1988.Папаскири,2010. З. Папаскири. Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010;
Папаскири, 2006; З. В. Папаскири. „Абхазское“ царство – грузинское государство. – Исторические разыскания. Ежегодник научных трудов Абхазской организации Всегрузинского исторического общества им. Еквтимэ Такаишвили. VIII-IX. Тб., 2006, ელექტრონ. ვერსია: http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani 2005-2006
Папаскири 1993; З. Папаскири. Парад невежества. Или очередной вымысел известного фальсификатор. –gaz.: „ДемократическаяАбхазия“, 26.02.1993, 3.03.1993, 7.03.1993;
Православная 1994 - Православная Абхазия. М., 1994.
Страноведение; Страноведение – все о странах мира. ელექტრონული ვერსია:http:// maxpj.ru/state.php/796;
„Суть событий“, 2004; „Суть событий“, радиостанция „Эхо Москвы“, 13.VIII.2004.ინერნეტ ვერსია:http://www.echo.msk.ru/programs/sut/26630/
Тарнава 1917; М. И. Тарнава. Краткий очерк истории Абхазской церкви. Сухуми, 1917;
Фадеев 1934; А. В. Фадеев. Краткий очерк истории Абхазии. Ч. I. Сухуми, 1934;
Хонелия. 1967a; Р. А. Хонелия. Некоторые вопросы политической истории Абхазии VI-VIII вв. по данным армянских источников. – Сборник научных работ аспирантов Абхазского института языка, литературы и истории. Сухуми, 1967;
Хонелия. 1967b; Р. А. Хонелия. Политические взаимоотношения Абхазского царства и царства Армянских Багратидов в IX-X веках. Автореф. канд. дисс. Ереван, 1967;
Шамба Абхазия - С. М. Шамба. Абхазия: право на независимость. – Интернет-журнал „Новая политика“: http://www.novopol.ru/article2350.html
Шамба 1999 - С. М. Шамба. К Вопросу о правовом, историческом и моральном обосновании права Абхазии на независимость. –

Международное право, №4, М., 1999. ელექტრონული ვერსია: http://www.apsny.ru/history/history.php?page=content/nov_hist/k_voprosu.ht; Шамба Непрошин, 2003; Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин. Абхазия. Правовые основы государственности и суверенитета. М., 2003. ინტერნეტ-საიტი: „Абхазия – страна души“: http://abkhazia.narod.ru/SH/chap-41.html; Шамба 2004… - Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин. Постсоветское пространство после Беловежья.Абхазия – DeFacto и DeJure. – Периодический политический журнал: „Гражданин“, №2, 2004. ელექტრონული ვერსია: http://www.grazhdanin.com/grazhdanin.phtml?var=Vipuski/2004/2/statya7&number=%B92%A02004%E3

Zurab Papaskiri

To the Criticism of Views Expressed in the Separatist Historiography Regarding the Ethnic, Cultural, Political and State Character of the „Abkhaz“kingdom

The paper critically analyzes the views expressed in the separatist historiography about the national and state character of the „Abkhaz“ kingdom and shows once more that the „Abkhaz“ kingdom was the Georgian state from the beginning. The conclusions of well-known Russian scholars (Vladimir Minorsky, Anatoly Novoseltsev, Vladimir Kuznetsov, Serguey Arutiunov, etc.) are brought as the illustration of this. Those scholars clearly state that the „Abkhaz“ kingdom never was the Abkhaz-Apsua national state. It was only the Georgian state formation, and the kings of the „Abkhazs“ were the Georgian political leaders. The „Abkhaz“ kingdom was the direct assignee of the states of ancient Colchis and Lazika. Moreover, creation of the „Abkhaz“ kingdom was a completely new stage in the history of the Georgian statehood. In contrast to the kingdom of Lazika-Egrisi (not referring to the Ancient Colchis), whose national and state formation's process was far from the completion (it is enough to mention that in Lazika-Egrisi Greek was the language of the state record-keeping and divine service), the „Abkhaz“ kingdom inherently was the first national Georgian state with national Georgian Christian ideology and Georgian as a state language in the Western Georgia. The „Abkhaz“ kingdom's political purposefulness was also Georgian. It was always guarding the common Georgian political and state interests. Exactly the constant anxiety of the „Abkhaz“ kings about the further territorial enlargement and strengthening their state created the firm basis for the formation of unified Georgian state under the aegis of the „Abkhaz“ kingdom at the beginning of the 11th century.

ალექსი ჟორდანია

დიგლოსიის ზოგიერთი ასპექტი არაბულში ქართულსა და გერმანულში

ყოველი მეცნიერება ენის მიმართებაში თავისი, სპეციალური მეთოდის გამოყენებით ხასიათდება. ენას სწავლობს ლინგვისტიკა, ლოგიკა, სოციოლოგია, მათემატიკა, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, მედიცინა, კულტუროლოგია. ენის ეკოლოგია, პირველ რიგში, სოციოლინგვისტიკის მეთოდიკისა და პრინციპების გათვალისწინებას მოითხოვს (ა. შვაიცერი 1978:23). სოციოლინგვისტიკის მიზანია იმ პრობლემების შესწავლა, რომლებიც სოციალურ გარემოში ენის არსებობასთანაა დაკავშირებული (ა. შვაიცერი 1978:27) ორი ერი ზოგჯერ ერთ ენას იყენებს, მაგალითად, ავსტრიელი და გერმანელი ერები სალიტერატურო გერმანულს იყენებენ, მაგრამ, **როგორც წესი, ერთ ერს ორი ისტორიული დედაენა არა აქვს;** გარდა ამისა, ძირძველი ერების დედაენა მათ მიერ შექმნილი სახელმწიფოს სახელმწიფო ენაცაა.

ისტორიულ ვითარებაში ენა ნაწევრდებოდა ტერიტორიულ დიალექტებად. ზოგიერთი დიალექტი დროთა განმავლობაში ენად გადაიქცეოდა. მაგ., რომის იმპერიის დაშლის შედეგად რამდენიმე სახელმწიფო წარმოიშვა, ხოლო ლათინურმა ენამ დასაბამი მისცა რომანული ენების ჯგუფს; დასაწყისში თითოეული ეს ენა დიალექტებს წარმოადგენდა. რომის იმპერიის ნანგრევებზე პრაგერმანული ენის რამდენიმე დიალექტი საფუძველად დაედო გერმანულ, ნიდერლანდურ, შვედურ და სხვა გერმანიკულ ენებს. მეორე ეტაპზე რომანულ ენებსაც და გერმანულ სალიტერატურო ენასაც თავისი დიალექტები გაუჩნდა.

პრასემიტური ენის დიალექტები შესაბამისი ენების საფუძველი აღმოჩნდა, რომელთაგან, აკადემიკოს გიორგი წერეთლის აზრით, მთავარია არაბული სალიტერატურო ენა. დროთა განმავლობაში დიალექტები გაუჩნდა სალიტერატურო არაბულ ენასაც.

საუკუნეების წინ არსებობდა საერთოქართველური ენა, რომელიც გააგრძელა სალიტერატურო ქართულმა ენამ - ქართველთა ეროვნულმა ენამ. საერთოქართველური ენისგან წარმოიქმნა ასევე, დასავლურქართული და აღმოსავლურქართული კილოები. შემდგომ ეტაპზე კი დასავლურქართული კილოები გაიყო ზანურ და სვანურ კილოებად.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა ენისა და კილოს გამიჯვნის კრიტერიუმი. **ჩვენი აზრით, ენად შეიძლება ისეთი ისტორიული წარმონაქმნი ვაღიაროთ, რომელიც მოიცავს გარკვეულ ტექსტებსა და სასაუბრო მასივებს, ტექსტებია**

ეკლესიური, მხატვრული, დიპლომატიური, მეცნიერული, მათ შორის - იურიდიული, ფილოსოფიური, მათემატიკური. ეროვნული ენა გამოყენებულია ამ ენის სხვადასხვა შინაური დიალექტის წარმომადგენელთა კონტაქტისას, სკოლაში, სასამართლო პროცესის წარმართვისას, ტელეგადაცემებში, პოლიტიკურ დისკუსიებში. პრესაც სალიტერატურო ენაზე გამოდის. რაც შეეხება დიალექტს, ის ყოველთვის არასრულყოფილია სოციალური თვალსაზრისით: მას არასოდეს იყენებენ ამავე ენის სხვა დიალექტის წარმომადგენლებთან კონტაქტისას, სკოლაში არ გამოიყენება (საფრანგეთში სკოლაში რომელიმე დიალექტზე საუბარიც კი სასტიკად აკრძალულია). პრესაში ზოგჯერ დიალექტურ ფრაზებს იუმორისათვის იყენებენ, ხოლო მეცნიერები ფოლკლორის ჩანაწერებს აქვეყნებენ გარკვეულ კრებულებში. ეს ეხება გერმანულსაც, არაბულსაც და ქართულსაც; მოკლედ, **დიალექტი შეზღუდული ფუნქციის ენაა.** ყოველ სალიტერატურო ენას ახლავს რამდენიმე დიალექტი.

არსებობენ ეროვნული ენისაგან ძლიერ დისტანცირებული დიალექტები: ჩრდილოეთ გერმანულის რეგიონის პლატდოიჩი" (ქვემოგერმანული), ქართული ენის სვანური დიალექტი, არაბული ენის მაროკოული ან ჩადის დიალექტები;

არის საშუალოდ დისტანცირებული დიალექტები: შვაბური გერმანული, მეგრული, ეგვიპტური არაბული დიალექტი;

არსებობს მცირედ დისტანცირებული დიალექტები: საქსონური გერმანული დიალექტი, ქართული ენის აჭარული დიალექტი, არაბული ენის სირია-ლიბანის დიალექტი.

ზოგი კილო განსაკუთრებული შესწავლის საგანია; მაგ.: წოვა-თუშური მეტყველება, ლეონ ბრიუნოს მიერ ხელოვნურად შექმნილი „საერთო-არაბული დიალექტური ენა" (გიორგი წერეთლის ტერმინოლოგიით ლეონ ბრიუნოს ენა), ენა „იდიში" (რომელიც გერმანულ დიალექტურ სუბსტრატზე ივრითის გარკვეული ლექსიკის „დამყნობითაა" აღმოცენებული) და სხვ.

ქართულმა ენამ დიდი ისტორია გაიარა, ჰქონდა ნათესაობა თუ კონტაქტი მრავალ კულტურულ ენასთან (ნ. ბენდუქიძე1973:20; გ. გიორგაძე 1983:48). საინტერესოა წოვა-თუშების ვაინახურ-ქართული ორენოვნება, სვანური დიალექტის კონტაქტები ჩრდილო-კავკასიურ ენებთან, ქართული სალიტერატურო ენის კონტაქტები სემიტი და ირანული მოდგმის ერებთან...

ქართული ენისა და ქართველი ერის ისტორია ურთიერთგანმსაზღვრელია. ქართველი ერი 25 საუკუნეზე მეტი ხანია არსებობს და არა - XIX საუკუნიდან, როგორც ეს მარქსისტების მცდარი თეორიის მიხედვით ივარაუდებოდა. აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთ ერთან შედარებით, რომელთა წარმომადგენლებიც ჭაობებსა, ტყეებსა თუ სტეპებში გადაადგილდებოდნენ, იმ დროს ჩვენმა წინაპრებმა რკინის

დამუშავების ტექნიკა გამოიგონეს, ხორბალი გამოიყენეს და ბიბლია თარგმნეს.

ქართული ენა ყველა კულტურული კახელის, იმერელის, შავშელის, მეგრელის, სვანის თუ გურულის ენა იყო თავიდანვე და უკლებლივ ყველა ღირებული თხზულება საქართველოს ყველა კუთხეში ამ ენაზე იქმნებოდა და არა ქართლურ, სვანურ, ლაზურ თუ მეგრულ დიალექტზე. ლაზის, სვანის, მეგრელის, კახელის დედაენა ქართული იყო, ხოლო ოჯახში, ბაზარში, ქუჩაში ისინი თავიანთ საშინაო სასაუბრო ვარიანტს იყენებდნენ. ასე იყო გერმანიაშიც, ასე იყო არაბეთშიც, საფრანგეთშიც და ა.შ.

მსურს ტიპოლოგიურად განვიხილო ქართულის, გერმანულის და არაბულის ზოგი დიალექტური ენობრივი მოვლენა; საანალიზოდ ავიღებ ჩრდილო-გერმანული დიალექტის (პლატდოიჩის), ქართული ენის მეგრული დიალექტისა და არაბული ენის ეგვიპტური დიალექტის მონაცემებს:

ქართული ენა, მისი მეგრული დიალექტი, ისევე როგორც არაბული ენა და მისი ეგვიპტური დიალექტი, გამოირჩევა ზმნური ძირების სიმრავლით, ვერსიის კატეგორიის არსებობით, რასაც გერმანული სალიტერატურო ენა და "პლატდოიჩი" მოკლებულნი არიან. ქართულში (და მის დიალექტებში, მათ შორის, მეგრულშიც) საშუალო რაოდენობის ბრუნვებია (განსხვავებით ფინური ან უნგრული ენებისა, სადაც 20-მდე ბრუნვაა). ბრუნვათა დიდი ნაწილი ერთგვარადაა გაფორმებული სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თუმცა, თანამედროვე სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, არის მეორეული განსხვავებანი; კერძოდ, ზოგი კილო ინარჩუნებს არქაული ქართულის მონაცემებს; მაგ., მეგრული და ხევსურული ინახავს ძველი ქართულის ვითარებას მიმართულებითი ბრუნვის გაფორმების ასპექტით; ასევე, ძველი ქართულის მსგავსად, მეგრულსა და სვანურ კილოებში არ არის გაფორმებული წოდებითის ფორმა და სხვ. შდრ., მეგრული მასალა:

„**ქობძირი ძღაბი დო ქიდუძახი: - ძღაბი, მუჭორენა სკანიანეფი?**" (დავინახე გოგონა და დავუძახე: - გოგონა, როგორ არიან შენები?); „**ამხანაგეფი, მიდაბრთათ!**" (ამხანაგებო წავიდეთ); **„ჯიმალეფი, ჯგირო ორდათ!"** (ძმებო, კარგად იყავით!).

საინტერესოა, ერგატივის საკითხიც:

ერგატივი საერთოქართველური ბრუნვაა, მაგრამ ამ ბრუნვის ნიშანი ფორმირდება საერთოქართველურის დიფერენცირების შემდეგ; კერძოდ, მეგრულში ერგატივის ფორმანტია **-ქ**, სალიტერატურო ქართულსა და დიალექტთა დიდ ნაწილში - **-მ/-მა,** ოღონდ მეგრულსა და გურულ დიალექტებში (ასავე, ლივანურში, მაჭახლურში, აჭარულში...) ერგატიული ბრუნვა გარდაუვალი ზმნების ქვემდებარეცაა განსხვავებით ქართული სალიტერატურო ენისა და ზოგი სხვა ქართული დიალექტისაგან.

არაბულ სალიტერატურო ენაში სამი ბრუნვაა, ეგვიპტურ დიალექტებში - ორი, თუმცა მეორე ბრუნვა შეზღუდული ფუნქციისაა; მაგალითები:

„Bismillaahi-r-raḥmaani-r-raḥiim; el-ḥamdu li-l-laahi, rabbil-‘aalamiin“ (სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა; დიდება ალაჰს, სამყაროთა მეუფესა); „uriidu xubzan“ (პური მინდა); **ეგვიპტურ დიალექტშია:** raah axuuya **(წავიდა ჩემი ძმა),** ‘aawiz ‘eesh (პური მინდა), el-miraya btaa‘ il mara bta‘it ir-ragil-da (ამ კაცის ცოლის სარკე)(ა. მასიჰი...1982:30-50).

„პლატდოიჩში“ გერმანული სალიტერატურო ენის ბრუნვების მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი; მაგ.: Den tüdel di ook diyn smuken raden slips üm (გერმ.:Denn binde dir auch deine hübsche rotte Krawatte um), Ik weet dat (Ich weiss das), Keen tweten buddel knalrööm? (Keine zweite Flasche Sekt?) Sitt ik axten-t stüür, oder wullt yuu? (sitze ich hinter dem Steuer, oder willst du?).

„პლატდოიჩში“ გერმანულის მრავლობითის ფორმების ნაწილია შემორჩენილი, განსაკუთრებით ფორმანტ -S-ით გაფორმებული, მაგალითად: slietels **(გასაღებები);** deels **(ნაწილები).**

ეგვიპტურ დიალექტში მრავალი საერთო არაბული სიტყვა არსებობს, რომლებიც დეფორმირებულ სალიტერატურო არაბულის სიტყვებს ჩამოჰგავს. მაგალითები: aktar (უფრო მეტი), been (შორის), inta (შენ), kattaar xeerak! (დიდად გმადლობთ!), ahlan-biik! (კეთილი იყოს შენი მობრძანება!).

არის სპეციფიკური დიალექტური სიტყვებიც: zayyak (როგორა ხარ), eeh (რა), gawaab (წერილი), shaaf (დაინახა), eesh (პური)...

პლატდოიჩში ინგლისურის მსგავსი სიტყვებია: mank (zwischen, ინგლ. among), söven, (ინგლ. seven), leider (ინგლ. later), hei (Er, ინგლ. he) (ნ. სირიაქსი 2001:18-40).

მეგრულში მრავალი საერთო-ქართული სიტყვა მოიძიება, რომლებიც დეფორმირებულ სალიტერატურო ქართულის სიტყვებს ჩამოჰგავს; მაგ.: ვითი (ათი), რე (არის), მორთი აშ! (მოდი აქ!), ქობალი (პური; შდრ. ქართულ სალიტერატურო სიტყვას **ხორბალი**), რუო (რვა); ჩხოუ („ძროხა“). სამაგიეროდ, მეგრულმა დიალექტმა შემოგვინახა კვირის დღეების უძველესი ქართველური ტერმინები, რომლებიც სალიტერატურო ენამ დაკარგა: ჟაშხა (წარმოშობით - ბჟაშ დღა, ქართული სალიტერატურო ენის „მზის დღე“, „მზისა“), თუთაშხა („თუთაშ დღა“, „მთვარის დღე“ = ორშაბათი) და ა. შ.

მეგრულში, სხვა კილოების მსგავსად, არის სპეციალური, ადგილობრივი, დიალექტური სიტყვებიც (რომელთა ნაწილი, შესაძლოა, სალიტერატურო ენაში დაკარგული სიტყვების ფარდი

იყოს: ხირუა (პარვა, ქურდობა), ლაიტი < ლაზუტი? „სიმინდი“), მუშენი, (რატომ), ჩხომი (თევზი; შდრ., *ჩხამა „თევზი“)...

პლატდოიჩისა და სალიტერატურო გერმანულის (ზოგადად, სამხრეთ გერმანულის - ჰოხდოიჩის) **რეგულარული ბგერათშესატყვისობის მაგალითებია:** p - f, k - ch, t - d... კონკრეტულად:lopen – laufen **(სირბილი),** ik mook-ich mache (მე ვაკეთებ),deel - teil(ნაწილი)...

რეგულარული ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით თვისობრივად ანალოგიურია სალიტერატურო ქართულისა და მეგრული კილოს მონაცემებიც; თუმცა, რაოდენობრივად მეგრულში უფრო ცოტა შეიძლება იყოს სახეშეცვლილი ფორმები; მაგ., ბგერათფარდობა: ა - ო მხოლოდ 18%-ის ფარგლებშია.

ეგვიპტურ დიალექტში საერთო-არაბულ ბგერას q **ენაცვლება ჰამზა, ხოლო საერთო-არაბულ ბგერას** j **ენაცვლება** g**, მაგალითად:** qalbii – ‘elbi (ჩემი გული), jamiila– gamiila (ლამაზი ქალი) (ნ. იუშმანოვი 1985:30).

საინტერესოა ზმნის ფორმების წარმოებაც: ქართველურ ქვესისტემებში ზმნური ფორმების აგებულება თვისობრივად ერთგვაროვანია, თუმცა არის დიალექტური სხვაობებიც:

სალიტ. ქართ.: ვ-წერ, წერ, წერს, ვწერ-თ, წერ-თ, წერ-ენ

მეგრ.: ვ/პ-ჭარუნქ, პჭარუნქ, ქარუნს, ვ/პ-ჭარუნ-თ, პჭარუნ-თ, ჭარუნ-ა(ნ) /ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე... 2010:87-110/.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ **სტანდარტული ვარიანტებისგან პლატდოიჩიც, მეგრულიც და ეგვიპტური არაბულიც თვისობრივად ერთგვაროვნად განსხვავდება.** თუკი გერმანული და არაბული უმწერლობო იდიომები დიალექტებად კვალიფიცირდება, ასევე რატომ არ უნდა მივუდგეთ უმწერლობო ქართველურ ქვესისტემებს? რატომ უნდა გამოვაცხადოთ მეგრელები, ლაზები თუ სვანები უმწიგნობრო საზოგადოებებად? მით უმეტეს, ყველა მეგრელი, სვანი, თუ ტაოელი მრავალი საუკუნის მანძილზე ქმნიდა საერთოეროვნულ სალიტერატურო ენას და ამ ენით ქმნიდა ეროვნულ ქართულ კულტურას.

მაშასადამე, ლოგიკურია ვთქვათ; სხვადასხვა კუთხის ქართველების - მეგრელის, სვანის, კახელის... დედაენაა ქართული, მეგრული, სვანური, ლაზური, კახური და ა.შ. კი საშინაო მოხმარების დიალექტია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაგებინების მომენტი არ არის ენისა და დიალექტის გამიჯვნის საშუალება: ბელორუსულ ან უკრაინულ ენას ნებისმიერი რუსული ენის მცოდნე ადვილად გაიგებს, მაგალითად: Дзяды – деды, Грамадны – Громадный, печінка куряча заморожена – Печенка куриная замороженая, Здоровенькі були (გამარჯობა!). იტალიაში გავრცელებულ ზოგიერთ დიალექტს ვერ

გაიგებს სალიტერატურო იტალიური ენის კარგი მცოდნეც. მთავარია არა გაგებინების მომენტი, ან, განსხვავებანი ლექსიკასა, ფონეტიკასა თუ მორფოლოგიაში, არამედ ის რომ დიალექტები ფუნქციურად შეზღუდულია, და, სწორედ, ეს არის მათი და შესაბამისი ენისგან გამიჯვნის საშუალება.

არ დაივიწყოთ, რომ საქართველო არის ევროკავშირის საბჭოს წევრი და ევროსაბჭოს რეკომენდაციები არსებობს, რომ „რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე" უნდა დაარსდეს სკოლები, ითარგმნოს მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, დაარსდეს გაზეთები და შეიქმნას ტელემაუწყებლობა. მაგრამ ევროსაბჭოს რეკომენდაციებში ქართველებს არ მოუწოდებენ, რომ აღიარონ სვანური, მეგრული ან ლაზური დიალექტები რეგიონალურ ენებად; ეს ქართველების ნება უნდა იყოს. შეგვიძლია, ნ. დობორჯგინიძესავით თუ ოლდენბურგელი პროფესორის - ვინფრიდ ბოედერივით მეგრულსა და სვანურს „ენები" ვუწოდოთ და ამით ერთი ნაბიჯი გადავდგათ ამ „ენების" მფლობელი საზოგადოებების დამოუკიდებელ ეთნოსებად, შემდეგ კი ამ „ეთნოსების" მხარეების ავტონომიებად გამოცხადებისაკენ.

საყურადღებო ფაქტი:

ამასწინათ თბილისში ჩამოსული იყო **ვ. ბოედერი**; მას და ნ. დობორჯგინიძეს ვესაუბრე: კარგად ვიცნობ ორივეს. ბ-ნი ვინფრიდი პერიოდულად მიგზავნიდა და მიგზავნის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურას, წიგნებსა და სტატიებს. საუბრისას ბ-ნი ვინფრიდიც, ქ-ნი ნინოც იცავდნენ იმ აზრს, რომ აუცილებელია, სვანებისა და მეგრელებისთვის სკოლები გაიხსნას თავიანთ „ენებზე". საბედნიეროდ, მეგრელთა უმრავლესობა ამის წინააღმდეგია (ლ. ეზუგბაია... 2010:15).

მე მეორე გზა მირჩევნია:

მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ხალხის მსგავსად, **სოციოლინგვისტურად** განვიხილოთ ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველთა ზეპირი მეტყველებების მიმართება; **შესაბამისად, დიალექტები ვუწოდოთ სვანურსაც, მეგრულსაც, ლაზურსაც...**

ჩემი წინაპარი - მამაჩემის ბაბუა, **ისტორიკოსი თედო ჟორდანია** იბრძოდა და მიაღწია, რომ აღკვეთილიყო ლოცვების თარგმნა მეგრულად. ჩემმა წინაპარმა კარგად იცოდა რუსული გეგმა; რუსეთის იმპერიას სურდა, ქართული სამწიგნობრო ენა, როგორც საეკლესიო ენა წაერთმია მეგრელებისა და სვანებისათის.

თედო ჟორდანია იყო „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი" (IV ჩინია რუსეთის იმპერიაში), იგი დასავლეთ საქართველოს სამრევლო სასწავლებლების მთავარი ინსპექტორი ბრძანდებოდა, ამიტომ თედომ და სხვა პატიოსანმა პატრიოტებმა აღკვეთეს ანტიქართული საქმე.

სტატიას დავასრულებ ციტატით:

„მსოფლიოში ვრცელდება რუკები და კვალიფიკაციები, თითქოს საქართველო აჭარლების, ლაზების, სვანების, მეგრელების, თუშების და სხვათა ხელოვნური გაერთიანებაა, თითქოს ყველას ჩვენ-ჩვენი

ენა და კულტურა გვაქვს. ამით უნდათ ჩვენი ერის სხვადასხვა ეროვნულ გაერთიანებებად წარმოჩენა. აქედან კი სახელმწიფოს დაშლამდე ერთი ნაბიჯია... ეს არ უნდა დავუშვათ“ (საშობაო ეპისტოლე 2010) - ეს ციტატა აღებულია უწმინდესისა და უნეტარესის საშობაო ეპისტოლედან.

დამოწმებული ლიტერატურა:

გ. გიორგაძე 1983 - გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა (ხეთური ცივილიზაცია), თბილისი, 1983;

ლ. ეზუგბაია... 2010 - ლ. ეზუგბაია, კ. გაბუნია, ჭ. ქირია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 2010;

საშობაო ეპისტოლე 2010 - უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2010;

ტ. ფუტკარაძე... 2010 - ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო, თბ., 2010;

ა. მასიჰი 1982 - A. Masih, B. Fathy, B. El-Said, C. Killean, A comprehensive Study of Egyptian Arabic, The University of Michigan, Ann Arbor, 1982;

ნ. სირიაქსი 2001 - H. Cyriacs, Platdüütsch, Hamburg, 2001;

ნ. ბენდუქიძე 1973 - Н. Бендукидзе, Хеттский миф: Вопросы Др. Ист., Тб. 1973;

მ. კოროტკოვა 2003 - М. Короткова, Языковые Контакты: პერსპექტივა XXI, V, თბ. 2003;

ა. შვაიცერი 1978 - А. Швейцер, Введение в социолингвистику. Москва, 1978;

ნ. იუშმანოვი 1985 - Н. Юшманов, Грамматика лит. арабского языка, М осква, 1985.

Aleks Zhordania

Some Aspects of Diglossia in Arabic, Georgian and German Languages

Linguistic diglossia requires consideration of sociolinguistic methods. Language and nation are not always identical. Some nations possess and sometimes apply more than one language. Belgian and Albanian nations apply two literary languages, while Austrian and German nations apply one literary language.
The article surveys the standard Georgian, German and Arabic languages and their colloquial diversities: Megrelian, Plattdeutsch, Egyptian (Cairo) dialects. Spoken language is either close or distant from the standard language. The author discusses phonetic and morphological deformations of colloquial language.

მერაბ რობაქიძე

„თავისუფლების“ იდეის გამომხატველი ზოგიერთი ცნება ძველ ქართულ ენაში

„თავისუფლება“ მსოფლმხედველობითი შინაარსის ცნებაა. იგი სულიერი აქტის გამოხატვაა. საზოგადოდ, თავისუფლების აქტების განხორციელება ინდივიდს აყალიბებს პიროვნებად. „თავისუფლების“ გარეშე კაცობრიობა ვერ იარსებებს, ვერ განვითარდება, ვერ შექმნის ცივილიზაციას; ერი ვერ დაიცავს ეროვნულ ღირსებას, არ იარსებებს მრავალფეროვანი ეროვნული კულტურა. თავისუფალი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური პიროვნება, ისე საზოგადოება, ქვეყანა. თავისუფლება უმთავრესი მამოძრავებელი ფენომენია კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე..

„თავისუფლება“ წარმოადგენს ისტორიულად მყარი შინაარსის ცნებას. მისი არსებითი განსაზღვრება ერთია ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით. „თავისუფლების“ იდეა გულისხმობს თავისუფალ ნებას (არჩევანის გაკეთების თავისუფლებას), რომელიც კატეგორიულად გონებასთან—რაციოსთან არის წილნაყარი. „თავისუფლება“ მონობისგან, ბოროტებისგან, ვნებათაგან განთავისუფლებას (დამოუკიდებლობას, დისტანცირებას) გულისხმობს. ვიდრე საკითხის არსს შევეხებოდეთ საჭიროა გაირკვეს „თავისუფალ“ ცნების ჭეშმარიტი მნიშვნელობა. რა შინაარსის შემცველია იგი? არასწორად გვესახება ტრადიციული (გავრცელებული) გააზრება, რომლის თანახმადაც აქ უნდა ვიგულისხმოთ პიროვნების გაბატონება საკუთარ გრძნობებზე (ვნება-განცდებზე). ეს სიტყვა თვითორიენტირებულია, როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში (მელიქიშვილი 1999:31). მაგრამ ისმის კითხვა — რას ნიშნავს უფალი? ამ სიტყვის მნიშვნელობაა პატრონი, მფლობელი (აბულაძე 1973), რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავისი თავის ბატონ-პატრონია. ამასთან ერთად ისმის კითხვა — რა გაგებით, რა მნიშვნელობითაა ის ასეთი? ცხადი უნდა იყოს, არა იმ გაგებით, რომ საკუთარ ვნება-განცდებს უმკლავდება (რაც თავისთავად აუცილებელია პიროვნებად ჩამოსაყალიბებლად და გასამთლიანებლად), არამედ იმიტომ, რომ მას აქვს საკუთარი ზეგარდმობოძებული ღვთაებრივი უნარი. ეს არის მისი ნება, არჩევანის გაკეთების უნარი, რაც იმანენტურია და რაშიც მას ვერავინ შეზღუდავს და სწორედ ესაა ადამიანის არსებითი მახასიათებელი. მაშასადამე, თავის უფალის (საკუთარი თავის ბატონ-პატრონობის გაგებით) არსი და მარცვალი მის ნებაშია

გამჟღავნებული. ეს გაგება „თავისუფალ“ სიტყვის განმარტებისას სავსებით სწორადაა მოწოდებული სულხან-საბა ორბელიანის (ორბელიანი 1991-93), აგრეთვე ქეგლ-ში (ქეგლ 1984). ცხადია, აბსტრაქტული ცნების — „თავისუფლების“ გაგებაც იდენტურია — იგი ნების, როგორც უნარის, ქონით განისაზღვრება. ამ სიტყვათა შესაბამისი სომხური ცნებები **ինքնատէր** [ინქნატერ], **ինքնիշխան** [ინქნიშხან], **անձնատեր** [ანძნატერ], **անձնիշխան** [ანძნიშხან] სწორედ საკუთარი ნების შინაარსის მატარებელია: **անձնիշխան** = **самовластный, самопроизвольный, независимый** [25]; იგივე ითქმის ბერძნულ შესატყვისზე „ექსუდიანტეს“(ვეისმანი 1899).

„თავისუფლება“ ქართული ენის უძველესი ცნებაა. იგი სისტემატურად გვხვდება როგორც ბიბლიაში, ისე ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის არაერთ ძეგლში; იგი თანამედროვე ხალხური მეტყველების ენობრივი ერთეულია. ამ ცნებას არა ერთი სინონიმი აქვს. მასთან დაკავშირებულია ისეთი ცნებები, რომლებიც „თავისუფლების“ (განთავისუფლების), როგორც რთული დასაფეხურებული შინაარსის ცნების არსს გამოხატავენ.

ქართული ენის ეროვნული გონის მიერ საყურადღებო და სპეციფიკური ცნებებია მოწოდებული „თავისუფლების“ ფენომენის სიღრმისეული პრობლემის შესასწავლად.

სულხან-საბას ლექსიკონში ამ ცნების არსებითად სწორ განმარტებას ვხვდებით: „თავის—უფალი“ = არავისი მონა; „რაც ენებოს, ქნას“ (ორბელიანი 1991-93). ეს დეფინიცია უკავშირდება მოცემული ცნების არსებით მარცვალს — ნების თავისუფლებას. ქეგლ-ში შესულია ამ სიტყვის ფილოსოფიური მნიშვნელობა — „ნების გამომჟღავნების შესაძლებლობა“ (ქეგლ 1984). მაშასადამე, „**თავისუფალი**“ **იმიტომ არის თავის უფალი, რომ მას აქვს ნება და ეს ნება მისია, „თავისია“.** „თავისუფლება“ — აბსტრაქტული ცნების შინაარსიც, რა თქმა უნდა, იგივეა —„უფლება = ნება (შდრ. უფლების მიცემა = ნების მიცემა); აქედან გამომდინარე, „თავისუფლება“ უნდა მოვიაზროთ, როგორც „თავისუფალი ნება“. ამ გაგებით, ფრიად მნიშვნელოვანია ნ. ჩუბინაშვილის განმარტება: „უფლება“ (ვაუფლებ) = ნების მიცემა ვის ზედამე, მინებება (ფსალ. 104, 14), **позволять** (ნ. ჩუბინაშვილი 1961).

ადამიანს დაბადებითვე აქვს ზეგარდმობოძებული თავისუფალი ნება, ეს არის მისი „***თავის უფლება***“ — სწორედ ამაშია „თავისუფლების“, როგორც მოცემულობის არსი; მაგრამ ამის მომდევნო ეტაპია ამ ნების (სურვილის, წადილის.) გამომჟღავნება (წინააღმდეგ შემთხვევაში ნება დარჩება პოტენციურ ნებად). საჭიროა თავისუფალი **არჩევანის** გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება, რაც ნების დაფიქსირებაში მდგომარეობს. ქართულ ენაში ეს

აისახება გარკვეული ტერმინებითა და ცნებებით — „(წინა)აღრჩევა“, „გამორჩევა“, „განზრახვა“, „გულვება“, „გულსმოდგინება“... სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიროვნება სხვადასხვა შესაძლებლობიდან ირჩევს, თუ რა უნდა გააკეთოს, რისი გაკეთება ჯერ-არს მისთვის — ეს კატეგორიულობის სახეს იღებს — შექმნილ სიტუაციაში მე უნდა მოვიქცე ასე და არა სხვაგვარად. აქ აუცილებლად ჩართული უნდა იყოს გონება. ადამიანი, როგორც გონიერი — ინტელექტუალური არსება „გამოარჩევს“, აკეთებს გონივრულ არჩევანს.

თავისუფალი ნება, როგორც უნარი და არჩევანის გაკეთება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავისუფალია — თავისუფლება მას მოსაპოვებელი აქვს. ადამიანმა რეალიზაცია უნდა მოახდინოს თავისი უნარისა, თავისუფალი ნებისა და არჩევანისა, უნდა **„ჰყოს თავისი ნება“** (უნდა მოახდინოს „ნების ყოფა“). ამაშია ცნება „ნების — ყოფის“ არსობრივი შინაარსი. მაშასადამე, სიტყვა **„თავისუფალი“,** როგორც ვხედავთ, გვიჩვენებს თავისუფალი ნების, როგორც უნარის, ქონას (ეს არის მისი პირველადი ინტენცია), ხოლო ამ უნარის განხორციელება (რეალიზაცია) აღინიშნება ცნებით **ნების ყოფა** (ქმნა), რაც ნიშნავს უკვე თავისუფლების მოპოვებას, ხსნას (გამოხსნას). შესაბამისად „ნებისმყოფელი“ აღნიშნავს თავისუფლებამოპოვებულს. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „საჭიროა მოკლედ მაინც მოვიხსენიოთ, თუ რა ფილოსოფიური შეხედულება სუფევდა მაშინდელ ქართულს განათლებულს საზოგადოებაში მსოფლიოსა და ადამიანის ბუნებისა და თვისებების შესახებ. ... იგი იყო ვითარცა პატარა მსოფლიო („მიკროკოსმოსი“-ი) დიდს მსოფლიოში („მაკროკოსმოს“-ში). კაცის ბუნების შინაგანი აგებულება განხილული და განმარტებული ჰქონდა ბერძენ გრიგოლ ნოსელს თავის წერილში „პერი კატასკეუეს ანთროპუ, რომელიც ლათინურადაც იყო თარგმნილი VI ს-ში. ეს თხზულება უკვე IX- X სს. ქართულადაც საუცხოოდ გადმოუთარგმნიათ და დიდი სახელიცა ჰქონდა ჩვენს მწერლობაში მოხვეჭილი. ... ადამიანი სულდგმული, მოძრავი თავისუფალი არსებაა, „არს კაცი სულითა ჴელმწიფ‘Თ ნებასა თვსსა“-ო (ივ. ჯავახიშვილი 1982:122).

როდესაც **თავისუფლების** იდეას განვმარტავთ, აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ იგი პიროვნების სისრულის ცნებას. ის, ვინც თავისუფლების აქტს შეასრულებს, იგი შინაგანად მთლიანდება გარკვეული მიზნის მიღწევის შემდეგ, „**საქმის მოგვარების**“ შემდეგ. ის, ვინც საქმეს ასრულებს, თვითონაც **სრულდება,** ანუ მთლიანდება, თავისუფლდება იმ შრომა-ტანჯვისაგან (სულიერი თუ ფიზიკური), რაც განთავისუფლებას თან ახლავს. განთავისუფლება (=თავისუფლების მოპოვება) ეს პროცესია, რომელსაც სჭირდება ადამიანის სულიერი ძალისხმევა. თავისუფლების ზოგადი ცნება

კატეგორიულად უკავშირდება თავისუფლების კონკრეტული აქტების შესრულებას (მ. რობაქიძე 2011:26-32). ადამიანის მიერ საკუთარი „გულის მოგვარება“, ცხადია, ხდება მისივე **„ნების ყოფით“,** რასაც „**შეეწევა**“ ღვთაებრივი ძალა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ მოწოდებული განმარტება: „**გულსა შენ რა მოუგვარე**“ — მოგვარება საქმისა და საწადელისა ცდით მოხერხდება. აქვე განმარტავს, რას გულისხმობს „ცდაში“ — ესე იგი, კაცი რომ ეცადოს **და** საქმე გვარსა შინა მოიყვანოს**,** ესე იგი, საწადელისა, რაისაცა აღსრულება ნებავდეს, მას შინა საქმისა მოყვანა, მაგრამ გულისა „როდესაც სიყვარულით ხელქმნილია, რა მოეგვარება“!. თ. ბაგრატიონი, როგორც ვხედავთ, ხაზს უსვამს საქმის ცდით, პრაქტიკული რეალიზაციით „მოგვარებას“ და განსაკუთრებით გამოყოფს მიჯნურისგულის მოგვარების **სირთულეს,** მხედველობაში აქვს რა ავთანდილზე ნათქვამი: „დათმობასა ეაჯების გულსა: „შენ რა მოაგვარე“ (728.3). ყველა შემთხვევაში წინა პლანზე წამოიწევსნების ყოფის (რეალიზაციის) ფაქტორი.

ადამიანს დაბადებიდანვე ბოძებული აქვს თავისუფალი ნება, მაგრამ როგორც ვთქვით, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას „თავისუფლების აქტი“ შესრულებული აქვს (განთავისუფლებულია „ვნება-ბოროტებათაგან“ დისტანცირებით), **„ნების ყოფით“** (მ.რობაქიძე 2011:58-59). თავისუფლება მიიღწევა პიროვნების თავისუფალი ნების რეალიზაცით, „ყოფით“ (ქმნით). სწორედ ამაშია თავისუფლების მოპოვების ჭეშმარიტი არსი. ამ დროს ხდება ადამიანის შინაგან მამოძრავებელ ძალთა გამთლიანება (შინაგანი „ერთგულება“, ანუ წარმართება **„ერთითა (ყოვლითა, სრულითა, მრთელი) გულითა“**. აქ მოვიხმობთ ერთ საყურადღებო ადგილს „ვფხ.—დან, რომელშიც რუსთველური თავისუფლების იდეის განხორციელებაა მოწოდებული. როდესაც ავთანდილმა თავის მიზანს მიაღწია — ტარიელის ადგილ-სამყოფელს მიაგნო, „გონებაშეიწრებულიდან“ იგი ტრანსფორმირდა „ცნობა—სრულად“. სწორედ აქ შეასრულა ავთანდილმა თავისუფლების აქტი, შეასრულა „ნების ყოფის“ აქტი და “განთავისუფლდა“ (დისტანცირდა) იმ ტანჯვა-ვნებათაგან, რითიც ის იყო „შეიწრებული“. პიროვნება განთავისუფლდა („გამოიხსნა“) თავისუფლების აქტის რეალიზაციით („ნების ყოფით“), მისი „წუხილები“ დაიძლია. ამ დროს პოემის ავტორი ამბობს: „რა ავთანდილს გაუსრულდა საქმე მისი სასურვალი**,/**ხელ-აღპყრობით ღმერთსა ჰმადლობს ცნობა-სრული**,** არა მთრვალი“. **„**ცნობასრული**“** ადამიანი თავის თავში გამთლიანებული პიროვნებაა, რადგან რუსთველური კონცეფციით, „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან“ (848,1) (ძველ და ახალ აღთქმათა და სხვა მასალა მოხმობილია აკადემიური და მცხეთური

გამოცემების ბიბლიებიდან, აკაკი შანიძის, ივ. იმნაიშვილის სახარებების გამოცემებიდან, ილ აბულაძის და ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონებიდან; „ვეფხისტყაოსნის“ ადგილები ციტირებულია 1957 წ-ის გამოცემიდან). ავთანდილი გამთლიანებულია, მთლიანი, სრული პიროვნებაა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „თავისუფალია“, რადგან თავისი მიზნის, არჩევანის, ნების რეალიზაციას ახდენს. რაც შეეხება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცნებათა ურთიერთმიმართებას, აქ უნდა ითქვას შემდეგი. თავისუფლება და დამოუკიდებლობა ხშირად ერთმანეთის სინონიმებად იხმარება, რადგან თავისუფლება, „მონობისგან“ (საზოგადოდ, წინააღმდეგობათაგან — „**ნაკლულება—იწროება—კრულობისგან**“) თავის დაღწევა, „განრინება“ — დისტანცირება — განთავისუფლება, გამოხსნაა, დამოუკიდებლობის მოპოვებაა (მ. რობაქიძე 2009:45-50; 50-55; 74-84). **თავისუფლების** მიღწევას სჭირდება დიდი ძალისხმევა. ადამიანი სიცოცხლის მანძილზე თავისუფლების მრავალ ასეთ აქტს ასრულებს, მრავალგზის ახდენს განთავისუფლებას ხელისშემშლელი ფაქტორებისაგან. თავისუფალი პიროვნება, გარკვეული კონკრეტული მისწრაფების განუხორციელებლად მხოლოდ იდეაში მოიაზრება იმ გაგებით, რომ მას მრავალი თავისუფალი აქტი აქვს განხორციელებული და, როგორც წესი, სიკეთისა და ჭეშმარიტების გზით მოძრაობს.

ეროვნული თავისუფლების მაღალი ცნება გულისხმობს დამოუკიდებლობას ხელისშემშლელ გარეშე ფაქტორებისაგან; ეს დისტანცირება უცხო ძალთა ხელყოფისაგან მიიღწევა სამართლიანი ბრძოლით. ეროვნული დაპიროვნული თავისუფლება გულისხმობს თავისუფლების აქტების უწყვეტ განხორციელებას, რაც ქვეყანას აყალიბებს ჭეშმარიტ თავისუფალ ქვეყნად, ხოლო პიროვნებას თავისუფალ (სრულქმნილ) პიროვნებად. საზოგადოდ, ერიც თავისებური პიროვნებაა — მრავალასპექტიანი და მრავალგანზომილებიანი.

სინთეზური — ფსიქოლოგიური და ენათმეცნიერული შესწავლის პლანში კვლევა ადამიანის მთავარ მამოძრავებელ ძალთა აღმნიშვნელი ისეთი ანთროპოლოგიური ცნებებისა, როგორიცაა გული, ცნობა, გონება, ნება, „სისრულისა“ და „ნაკლულება-იწროება-შეკვრის“ (ეს ცნებები დასტურდება კლასიკურ ფსიქოლოგიურ თხზულებებში, ბიბლიაში, ძველ ქართულ ლიტერატურაში) თვალსაზრისით, ხელს უწყობს თავისუფლების პრობლემის სწორად გააზრებას (ი. საბანისძე 1963:26-32). განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს იმ ანთროპოლოგიური შინაარსის ცნებების ანალიზი, რომლებიც ადამიანის სულიერებას, მის ძირითად მამოძრავებელ ძალებს გამოხატავენ, ადამიანს წარმოგვიდგენენ გრძნობით-ემოციური,

ინტელექტუალურ-ნებელობითი ასპექტებით. ამ ცნებათა შინაარსების შესწავლა დაკავშირებულია ქრისტიანულ-საღვთისმეტყველო ლიტერატურასა და კლასიკურ სასულიერო თუ საერო ლიტერატურაში წარმოდგენილი ადამიანის უმთავრეს მამოძრავებელ ძალთა აღმნიშვნელი ცნებების სინთეზურ — ფსიქოლოგიურ და ენათმეცნიერულ ანალიზთან. ცხადია, ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა ემსახურება როგორც პიროვნების შინაბუნების წარმოჩენას საზოგადოდ, ისე იმ ჰუმანისტური იდეალების ნათელყოფას, რაც პიროვნებისა და ეროვნული თავისუფალების იდეას საცნაურყოფს (მ. რობაქიძე 2009:51-71).

სიტყვა-ცნება „თავისუფლება“, რომლის შინაარსი უკავშირდება თავისუფალი ნების ქონასა და ნების-ყოფას (ნების რეალიზაციას), ისტორიულად მდგრად და მყარ შინაარსს გამოხატავს; საცნაურ-ჰყოფს პიროვნულ, სოციალურ და ეროვნულ ასპექტებს და წარმოაჩენს მიმართებას იმ „ვნებით“ ფაქტორებთან, რომელთაგანაც, როგორც ვთქვით, ხდება განთავისუფლება. თავისუფლების იდეის შემცველი ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა სემანტიკური კუთხით წარმოაჩენენ ამ იდეას და გვიჩვენებენ მთლიან სპექტრს იმ შინაარსობრივი საფეხურებისა, რომლებიც თავს იყრიან თავისუფლების იდეაში, ამთლიანებენ მას.

თავისუფლების იდეის დასაფეხურებულ შინაარსს ფართო გაგებით წარმოგვიჩენენ ისეთი სიტყვები, როგორიცაა **„ჴუმევა“ („გულის-ჴუმის ყოფა“), „გულს-მოდგინება“, „ჴსნა“, „განრინება“.** ქვემოთ წარმოვადგენთ მასალას, რომელიც „თავისუფლების“ იდეის მთლიანი პროცესის სიტყვათველს ქმნის:

I.„**ჴუმევა**“, „**გულის-ჴუმა**“, „***გულისჴმისყოფა***“(გაცნობიერება, გაგება)

„ნაცვალად თჳთმფლობელობისა და თჳთმპყრობელობისა (არჩევანის გაკეთებისა -მ.რ.) ჯერ-**არს** გულისჴმისყოფაჲ **მისი**“ [=684 54 r]; „მის მიერ კაცად დაბადებულმან ბოროტად *იჴუმია* თჳთმფლობელობაჲ“ [A=162 131 r, 6-8 a][6].

II. **„ნება“**

(ნემეს.) ლექსიკ.—თჳთჴელმწიფება 1516,7 **და** სხვანი αυτοξυσιον Libera voluntas **თავისუფლება ნებისა** свобода воли, самопроизвольность, самоопределение; თჳთჴელმწიფე1557, თავისუფალიсамопроизвольный (ნ. ემესელი 1914)

თჳთჴელმწიფება-ჲ = **თავის ნებაზე ყოფნა** „ნუ თჳთჴელმწიფებით მრორინე ჰყოფენ შვილთა თჳსთა თავისუფლითა თჳთმპყრობელობითა“ (დიდი სჯ. 304, 31)(ზ. სარჯველაძე 1995)

„აქუნდა მას თჳთუფალი ნებაჲ და ესრეთ ამაღლდა მას პატივსა ზედა“(ფსევდომაკარი 203, 13).

III.**„ნების-ყოფა“ (ქმნა)**

მფლობელობა არს თვისისანებისა ქმნა (=მ.რ. ყოფა) [1]

ნების-ყოფა= სურვილის შესრულება; ნების-მყოფელ-**ი**= სურვილის შემსრულებელი [5]

ყოფამცა მქონდა ნებისა**,** ვფხ. 794. 4 (ი. აბულაძე 1973).

IV. **„გულს-მოდგინება“**

„**გულს-მოდგინება**“= ნეფსითობა, სწრაფვა, გულდადება, ნდომა (ი. აბულაძე 1973)

„ნების“ შინაარსის გამოსახატავად ქართულ ეროვნულ ენობრივ გონს შექმნილი აქვს კომპოზიტი „გულს—მოდგინება“ („გულსა-დგინება“) = თავისუფალი არჩევანის გაკეთება, ნების — „ნეფსითობის“ გამომჟღავნება, გადაწყვეტილების მიღება.. „გამოცხადნა გამოცხადებაჲ ისრა‘ლისა შორის ნეფსითობითა ერისაჲთა, — „იწყეს ამაღლებად მთავართა ისრა ელისათა გულს-მოდგინებითა ერისაჲთა, მსჯ. 5. 2; „გულს-მოდგინებითა ჴელთა აღიხუნა დავითნი“ (ი. ცურტაველი 1978:35).

„**გულს-მოდგინე**“= მოსწრაფე, მოწადინე (ი. აბულაძე 1973)

სულიგულსმოდგინე არს, მთ. 26.41; რომელი მოსწრაფე და გულსმოდგინე არს [5]. გულსმოდგინე არს შენდა მიმართ, եղեալ առ քեզ *յոժարամիտ,*I ნშტ. 29. 17

„**გულს-მოდგინედ**“ = მოსწრაფებით; „გულსმოდგინებით” (ი. აბულაძე 1973).

მიისწრაფდა გულს-მოდგინედ**,**რიფს. 163.21; „წადიერ იქმნა უფრო ჲს-ღა გულს — მოდგინედ“ (ი. საბანისძე 1963: 61); „იხილა უსტამ გულს-მოდგინედ დამტკიცებაჲ ნეტარისი ევსტათისი“ (20, 32); „გულს-მოდგინედდა მტკიცედ დგეს სარწმუნოებასა ზედა ქრისტ‘სსა“.

„**გულს-დგინება**“ = გულმოდგინება, სწრაფვა, მიდევნება (ი. აბულაძე 1973)

„განმარტებულითა გულითა გულს—ვიდგინე ესე ყოველი“, I ნშტ. 20. 17; „გულს-იდგინეს დამდაბლებაჲ ჩემი”, ფს. 16.11

გულს-იდგინეს დამდაბლებაჲ ჩემი, *-ուշ եդին* խոնարհեցուցանել զիս յերկիր,ფს. 16. 11; განმარტებულითა გულითაგულს-ვიდგინე მე ესე ყოველი. —պարզ սրտիւք *յօժարամիտք եղեաք* յայսմ ամենայնի,I ნშტ. 29. 17 რომელსა უყუარდეს შვილი თჳსი, გულს-იდგინოს გუემაჲ მისი, ზირ. 30.1; საუკუნოჲსა მის მიმართ ხოლო გულს-ვიდგინე, ანდ. ანატ. 203. 14 (ი. აბულაძე 1973).

„**გულს-მოდგინება**“ = „ნეფსითობა“, სწრაფვა, გულდადება, ნდომა (ი. აბულაძე 1973).

გულს-მოდგინებითა BDS – ნეფსითობითა G – մտադիւրութեամբ მსჯ. 5. 2; ვიცი **გულსმოდგინებაჲ** თქუენი... და თქუენმან **შურმან** აღაბაძვნა მრავალნი, -(q)hoժարութիւն...նախանձ(ն), - προθυμ'ιαν...

ξ՝ηλος, 2 კორ. 8. 9; 2 კორ. 8.11 ხოლო აწ ესერა ყოფადცა აღასრულეთ, რაჲთა ვითარცა-იგი გულსმოდგინებაჲ ნებისა თ՝ს,ეგრეცა აღსრულებაჲ მისგან, რომელი-იგი გაქუს, – յօժարութիւնն ի կամաց է. (მ. რობაქიძე 2009) რამეთუ უკუეთუ გულსმოდგინებაჲ იგი წინა ძეს, რაჲცა-იგი ვის აქუს, შეწირულ არს, არა რომელი-იგი არა აქუს, - յօժարութիւն առաջի կայ (ი. საბანისძე 1963) გულსმოდგინებისა თქუენისათ՝ს,-յօժարութիւն,2 კორ. 8.11; ვიცი გულს მოდგინებაჲ თქუენი,– զյօժարութիւն, 2 კორ. 9.2; ხოლო შენ შემოდგომილ ხარ ჩემსა მოძღურებასა, გულს-მოდგინებასა, –յօժարութեան, 2 ტიმ. 3.10; ესრეთ არს გულსმოდგინებაჲ ჩემი, რაჲთა თქუენცა, რომელნი ხართ ჰრომს შინა, გახარო, – յօժարութեամբ, ჰრომ. 1.15; ჰლოცვიდა ყოველთა გულს-მოდგინებითა გულისაჲთა დადგრომად უფლისა მიმართ, – յօժարութեամբ, საქ. 11. 23; რამეთუ ესენი უაზნაურეს იყვნეს თესალონიკელთა მათ, რომელთაცა შეიწყნარეს სიტყუაჲ იგი ყოვლითა გულსმოდგინებითა, – յօ ժարութեամբ, საქმ. 17. 11.

შდრ. კაცად-კაცადსა ვითარცა გამოურჩევიეს გულითა („გულსა-დგინება“), - յօժա ռեսցի ոք սրտիւ, 2 კორ. 9.7

V. „ᲒᲡᲜᲐ“

„თავისუფლების“ აღმნიშვნელი უძველესი ცნებაა „ᲒᲡᲜᲐ“ (იესუ ქრისტე არის „მᲒᲡᲜᲔᲚᲘ“ — მაცხოვარი, განმარინებელი, განმათავისუფლებელი). ამ ცნების ეტიმოლოგიური საფუძველია**[შე]კრულობისაგან განხსნა,** რასაც კლასიკური ქართული ლიტერატურის არაერთი ძეგლის მონაცემები გვიდასტურებს როგორც ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში. ანტონიმური ცნებები „შეკვრა“— „განᲒᲡᲜᲐ“ ნიშნავს „შეკრული“ პიროვნების „(გან)ᲒᲡᲜᲐᲡ“ (შდრ. ვფხ. „გული ჩვენი რით „**იხსნების**”, 1183,1); **ᲒᲡᲜᲐ**=გათავისუფლება „შეკრულის გაშლა“, გახსნა, გაშლა, ხსნა (ვხსნი) разрешать, развязывать // (ვიხსნი) გამოხსნა, განრინება, მორჩენა спасать, избавлять (ნ. ჩუბინაშვილი 1971); Освобождаю = განვათავისუფლებ, განვარინებ, გამოვიხსნი; Освободитель = განმათავისუფლებელი, მხსნელი; Освобождаюсь განვთავისუფლდები, გამოვიხსნები (დ. ჩუბინაშვილი 1984); ᲒᲡᲜᲐ = „განრინება”, გათავისუფლება, გადარჩენა, ბოროტისაგან განრინება; ᲒᲡᲜᲐ = развязывание; ან избавление, თავს ვიხსნი; გამოვიხსნები; ᲮᲡᲜᲘᲚᲘ = გამოხსნილი, განრინებული, მორჩენილი (დ. ჩუბინაშვილი 1984); სულხან-საბასთან ვხვდებით ისეთ განმარტებებს, რომლებიც თავისუფლების საკითხის არსს ნათლად წარმოგვიდგენენ: **ᲒᲡᲜᲐ** [ᲒᲡᲔᲜ] (მ. 27,49) ბოროტისაგან განრინება; **ᲒᲡᲜᲘᲚᲘ** = ბოროტისაგან განრინებული: განთავისუფლებული, გინა გახსნილი) (ორბელიანი 1991-93).

ზოგიერთი მაგალითი:

(ქრისტე პეტრეს) მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა და ცათაჲსანი; და რომელი **შეჰკრა** ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნაქუეყანასა ზედა, **ჴსნილ** იყოს იგი ცათა შინა, მ. 18. 19; განვჰჴსნნეთ თავნი ჩუენნი შეკრულებისაგან ბოროტთაჲსა, რამეთუ ჴელმწიფედ თავი სუფლობაჲ გუაქუს თავთა ჩუენთა ზედა, მ. ცხ. 150.3; მანიჴსნეს ერი თჳსი, მთ. 1. 21; გიჴსნენ (განგარინენM) თქუენ ჴელისაგან მეგჳპტელთასა G, მსჴ. 6. 9; იჴსენ (განირინეC) თავი შენი DE,მრ. 15. 30; თქუედჴსნილთა უფლისათა, რომელნი იჴსننა ჴელისაგან მტერთასა (ფს. 106, 2) მოუვლინა სიტყუაჲ მისი და განკურნნა იგინი და იჴსننა იგინი განმხრწნელთაგან მათთა, ფს. 106,20; იჴსნეს სულნი ბოროტისაგან მოწამემან სარწმუნომან փրկէ զանձն վկայ հաւատարիմ; იგავთა, 14. 25; დაჴსნით არა ჴსნილ იყოს და განთავისუფლებულ არა იყოს, მოხედვაჲ იყავნ მათა. არა მოწყდენ, რამეთუ არა განთავისუფლებულ იყო AKSB, - საჴსარითა არა გამოჴსნილ იყოს, ანუ თავისუფლებაჲ არა მიცემულ იყოს მისგან, მოხედვაჲ იყოს მათ ზედა. არა მოკუდენ, რამეთუ არა განთავისუფლებულ იყო G , - փրկանօք չիցէ փրկեալ նազատութեամբ չիցէ ազատեալ, ლევიტ. 19. 20; ვინ **გიჴსნეს** შენ ჴელთაგან ჩუენთა, რამეთუ ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგჳმზადებიეს შენთჳს, ჰაბო, 66, 18.

ვფხ-ში ვხვდებით ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „**ჴსნა**“ „**სსნილი**“, „**მსსნელი**“: „შიში ვერ **გიხსნის** სიკვდილსა“ (1603,4); „ფატმანს უხსნია ჩემი მზე“ (1429,2); „გული ჩვენი რით იხსნების“ (1183,1); „ეამების ნახვა **მისი ჴსნილსა** მისსა“ (1431,2).

VI.„განრინება“

ეს სიტყვა „თავისუფლების“, „ჴსნისჲ სინონიმად ხშირად არის მოწოდებული ტექსტებში:

(ი.აბულ.) განრინება =„ჴსნა“, თავის დაღწევა (ი. აბულაძე 1973)

(საბა)განრინება =გადარჩენა, გინა მორჩენა (ორბელიანი 1991-93); Освобождаю = განვათავისუფლებ, განვარინებ, გამოვიხსნი (ნ. ჩუბინაშვილი 1971); განრინება=გამოხსნა, გამოყვანა საშიშროებისაგან избавлять, изнимать (ნ. ჩუბინაშვილი 1961); განრინება= გამოვიხსნი, გამოვიყვან საშიშროებისაგან, განსაცდელს მოვარიდებ, ავაცილებ; спасать, избавлять განრინებული избавленный (დ. ჩუბინაშვილი 1984).

იჴსენ (განირინეC) თავი შენი DE, მრ. 15. 30; უკუეთუ ვისმე უნდეს სული თჳსი განრინებად, მ.16.25; გიჴსნენ (განგარინენM) თქუენ ჴელისაგან მეგჳპტელთასა, მსჴ. 6. 9; შენ, უფალო, გესავ, სიმართლითა შენითა მიჴსენ და განმარინემე, ფს. 30.1; თქვა უფალმან ღმერთმან ისრაილისამან: განვარინებ მათ ქუეყანისაგან ეგჳპტისაჲსა სახლისაგან მონებისა, იერ. .34.13; განგარინნეს თქუენ ჴელისაგან მტერთა თქუენთაგან, ბა რუქ. 4. 18 ; მადლი თქუენდა

და მშჯდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა იესუ ქრისტესა, რომელმან მისცა თავი თჳსი ცოდვათა ჩუენთათჳს, რაჲთა განმარინნეს ჩუენ სოფლისა ამის ბოროტისაგან ნე ბითა ღმრთისა და მამისა ჩუენისაჲთა, გალატ. 1, 3-4.

წარმოვადგენთ ქართული ენის ცნებებით გამოხატულ თავისუფლების ფაზების სიტყვათველს:

I. **„თავისუფალი“** (თავისუფლება) — თავისუფალი ნების უნარი როგორც შესაძლებლობა, ნების თავისუფლება,

II. **„გულის-ჴუმა“** (ღება) — ცნობა, გაცნობიერება,

III. **„გულს-მოდგინება“** — ნების გამომჟღავნება - არჩევანის გაკეთება, „ნეფსითობა“ „გამორჩევა“ — („წინა)-აღრჩევა“ — „(წინა)-განზრახვა“ — „წინა-განმზადება“,

IV. **„ნების-ყოფა“** - ქმნა (გადაწყვეტილების რეალიზაცია — განთავისუფლება)

V. **„ხსნა“**

VI. **„განრინება“** — განრომა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ს.ს. ორბელიანი 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი (ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათალექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ), I, თბ. 1991; II, თბ. 1993;

ნ.ჩუბინაშვილი 1961 - ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ (ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით), თბ. 1961;

ნ. ჩუბინაშვილი 1971 - ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, (ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, I, თბ. 1971; II, თბ. 1971;

დ. ჩუბინაშვილი 1984 - დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი (სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ), თბ. 1984; ი. აბულაძე 1973 -ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973;

ზ. სარჯველაძე 1984 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1995;

ქეგლ 1984 - ქეგლ, II, თბ. 1951; ტ. V, თბ 1984;

ივ. ჯავახიშვილი 1982 - ივ. ჯავახიშვილი, ზოგადი მოძღვრება ადამიანისბუნებასა დაკანონმდებლობაზე, თხზ-ნი 12 ტომად, ტ. VI, თბ. 1982. გვ. 122;

თ. ბაგრატიონი 1960 -თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, თბ. 1960;

მ. რობაქიძე 2011 - მ. რობაქიძე, ადამიანის შინაბუნების აღმნიშვნელი ცნებების სემანტიკური ველის შესახებ ქართულ ენაში, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი (პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში), ბათუმი, 2011, გვ. 26-32;

მ. რობაქიძე - მ. რობაქიძე, „თავ“ სიტყვით შედგენილი ორი ანტონიმური კომპოზიტისშესახებ ქართულ ენაში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXI, თბილისი;
მ. რობაქიძე 2009 - მ. რობაქიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპოლოგიურ ცნებათა ინტერპრეტაციისათვის, თბ. 2009;
მ. რობაქიძე 2009 - მერაბ რობაქიძე, „შუშანიკის წამების“ ანთროპოლოგიურ ცნებათა ინტერპრეტაცია, თბილისი, 2009;
დ. მელიქიშვილი 1999 -დამანა მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბილისი, 1999;
ი. მელიქიშვილი 2008 — ირინე მელიქიშვილი, თავისუფლების ცნების ეტიმოლოგიური დიაპაზონი. სოციალურიდან ინდივიდუალურამდე, ენათმეცნიერების საკითხები — II;
ი. პეტრიწი - იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“ (თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დამანა მელიქიშვილმა), თბილისი;
ნ. ემესელი 1914 — ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ, ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადადა ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს. რ. გორგაძემ, ტფილისი, 1914;
ი. ცურტაველი 1978 - იაკობ ცურტაველი, მარტჳლობაჲ შუშანიკისი (ქართული დასომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები ლექსიკონი და საძიებლებიდაურთო ილია აბულაძემ), თბ. 1978;
ი. საბანისძე 1963 „მარტჳლობაჲ ჰაბო ტფილელისა“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბ. 1963;
(20)მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბ. 1963;
ბიბლია 2002 - The Holy Bible (Oxford university press), (ინგლისურ ენაზე), 2002;
დ. ბეისმანოვი 1899 -Греческо- русскийсловарь, составленный А. Д. Вейсманом, С.- Петербург, 1899;
(23) Հայերեն բացատրական բառարան, III, կազմեց Ստ. Մալխասեանց, 1944;
(24) ՆորբառգիրքՀայկազեանլեզուի,հ. II, ի Վենետիկ, 1837;
(25)Ալեքսանդր Խուդաբաշյան, Հայ-Ռուսերեն բառարան, I (Ա-Կ), Երևան, 1986. II (Հ-Ֆ), երևան, 1987;
(26)Աստուածաշունչ մատեան հին և նոր կտակարանների, Շտուտգարտ, 1990;
(27)Աստուածաշունչ գիրք հին և նոր կտակարանների, Պէյրութ, 1985;
(28)Աստուածաշունչ մատեան հին և նոր կտակարանաց, Կոստանդնուպոլիս, 1895.

Merab Robakidze

Concepts Conveying the Meaning of “Freedom” in the old Georgian Language

1. Disclosing ancient (primary) word meanings by linguists is of great importance for revealing early representations of these or those people on an objective reality.

Freedom – the motivating force of mankind. Without it this or that nation cannot exist and develop, cannot create national culture, nor protect the advantage. Free can be both the individual person and society. "Freedom" - the most ancient concepts of the Georgian language regularly met both in the Bible and of many monuments of the ancient Georgian literature; it is widely used in modern Georgian language; the concept of "freedom" has some synonyms. Along this, the concepts which are of interest for deep studying of a phenomenon of "freedom" are allocated. "Freedom" represents concept of the proof maintenance. Its definition is unequivocal in the historical and modern plan.

2. The concept of "freedom" ("clearing") of ancient Georgian language is presented by group of keywords which recreate difficult step character of ideological loading of "clearing". Each of them has special value in disclosing full process of "clearing" the meaning. Such words are "tavis-upleba", "sky", "nebis-kopa", "guls-modgineba", "rescue" ("outcome").

3. The free will of the person represents inner and innate phenomenon, divine gift. The person is free in the choice, that he uses the will to make a free choice, plan a way of the action. The further success in business depends on the correctness of a free choice. Thus, it is necessary to remark that a personal will needs to be realised in business, whereas "freedom" will not be reached. In the Georgian concept "tavis-upleba" the idea of ability of free choice is displayed, "guls-modgineia" means "will", "nebis-kopa" comprises the sense of «will realizations». And concepts such as «khsna» (rescue) and «ganrineba» (liberation) convey the meaning of pushing away and separating from oppressing, connecting and bad force.

Our research shows that the term "tavisupleba" (freedom) in old Georgian language and shows original understanding of an essence of a problem.

გიორგი სოსიაშვილი

ერეკლე II პოლიტიკური მოღვაწეობა და ქართულ-ოსური ურთიერთობის საკითხი

XVIII საუკუნე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული დრამატიზმით გამოირჩევა. მაჰმადიანური სახელწიფობის—ირანის და ოსმალეთის გარემოცვაში მყოფი ჩვენი ქვეყანა, დიდი გაჭირვების ფასად ახერხებდა არსებობის შენარჩუნებას. ქართლ-კახეთის სახელისუფლებო წრეები დაუცხრომელ ძიებაში იყვნენ, რათა დაუძლურებული ქვყნისათვის ძლიერი მოკავშირე გამოეძებნათ და ქართული სახელმწიფობრიობა მაჰმადიანური აგრესიისაგან გადაერჩინათ. ერეკლე-თეიმურაზის სახელმწიფოებრივ ხედვაში დიდი ადგილი ეკავა კავკასიის გაერთიანებას, ამაში უპირველეს ყოვლისა იგულისხმება სამხრეთ და ჩრდილოთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერეკლე II ხშირად მიმართავდა ჩრილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს, მათ შორის: ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, ოსებს.

კავკასიურ პოლიტიკაში ერეკლე II დიდ ყურადღებას აქცევდა ოსებთან ურთიერთობას. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ **ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსების საქართველოში ჩამოსახლება XVII საუკუნიდან დაიწყო.** კავკასიონის მთიანეთში შემოხიზნულმა ოსებმა, ჯერ კავკასიის პირიქითა მხარე--დვალეთი დაიკავეს, ხოლო შემდეგ შიდა ქართლის მთიანეთში იწყეს ჩამოსახლება. საქართველოს სამფო კარიც და ქართველი ფეოდალებიც თავდაპირველად დაინტერესებულნი იყვნენ მთაში მცხოვრები ოსების გაუკაცრიელებულ ქართული სოფლებში დამკვიდრებით. როგორც ჯ. გვასალია აღნიშნავს: „საქართველოში (შიდა ქართლში) ოსთა გადმოსახლებით გვიან შუასაუკუნეებში თვით მეფე-ფეოდალები იყვნენ დაინტერესებულნი. უცხო ეთნიკური ელემენტის ქართულ გარემოში დასახლება იმ დროისათვის იმდენად საშიში არ იყო ქართველი ეთნოსისათვის...“ (ჯ. გვასალია 1990:57). სამეფო ხელისუფლება გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა იმ ქართველ ფეოდალებს, რომლებიც ოსების ჩამოსახლებას ხელს უწყობდნენ და ახალ მიწებს ითვისებდნენ. ამას ადასტურებს 1704 წელს შედგენილი ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც ქართლის მეფის შაჰყულიხანის მიერ არის გაცემული ფირან და ბორტი მაჩაბლებისადმი. საბუთი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა სამეფო კარი, „სახასო მთის ადგილების“ ათვისებას. აქ იგულისხმება ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების და სხვა მთიელი ტომების ჩამოსახლება (სცსსა, ფონდი 1450:158). ჩამოსახლებული ოსები ფეოდალური

გადასახადების თვალსაზრისით ადგილობრივ გლეხებთან შედარებით გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ. თუმცა, ისინი ძნელად ეგუებოდნენ ფეოდალური საზოგადოებაში ცხოვრებას. ოსების ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანა, მათი სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმა რთული აღმოჩნდა. ერეკლე II და თეიმურაზ II მმართველობის პერიოდში ქსნის ხეობაში დასახლებულმა ოსებმა ურჩობა დაიწყეს. მათ გადასახადების გადახდაზე უარი განაცხადეს. სამეფო კარმა განდგომილი ოსების დასამორჩილებლად სადამსჯელო ღონისძიება გაატარა. ერეკლე II აჯანყებული ოსების წინააღმდეგ ლეკთა რაზმებიც გამოიყენა. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს: „**უკუდგნენ ოსნი ერისთვისანი და დაუწყეს ცემა ზემო ქართლსა: გაგზავნა მეფემ ერეკლემ კაცი და დაიბარა ანწუხელნი, თებელნი და ყირაზელნი ლეკნი, რომელი მონებდეს კახს-ბატონს, აღასრულეს ბრძანება და მოვიდა ჯარი ლეკისა, დააყენეს ავჭალას, მისცეს ულუფა, მცირედთა ხანთა შინა გაატანეს ბელადათ მაჩაბელი და იესე ამილახორის შვილი და გაუსივეს უკუმდგართ ოსთა, ააოხრეს ოსეთი და გარდვიდენ იმარეთს, საწერეთლოც წაახდინეს და მრავალი ტყვეც წამოასხეს...**“ (პ. ორბელიანი 1854:388). ამის მიუხედავად, ოსები მაინც ეურჩებოდნენ სამეფო ხელისუფლებას. მალე, ქსნის ხეობელ ოსებს, არაგვის ხეობაში მცხოვრები ოსებიც შეუერთდნენ. პაპუნა ორბელიანის ცნობით ერეკლემ და თეიმურაზმა ოსების დასასჯელად ერთობლივი ლაშქრობა მოაწყეს: „წაბძანდა კახი ბატონი კახეთის ჯარით, მიბძანდა ანანურს: ორთავ საერისთაოსნი დიაღ ავკაცობდნენ, არც ბეგარას აძლევდნენ და არც მოხელე შეუშვეს. ამათი წახდენა ინებეს. მოსწერა მამას წიგნი მეფემ ერეკლემ და დაიბარა, წაბძანდა მეფე თეიმურაზ ჯარითა ქართლისათა. მიბძანდა ვანათს, ორისავ გზები შეუკრეს, რომ მიმშველი აღარავინ ჰყვანდათ.“ (პ. ორბელიანი 1854:390). საბოლოოდ, ერეკლემ და თეიმურაზმა ოსები მორჩილებაში მოიყვანეს. მათ არა მარტო არაგვის საერისთაოში ჩამოსახლებული ოსები დასაჯეს, არამედ თერგის და თრუსოს ხეობაში მცხოვრები ოსების წინააღმდეგაც ილაშქრეს (პ. ორბელიანი 1854:390). ქსნის ხეობელი ოსები თეიმურაზ II პატარა ლიახვის ხეობის სოფ. ვანათში ეახლნენ და მორჩილება გამოუცხადეს (პ. ორბელიანი 1854:390). საისტორიო წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩამოსახლებული ოსები ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროებდნენ. 1774 წ. ოსებს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II მათ საგანგებოდ მიმართა: „ჩვენი ბრძანება არის, რომელნიც არაგუზედ დადებულნი ოსები ხართ ყველამ გაიგონეთ: თქვენი სიავკაცე ქართლში დიაღ გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივისთ.“ (ვ. ითონიშვილი 2002:232). ოსების ძალმომრეობა იმდენად გახშირდა, რომ ქართველი ფეოდალები მათ სამეფო ხელისუფლებასთან უჩიოდნენ და დახმარებას ითხოვდნენ. ამ მხრივ, საინტერესოა 1779 წელს შედგენილი ბარძიმ მაჩაბლის არზა, სადაც აღნიშნულია: „ღმერთმან თქვენი რისხვა მამცეს, თუ ასერა სამი წელიწადია მე

იმათი ბეგარა მენახოს, უკუმდგარნი გახლავან. არავის ზოგავენ, სვერი იმათ დააცლევინეს“ (ი. დოლიძე 1979:440). ადგილობრივ მოსახლეობაზე ოსთა გახშირებულ თავდასხმებს არაერთი სხვა წყაროც ადასტურებს. მაგ. ფრონეს ხეობაში არსებულ ს. აბისის ეკლესიის კარიბჭეზე ს. მაკალათიამ ამოიკითხა 1754 წლით დათარიღებული წარწერა, საიდანაც ჩანს, რომ ფრონეს ხეობის სოფლები ამ დროს ოსებისაგან იყო აოხრებული (ს. მაკალათია 1963:46).

„ოსიანობა“ კიდევ უფრო გახშირდა XVIII საუკუნის II ნახევარში. მარბიელი ოსები არამარტო ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ ატყვევებდნენ და ჩრდილოეთ კავკასიაში ჰყიდდნენ. 1783 წელს ერეკლე II პოტიომკინს წერდა: ”მოგახსენებთ, ამას, რომ რაოდენნიმე აქეთის მთის ოსნი ჩვენს ქვეყნებში ქურდობენ, კაცებს ატყვევებენ და ჩერქეზში ჰყიდიან. ამისთვის ეს ქურთაულნი სტარიშინები, იმათი მცნობნი არიან. ამისათვის საიდუმლოდ ებრძანოს მოსდოგის კამენდანტს, რომ როდესაც ამათ ჩერქეზეთში ყოფნა აცნობონ, იმან რაოდენიმე კაცნი გაატანოს და დაიჭირონ და იმათი დასჯა თქვენს ნებაზედ მოგვინდია.” (ი. დოლიძე 1979:440). ოსების თავდასხმების აღკვეთის მიზნით ერეკლე II სპეციალური ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმადაც მძარცველი ოსის მოკვლისათვის მდევრებს ყოველგვარი პასუხისმგებლობა ეხსნებოდათ: „ესეც მიბრძანებია, რაც ოსი ან ქურდობაზე მოკვდება, ან მიხდომაზე იმას სისხლი აღარ გაუჩნდებათ და არც მიეცემათ“(მ. კეკელია 1991:1). აღსანიშნავია, რომ 1782 წლის განჩინებით ერეკლე II ქართველებსა და ოსებს შორის ქორწინების თვალსაზრისით გარკვეული შეზღუდვები დააწესა: „ქ. თუ რომელიმე ქრისტეანი კაცი ოსს ქალს მისცემს და დამოყურდება, იმას ჩვენს მუხანათობასავით მოვიკითხავთ და თუ ოსმა ქალი მოგცესთ, ის კი ითხოვეთ, მაგრამ უნდა კი მონათლოთ.“ (სს 1899:204). ქართლ-კახეთში გავცელებული „ოსიანობის“ მიუხედავად ამიერკავკასიაში მაჰმადიანური სახანოების დასამორჩილებლად ერეკლე და თეიმურაზი აქტიურად იყენებდნენ დაქირავებულ ოს მებრძოლებს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოყვანილ ოსებს, ფულადი ჯამაგირის გარდა სამეფო კარი სურსათ -- სანოვაგითაც ამარაგებდა. ამას ადასტურებს ერეკლე II წერილი რევაზ ამილახვრისადმი, სადაც ვკითხულობთ: “თქვენი წიგნი მოგვივიდა, ოსებზე მოგეწერა: „პური ამბარდნიდამ გვიბძანებია, არაყი გორიდამ და ცხვარი და ძროხა ერისთავის გიორგიდამ...“ (გ. თოგოშვილი 1969:138). ერეკლე II ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან მოხერხებული დიპლომატიით მჭიდრო კავშირი დაამყარა. ქართლ-კახეთის კოალიციურ ჯარში, ქართველებთან, ჩერქეზებთან, ყაბარდოელებთან და ლეკებთან ერთად ხშირად ოსებიც იბრძოდნენ. 1752 წელს აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ ერეკლე II ჩრდილოეთ კავკასიიდან დამხმარე ძალები გადმოიყვანა. პაპუნა ორბელიანის ცნობით ერეკლემ ჩერქეზეთში ზურაბ ზედგინიძე გაგზავნა. ვიდრე

ჩერქეზებთან დაქირავებული ჯარის წამოყვანაზე მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ერეკლეს ოსთა მხედრობა შემოუერთდა (პ. ორბელიანი 1854:444). ამ ბრძოლაში აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ ერეკლეს კოალიციურმა ჯარმა გაიმარჯვა. ასეთივე დახმარება აღმოუჩინეს ქართველებს დაქირავებულმა ოსმა მებრძოლებმა აზატ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსთა მხედრობას, პაპუნა ორბელიანის ცნობის თანახმად, მონაწილეობა მიუღია ნურსალ-ბეგის წინააღმდეგაც. ერეკლეს წინასწარ დაუჭერია თადარიგი და როგორც პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს: „გაგზავნეს მეფეთა კაცნი ჩერქეზში, აღუთქვეს მისაცემელი ფრიადი და დაიჭირეს ჯარი, ეგრეთვე ოსისა და მთის ჯარები“ (პ. ორბელიანი 1854:457). საინტერესოა, რომ ერეკლეს ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან სამხედრო--დიპლომატიური ურთიერთობის ჩამოყალიბების მიზნით რამდენიმე ადამიანი ჰყავდა გამოყოფილი. სავარაოდოდ, სწორედ ის დიპლომატები, ვისაც ოსებთან ჩერქეზებთან და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან დიდი ხნის ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდათ. ოსები მონაწილეობდნენ ომარ ხანის წინააღმდეგ ბრძოლაშიც (გ. თოგოშვილი 1969:151). ერეკლეს ლაშქარში დაქირავებული ოსი მებრძოლების არსებობას ადასტურებს გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი. მას თავის ცნობაში მოხსენიებული ჰყავს ერეკლეს მიერ დაქირავებული 100 ოსი მებრძოლი, რომლებიც 1771 წელს მეთაურთან ერთად ერეკლეს მიწვევით თბილისში წასულან (გ. გელაშვილი 1964:126-127). ომში გამოჩენილი მამაცობისათვის ერეკლე II ოს მებრძოლებს მამულით ასაჩუქრებდა. მაგ. ასპინძის ომში დაღუპული ბოლათიყო ხეთაგურის მამას- დოხჩიყო ხეთაგურს ერეკლემ მამული უბოძა (გ. თოგოშვილი 1969:148). დაქირავებული ოსი მებრძოლებისათვის სამეფო ხელისუფლებას სპეციალური ჯამაგირი ჰქონდა დაწესებული. აჯი-ჩალაბის დამარცხების შემდეგ თაგაურელ ოსებს ერეკლე II გასამრჯელო მოუთხოვიათ: „რაც უწინ ჩვენს ნათესავს ქართველი მეფისაგან ჯამაგირი გვქონდა, ის გაგვიჩინოსო“ ითხოვდნენ ოსი მეომრები (ს. ალიმბარაშვილი 2008: 213). თაგაურელი ოსები ერეკლესთვის მნიშვნელოვან დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ, გარდა ამისა, ისინი დარიალის გზის მნიშვნელოვან მონაკვეთს აკონტროლებდნენ, რომლითაც ერეკლეს მიერ დაქირავებული მებრძოლთა რაზმები სარგებლობდნენ, ეს გზა გამოიყენებოდა საქართველო --- ჩრდილო კავკასიის სავაჭრო ურთიერთობაში. თაგაურელმა ოსებმა ეს კარგად იცოდნენ, ამიტომ ისინი ერეკლესგან მეტ გასამრჯელოს მოითხოვდნენ (გ. თოგოშვილი 1969:154-155). ერეკლე II ოსებს ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველადაც იყენებდა. დაქირავებული რაზმების გამოყვანასთან დაკავშირებით ოსებთან მოლაპარაკებებს ერეკლე II მითითებით მაჩაბლები აწარმოებდნენ. ამას ასახავს, 1785 წლის ერთი დოკუმენტი. ერეკლე II ფარსადან მაჩაბელს წერდა: „ქ. ბრწყინვალე თავადს მაჩაბელს, ხევისთავს ფარსადანს და ბადურაშვილს ბარძიმს

მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე ყარაჯა ოსი გამოგვისტუმრებია და ოსეთში წიგნები მიგვიწერია, რომ ისინი მამაცობრივ გამოვიდნენ და თამარაშენს და იმ ადგილებში ორსაოდ კვირას დადგნენ, თუ ვინ იცის იმ ლეკის ჯარმა მანდეთკენ მოსვლა მოინდომონ, სროლა აუტეხონ და არ შემოუშვან, ჩვენც ყარაულები გვიყენია. ის ჯარი რომ ახალქალაქიდამ აიყრება და ქართლისაკენ წამოვა, ჩვენც აქედამ რუსის ჯარით საჩქაროდ გამოუდგებით და მოგეშველებით. თუ ქრცხინვალის ხეობისკენ წამოვიდნენ, ჩვენც უკან გამოვყვებით, და თუ გორსა და ზეით მივიდნენ სადმე, ოსებსაც ჩვენ დავიბარებთ და ვილაშქრებთ და წყალობასაც დავმართებთ და თუ გორს ქვეით მივლენ სადმე, ოსებს იქ არ დავპატიჟებთ ლაშქრობას და არც გვინდა“ (ვ. ითონიშვილი 2002:199-200). **ერეკლე II ლაშქარში ქართული წყაროების მიხედვით ძირითადად თაგაურელი და ქურთათელი ოსები იბრძოდნენ** (გ. თოგოშვილი 1969:147). სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის დროს, ერეკლე II ოსური მხარისაგან მძევლებს ითხოვდა, რათა მათ მიმართ მეტი ნდობა ჰქონოდა (გ. თოგოშვილი 1969:147). ქართლ-კახეთის მჭიდრო ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან ერეკლე II გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებული ერეკლე II მემკვიდრეები, თაგაურელ და ქურთათელ ოსებს თავიანთ წერილებში, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის ერთგულ სამსახურს შეახსენებდნენ და რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ (გ სოსიაშვილი 2001:122-128).

დამოწმებული ლიტარატურა:

ს. ალიმბარაშვილი 2008 - ს. ალიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008;

ჯ. გვასალია 1990 - ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ.,1990;

გ. გელაშვილმა 1964 - გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ. II თბ., 1964;

თოგოშვილი გ.,საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.ს თბ., 1969;

ვ. ითონიშვილი 2002 - ვ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002;

მ. კეკელია 1991 - მ. კეკელია, ერეკლე II განჩინებანი სამაჩაბლოში ბოროტმოქმედების აღსაკვეთად, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №25, 1991;

ს.მაკალათია ფრონეს ხეობა, თბ., 1963;

პ. ორბელიანი 1854 - პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება ტ. II დ. ჩუბინაშვილის რედ. სპბ., 1854;
სს 1899 - საქართველოს სიძველენი, ტ. I ტფ., 1899;
გ. სოსიაშვილი 2011 - გ. სოსიაშვილი, ქართულ-ოსური კოალიციის შექმნის ცდა რუსეთის წინააღმდეგ (XIX საუკუნის I მეოთხედი)გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 1, 2011;
ი. დოლიძე 1997 - ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII. თბ., 1979;
სცსსა ფონდი 1450 - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1450, დავთ. 26; საბ. 158;

Giorgi Sosiashvili

Political Life of Erekle II and the Question of the Georgian-Ossetian Relationship

XVIII century is significant with its dramatism in the Georgian political life. Our country being among Muslim states - Iran and Osmalia, hardly survived. The authority of Kartli and Kakheti did their best to find a srtong ally and survive Georgian State system from Muslim aggression. In the State vision of Erekle and Teimuraz a great attention was paid to the unification of the Caucasus, here is meant that the population of the South and North Caucasus should have a close relationship. Erekle II was always supported by the population of the North Caucasus during the fights against foreing enemies including Kabardians and Ossetians. The Ossetians established in Kartli often used violence against the local population. The Court punished them many times. The Ossetians used to be Erekle II allies as well.

მანანა ტაბიძე, მერაბ ნაჭყებია

ომისშემდგომი აფხაზეთის ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი კანონმდებლობის კომპლექსური დახასიათება

(1993-2012)

1993 წლის ომის შედეგად საქართველომ დაკარგა კონტროლი თავის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე - აფხაზეთზე, რამაც ტრაგიკულ მოვლენათა ჯაჭვი გადაჭიმა მთელ საქართველოზე.

აფხაზეთში განვითარებული სამხედრო კონფლიქტის სათანადო შეფასება ძალიან დიდი ხნით, თითქმის ორი ათეული წლით გაჭიანურდა, და დღემდე საყოველთაოდ აღიარებული და სამართლებრივად შეფასებული არც არის ამ ხანგრძლივი ომის დაწყების ჭეშმარიტი მიზეზები, საბაბი, მონაწილე მხარეების ვინაობა, იდეოლოგიური საფუძვლები, ეთნიკურ-პოლიტიკური და სამხედრო გარემოებები. საქართველოსთვის აფხაზეთის (და არა მარტო აფხაზეთის) წართმევის იდეოლოგიური საფუძვლების მზადების უაღრესად ხანგრძლივი და თანამიმდევრული პროცესი რუსეთმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ჩაიფიქრა და დიდი მოთმინებითა და პროფესიონალიზმით დაამუშავა მეოცე საუკუნის განმავლობაში. ამ სამზადისის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ენობრივი კონფლიქტიც გახდა, რომელიც ჯერ უნდა მოაზრებულიყო, დაგეგმილიყო, სათანადო კონტექსტით შემოსილიყო და მერე - ეტაპობრივად განხორციელებულიყო; ამ საქმეში რუსეთის ყველა რეჟიმმა შეიტანა წვლილი და საქართველოში ქართველებთან მცხოვრებ აფხაზთა ძმობა თანდათან მტრობად გადააქცია, მოხერხდა აფხაზთა იდენტობის ნაწილობრივი მოშლა, აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის გამოდევნა საკუთარი მიწა-წყლიდან, აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსის დარღვევა, ენობრივ-კულტურული სიტუაციის შეცვლა, ეკონომიკური განვითარების შეფერხება და ა.შ.

ამჯერად ჩვენს სოციოლნგვისტურ კვლევას არ ვიწყებთ მეტ-ნაკლებად შორეული წარსულიდან, ჩვენი მოხსენების ფარგლებში შევჩერდებით მხოლოდ ომისშემდგომი აფხაზეთის ენობრივი სიტუაციისა და აფხაზური ენის განვითარებისათვის „**ახალ გარემოში**“ შექმნილი პირობების ანალიზზე.

ამ ანალიზისთვის კი რამდენიმე საკითხი უნდა განვმარტოთ:

1) რუსეთისა და რუსული ორიენტაციის აფხაზთა მტკიცებით, ქართველები ავიწროებდნენ აფხაზურ ენას, აფხაზებს თავს ახვევდნენ ქართულ ენას;

მოგეხსენებათ, ყოველი ბრალდება ფაქტებით უნდა შემოწმდეს... ფაქტი პირველი: ომამდე აფხაზეთში (1970, 1979 და 1989 წლის

აღწერების მონაცემებით) დედაენა იცოდა ყველა ეთნოსმა, მათ შორის აფხაზთა 97,8 %-მა, მეორე ენად კი, 1989 წლის აღწერის დროს, რუსული იცოდა აფხაზთა 81, 5 %-მა, ხოლო ქართული - 1,6 %-მა; ისიც საინტერესოა, რომ 1970 წელს რუსული მეორე ენა იყო აფხაზთა 59,8 %-ისათვის, 1979 წელს - 74, 7%-ისათვის, ანუ მაჩვენებელი იზრდებოდა რუსულის, და არა ქართულის სასარგებლოდ; მაშ, სად ჩანს აქ ქართულით აფხაზურის შეზღუდვა?

2) ამავე იდეოლოგთა მტკიცებით ქართველები ზღუდავდნენ აფხაზური ენის ფუნქციონირებას სახელმწიფოებრივი ფორმატით გათვალისწინებულ ყველა სფეროში;

რა იგულისხმება სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების სფეროებში?

ენის სახელმწიფო ფუნქციონირება გულისხმობს მოცემული ენის სრულფასოვან მონაწილეობას სახელმწიფოს ოფიციალურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. ენის რეგულირებადი ფუნქციებია: სახელმწიფოს მართვის, განათლების, მასობრივი კომუნიკაციების, საკანონმდებლო და სამართლებრივ საქმიანობაში მონაწილეობა. ენობრივი კანონმდებლობა არის ნაციონალურ-ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი მშენებლობის კონცენტრირებული გამოხატვის იურიდიული ფორმა. აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ მიიღო კანონი ენის შესახებ. საინტერესოა, რომ ეს კანონი მიიღეს მხოლოდ 2007 წელს და არა მაშინვე, როდესაც ქართველთაგან დაცლილ ტერიტორიებზე აფხაზები იქ მოსახლე ან მოახალშენე სხვა ეთნოსებთან ერთად პირისპირ დარჩნენ.

ფუნქციონირებს თუ არა დღეს აფხაზური ენა სახელმწიფო ენის სტატუსის შესაბამისი სრულფასოვნებით? სწორედ ამ კითხვაზე პასუხს ეძღვნება წარმოდგენილი მოხსენება.

2007 წლის 14 ნოემბერს აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებმა საბოლოო წაკითხვით მიიღეს რესპუბლიკა აფხაზეთის „ენის კანონი“, რომელიც ძალაში შევიდა გაზეთ „რესპუბლიკა აბხაზიას“ ფურცლებზე გამოქვეყნების მომენტიდან.

ჩვეულებრივ, ენობრივ პრაქტიკაში „ენის კანონის“ მიღებას ენობრივი სიტუაციის კრიზისულ მომენტებს უკავშირებენ; ანუ იქ, სადაც არ არის პრობლემები, ენის კანონიც არ არის საჭირო; მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება: **ენის კანონი** დღის წესრიგში აყენებს პოლილინგვური საზოგადოების (არადა დღეს მსოფლიოში აღარ არსებობენ მონოლინგვური სახელმწიფოები) ენობრივი მოწყობის, ენობრივი წონასწორობის, სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის იდენტობის დაცულობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მხრივ გარანტიების საკითხებს. ანუ, ენის კანონის მიღება კი არ აწესრიგებს ლინგვოკულტურულ ატმოსფეროს, არამედ პირიქით, ისეთ პრობლემებსაც ააქტიურებს, რომელზეც საზოგდოებას აქამდე არც კი უფიქრია. ენის კანონს

სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვაგვარად აყალიბებს, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაშიც ამ კანონში ჩაიდო აფხაზთა ყველა ენობრივი ამბიცია, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური არის ერთადერთი სახელმწიფო ენა, რომელიც თავის სახელმწიფოებრივ როლსა და ფუნქციონირების კონტექსტს შემდეგნაირად განსაზღვრავს: **აფხაზური ენა არის** აღზრდისა და სწავლების ენა; აფხაზეთის უმაღლესი სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების სამუშაო ენა, სახელმწიფოს სამართლებრივი აქტების გამოსაქვეყნებელი ენა, არჩევნებისა და რეფერენდუმების ჩატარების ენა, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამუშაო ენა, ოფიციალური საქმისწარმოების ენა, ოფიციალური მიმოწერის ენა, სამართალწარმოების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სამხედრო უწყების ენა, სახელმწიფო ნოტარიალურ საქმისწარმოებაში, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, მომსახურებისა და კომერციული საქმიანობის სფეროში, გეოგრაფიული სახელების, ტოპოგრაფიული აღნიშვნების, წარწერებისა და საგზაო მაჩვენებლების, დასახლებული პუნქტების სახელდებისა და სახელთა გადარქმევის სფეროში გამოსაყენებელი ენა.

ცხადია, ეს კანონი, ორიოდე სიტყვით მათაც იხსენიებს, ვინც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის - აფხაზეთის - მოქალაქეა და არ იცის აფხაზური; კანონის მიხედვით, მათ ეძლევათ უფლებების დაცვის გარანტია.

ვფიქრობთ, აფხაზური ენის განსაკუთრებული სტატუსი ორი თვალსაზრისით უნდა შეფასდეს:

1) რამდენად შეესაბამება ეს სტატუსი საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ისტორიას;
2) რამდენად ლოგიკურია ეს კანონი თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობის რიცხოვნობისა და ენობრივი კომპეტენციის ფონზე.

	1989 წელს მოსახლეობის ბოლო საბჭოთა აღწერის მონაცემებით		აფხაზეთის მოსახლეობის 2003 წლის აღწერის მონაცემებით	
აფხაზეთის მცხოვრებლები სულ	525 061 კაცი		**215 272** კაცი (1989 წლის მოსახლეობის 41%)	
ქართველები	239 872	45,6%	45 953	21,3%
აფხაზები	93 267	17,7%	94 606	44%
რუსები	74 913	14,3%	23 420	10,9%
სომხები	76 541	14,6%	44 870	20,8%
ბერძნები	14 664	2,8%	1486	1%-ზე ნაკლები

ენციკლოპედია ბრიტანიკა 2007 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობას 180 000 ადამიანით განსაზღვრავს,

საერთაშორისო საკრიზისო ჯგუფი კი 2006 წლისათვის ამ ტერიტორიის მოსახლეობად 157 000-დან 190 000-მდე კაცს ვარაუდობს (ან 180 000-სა და 220 000-ს შორის).

ამ მონაცემებიდან ჩვენთვის საინტერესო რამდენიმეა: 1. 1989 წლის აღწერის მაჩვენებლებთან შედარებით ომისშემდგომი პერიოდის აფხაზეთში რაოდენობრივად იკლო ყველა ეთნოსმა (ქართველებმა 193 919 კაცით, რუსებმა - 51 493 კაცით, სომხებმა 31 871-ით), მხოლოდ აფხაზებმა მოიმატეს რაოდენობრივად; ცხადია, ეს ცხრილი ერთ-ერთია იმ უამრავი ტენდენციური ცხრილიდან, რომლებიც სადღეისოდ სხვადასხვა მიზნით ვრცელდება აფხაზეთში, მაგრამ ამ ტენდენციურ ცხრილსაც „უჭირს“ კრიტიკის გაძლება: როგორ ავხსნათ აფხაზთა დემოგრაფიული აფეთქება, თუკი მათ ომის დროს ნამდვილად ისეთი ზარალი მიადგათ, როგორსაც თავად აღწერენ? 2. აფხაზებს, მიუხედავად ამგვარი დემოგრაფიული სიტუაციისა, მაინც ვერ მიუღწევიათ საერთო მოსახლეობის ნახევარ ოდენობამდე, ეს კი საეჭვოს ხდის მათ მიერ მიღებული **ენის კანონის** <u>სამართლიანობას</u>: როგორ შეიძლება გარანტირებული იყოს ენობრივი უფლებების დაცვა ყველა აფხაზეთელისთვის ისეთ ვითარებაში, როგორშიც აფხაზურის არმცოდნეებს აფხაზურენოვანი საზოგადოებრივი გარემოცვაც კი არ ექნებათ (განსაკუთრებით, ქალაქებში, ან არააფხაზებით დასახლებულ რეგიონებში). 3. კანონის მიღებით მოგვარდა თუ არა აფხაზურის სახელმწიფო ენად ფუნქციონირების საკითხი მოსახლეობის ეთნიკური და ენობრივი მრავალფეროვნების ფონზე?

ამ ბოლო კითხვას უპასუხებს თავად ენობრივი სიტუაცია აფხაზეთში:

ა) რუსულმა ენამ აფხაზეთში განსაკუთრებული სტატუსი მიიღო უკვე 14 ნოემბერს, ანუ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ „ენის კანონის“ მიღებისთანავე; ეს ფაქტი კანონში შემდეგნაირადაა დაფიქსირებული: აფხაზეთის სახელმწიფო ენა არის აფხაზური, ხოლო **რუსული აფხაზურთან ერთად აღიარებულია სახელმწიფო და სხვა დაწესებულებათა ენად.** ანუ აფხაზებმა პირველივე ბრძოლა დათმეს და რუსულს ფუნქციონირების სივრცე გაუნაწილეს.

ბ) ყველა ეთნიკური ჯგუფი, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს, გამოხატავს თავის უკმაყოფილებას აფხაზური ენის ფუნქციონირების შესაძლო გაძლიერების პერსპექტივასთან დაკავშირებით; განსაკუთრებით აქტიურობენ რუსები და სომხები. მაგალითისთვის ერთ მსჯელობას დავასახელებთ: „თუ ფიქრობდით, რომ რუსული სახელმწიფო ენაა აფხაზეთში, ფრიად შემცდარხართ; თუმცა აფხაზეთის თითქმის ყველა მოსახლეს რუსეთის პასპორტი აქვს და, არსებითად, ყველა მათგანი რუსეთის მოქალაქეა, მაინც აფხაზეთის სახელმწიფო ენად აფხაზური მიიღეს... ხოლო 2015 წლისათვის რუსული მთლიანად გაძევებული იქნება აფხაზეთიდან. ცხადია, რუსულის გაძევებისა“ არავის სჯერა, მაგრამ ის, რომ ამაზე დისკუსია არ

ცხრება, ფაქტია. რუსულისა და სომხურის დაცვაზე მსჯელობენ სომხებიც, რომელთა ინტერესი აფხაზეთის მიწა-წყლისადმი საყოველთაოდაა ცნობილი.

გ) აფხაზური ენის ფუნქციონირების გაფართოებას ხელს უშლის ეკონომიკური ფაქტორიც; როგორც აფხაზთა ოპონენტები მიუთითებენ (და მომხრეებიც აღიარებენ) ისეთი უტოპიური პროგრამის განვითარებას, როგორიცაა არააფხაზურენოვანი მოსახლეობის აფხაზურად განსწავლა, უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, შრომის გარდა ეს ძვირადღირებული საქმეა (უნდა მომზადნენ აფხაზურენოვან მასწავლებელთა კადრები ყველა საგანმანათლებლო დონისათვის, მთარგმნელები, კანონშემოქმედნი, დასამუშავებელია დარგობრივი ტერმინოლოგია, საჭიროა საგამომცემლო სისტემის ამოქმედება, ენის კურსების ორგანიზება, სახელმძღვანელოები აფხაზურ ენაზე და სხვ.), ამ თანხების მოძიება კი რთულია.

დ) „კანონმა ენის შესახებ“ 2010 წელს აფხაზეთის პარლამენტის რამდენიმე სხდომაზე გაიელვა, როდესაც სპიკერი და ვიცესპიკერი შეეცადნენ აფხაზურად საუბარს. თუმცა აფხაზური ენის დღევანდელი მდგომარეობა არაფრით სჯობს, თუ არ ჩამორჩება ამ ენის ე.წ. ქართულ პერიოდს, რომელსაც ასე დაჟინებით ებრძოდა და ებრძვის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პროორუსული ხელისუფლება;

ე) აფხაზები აფხაზური ენის დღევანდელ კრიზისს ძველი ინერციით ისევ ქართველებს აბრალებენ, თუმცა უკვე 18 წელია უქართველებოდ ცხოვრობენ და ვითარება ვერ გააუმჯობესეს: იური კვიწინიას ანალიტიკურ სტატიაში, რომელიც მან 2011 წლის 24 ოქტომბერს გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ აფხაზური, იუნესკოს მიერ ოფიციალურად გამოცხადებული საფრთხის ქვეშ მყოფ ენად, ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა ერთი მხრივ მუჰაჯირობის, მეორე მხრივ კი, ბერიასდროინდელი ღონისძიების - აფხაზური სკოლების ქართულ ენაზე გადაყვანის შედეგად. მცირე კომენტარი ამ რეპლიკის გამოც უნდა გაკეთდეს: 1) მართლაც მუჰაჯირობამ აფხაზურ ეთნოსსაც და ენასაც დიდი ზიანი მიაყენა, თუმცა მუჰაჯირებმა თურქეთშიც და სხვაგანაც (მაგ., აჭარაში მცხოვრები აფხაზები) დღემდე შეინარჩუნეს აფხაზური; 2) ბერიას ღონისძიება“ აფხაზური ენის ქართულ ენაზე გადაყვანის შესახებ სრულიად ხანმოკლე პერიოდს მოიცავს, რეფორმა გატარდა 1945 წელს (თუმცა ჯერ კიდევ 1937- 38 წლებში ცდილობდა კრემლი ამ ღონისძიების გატარებას, და იმ მომენტისათვის მოხერხდა კრემლის აქციის შეჩერება), 1947 წელს მას საპროტესტო წერილები მოჰყვა და ბოლოს უკვე 1954 წ. სახელდახელოდ შეიცვალა აფხაზური ანბანი და ის გადაყვანილ იქნა „კირილიცაზე“ „აღადგინეს“ ე.წ. „აფხაზური სკოლები“, რაც იმაში გამოიხატა, რომ აფხაზურად სწავლება შემოიღეს მხოლოდ დაწყებით კლასებში, ხოლო V-X კლასებში სწავლება გადაიყვანეს რუსულ ენაზე. ყოველივე ეს, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს გ. ლეჟავა, „чётко

обозначили возврат к прежней тенденции создания условий для обрусения абхазского населения и пресечения попыток их огрузинивания“. ი. კვიწინიას ლოგიკით, აფხაზური ენა 7 წელიწადში მსოფლიოს ენათა „წითელ წიგნში“ აღმოჩენილა.

ვ) თანამედროვე აფხაზეთის ენობრივი სიტუაცია აფხაზური ენის მწვავე კრიზისზე მიუთითებს. ისევ კვიწინიას დასახელებულ სტატიას მივუბრუნდებით, რადგან ამ სტატიაში მიუკერძოებლადაა დახასიათებული აფხაზური ენის თანამედროვე მდგომარეობა და ენობრივი სიტუაცია აფხაზეთში. მართალია, ეს ავტორი ქართველების მიმართ ასეთივე მიუკერძოებლობას ვერ დაიჩემებს, მაგრამ მისი გულისტკივილი აფხაზური ენის ბედზე იმდენად გადამდებია, რომ ჩვენ მის **ანტიქართულ გამოთქმებს** ამ შემთხვევაში უკომენტაროდაც კი დავტოვებთ. აი, რას წერს ი.კვიწინია: იმედი, რომ სიტუაციის გამოსწორება დემოგრაფიულ ვითარებას შეუძლია, ვფიქრობ, მცდარია, თურქეთში ხომ აფხაზობა ნახევარ მლიონს აჭარბებს, მაგრამ იქ მდგომარეობა უარესადაა, რადგან ახალგაზრდობა კატასტროფულად კარგავს თავის მშობლიურ ენას... დემოგრაფიული პრობლემაც ნაკლებად რთული საკითხი როდია. ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას; რაც მალე, მით უკეთესია, მაგრამ გვახსოვდეს იმ ანდაზასავით არ მოგვივიდეს: „სანამ ბალახი გაიზრდება, ცხენი მოკვდებაო!“ ეს იმაზე მიუთითებს, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ენის განვითარების საკითხები, და ისიც სახელმწიფო ორგანოებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა (ადგილობრივიდან პრეზიდენტამდე) ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აფხაზები ქალაქებში, და არცთუ იშვიათად სოფლებშიც ერთმანეთში არამშობლიურ ენაზე ურთიერთობენ. მშობლები ფულს იხდიან, რომ სხვა ენა ასწავლონ შვილს, რომელმაც საკუთარი მშობლიური ენა არ იცის - ეს ნონსენსია, აი, რა არის სინამდვილეში სრული სიბნელე. არასოდეს არავინ არ შეიძლება ჩაითვალოს თავისი ერის შვილად, თუკი მან არ იცის ან არ ესწრაფვის მშობლიური ენის ცოდნას. ჩვენ გარშემო მრავალი მაგალითი გვაქვს მშობლიური ენის სიყვარულისა — ესენი არიან სომხები, **ქართველები, მეგრელები** და ბევრი სხვა, ვისი ბავშვებიც ჩვილობიდან იწყებენ დედაენაზე ლაპარაკს და მხოლოდ მერე სწავლობენ სხვა ენებს. ჩვენ კი ზუსტად პირიქითა გვაქვს. ეს რა, მათხოვრული თვითშეგნებაა, თუ რა? თუ ჩვენ ადრე საბჭოთა დროში, **ქართული კოლონიზაციის დროს**, აფხაზთა და მათი ენის მდგომარეობას სამართლიანად ვხსნიდით **აფხაზი მოსახლეობის ქართველიზაციითა და აფხაზებისათვის მათი ენის გამოყენების აკრძალვით**, მაშინ ვინ გვიშლის დღეს, როდესაც პრაქტიკულად ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალ ქვეყანაში, როდესაც ქვეყნის მმართველობაში: აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლოს ძალაუფლებაში მხოლოდ აფხაზები არიან? ნუთუ მართლა არ გვესმის სიტუაციის ფორს-

მაჟორულობა? გაიგეთ, დედაენის ბედი დამოკიდებულია დროზე, რომელიც ფაქტობრივ აღარ დაგვრჩა. ამ საკითხის გადაწყვეტის შემდგომი გაჭიანურება - ეს ენის სიკვდილია. შევძლებთ კი ჩვენ აფხაზები გლობალიზაციად სახელდებული იმ მტრის დამარცხებას, რომელსაც არც სახე აქვს, არც სუნი, არც ფორმა. გლობალიზაცია კოსმიური სისწრაფით გვიახლოვდება. პრობლემა ჩვენშია. საკუთარ თავზე გამარჯვება - ნიშნავს გმირობის ჩადენას მშობლიური ენის, მშობლიური კულტურისათვის. აი, უკვე ხუთ წელზე მეტია, რაც აფხაზეთის პარლამენტს არ შეუძლია მიიღოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. თქვით, განა ეს დანაშაული არ არის? მაგალითად: ვინ უმლის ხელს ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელობას, თვალყური ადევნოს მაღაზიების, დაწესებულებების, საწარმოების ყველანაირი აბრების გაფორმებას? ახალ ათონში ყოფნისას ვნახე, რომ ყველა საწარმოსა და დაწესებულების წარწერები მხოლოდ რუსულადაა. დამსვენებლები რუსეთიდან კითხულობენ: „განა ჩვენ აფხაზეთში არა ვართ, რა აფხაზებს საკუთარი დამწერლობა არა აქვთ?“ საწყენია! (ი.კვიწინია).

და ბოლოს, თავისთავად ის ფაქტი, რომ ეთნოსი თავის შიგნით განიცდის სტრესს ან ჰარმონიას, ხშირად არის განსაზღვრული ამ კოლექტივზე „გარედან“ მოქმედი ფაქტორებით. ეთნოსური კოლექ-ტივები დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე. აქ ორი მომენტია: „ვრცელი საზოგადოება“ და „საზოგადოება სივრცეში“ . გასათვა-ლისწინებელია ეთნოსის საზღვართა ცნებაში ენის ბუნებრივი მონა-ცემების, შესაძლებლობებისა და ფუნქციების შესაბამისობის სა-კითხიც. ეთნოსის ცვალებადობა ეთნოსის საყოფაცხოვრებო კონ-ტექსტის ცვალებადობასაც გულისხმობს. ამ კონტექსტში განსაკუ-თრებით მნიშვნელოვანია ენის როლი. როდესაც აფხაზეთის მიწაზე ენობრივი ეკოლოგიური ბალანსი დაირღვა, ეს რღვევა უარყოფითად აისახა არა მხოლოდ ომის შედეგად აფხაზეთიდან გასულ (დევნილ) მოსახლეობაზე, არამედ იმათზეც, ვინც შინ დარჩა, მაგრამ ვისთვი-საც დარღვეული ეკოლოგიური ატმოსფერო ჯანსაღი სულიერი საზრდოს მიწოდების წყაროს არ წარმოადგენს. როდესაც მინავლდე-ბა ყოველდღიურობისათვის ტონუსისმიმცემი მრისხანება, დაისადგუ-რებს დეპრესია, რომლის ნიშნებიც უკვე სახეზეა - 1993 წელს გა-რეშეთა მიერ ინსპირირებულ ძმათამკვლელ ომში ნაომარ აფხაზებს აქვთ კანონი, რომლის ამოქმედებას 1997 წლიდან ლამობენ, მა-გრამ იგი სრულიად უსარგებლო ჩანს დღევანდელი აფხაზობისათვის, რომელიც 2012 წელს დამოუკიდებლობის ილუზორული კონსტიტუ-ციითა და რუსული პასპორტებით ხვდება..

Manana Tabidze, Merab Nachkebia

Complex Analysis of Linguistic Situation and Linguistic Legislation of Post-war Abkhazia (1993-2012)

Generally, passing 'linguistic law' is connected with critical moments of linguistic situation; correspondingly, in case of absence of these problems, there is no need of the linguistic law; linguistic law poses the need of existence of polylingual society (it should be noted that nowadays there are no more monolingual states in the world), maintenance of linguistic policy, balance and safety of linguistic identity and cultural individuality of several linguistic groups. Each country has its own way of formulating the linguistic law. All linguistic ambitions were put into the linguistic law of the self-declared Republic of Abkhazia. According to this very law, Abkhazian language is the only state language on the Abkhazian 'territory', though Abkhazian did not perform this function not even a single day during the period of discussions concerning the law in 1993-2012.

The article analyses the linguistic situation of the last decade in Abkhazia and the reasons that prevented the application of the abovementioned linguistic law.

ტარიელ ფუტკარაძე, იაშა თანდილავა, მიხეილ ლაბაძე

ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივ-ეთნიკური იდენტობის საკითხები

ლაზები /ჭანები/ ერთ-ერთი ძველი და ძლიერი ქართული თემია, რომელიც ოდითგანვე ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში. ლაზთა უმეტესობა ამჟამად ქართული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაა მოქცეული, მაგრამ მეტყველებით, ისტორიითა და კულტურით ისინი ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

ტრადიციულად, ქართველი მემატიანეები ლაზეთის მთავარ ქალაქს - ტრაპიზონს - „მეგრელთა სოფელს“ უწოდებენ, ლაზეთს კი ეგრისის ნაწილად თვლიან. საკუთარი სახელები: **ლაზია, ლაზეთი** ნაწარმოებია ლაზ- ფუძისგან, რომლის ქართული წარმომავლობის მტკიცება რთულია; **ლაზი** იხსენიება ბერძნულ წყაროებში, შესაბამისად, ლაზ- შეიძლება ბერძნული წარმომავლობისა იყოს (საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს). ტერმინი „ლაზიკა“ პირველად გვხვდება ძველი რომაელი მემატიანის, არიანეს (II ს.) ნაშრომში.

ლაზეთში მცხოვრები საზოგადოების სახელად ქართულ, ბერძნულ თუ სხვა წყაროებში დასტურდება **ჭანი** და **სანი**; რაც გვაფიქრებინებს, რომ ლაზთა ძველი სახელი იყო **სანი/ჭანი,** რომელიც ბერძნული წყაროების გავლენით ამ მოსახლეობაშიც კი ჩანაცვლდა ლაზით; აქვე აღვნიშნავთ, რომ მთიელი ლაზები თავიანთ თავს ჭანებს უწოდებენ; დღემდე ჭანებად იხსენიებენ ლაზებს თურქეთის ავტოქთონი ქართველები (ტაოელები, იმერხევლები, მაჭახლელები).

ჭანეთის ისტორიული რუკა ასე გამოიყურება (შედგენილი პ. ინგოროყვას მიერ):

ᲩᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲜ Ა. არაბული ციფრებით აღნიშნულია სოფლები (1, 2, 3...) და სანაპირო ციხეები (1 ა, 1 ბ), რომელებიც ᲨᲔᲛᲔᲓᲒ ციფრების თანრიგით აღნიშნულია ცხრილში (იხ. გვ. 270).

ლაზეთის დიდი ნაწილი ეკლესიურად ქართული ეკლესიის შემადგენელი ნაწილი იყო: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების დროს ხუფათის ციხეც (თანამედროვე ქ. ოქი, რიზეს აღმოსავლეთით) და მთელი „კლარჯეთისა ზღვის პირი“ ვახტანგ გორგასლის ხელში იყო.

პ. ინგოროყვას ცნობით, V საუკუნეში მცხეთის საკათალიკოსო საყდარს ექვემდებარებოდა იმ დროისათვის ახლადდაარსებული ტამბურის საეპისკოპოსოც (პ. ინგოროყვა 1954:377-380, 441-442). მის მიერ შედგენილ ჭანეთ-ლაზეთის რუკაზე (იქვე:272) „ტამბური, ანუ ჰამამაშენი ზღვისპირისა“ მდებარეობს; მდ. ფურტუნას შესართავთან, ანუ დღევანდელი ქ. არტაშენის (თურქ. Ardeşen) ადგილას. ე.ი. მცხეთის საკათალიკოსოს იერარქი, ხუფათის (ოქის) გარდა, მჯდარა დღევანდელ ქ. არტაშენშიც.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძეც აღნიშნავს, რომ ვახტანგ გორგასალის დროს საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის ხუფათზე იდო (ჰოქთან//ოქთან - ოქი ქალაქია რიზესა და ტრაპიზონს შორის - მ. ლ.), რადგანაც „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ „საქართველოში შემოდიოდა“ (ა. ჯაფარიძე 2009:99).

დღეს ისტორიული ჭანეთი (ლაზეთი) ნაწილი შედის საქართველოს შემადგენლობაში /ხელვაჩაურის რ-ნი/ **და თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილში შემავალ რაიონებში - ხოფის, ბორჩხისა და არჰავის ილჩეებში, ასევე რიზეს ილის ფინდიკლის, არდეშენის, ფაზარისა და ჩამლიჰემშინის ილჩეებში.** ჭანეთში ტოპონიმიისა და მიკროტოპონიმიის უდიდესი ნაწილი ქართველურია, თუმცა, ქართული რუკებისგან განსხვავებით, ოფიციალურ თურქულ რუკებზე ამჟამად სრულიად გამქრალია ქართველური ტოპონიმია. ლაზეთის მკვიდრ ავტოქთონ ქართველთა დიდ ნაწილი სახელმწიფო ენის გარდა ფლობს ლაზურ კილოებს - ხოფურს (ხოფურ-ჩხალურს), ვიწურ-არქაბულს და ათინურ-ართაშენულს.

ისტორიულ ლაზეთში ქართველი მეცნიერები და სტუდენტები ბოლო დრომდე ვერ შევდიოდით. ლაზეთის სოფლების დათვალიერება და აქ მეცნიერული ექსპედიციები ამჟამინდელი თურქეთის ხელისუფლების მიერ არ იზღუდება.

თურქეთის მოქალაქეთა ნაწილს უკვე დავიწყებული აქვს ისტორიული დედაენა და ეთნიკურადაც თურქად მიიჩნევს თავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში - წალკის რ-ნის რამდენიმე სოფელში, უკრაინაში (ყირიმში) ცხოვრობენ მართლმადიდებლური აღმსარებლობის, თურქულენოვანი ლაზები, რომლებსაც „ურუმებსაც“ ეძახიან. საბერძნეთში კი არიან ტრაპიზონის მხრიდან წასული ბერძნულენოვანი ლაზები, რომლებიც თავს ბერძნული ეთნოსის შემადგენელ ნაწილად თვლიან. „**ურუმების**“ **თურქულენოვან მეტყველებაში დიდი დოზითაა შემონახული ქართული ენის**

სუბსტრატული ფენა /ფონემატურ სტრუქტურაში ე.წ. კავკასიური ხშულთა არსებობა, მრავალრიცხოვანი ქართული ლექსიკა.../.

ყველა კუთხის ლაზებს საერთო აქვთ ეთნოგრაფიული მახასიათებლები, ფოლკლორი (მაგ., გადმოცემები თამარ მეფის შესახებ) და სხვ.

ეთნიკურ-კულტურული იდენტობის მიხედვით, ლაზთა შორის ხუთი ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

1. **ადამიანები, რომლებიც, განათლებისა და ინფორმაციის ქონის მიუხედავად, უეჭველად თვლიან, რომ ქართული ეთნოსის განუყოფელი ნაწილნი არიან:** სოფლების სარფის, კვარიათის, გონიოს, მახოს, ჭარნალის, სიმონეთის... მკვიდრი ლაზები (საქართველოს მოქალაქეები); ასევე, თურქეთის მკვიდრი ის ლაზები, რომელთაც სათანადო ინფორმაცია აქვთ (თურქეთის მოქალაქე ლაზთა შორის ამგვარად მოაზროვნე ადამიანთა რიცხვი ცოტაა).

2. **ადამიანები, რომლებიც, თვლიან, რომ ლაზი არის ქართველისგან დამოუკიდებელი, მაგრამ ახლომონათესავე ეროვნება;** ისინი თვლიან, რომ მათი მშობლიური ენაა ლაზური. მათი აზრით, ლაზები და ქართველები ისეთივე ახლომონათესავე ხალხებია, როგორც მაგალითად, რუსები და უკრაინელები, ან ბულგარელები და სერბები და ა.შ. ამგვარად აზროვნებს თურქეთის მოქალაქე ლაზთა დიდი ნაწილი.

3. **ადამიანები, რომლებიც, თვლიან, რომ ლაზი არის ქართველისგან დამოუკიდებელი ეროვნება;** ისინი თვლიან, რომ მათი მშობლიური ენაა ლაზური, მაგრამ ლაზები და ქართველები არ არიან მონათესავე ერები; მთელ მსოფლიოში ლაზებს მხოლოდ და მხოლოდ მეგრელები ენათესავებიან. ანუ, ისინი თანაბრად დისტანცირებულნი არიან თურქებისგანაც და ქართველებისგანაც (მეგრელთა გამოკლებით). ამგვარად აზროვნებს ლაზთა რადიკალურად განწყობილი ნაწილი, მათ შორის გერმანიაში დაფუძნებული ორგანიზაცია „ლაზებურა“.

4. **ლაზური წარმოშობის თურქეთის მოქალაქეები, რომლებიც თურქული ეთნოსის შემადგენელ ნაწილად თვლიან თავს.** ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა იმას, ფლობენ თუ არა ისინი რომელიმე ლაზურ კილოს: მაგ., ამ სტრიქონების ერთ-ერთ ავტორს 2004 წლის ივლისში, ვიწეს თემის სოფ. ანდრავათში ყოფნისას, ერთ-ერთი ადგილობრივი ლაზი, ლაზურად უმტკიცებდა, რომ ლაზები შუა აზიიდან მოსული თურქების შთამომავლები არიან.

5. **ლაზთა ასიმილირებული ჯგუფები** (სახელწოდება პირობითია): დღესდღეობით ცხოვრობენ ისტორიული ლაზეთის (რესპ. თურქეთის) ფარგლებს გარეთ - საქართველოში (წალკის რ-ნის რამდენიმე სოფელში), საბერძნეთში (გაფანტულად) და უკრაინაში (ყირიმში). მათ შორის გამოიყოფა ორი მთავარი ჯგუფი:

ა) **ურუმები** ანუ ბერძნულ-მართლმადიდებლური აღმსარებლობის, ენობრივად გათურქებული ლაზები, რომლებიც თავს თვლიან ბერძნებისგან, თურქებისგან და ქართველებისგან თანაბრად

დისტანცირებულ ეთნიკურ ჯგუფად, თუმცა მათ ყოფით და მატერიალურ კულტურაში, თურქულ მეტყველებაში ქართველური სუბსტრატი აშკარაა (ცხოვრობენ წალკის რ-ნში და ყირიმში);

ბ) „**ლაზოი** (მხ. რ.-ში: **ლაზოს**)“ - ბერძნულ-მართლმადიდებლური აღმსარებლობის, ენობრივად გაბერძნებული (ან გათურქებული) ლაზები, რომლებიც თავს თვლიან ბერძნული ეთნოსის ნაწილად. მათ კულტურასა და მეტყველებაში ქართველური სუბსტრატი შედარებით ნაკლებად იგრძნობა.

ლაზეთის ქართველები, ისევე როგორც საერთოდ, თურქეთის მოქალაქე სხვა ქართველები, კარგად ერკვევიან ოსმალეთისა და თურქეთის ისტორიაში და თურქეთის სახელმწიფოს დიდი პატრიოტებიც არიან; ამავე დროს, მათ სუსტად იციან თავიანთი წინაპრების ისტორია, შესაბამისად, ნაკლები ინფორმაცია აქვთ საკუთარი ეთნიკური თუ ლინგვოკულტურული იდენტობის შესახებ.

ისტორიულ ქართულ კულტურასთან ლაზეთის ქართველთა დიდი ნაწილის /თურქეთის სახელმწიფოებრივ ველში დარჩენილი ლაზების/ გაუცხოებას სამი ძირითადი მიზეზი აქვს:

- მწირი ობიექტური ინფორმაცია თავიანთი წარსულის შესახებ;

- სალიტერატურო ქართული ენის არცოდნისა გამო ლაზურ კილოებსა და სალიტერატურო ქართულს შორის გაგებინების მნიშვნელოვნად გაძნელება (საინტერესოა, რომ გაგებინება გაძნელებულია თვით ლაზურ კილოთა - მაგ., ხოფურსა და ათინურ-ართაშენულს შორისაც);

- რელიგიური მსოფლაღქმა (ზოგი ლაზისთვის მუსლიმანობა „ეთნიკური“ იდენტობის მთავარი განმსაზღვრელია).

აქვე აღვნიშნავთ: აქაური მუსულმანი ქართველებისთვის უკვე თითქმის უცხოა რეგიონში არსებული ქრისტიანული ძეგლები (ოხვამეები); თუმცა უფროსი თაობა ხშირად ადასტურებს, რომ ისინი მეგრელების, ანუ „ქრისტიანი ლაზების“ აშენებულია.

შდრ., ბოლშევიკების ბატონობის მცირე პერიოდში საქართველოს ცენტრალურ რეგიონებშიც კი: გურიაში, იმერეთში, ქართლში... ხალხი გაუუცხოვდა ქრისტიანულ ეკლესიებს.

რელიგიური თავისუფლების თემა ფაქიზია, ამიტომ არ ვაპირებთ ამ მიმართულებით მსჯელობის გაგრძელებას.

სხვა კონტექსტი აქვს განათლებისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლებას:

ობიექტური ისტორიული ცნობები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს; კერძოდ, **ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი ეთნიკური, ენობრივი თუ ეროვნული წარსული.**

ბოლო დროს, თურქეთის ქართველებში უფრო მეტი ინტერესი ჩნდება თავიანთი ეთნიკური ისტორიისა და კულტურის შესახებ. ამავე დროს ისინი, გარკვეულწილად, დისტანციურად უყურებენ რეალურ ისტორიას, ვინაიდან, ხვდებიან, რომ მათი წინაპრების ისტორია გადაჯაჭვულია ქრისტიანობასთან - ამჟამად მათთვის უცხო რელიგიასთან.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებიდან თურქეთში გარეშე ძალთა აშკარა წაქეზებით დაიწყო ლაზების ე.წ. „თვითგამორკვევის“ პროცესის მართვა, რომლის მთავარი მიზანი იყო თვითგამორკვევის მოსურნე ლაზების დეზორიენტირება; **ისინი ცდილობენ, ლაზებს ჩააგონონ, რომ:** ლაზი არ არის არც თურქი და არც არის ქართველი. მათი აქტიურობით ლაზი აქტივისტების ერთმა ნაწილმა (რომელიც გამოსცემდა ჟურნალს „ოგნი სქანი ნენა“ („შეიგნე შენი ენა“) მკვეთრად ანტიქართული პოზიცია დაიკავა, რაც გამოწვეული იყო როგორც გარეშე ძალების ზემოქმედებით, ასევე იმითაც, რომ თავად საბჭოთა ენათმეცნიერულ სკოლაში გაბატონებული იყო მცდარი და, რაც მთავარია, ქართველი ერის ენობრივი ერთიანობის საწინააღმდეგო ე.წ. ოთხი ქართველური ენის თეორია.

ბოლო პერიოდში თანამედროვე ტურისტული ბუმით გამოწვეული ურთიერთობების, საინტერნეტო აქტიური კავშირებისა და სხვა ფაქტორების გამო ყველასთვის გაიზარდა ობიექტური ინფორმაციის მიღების პერსპექტივა, შესაბამისად, გაიზარდა ეთნიკური მეობის განმსაზღვრელი ფაქტორების რაოდენობაც; **შედეგად, ლაზეთში მცხოვრებ ავტოქთონ ქართველთა მიერ საკუთარი ეთნიკური იდენტობის გააზრებაში ახალი ეტაპი იწყება, თუმცა, ისტორიული ლაზეთის „თურქულ“ ნაწილში ჯერჯერობით მაინც დიდია იმ ინდივიდთა პროცენტი, რომლებიც ვერ ახდენენ იდენტიფიცირებას ზოგადქართულ სამწიგნობრო ენასთან და კულტურასთან.**

საკითხის ისტორიისათვის აღვნიშნავთ:

ლაზეთის შესახებ ინფორმაცია დიდი ხნის განმავლობაში ტაბუირებული, გასაიდუმლოებული და მიუწვდომელი იყო; მაგ., ბევრმა არ იცოდა, რომ 1908-1915 წლებში ლაზეთში არსებობდა ქართული ეროვნული მიმართულების მქონე დაჯგუფებები, ე.წ. „კომიტეტები“, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის (იხ.http://www.kvirispalitra.ge/history/10000-qansanerobaq-1915-1920.html?add=1). ამ „კომიტეტების“ წევრთა უმეტესობის ვინაობა ცნობილია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს I მსოფლიო ომის დროს საზღვარგარეთის ქართული სათვისტომოს მონდომებით შექმნილი „თამარ მეფის ლეგიონი“ (1915-1917), რომლის მებრძოლთა 90%-ს სწორედ ლაზები შეადგენდნენ. ხსენებული ლეგიონის წევრებმა შემდგომშიც განაგრძეს ბრძოლა იმისათვის, რომ ლაზეთი მთლიანად შეერთებოდა საქართველოს პირველ რესპუბლიკას, თუმცაღა 1921 წლის რუსეთ-თურქეთის ანტიქართული შეთქმულების გამო, მათმა თავგანწირულმა ბრძოლამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

ვფიქრობთ, ლაზთა ენობრივ-ეთნიკურ იდენტობაზე საუბრისას, აუცილებელია, მიმოვიხილოთ 1915-1930 წლებში ლაზეთში მიმდინარე მოვლენები, რათა ცხადი გახდეს, თუ როგორი იყო იმ

დროისათვის ამ კუთხის მკვიდრ ქართველთა ეროვნული ხედვა. ლაზთა უმრავლესობა მაშინ იბრძოდა იმისათვის, რომ ყოფილიყვნენ ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში; როცა ეს ბრძოლა 1921 წელს დამარცხებით დასრულდა, ცოცხლად დარჩენილ მებრძოლთა უმრავლესობამ თავი მაინც საქართველოს (ოღონდ უკვე „გაწითლებულს“) შეაფარა, მაგრამ აქ იმ დროს ყველაფერი რუსების ხელთ იყო და რუსები კი არაფრით იყვნენ თურქებზე უკეთესნი — კომუნისტურმა ხელისუფლებამ 1927-1952 წლებში, ყოფილი ოსმალეთის ქვეშევრდომი ლაზები (რომელთა დიდი უმრავლესობაც, როგორც ითქვა, თავის დროზე ლაზეთში მოქმედი ქართული ეროვნული მიმართულების მქონე ორგანიზაციების წევრი იყო), ან თურქეთის ხელისუფლებას გადასცა, ან ციმბირსა თუ შუა აზიაში გადაასახლა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1914 წელს, გერმანიაში შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლეო კერესელიძე ბერლინიდან სტამბოლში ჩავიდა და იქ საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა სულთნის კართან. იმავე წელს, როდესაც ოსმალეთი ომში ოფიციალურად ჩაება გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარეზე, ამ ქვეყნის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა, სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ გამოსცა საგანგებო ფირმანი, რომლის თანახმადაც ოსმალეთის არმიაში უნდა შექმნილიყო ქართული ქვედანაყოფი, „თამარ მეფის ლეგიონი“ (ენვერ ფაშას ეს ფირმანი დღეს თურქეთის სახელმწიფო სამხედრო არქივში ინახება).

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ და ოსმალეთის უმაღლესი სარდლობის შეთანხმებით, ბრძოლაში ქართული ლეგიონი თავისი ალმით ებმებოდა - ეს იყო წითელ-შავი ალამი. ლეგიონს საკუთარი ფორმაც ჰქონდა და ორდენიც, რომელზეც გამოსახული იყო თამარ მეფე, ქართული წარწერით: „ქართული ლეგიონი 1915“.

თამარ მეფის ორდენი, 1915 წ.

ქართული ქვედანაყოფის შექმნის პარალელურად, ოსმალეთის ტერიტორიაზე განლაგდა ასევე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ფილიალები. მათგან ერთი - ლაზეთის პატარა ქალაქ ვიწეში (დღევანდელი სახელია ფინდიკლი), რომელსაც დაერქვა „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტი“.

იმდროინდელ ოსმალეთში, როგორც წესი, ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეებს რეგულარულ ჯარში არ იწვევდნენ, თუმცა ომიანობის დროს იქაურები ვალდებულნი იყვნენ, საკუთარი შეიარაღებით და ცხენებით გამოსულიყვნენ სულთნის დასაცავად. ლაზების სახალხო ლაშქარს ოსმალეთის ხელისუფლება ძირითად შემტევ ძალად, ან დაპყრობილ რეგიონებში სადამსჯელო რაზმებად იყენებდა.

ქართული ლეგიონის შექმნის შემდეგ ლაზების უმეტესობა მოხალისედ ჩაეწერა მის შემადგენლობაში. ამით მათ უფლება მიეცათ, თავიანთ მხარეში დარჩენილიყვნენ, რადგანაც, ენვერ-ფაშას ფირმანის თანახმად, ქართული ლეგიონი მხოლოდ კავკასიის ფრონტზე უნდა გამოეყენებინათ. ამდენად, ვიწეში შექმნილი „კომიტეტი“ სწორედ მეომრად გამოსადეგი ხალხის შემოკრებით იყო დაინტერესებული. კომიტეტის წევრების მოვალეობას შეადგენდა ასევე რუსეთიდან გამოქცეულ ქართველთა, ან ქართველ სამხედრო ტყვეთა ერთად შეკრება და ლეგიონში ჩარიცხვა.

ვიწეს „დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები“, 1914 წ.

ვიწეში „დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ხელმძღვანელობდა ვინმე ბესო ჭყონია - 1907 წელს გურიიდან ლაზეთში გამოქცეული ყოფილი ფირალი, ხელობით მჭედელი. მას ლაზები „უსტა ბესოს“, ანუ „ოსტატ ბესოს“ ეძახდნენ. ბესო ჭყონიასთან ერთად, ამ

კომიტეტს ოსმალეთის მოქალაქე ორი ლაზიც - მესუდ ფეილევანოღლი და ჰაფიზ ბიბინოღლი ედგა სათავეში.



მესუდ ფეილევანოღლი

კომიტეტს ლაზისტანის სანჯაყის ყველა დასახლებულ პუნქტში ჰყავდა თავისი წარმომადგენლები: ხოფაში - შეფიკ-აღა კლარჯიოღლი, არქაბში - მუსტაფა თიბუკოღლი, ართაშენში - ჯელალ გურჯიოღლი და სხვანი. სხვათა შორის, ესენი ყველანი ადრე ცნობილი ფირალები იყვნენ და, რომ არა „დამოუკიდებლობის კომიტეტი“, ოსმალეთის ჟანდარმერია მათ დევნას თავს არ დაანებებდა (იხ.: მ. ლაბაძე, 2010).

სურ.4: „ქართული ლეგიონი“ ტრაპიზონში, 1915 წლის დასაწყისი

სურ. 5: „ქართული ლეგიონის“ წევრები ქ. სამსუნში, 1915 წ.

I მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, როდესაც საქართველოს პირველი რესპუბლიკა შეიქმნა, ლაზეთში „ქართული ლეგიონის“ ყოფილმა წევრებმა აქტიურად იწყეს ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკასთან შესაერთებლად; 1920 წელს, როდესაც ბათუმის ოლქი (რომელშიც შედიოდა ლაზეთის ნაწილი სარფიდან ლიმანამდე) საბოლოოდ შემოუერთდა საქართველოს, ხოფაში, არქაბში, ვიწესა და ათინა-ართაშენში პატრიოტთა ერთმა ნაწილმა, **მამუდ ქვახულოღლის მეთაურობით**, ხელისუფლება ხელში ჩაიგდო და სცადა მიერთებოდა საქართველოს, თუმცა მაშინდელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეწოლით, ოფიციალურმა ტფილისმა ვერ გაბედა ლაზეთის მთლიანად შემოერთება (იხ. მ. ლაბაძე 2010).

1921 წლის თებერვალ-მარტში კი ლაზეთი თითქმის მთლიანად, თურქეთის რესპუბლიკის კონტროლქვეშ აღმოჩნდა. საქართველოსთან შეერთების მოსურნე პატრიოტების დიდი ნაწილი ბრძოლებში განადგურდა, მცირე ნაწილი კი იატაკქვეშეთში გადავიდა, მერე კი უკვე „გაწითლებულ“ საქართველოს სსრ-ში გამოიქცა. ბოლშევიკები მათ თავიდან ხელგაშლილად შეეგებნენ, თავშესაფარიც მისცეს, მაგრამ ამავდროულად, საიდუმლოდ შეუთანხმდნენ თურქეთს, რომ დევნილებს საქართველოს სსრ-ში არ გააჩერებდნენ.

ოსმალეთის ყოფილი ქვეშევრდომების საქართველოდან გასახლება საბჭოთა ხელისუფლებამ პირველად 20-იანი წლების შუახანებში სცადა — მაშინ, თურქეთის მესვეურებთან საიდუმლო შეთანხმებით, ქართულ პორტებში შემოვიდა თურქული ხომალდები. ოფიციალურად ისე გამოცხადდა, თითქოსდა მათ „სამშობლოში“ უნდა გადაეყვანათ ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ის ქვეშევრდომები, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა, მაგრამ

სინამდვილეში თურქულ ხომალდებზე ჩეკისტებმა ხალხი ძალით არეკეს. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ რიგში, ასე მოექცნენ იმათ, ვინც 1915-1920 წლებში „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ წევრი იყო და, თავის დროზე, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იარაღით ხელში იბრძოდა.

„დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ყოფილი წევრების მცირე ნაწილმა სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რასაც უპირებდნენ მათ და, როგორც შეეძლო, თავს უშველა: ზღვისპირეთს მოსცილდა და საქართველოს შიდა კუთხეებში გადაიხვეწა, სახელი და გვარიც შეიცვალა და წარსულის გადავიწყებაც კი სცადა. თუმცაღა, საბჭოთა მოქალაქეობის არმქონე ლაზთა უმეტესობამ ჩათრევას მაინც ჩაყოლა ამჯობინა და თურქეთში წასვლაზე დათანხმდა. სხვათა შორის, იმასაც ვიტყვით, რომ ათათურქი ამ ხალხს რუსებზე სამართლიანად მოექცა — მისი ბრძანებით, დეპორტირებულების წარსული საგანგებოდ გამოიძიეს და, ვინც რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეული არ აღმოჩნდა, თურქული პასპორტი უპრობლემოდ მისცეს. რაღა თქმა უნდა, თურქების მხრივ ეს გარკვეული დიპლომატიური სვლა იყო — ათათურქი შორს იხედებოდა და საბჭოთა კავშირიდან დეპორტირებულთა გულის მოგებით, ქართველ მუსლიმანთა შორის, გავლენის მოპოვებას ფიქრობდა.

მოგვიანებით (1927 წ) სტალინმა სხვა პოლიტიკა აირჩია: მან ოსმალეთის ყოფილ ქვეშევრდომებს თურქეთში გადასვლა საერთოდ აუკრძალა; მეტიც — გამკაცრდა კონტროლი საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის საქართველოს მონაკვეთზე. საბჭოთა კავშირში დარჩენილ ოსმალეთის ყველა ყოფილ ქვეშევრდომს დაურიგეს საბჭოთა პასპორტი, ოჩამჩირეში კი საგანგებოდ შეიქმნა კოლმეურნეობა „მჭითა ლაზისტანი“ („წითელი ლაზეთი“), რომელშიც ამ ხალხის უმეტესობა გააერთიანეს.

ის ლაზები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ „ხალხის მტრების“ სიაში შეიყვანა, ამაოდ ცდილობდნენ სამართალი რუსულ-კომუნისტური ხელისუფლების პირობებშიც ეპოვათ; **სანიმუშოდ, მოკლედ წარმოვადგენთ რამდენიმე ლაზის ისტორიას:**

ოსმან ალის ძე დემურელი თურქეთში დაბადებული ლაზი იყო, იგი დედასთან და მეუღლესთან ერთად 1922 წელს გადმოვიდა თურქეთიდან საქართველოში და ოჯახთან ერთად სოფელ მირვათში დასახლდა. თუმცა მას სულ რამდენიმე წელში აპატიმრებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ თურქეთიდან მამა ორჯერ ესტუმრა. ოსმან დემურელის დაკითხვის ოქმში ვკიტხულობთ:

„მე საქართველოში საცხოვრებლად დედასთან და ცოლთან ერთად 1922 წელს გადმოვედი. ჩემი მშობლები ერთმანეთს რომ გაეყარნენ, გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით და ამიტომაც გადავწყვიტეთ საბჭოთა კავშირში გადმოსვლა. საზღვარი ისე გადმოვლახეთ, არავის არაფერი უკითხავს. ოსმან დიასამიძესთან დავსახლდით სოფელ მირვათში, რომელმაც მიწა მომცა დასამუშავებლად“.

ოსმან ალის ძე დემუროღლი 1938 წელს დააპატიმრეს და ათი წლით გადასახლება მიუსაჯეს (საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი №6, საქმე №3809-07, ფურც. 10).

ათი წლით გადაასახლეს ასევე, კარამუსტაფაოღლი ხუსეინ ომარის ძე, რომელიც თურქეთიდან საქართველოში 1921 წელს გადმოვიდა და ოჩამჩირეში ოჯახთან ერთად დასახლდა. თუმცა მანამდე, 1920 წელს, ოსმალეთის არმიის შტაბში (ანუ „ქართულ ლეგიონში“ — ბუნებრივია, კომუნისტების შიშით, ამას ჩვენებაში ვერ მიუთითებდა) ის მწერლად მსახურობდა, რაც საბოლოო ჯამში, 1938 წელს მისი დაპატიმრებისა და გადასახლების საბაბი გახდა (საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი №6, საქმე №37301-07, ფურც. 17).

კიდევ ერთი ლაზის — ზია იბრაჰიმოღლის დაპატიმრების ოფიციალური მიზეზი ის იყო, რომ საბჭოთა კავშირში დასახლების შემდეგ, იგი თურქეთში იმყოფებოდა ოჯახის წევრების მოსანახულებლად და რამდენიმეჯერ სტუმრობდა თურქეთის საკონსულოს. „ქართული ლეგიონის“ ყოფილი წევრი ზია იბრაჰიმოღლი (იხ. ზ. ბატიაშვილი, 2008: 123) საქართველოს ტერიტორიაზე 1922 წელს გადმოვიდა და ბათუმში ცხოვრობდა, აქვე დაოჯახდა და კოლმეურნეობაში მუშაობდა.

„საბჭოთა კავშირში გადავწყვიტე წამოსვლა, რადგან ძალიან დიდი სიღარიბეში მიწევდა ცხოვრება. მამის გარდაცვალების შემდეგ ინვალიდი დედა და მცირეწლოვანი და-ძმა დამრჩა. მე გადმოვედი საბჭოთა კავშირში და დავიწყე მუშაობა. შევეჩვიე აქაურ სიტუაციას და ოჯახს მოვეკიდე. თურქეთზე ფიქრითაც კი აღარ მიფიქრია“ — აღნიშნავდა თავის დაკითხვის ოქმში ზია იბრაჰიმოღლი (საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი №6, საქმე №3809-07, ფურც. 8).

იმ დროისათვის, ოსმალეთის ყოფილ ქვეშევრდომ ლაზთა საქმეები ცნობილ აფხაზ რევოლუციონერს და პარტიულ მოღვაწეს — **ნესტორ ლაკობას** ებარა, რომელიც ლავრენტი ბერიას დაუძინებელი მტერი იყო. ლაკობა აფხაზეთიდან აძევებდა ყველას, ვინც ქართულად აზროვნებდა და, აქედან გამომდინარე, აფხაზური სეპარატიზმისათვის ხელის შეშლა შეეძლო. ბუნებრივია, იმ ლაზებსაც, რომლებიც უწინ ქართული ეროვნული მიმართულების ორგანიზაციათა წევრები იყვნენ, ლაკობა მტრებად თვლიდა.

1935-1937 წლებში ლავრენტი ბერიამ ნესტორ ლაკობა ფარულ ომში სასტიკად დაამარცხა — აფხაზი ლიდერი, რომელიც სეპარატისტული განწყობით იმთავითვე გამოირჩეოდა, ხელისუფლებას ჩამოაშორეს, დააპატიმრეს და დახვრიტეს. რა თქმა უნდა, თითქმის ყველა საქმე, რასაც ლაკობა კურირებდა, შეწყდა.

1949 წლის 12 მარტს, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სერგეი კრუგლოვმა ხელი მოაწერა საგანგებო ბრძანებას, რომლის თანახმადაც ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომი ბერძნები, თურქები, ირანელები, დაშნაკები, რომელსაც საბჭოთა მოქალაქეობა ან არ ჰქონდა, ან 1921 წლიდან ჰქონდა

მიღებული, ციმბირსა და შუა აზიაში გასახლებას ექვემდებარებოდა; ამ ბრძანებაში მითითებული არ იყვნენ ლაზები, მაგრამ ისინიც გაასახლეს.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, საქართველოს სსრ-დან გასახლებას დაექვემდებარა სულ 10 ათასამდე კაცი. გასახლების ძირითადი მიზეზი იყო ბრალდება „საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა მხარდაჭერა და შეფარვით ჯაშუშობა“.

გადასახლებულები ციმბირში

ნიშანდობლივია: გასახლებულთა უმრავლესობას შეადგენდნენ აფხაზეთში მცხოვრები პროქართული ორიენტაციის ლაზები. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ხალხი დოკუმენტებში აღნუსხეს, როგორც „თურქები“ ან „მუსლიმანები“ (აფხაზეთის ლაზები წარმატებით ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზურ სეპარატიზმსაც).

ლაზების ქართული იდენტობის დასავიწყებლად სრიოზული ნაბიჯები იდგმებოდა თურქეთშიც, სადაც სხვა გზა იქნა არჩეული: ნიჭიერ ლაზებს სამხედრო ხაზით აწინაურებდნენ და ხელისუფლების ერტგულების ფასად დიდ სამოღვაწეო ასპარეზსს აძლევდნენ...

დღეს არსებითი აღარ არის სახელმწიფო საზღვრების თემა; უფრო აქტუალურია, რომ მოცემულმა საზოგადოებამ იცოდეს თავისი რეალური ისტორია. საერთაშორისო სამეცნიერო თუ საინფორმაციო ველში შეჯერებული ობიექტური კვლევების შედეგების ხელმისაწვდომობა ყველა საზოგადოებას შეუწყობს ხელს, რეალიზება მოუხდინოს თავის უფლებას, იცოდეს საკუთარი ენობრივ-ეთნიკური წარსული. ამავე დროს, ობიექტური კვლევების შედეგების მისაწვდომობა გაზრდის ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემას და, რაც, ჩვენი აზრით, არანაკლებ არსებითია, ყოველი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობებისათვის, შექმნის ობიექტური

თვითაღქმისა და ენობრივ-ეთნიკური მეობის გადარჩენის მყარ საფუძველს.

დამოწმებული ლიტერატურა:

ზ. ბატიაშვილი, 2008 - ზ. ბატიაშვილი, ქართველები ოსმალური პერიოდის ტრაპიზონში, თბ., 2008;
პ. ინგოროყვა, 1954 - პ.ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
მ. ლაბაძე 2010 - http://www.kvirispalitra.ge/history/11962-ansaneroba-1915-1920.html;
ტ. ფუტკარაძე, 2005 - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, თბ., 2005;
ს. ყაუხჩიშვილი, 1976 - ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოსშესახებ, I, თბ., 1947;
ივ. ჯავახიშვილი, 1967 - ივ. ჯავახიშვილი თხზულებათა თორმეტტომეული, ტომი I, თბ., 1967;
ა.ჯაფარიძე, 2009 - მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია, ჟურნ.„სვეტიცხოველი", 2009, №1;
О. Гаркавець, **1999 -** Олександр Гаркавець, Уруми Надазов я, Алма-ата, **1999.**

Tariel Putkaradze, Iasha Tandilava, Mikheil Labadze

Linguistic-ethnic Identity Issues of Lazeti Georgian Inhabitants

Lazians /Chanians/ is one of the oldest Georgian communities playing the leading role in the Georgian history science the ancient times. Despite the fact that at present the majority of Lazians live beyond the Georgian borders, they represent an inseparable part of our country with their speech, history and culture.

Large part of Lazeti belonged to Georgian church: when the Georgian church was granted autocephaly, the Khupati Castle (present day Ofi, in the east of Rize) and the whole 'coast of Klarjeti' was under the rule of the king Vakhtang Gorgasali.

Nowadays, a part of historical Chaneti (Lazeti) is situated within the Georgian territory /Khelvachauri region/ and Artvini regions belong to the Republic of Turkey including Hopa, Borçka and Arhavi ils (provinces). Also, some Rize provinces: Fındıklı, Ardeşen, Pazar and Çamlıhemşin ils. The majority of Chanian toponyms and micro-toponyms are Georgian. However, unlike Georgian maps, Georgian toponyms are totally vanished from the

official Turkish maps. The majority of Lazeti indigenous Georgian inhabitants possess Lazian dialects apart from their state language. These dialects are: Khopian (Khopian-Chkhalian), Vitsur-Arkabian and Atinian-Artashenian.

There can be named five major groups of Lazians according to their ethno-cultural identity:

1. People who regard themselves as inseparable part of Georgian ethnicity despite their education and lack of information. These are the citizens of Georgia, inhabitants of the following villages: Sarpi, Kvariati, Gonio, Makho, Charnali. Simoneti and the inhabitants of Turkey who have appropriate information (the number of such thinkers among Lazians who are citizens of Turkey is quite few).

2. People who regard Lazian nationality as separate and different from Georgian nationality. They think that their native language is Lazian. They believe that Lazians and Georgians are kindred nations like, for instance, Russians and Ukrainians or Bulgarians and Serbians, etc.'

3. People who regard Lazian as independent from Georgian ethnicity. They think that their native language is Lazian but Lazians and Georgians are not kindred nations; Only Megrelians are kindred with Lazians. Thus, they are at equal distance from Turks as well as from Georgians (with exception of Megrelians). This is the viewpoint of radically disposed Lazians including 'Lazebura' – an organization founded in Germany.

4. The citizens of Turkey with Lazian origins who regard themselves as a part of Turkish nationality regardless the fact whether they know or not any Lazian dialects. For instance: In 2004, during his visit in Vitse community, the village of Andravati, the author of these lines witnessed how one local of Lazeti claimed that Lazians are the descendants of the Turks coming from the Middle Asia.

5. Assimilated groups of Lazians (the title is conditional): nowadays they live beyond the borders of historical Lazeti (the Republic of Turkey) – in Georgia (several villages of Tsalka region), in Greece (dispersed) and in Ukraine (the Crimea). There can be distinguished two major groups:

a) Urums i.e. Greek-orthodox Lazian who became linguistically Turkish and who place themselves at equal distance from Greeks, Turks and Georgians. However, Georgian substrate in evident in their everyday lives and material culture, Turkish speech (they live in Tsalka region and the Crimea).

b) Lazoi ('Lazos' in literature) –Greek-orthodox Lazians who became Greeks (or Turks) and regard themselves as a part of Greek ethnicity. The Georgian substrate is less evident in their culture and speech.

Recently there has been revealed more interest of Turkish Georgians in their ethnic history and culture. At the same time, real history is viewed from a distance by these people as they realize the interconnection of the history of their ancestors and the Christianity –the religion they are not aware of at present.

The issues concerning state borders are no longer essential at present. It is more important to raise the awareness of the society about their real history. The accessibility to objective researches conducted in the international scientific and informational fields will enable the societies to use their right to know more about their own linguistic-ethnic past. Besides, the accessibility to the objective researches will encourage the respect of all the societies towards each other which, in our opinion, is very important for every society, particularly for the indigenous ethnic minorities. This will create firm basis for the survival of objective self-identification and linguistic-ethnic identity.

დანართი:

ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯება

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

განა ვინმე დაეჭვდება იმაში, რომ ლაზები ქართველთა ტომისანი არიან და მათი ენა და ანბანი ქართულია!

ეს ხომ უდავო ჭეშმარიტებაა, რაზედაც უძველესი დროის უცხო ტომების მწერალთა და ქართველ სწავლულთა გარდა ევროპის უახლოესი დროის სწავლულნიც მოგვითხრობენ (ორიენტალისტი დიუბუა დე მონპერე, ლენორმანი, ლანგლოო, მასპერო და სხვ.). ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ ლაზები ქართული ტომისა არიან და მათი ენა და ანბანი ქართულია. ამასვე ამტკიცებს ბროკჰაუზი და მისი „ენციკლოპედიური ლექსიკონი“, სადაც ლაზები ქართველ ტომებად არიან აღიარებულნი.

მთელი ლაზისტანი ანუ ჭანეთი იმყოფება თურქეთის ტერიტორიაზე, მხოლოდ ბათუმიდან 18 კილომეტრის მანძილზე - ზღვის პირად მდებარე სოფელი სარფის ნახევარია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ამ სოფლის დაწყებით სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს შემოიღეს პირველ ორ კლასში ლაზურ ენაზე სწავლება. ეს ძალიან კარგი საქმეა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ლაზებს თავისი, ქართული ანბანის მაგივრად დაუბეჭდეს ლათინური ანბანით დაწერილი სახელმძღვანელო ვიწურ-არქაბულის კილოკავისა, ვინმე ისქენდერ ჭიტაშის მიერ შედგენილი, რაც ლაზურ ენაზე სწავლებას დიდად აძნელებს და ხელოვნურად აბრკოლებს.

ამ „სახელმძღვანელოში“ უამრავი ასოები, როგორიცაა წ, ჭ, ძ, ყ და სხვა, ისქენდერ ჭიტაშს თვითონვე დაუხატავს და დაუდგენია, რომ იმას დაერქვას წ, ამას - ჭ, ამას - ყ, ამას - ძ და ა.შ.

რა საჭიროა ყველაფერი ეს, როცა ლაზებს თავისი, ქართული ანბანი აქვთ?

ვსვამ კითხვას - რა საჭიროა ლაზური სიტყვების ახლანდელი, თურქული ლათინიზებული ანბანით წერა, მით უმეტეს, როცა შემდეგ კლასებში სწავლა მიმდინარეობს ქართულ ანბანით, ქართულ ენაზე? ვისთვისაა ეს საჭირო?

როცა ასე საღად, ლენინურ-სტალინურად დააყენა საკითხი სარფის სკოლის გამგემ, ის სამუშაოდან მოხსნეს.

აკადემიკოსმა ნიკო მარმა ლაზური წიგნები ქართული ანბანით დაწერა, რადგანაც ეს არის ქართველ ტომთა ანბანიო. აი, ამას ამტკიცებდა სკოლის გამგეც!

საბჭოთა კავშირის უამრავმა ერებმა თავიანთი ნაციონალური კულტურის განვითარებისთვის შემოიღეს ლათინური ანბანი. ეს მიზანშეწონილია იმ ერებისათვის, მაგალითად თურქებისთვის, თათრებისათვის, რომლებიც ძველი ანბანის შესწავლას სამ-ოთხ წელიწადს უნდებოდნენ.

მე პირადად, ძველი თურქული ანბანით წერა-კითხვის შესწავლას მთელი სამი წელიწადი მოვანდომე.

ამ ხალხებს ლათინური ანბანის შემოღება არამარტო უადვილებს წერა-კითხვის მალე შესწავლას, არამედ დიდად აადვილებს სიტყვების სწორად გამოთქმასაც.

მაგრამ ლაზებზე ეს არ ითქმის. თურქული ლათინიზებული ანბანი მათ ხელოვნურად უძნელებს ლაზური ენის შესწავლას. მათ უფრო ადვილი ანბანი აქვთ, მათი კულტურის, მათი ენის გამომხატველი, ე.ი. ქართული ანბანი.

სულთანის ოსმალეთის ბარბაროსები, რომლებმაც ლაზებისათვის ლაზური ენა უარჰყვეს და ლაზებს საკუთარი ენა, ქართული წერა-კითხვა შეაძულეს, უნერგავდნენ მათ მახინჯ შეხედულებას, რომ ისინი თურქები არიან და მათი ანბანიც არაბულია და არა ქართული. ჩვენთვის ნათელია, თუ რაში გამოიხატებოდა მათი შავრაზმული მიზანი.

ამავე მოსაზრებებით მოქმედებს ალბათ, ლაზურ სკოლებში ლათინური, ე.ი. ახლანდელი თურქული ანბანის შემოღების ავტორი, ისქენდერ ჭიტაში.

სოფ. სარფის სკოლაში პირველ ორ წელს ლაზურ ენაზე სწავლებისათვის ლათინური ანბანის შემოღების საკითხის გარკვევაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო კათედრამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, რადგან მას მოეპოვება ამ საკითხის სწორად გადაჭრის უტყუარი საბუთები.

საჭიროა, სათანადო ორგანოებმა შესაფერი ზომები მიიღონ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დამმახინჯებელთა წინააღმდეგ.

ლაზი ახმედ თანთოღლი
საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი.

(წერილი გადმობეჭდილია გაზეთ „კომუნისტის“ 1937 წლის 28 ივლისის ნომრიდან)

ინგა ღუტიძე

ქართული ენისა და იდენტობის მიმართების დისკურსი დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში

ენისა და იდენტობის ურთიერთმიმართების პრობლემა უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პრობლემათაგანია, რომელსაც უამრავი გამოკვლევა ეძღვნება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სხვადასხვა ობიექტურ მიზეზთა გამო, ქართული მეცნიერება იდენტობასა და ენასთან დაკავშირებულ საკითხებს ირიბად ეხებოდა. მიუხედავად ამისა, ქართველი მეცნიერები (არამხოლოდ ენათმეცნიერები) თავიანთ ნაშრომებში ცდილობდნენ ყველა არსებით ასპექტზე გაემახვილებინათ ყურადღება ისტორიული ვითარების გათვალისწინებით. შესაბამისად, მათ ნაშრომებში ამ საკითხზე საინტერესო და ანგარიშგასაწევი მოსაზრებებია გამოთქმული და საყურადღებო დასკვნებიცაა გამოტანილი. ბევრი რამ მათი ნაღვაწ-ნააზრევიდან ჯერ კიდევ უცნობია, რადგან არაერთი ნაშრომი თუ დოკუმენტი ჯერ კიდევ ელოდება დღის შუქს; შესასწავლია საარქივო მასალაც.

ეს საკითხი მუდმივი ყურადღებისა და ცენზურის ცენტრში იყო რუსეთის ცარისტული პოლიტიკის ეპოქასა და საბჭოთა პერიოდში. უაღრესად აქტუალურია ეს უკანასკნელი პოსტსაბჭოთა პერიოდშიც, რადგანაც პოსტსაბჭოთა პერიოდში კავკასია შიდა ეთნიკური კონფლიქტების მთავარ კერად იქცა, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი დღემდე ცდილობს თავისი ურთიერთობების ხელახლა გარკვევასა და განსაზღვრას როგორც მეზობლად მცხოვრებ ეთნოსებთან, ასევე ამავე სახელმწიფოში მცხოვრებ ტიტულოვან ეთნოსთან.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველომ რუსეთის მიერ პროვოცირებული რამდენიმე რთული ომი გადაიტანა, რაც ეჭვმიუტანელი ფაქტია. ცნობილ სამეცნიერო გამოცემებში ეს ომები ხშირად და მიზანმიმართულად ამგვარად კვალიფიცირდება: ომი საქართველოსა და აფხაზეთს შორის, ომი საქართველოსა და „სამხრეთ ოსეთს“ შორის (ვ. შნირელმან 2000:48).თუმცა აქვე უნდა აღვიშნოთ, რომ დამოკიდებულება და შეფასებები ამ ორი რეგიონისადმი განსხვავებულია. განსაკუთრებით მწვავეა იგი აფხაზეთთან დაკავშირებით. ენის როლსაც ძირითადად საქართველოს ამ ოკუპირებულ ტერიტორიასთან დაკავშირებით განიხილავენ.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ქართულ-აფხაზურ“ და „ქართულ-ოსურ“ ომებს წინ უძღოდა იდეოლოგიური ბრძოლა, რომელიც ფოკუსირებული იყო აფხაზთა და ოსთა წარსულისა და აგრეთვე ენობრივი სიტუაციის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციაზე, რაც

ქართული სახელმწიფოს დაშლის გეგმის არსებით ნაწილს წარმოადგენდა და მისგან ამჯერად ორი ძირძველი რეგიონის გამოყოფას ისახავდა მიზნად.

ენისა და იდენტობის მიმართების პრობლემას საქართველოში არცთუ მცირე რაოდენობის ნაშრომები მიეძღვნა.

ვ. შნირელმანი, რომელმაც ამ საკითხს ვრცელი გამოკვლევა უძღვნა, მკითხველს აფხაზეთის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის, ეთნიკური და ენობრივი იდენტობის საკითხებზე მსჯელობისას, ქართველ მეცნიერთა ძალიან მცირე ნაწილის ნააზრევს აცნობს იმ იმედით, რომ ის ქართველი მეცნიერთათვის მუდმივად მიუწვდომელი დარჩება და, შესაბამისად პასუხიც არასოდეს გაეცემა. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, სადაც პრობლები შიგნიდან არის დანახული, დასავლური სამყაროსათვის უცნობია თარგმანთა არარსებობის გამო. ნაციონალური იდენტობისა და ეთნოგენეზისის საკითხებზე მსჯელობისას კავკასიაში, ვ. შნირელმანი მიუთითებს, რომ თანამედროვე ეთნოგენეტური მითების შექმნა დღეს პატრიოტი ინტელექტუალების, პროფესიონალი ისტორიკოსების, არქეოლოგების, ლინგვისტების, მკვლევარებისა და უნივერსიტეტის პროფესორების საქმეა, რომელნიც თავიანთ ნაღვაწს ისეთ რეკლამას უკეთებენ, რომ ისინი ყველამ საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებად უნდა მიიჩნიოს. ისინი ეწინააღმდეგებიან თავიანთი ნაწერების შეფასებას, როგორც მითოლოგებისას, თუმცა მზად არიან იგივე ბრალად დასდონ ოპონენტებს. უფრო მეტიც, ამგვარი მითებს მკითხველები საბოლოო ჭეშმარიტებად მიიჩნევენ (ვ. შნირელმან 2000:49).

ენობრივ და ეთნიკურ საკითხებზე მსჯელობისას ქართველ მეცნიერთა შრომების მითოლოგემად მიიჩნევა ახალი ფაქტი არ გახლავთ. თუ გავითვალისწინებთ ქართული ენის ფუნქციასა და განუზომელ მნიშვნელობას, რომელიც რომელიც X საუკუნის ცნობილი მოღვაწის - გიორგი მერჩულის მიხედვით ქართული სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედია, ზოგჯერ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში ენასა და იდენტობასთან დაკავშირებული გარკვეული შეფასებები შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს ვინმეს ისევე, როგორც ლეონტი მროველის კონცეფცია ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ. შესაძლოა, ლეონტი მროველის კონცეფციაში ბევრი რამ არ იყოს რეალური, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი, მას ბევრი რამ უძველესი წყაროებიდან უნდა ჰქონდეს აღებული. დღეს ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ ცნობის უარმყოფელი სხვა წყარო არ იცის და, ბუნებრივია, არ იციან სხვებმაც. იგივე შეიძლება ითქვას ენისა და იდენტობის მიმართების შესახებაც ქართულ სინამდვილეში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ლიტერატურა იდენტობის შესახებ ხაზგასმით მიუთითებს ნაციონალური მითების მნიშვნელობაზე, რომლებიც ქვეყნის ერთიანობის საფუძველია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველ და აფხაზ ისტორიკოსთა შორის მთავარ საკამათო და სადავო საკითხებად მიიჩნევა აფხაზეთის სამეფოს დაარსებისა და მისი დამაარსებლის, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და ქართული ენის როლი იმ პროცესებში, რომელთაც უკანასკნელ ათწლეულებში ჰქონდა ადგილი.

აფხაზური სქემის მიხედვით, რომელსაც ვ. შნირელმანი იმოწმებს, ყველა ფაქტი იმის დამადასტურებელი და დამამტკიცებელია, რომ პირველი სახელმწიფო თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე დაარსებულია აფხაზების მიერ (გუნბა 1989:213-35; ლაკობა 1990:4), რითაც უზრუნველყოფენ ძლიერ იდეოლოგიურ საფუძველს აფხაზთათვის სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის საქმეში.

აფხაზ-ადიღეთა წინაპრები მთელი მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის თავდაპირველი, ავტოქტონი მოსახლეობა ყოფილა. ქართველები ამ ტერიტორიაზე საკმაოდ გვიან მოსულან და აფხაზ-ადიღეთა ჯგუფები დასავლეთ ტრანსკავკასიისკენ გადაუნაცვლებიათ (ლაკობა 1990:6; Bielaia kniga Abkhazii 1993:19-21).

აფხაზური ტომებით ყოფილა დასახლებული შავი ზღვის აკვატორია დღევანდელი სოხუმის ჩათვლით და კიდევ უფრო შორს სამხრეთითაც, სადაც მათ დაამყარეს კონტაქტი მეგრელებთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფხაზებს უკვე ეკავათ თანამედროვე ტერიტორია ახალი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში. უფრო მეტიც, აფხაზი ისტორიკოსები ცარისტული და საბჭოთა ეთნოდემოგრაფიის მონაცემებს იმის დასამტკიცებლად იყენებენ, რომ მხოლოდ ბოლო საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარმა დიდმა ცვლილებებმა განაპირობა მათი, აფხაზების, როგორც მოსახლეობის ბუნებრივი უმრავლესობის გადაქცევა ხელოვნურ უმცირესობად; რადგან აფხაზეთის სამეფოს მოსახლეობის უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ, სწორედ ამიტომაც იმ პერიოდში ქართული ენა თანდათან იქცა ლიტერატურისა და კულტურის ენად. თუმცა, მათი მტკიცებით, მოსახლეობა მულტიეთნიკური იყო შემადგენლობით. უფრო მეტიც, ქართული ენის პოპულარობა არისტოკრატიის წარმომადგენლებს შორის, რომელიც აფხაზური ელემენტით იყო წარმოდგენილი, ვერავითარი საშუალებით ვერ აიძულებდა ადგილობრივ მოსახლეობას მშობლიურ, აფხაზურ ენაზე არ ესაუბრათ (ანჩაბაძე 1976:52-4; ანჩაბაძე 1986:42-6). ამ გარემოებას, მათი აზრით, ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1930-1950-იან წლებში მეგრელები ინტენსიურად ჩაასახლეს აფხაზეთში. მათ 1990-იანი წლების ადრეულ ეტაპზე აღუდგენიათ უმრავლესობის სტატუსი (ლაკობა 1989; შამბა 1995:9-16, 12-15; Bielaia kniga Abkhazii 1993:30).

ზემოთქმულის შესახებ ამჯერად შესაძლოა არაფერი გვეთქვა, რადგან ჩვენთვის, ქართველთათვის, ახალი არ გახლავთ ისტორიის,

ეთნოდემოგრაფიისა და ენობრივი მონაცემების მუდმივი გაყალბება, მაგრამ რადგან ავტორთა მიზანი სამეცნიერო წრეებისა და ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის საქართველოში არსებული ვითარების გაცნობაა მიზანმიმართულად გაყალბებული სქემებითა და მონაცემებით, ამიტომ ჩვენ მოკლედ წარმოგიდგენთ რეალური ვითარების ამსახველ ციფრებს, რომლებიც აღწერის შედეგებს, რომელსაც რუსები ატარებდნენ საქართველოში და ასევე არაქართველთა მიერ ჩატარებულ კვლევებს ეყრდნობა:

საბჭოთა ხელისუფლების დროს მოსახლეობის პირველი - 1926 წლის აღწერით საქართველოსი 56. 847 აფხაზი იყო აღრიცხული. 1939 წელს მათი რაოდენობა 57.226 კაცით განისაზღვრებოდა, 1959 წელს - 62.878, 1970 წელს - 79.449, 1979 წელს - 85.285, 1989 წელს - 95.853 კაცით. უნდა ითქვას, რომ ეს მონაცემები მთლად რეალური არაა, რადგან საბჭოთა პერიოდში **ქართველთა** მნიშვნელოვან ნაწილს აფხაზები **აფხაზებად** წერდნენ. რაც შეეხება აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს, მათ შესახებ 1926 წლის აღწერაში მონაცემები არაა დაფიქსირებული. 1939 წელს აქ 1.029 აფხაზი იყო აღრიცხული, 1959 წელს - 1.157, 1970 წელს - 1.361, 1979 წელს - 1.508, 1989 წელს - 1.636, 2002 წელს - 1.558. აჭარაში აფხაზების განსახლების არეალი ძირითადად ქალაქი ბათუმი და ხელვაჩაურის რაიონია. ცოტა იქით, XIX საუკუნეში თუ გადავიხედავთ, უტყუარი მონაცემები გაგვაჩნია აფხაზთა რაოდენობის შესახებ 1886 წლისათვის. ამ წლის საოჯახო სიების მიხედვით 60.432 აფხაზი იყო აღრიცხული. მაგრამ, როგორც ამავე აღწერით ირკვევა, სამურზაყანოელი ქართველები აფხაზებზე იყვნენ მიწერილი (თუმცა „ნაროდნოსტის“ გრაფაში მათ **სამურზაყანოელები** აქვთ მიწერილი). სამურზაყანოელების რაოდენობა კი ამ დროს 30.640 კაცი იყო. რეალურად XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში 29.792 აფხაზი ითვლებოდა. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკით აფხაზეთში 38. 121 აფხაზი მკვიდრობდა (ეს მთელი მოსახლეობის 21,4% იყო). რაც შეეხება აჭარას, 1886წელს აქ, ბათუმის ოკრუგში სულ 915 აფხაზი იყო აღრიცხული. აფხაზთა რაოდენობის შესახებ უფრო ადრინდელი მონაცემები არ გაგვაჩნია. მეცნიერთა გამოანგარიშებით 1770-იან წლებში აფხაზეთში (დღევანდელ საზღვრებში) დაახლოებით 64 ათასი კაცი ცხოვრობდა. რამდენი იყო ამ რაოდენობიდან ქართველი და რამდენი აფხაზი, ეს განსაზღვრული არ არის. 1800 წლისათვის აფხაზების რაოდენობას 30 ათასს ანგრიშობენ. 1832 წლისათვის კი - 34,8 ათასს. XIX საუკუნის პირველი მესამედის გერმანელი ავტორის ედუარდ აიხვალდის მონაცემებით, აფხაზეთში 8 720 კომლი და 52 320 მოსახლე ცხოვრობდა. ამ რაოდენობაში არ შედის სამურზაყანოს მოსახლეობა, რომელთა რიცხოვნობაც მაშინ 10 788 სული ყოფილა (1798 კომლი). აფხაზთა დემოგრაფიულ მონაცემებზე საუბარი იმით უნდა დავამთავროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ

ეთნოსის პროცენტული რაოდენობა 15-დან 18-მდე მერყეობდა (თოფჩიშვილი 2012:30).

რაც შეეხება იმ თვალსაზრისს, რომ ქართული ენის პოპულარობა აფხაზური ელემენტით წარმოდგენილ ზედა ფენაში ვერ აიძულებდა ადგილობრივ მოსახლეობას მშობლიურ, აფხაზურ ენაზე არ ესაუბრა, აქ ცალსახად და გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში და XIX საუკუნეშიც აფხაზი ფეოდალები თავს ქართველებად მიიჩნევდნენ. XIX საუკუნეში აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულად მუშაობს. ქართული ენა რომ აფხაზებისათვის უცხო არ იყო, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1714 წელს კუნძულ მალტაზე ქართველ მწერალსა და ლექსიკოგრაფს - სულხან-საბა ორბელიანს ხვდება აფხაზი ტყვე, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა. ასე რომ, მართალია, აფხაზებს საკუთარი საოჯახო სამეტყველო ენა ჰქონდათ, მაგრამ ქართული მათთვის არა მხოლოდ ადრე საუკუნეებში, არამედ XVIII საუკუნეშიც, მეორე, კულტურის ენა იყო. ისევე თვლიდა ქართველებად აფხაზებს სულხან-საბა ორბელიანი, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი. მიუხედავად ახალი აფხაზების შექმნისა, აფხაზი ფეოდალის სახლი „ქართულია“ და ეს ასეა არა მხოლოდ ქრისტიანობის თვალსაზრისით, არამედ საერთოდ კულტურის თვალსაზრისით. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, საშუალსაუკუნეების აფხაზეთში არ არსებობდა ფეოდალური კულტურა, გარდა ქართულისა, გარდა „ვეფხისტყაოსნის“ კულტურისა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ალექსადრე შარვაშიძის სიტყვები: Я не абхазский, а грузинский князь… (თოფჩიშვილი 2012:43).

ისტორიის ქართული ვერსიით, რომელსაც იმოწმებენ, აფხაზეთის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ყალიბდება 780-იან წლებში აფხაზეთისა და ეგრისის ადრეული სამთავროების უნიფიკაციისა და ბიზანტიის ვასალობისგან გათავისუფლების შედეგად. ისტორიის ქართული ვერსია სამეფოს ეთნიკური თვალსაზრისით ყოველმხრივ ქართულად მიიჩნევს(ლორთქიფანიძე 1989; ლორთქიფანიძე 1990:43; ბერიძე 1988; პაიჭაძე 1988).

რაც შეეხება ენის როლს, როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, აფხაზეთის სამეფო ქართული სახელმწიფო იყო იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის დიდ უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ. ენა, კულტურა, დამწერლობა და სახელმწიფო პოლიტიკა ქართული იყო, ამავე მონაცემებით ეთნიკური ქართველები იყვნენ „აფხაზეთის მეფეები“ (ლორთქიფანიძე 1990:43).მისი აზრით, აფხაზეთის სამეფოს კულტურული იდენტობა ამგვარად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ქართველები წარმოადგენდნენ მოსახლეობის უმეტესობას, სახელმწიფომ შექმნა ქართული საეპისკოპოსო ქართული ლიტურგიით და, ამდენად, ქართული ენა იქცა სამეფოს სახელმწიფო (State language) ენად. და ბოლოს, აფხაზეთში ქართული ლიტერატურისა და არქიტექტურის ბევრი შედევრი შეიქმნა ამ პერიოდში.

ვ. შნირელმანის აზრით, მთელი მოსახლეობა, ქართველებისა და აფხაზების ჩათვლით, „აფხაზებად“ მხოლოდ სახელმწიფოს (ლორთქიფანიძე, 1990:57) სახელწოდებიდან გამომდინარეა (შედარებისთვის ავტორს მოჰყავს ბელორუს-ლიტვის სამეფოს მაგალითი). ამიტომაც ძალზე ძნელია განსაზღვრო მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტთა ეთნიკური იდენტობა, რომლებიც შუა საუკუნეების ავტორთა მიერ რეზიდენტებად არიან დასახელებულნი აფხაზეთის ტერიტორიაზე. მიუხედავად ამ ფაქტის აღიარებისა, თურმე მ. ლორთქიფანიძე მსჯელობისას ისე შორს მიდის, რომ ტერმინები „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ ძირითადად „საქართველოსა“ და „ქართველების“ აღმნიშვნელად მიაჩნია როგორც შუა საუკუნეების საქართველოში, ისე უცხოურ წყაროებში (ლორთქიფანიძე 1990:46-7).

ვ. შნირელმანისთვის (რომელსაც ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია **აფხაზი,** როგორც საქართველოს ერთი ეთნოგრაფიული მხარის წარმომადგენელი, ავტოქტონი და ისეთივე ქართველი, როგორც საქართველოს სხვა ეთნოგრაფიული მხარეების წარმომადგენლები და **აფსუა,** როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გვიან მოსული), ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მეფეები ქართველები იყვნენ ენობრივი და კულტურული მნიშვნელობით, ქართველ ისტორიკოსთა დაჟინებული მტკიცებაა (ვ. შნირელმანი 2000:57**).**

ნაციონალიზმის ახალი ტიპის განვითარებასა და ენობრივი პოლიტიკის შემდგომ ეფექტებზე საგანგებოდ მსჯელობენ სხვა უცხოელი მეცნიერებიც - ქართველთა დანიშვნა მნიშვნელოვან თანამდებობებზე აქ თურმე უმცირესობათა ექსპანსიის ხარჯზე ხდებოდა და 1920-იან წლებში მხოლოდ ქართული ენა იყო წარმოდგენილი განათლების მთელ სისტემაში. დისერტაციები შეიძლება დაწერილიყო და დაცულიყო ქართულ, ან რუსულ ენებზე, ათწლეულების განმავლობაში უმაღლესი განათლების დიპლომები ენიჭებოდათ მთავრობასთან კონსულტაციის გარეშე მოსკოვში. 1930-იან წლებში ბერიასა (რომელიც თვითონ მეგრელი იყო აფხაზეთიდან) და სტალინის მმართველობის პერიოდში აქ ქართული ენა იყო მთავარი და ძლიერი პოზიციის მქონე ენა, სკოლები მშობლიურ ენაზე აფხაზეთსა (რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი 1931 წელს მიანიჭეს) და ოსეთში (ავტონომიური ოლქი 1922 წლიდან) დახურეს და აიძულეს რომ გაეუქმებინათ დამწერლობა, რომელიც შექმნეს და წარმოადგინეს აფხაზურისა და ოსურისათვის 1938 წელს; იგი დაეფუძნა ქართულს და უმცირესობები, ჩვეულებრივ, წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ (ს. ჟონსი 1993:288-310).

ს. ჯონსი რომ ისტორიულ ვითარებაში გარკვეულიყო, თანამედროვე რეალობა შეესწავლა და ობიექტური კვლევებს დაყრდნობოდა, მსჯელობას სხვაგვარად წარმართავდა და მკითხველსაც არ შეიყვანდა შეცდომაში. მის გამოკვლევაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ აფხაზთა მცირე რაოდენობამ

იცოდა მშობლიური ენა. სინამდვილეში აფხაზთა უმრავლესობამ მართლაც არ იცოდა ან ძალზე სუსტად იცოდა დედაენა (ჭაავა 2009:24).

მძიმეა შეფასებები ქართველთა მისამართით გამოთქმული, როდესაც 1980-იანი წლების მიწურულს კომუნისტური რეჟიმის არსებობის უკანასკნელ დღეებსა და ნაციონალური იდენტობების პოლიტიკის შესახებ წერენ და ანტიქართული განწყობით გაღენთილ ნაშრომებს იმოწმებენ, რომელსაც საერთო არც მეცნიერებასთან აქვს და არც რეალობასთან; მაგ.; 1980-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული ქართველი ნაციონალისტები შეეცადნენ საქართველო ქრისტიანობის ფორფოსტად, ქრიასტიანულ კუნძულად წარმოეჩინათ აგრესიულ მუსულმანთა ზღვაში. პირველი ქართული არაფორმალურ პოლიტიკურ გაერთიანებათა მასმედიისა და პროპაგანდის საშუალებები აფხაზებს ცალსახად ახასიათებდნენ როგორც მუსლიმებს, რომლებიც მოსურნენი იყვნენ სხვა ანტიქართულ ძალებთან გაერთიანებისა ისლამის მწვანე დროშის ქვეშ (Bielaia kniga Abkhazii 1993:15); ხოლო ქართველთა მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია მავანთათვის, განსაკუთრებით კი მ. ლორთქიფანიძისა, რომელიც თურმე აფხაზებს წარმოაჩენს, როგორც ქრისტიანობის ბუნებრივ მტრებს დასავლეთ საქართველოში(ლორთქიფანიძე 1989; ლორთქიფანიძე 1990:50).

ეს ტენდენცია აფხაზების სხვებად მიჩნევისა განსაკუთრებით ძლიერი ყოფილა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში (1990-2) (ვ. შნირელმანი 2000:58).

სამწუხაროდ, ამგვარი თვალსაზრისებითა და შეფასებებით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სიმართლესთან, აღრმავებენ უფსკრულს ქართველებსა აფხაზებს შორის, რომელთაც ერთმანეთთან საუკუნოვანი ურთიერთობა, ნათესაური ურთიერთობები და ტრადიციები აკავშირებთ და რომელიც აუცილებლად უნდა აღდგეს.

ჯეიმს კელასი, რომელიც ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის ერთ-ერთ ცნობილ მკვლევარად მიიჩნევა, თავის მონოგრაფიაში წერს, რომ „1989 წელს ინტერეთნიკური კონფლიქტები გაჩაღდა საქართველოში აფხაზებსა და ქართველებს შორის და მოლდავეთში მოლდაველებს, უკრაინელებს და რუსებს შორის. ამ კონფლიქტების მთავარი მახასიათებელი გახლდათ ის გარემოება, რომ ერთ-ერთი ეთნოსის ნაციონალიზმის აღორძინებამ მეორე მათგანის გარდაუვალი რეაქცია გამოიწვია. ქართველმა ნაციონალისტებმა რეალური მანდატით, რომელიც მათ გორბაჩოვის პოლიტიკის წყალობით მიეცათ - გაზრდილიყო ნაციონალურ რესპუბლიკათა ძალაუფლება, ხელი შეუწყვეს საქართველოს ეთნიკური ერთიანობის იდეის განვითარებას და დააკნინეს სხვა ეთნიკური ჯგუფების წვლილი საქართველოს კულტურასა და ისტორიაში. მათ სურდათ ქართული ენა სახელმწიფო ენად ექციათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასშტაბები გაეზარდათ და მისი ფილიალი

გაეხსნათ აფხაზეთის არაქართულ რეგიონში. ყოველივე ამან მძაფრი ნაციონალისტური რეაქცია გამოიწვია აფხაზთა მხრიდან, რომელთა ენა და კულტურა განსხვავდება ქართულისგან. ამგვარად, ქართული ნაციონალიზმის მოულოდნელმა აღმავლობამ პერესტროიკის პერიოდში დაარღვია ბალანსი ქართველებსა და არაქართველებს შორის“ (Kellas 2002:138).

სამაგიეროდ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი რეგიონის გარუსების გეგმის შესახებ, რომელსაც რუსეთის იმპერია გეგმავდა: 1) ზღვის მხრიდან თურქეთის აგრესიის თავიდან აცილების მიზნით აფხაზეთიდან ქართველებისა და აფხაზების აყრის შესახებ და მათ ნასახლარზე რუსების, უკრაინელების, სომხების, ბერძნების, ბულგარელების, ესტონელების, გერმანელების დასახლების შესახებ; ზღვის სანაპიროზე კაზაკთა სამხედრო დასახლებების შექმნის შესახებ; 2) აფხაზეთში შეზღუდული რაოდენობით დატოვებული ქართველი და აფხაზი მოსახლეობისათვის იმგვარი იდეოლოგიურ-პოლიტიკური, სოციალური და ენობრივი პირობების შექმნა, რომელსაც სწრაფი ტემპით უნდა მოჰყოლოდა მათი ეროვნული თვითშეგნების შეცვლა და საბოლოო გარუსება. ამ მიზნით განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა ქართული ენის განდევნას ეკლესიიდან, განათლებისა და ინტერეთნიკური ურთიერთობის სფეროებიდან, აგრეთვე ქართველთა და აფხაზთა შორის მტრობა-დაუნდობლობის დანერგვას და სხვანი (გვანცელაძე 2000:118).

ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც ფრიად საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული ქართული ნაციონალიზმის მნიშვნელოვანი კომპონენტის - ენის შესახებ ეკუთვნის ვივიენ ლოს, რომელიც კემბრიჯის უნივერსიტეტის ლექტორი, სიდნეის სასექსის კოლეჯის მკვლევარი და პოსტ-საბჭოთა ქვეყნების კვლევების პროგრამის წევრი გახლდათ. მან მიზნად დაისახა ენობრივ მითებთან დაკავშირებული არსებითი კონცეპტები გადმოეცა, გამოეკვლია მათი ისტორიული წანამძღვრები და მათი გამოყენება ქართველთა იდენტობის კონსტრუირებისა და განსაზღვრისას: ,,ჩვენ შუქი უნდა მოვფინოთ ქართული ნაციონალიზმის მნიშვნელოვან კომპონენტს და პირველი ნაბიჯები უნდა გადავდგათ ენობრივი მითების ინტეგრაციის, თანამედროვე კვლევებში ნაციათა ჩამოყალიბების საკითხებში (მე მინდა მადლობა ვუთხრა ბევრ ჩემს კოლეგასა და ქართველს, რომელთაც წვლილი შეიტანეს თავიანთი კომენტარებით ამ თავის წერისას. მე არ მინდა მათ პერსონალურად ვუთხრა მადლობა და სახელით მოვიხსენიო, რადგან ბევრი მათგანი არ გაიზიარებს, არ დაეთანხმება ამ თავში გამოთქმულ მოსაზრებებს. მათ და სხვა ქართველებსაც ვთხოვ გაითვალისწინონ, რომ ეს თავი დაიწერა დასავლელი მკითხველისათვის, რომლის ინტერესები და მტკიცებულებები ძალიან განსხვავდება მათი, ქართველი კოლეგების ინტერესებისა და მტკიცებულებებისგან“ (Law, 2000:270).

ჩვენ კი ზემოთქმულს ქართველ მეცნიერთა ნაღვაწის გათვალისწინებით ამგვარ კომენტარს დავურთავდით: **ქართველ მეცნიერთათვისაც კვლევისა და შეფასების იგივე ჩარჩო არსებობს, რაც დასავლელი მეცნიერებისთვის.**

მიუხედავად ავტორის სურვილისა, სრული სურათი წარმოაჩინოს იმ კუთხით, თუ რა როლს თამაშობს ენა ნაციონალური დისკურსისა და ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში პოსტ-საბჭოთა პერიოდში, ავტორი აღნიშნავს, რომ ,,საქართველო შეიძლება დახასიათდეს როგორც ღრმად ენობრივი საზოგადოება. რაც შეეხება თანამედროვე ენობრივ სიტუაციას, საქართველო შორს არის ენობრივი ჰომოგენურობისგან: ამ ტერიტორიაზე ბევრ ენაზე ლაპარაკობენ. საკუთრივ ქართული, ტიტულარული და მოსახლეობის ნახევარზე მეტისთვის პირველი ენა, იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ქართველურ (სამხრეთ კავკასიურ) შტოს მიეკუთვნება, მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულად ის იმ ენებს შორისაა მოთავსებული, რომლებიც ინდო-ევროპულ და თურქულ ენათა ოჯახებს მიეკუთვნება. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის უფრო შორეული კავშირები ბუნდოვანია, მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებულია ნათესაობის იდეა ბასკებთან და შუმერებთან უფრო ტიპოლოგიურ, ვიდრე გენეტიკურ საფუძველზე. ეს კვლევები კვლავ გრძელდება. რამდენი ადამიანი ლაპარაკობს ქართულად არც ისე ადვილი დასადგენია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. სხვა ქართველურ ენებზე მოლაპარაკეებმაც თავი ზოგჯერ შესაძლოა ქართულ ენაზე მოლაპარაკედ დააფიქსირონ. 1989 წლის აღწერით 3.78 მილიონი „ქართველია“ (მოსახლეობის 70 პროცენტი) დაფიქსირებული, დადგენილია, რომ „დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი“ ახლო მონათესავე მეგრულ ენაზე ლაპარაკობს“ (Country Data – Georgia; Ethnologue Database 1996:271).

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად ქართულ ენას ჩაენაცვლა რუსული, როგორც ადმინისტრაციისა და ეკლესიის ოფიციალური ენა. რუსიფიკატორული პოლიტიკა ხორციელდებოდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართულის ექსპანსიის ხარჯზე და აგრეთვე იმ ცდებით, რომ წაეხალისებინათ უმცირესობათა ენები ანბანების შექმნითა და ელემენტარული სახელმძღვანელოების შექმნით მეგრულ, აფხაზურ და სვანურ ენებზე (კიკვიძე 1959:139; Hewitt 1989:123-44). ბუნებრივია, ეს პროცესი ქართულის რუსული ენით ჩანაცვლებით უნდა დასრულებულიყო, რუსულის, როგორც მაღალი კულტურის ენისა. ქართველებმა ეს, რაც გასაკვირი არ არის, ქართული ენის სტატუსის დასუსტებად და ქვეყნის გახლეჩის დასაწყისად მიიჩნიეს (ჟიქია 1990). საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში (1918-21), საბჭოთა კავშირთან მიერთებამდე, გაქართველების პოლიტიკა მიმდინარეობდა საუკუნოვანი რუსიფიკაციის ცდების საპირისპიროდ: მხოლოდ ქართული იყო რესპუბლიკის ოფიციალური

ენა, დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1918), როგორც უმაღლესი განათლების მთავარი ქართული კერა.

1921 წლის შემდგომი წლები რუსულის აღდგენისა იყო დიდი სურვილი ქართველი კომუნისტებისა, აგრეთვე ინტელიგენციისა. სერგო ორჯონიკიძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ქართველებს შეაგონებდა, რომ რუსული იყო „არა ძალადობისა და წნეხის ენა“, არამედ ეს ეს იყო „ენა ოქტომბრის რევოლუციისა“.

კურსები იქნა შემოღებული რუსულისა და სომხურისა და რუსულისა და აზერბაიჯანულისთვის. ამ ზომებმა, საშუალებებმა აამაღლეს სტატუსი უმცირესობათა ენებისა და რუსულისა და დაამდაბლეს სტატუსი ქართული ენისა იმ ავტონომიურ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც უმცირესობები მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. ცდები რუსულის სწავლების განვითარებისა მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა საბჭოთა კავშირში. ეთნიკურმა კონფლიქტმა და უკმაყოფილებებმა ლინგვისტური დისკრიმინაციის გამო იმძლავრა 1970-იან წლებში (Solanchyk 1982:23-42; Parsons 1982:pp. 547-69, at pp. 556-7). 1978 წელს, როცა ცენტრალური მთავრობა მოსკოვში შეეცადა კონსტიტუციიდან ქართული ენის - როგორც სახელმწიფო ენის ამოღებას, თბილისში მძლავრი დემონსტრაცია გაიმართა ამის საწინააღმდეგოდ.

მუდმივმა დაძაბულობამ ცენტრის ცდების საპირისპიროდ გააძლიერა ქართველთა გრძნობები რუსებისა და სხვა უმცირესობების მიმართ იმგვარად, რომ 1988 წლის დეკემბერში დაიბეჭდა **ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა**, რომელიც გადამუშავებული ფორმით ოფიციალურად იქნა მიღებული 1989 წლის აგვისტოში. პროგრამა შეიცავდა ბევრ საშუალებას, სპეციალურად მოფიქრებულს ქართული ენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: ქართულის სწავლებას არაქართულენოვანი რეზიდენტებისთვის საქართველოში, სავალდებულო გამოცდას ქართულ ენაში ხელოვნების, თეატრის, მუსიკისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ქართული ენის სტილისტიკისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსების შექმნას ფილოლოგიის ფაკულტეტის არაქართულენოვანი სექტორების სტუდენტებისათვის, ქართული ენის დღის დაწესებას (Pigolkin and Studenikina 1991:38-76). შესაძლოა ამ დებულებებმა გარკვეული როლი ითამაშა პოლარიზებასა და ორმხრივ დაძაბულობაში (Hewitt 1995: 14), რომელიც კიდევ უფრო დაიძაბა ზვიად გამსახურდიას მთავრობის უკიდურესად ნაციონალისტური პოლიტიკის გამო, რომელიც ეთნიკური კონფლიქტით აისახა სამხრეთ ოსეთში, ხოლო შევარდნაძის მმართველობის დროს ენობრივი პოლიტიკის სფეროში დაძაბულობით (Aves 1987-1990 (London: School of Slavonic and East European Studies, 1991; Jones 1992:73-96).

ენობრივი ურთიერთობები საქართველოში 1801 წლიდან მოყოლებული არასოდეს ყოფილა სწორხაზოვანი. ქართველთა და ეთნიკურ უმცირესობათა დამოკიდებულებები ერთურთის ენებთან ამბივალენტური და წინააღმდეგობრივია. პოსტსაბჭოთა პერიოდში ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის სწრაფად იცვლება. მთავარი კომპონენტი არის შიში იმისა, რომ ქართული ენა და მასთან ერთად ქართული იდენტობა კვლავ რუსული საფრთხის ქვეშაა. ანდრეი სახაროვმა საქართველოს პატარა იმპერია უწოდა. მისი აზრით, როგორც ოდესღაც რუსეთის მიერ იყო იგნორირებული ქართველთა უფლებები და მისწრაფებები, ასეთივე დამოკიდებულება აქვთ ქართველებს დღეს უმცირესობებთან თავიანთ სახელმწიფოში. ქართველთა შიში რუსების პირისპირ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც უმცირესობათა მიმართ მათ მიმდინარე ურთიერთობებზე აისახება. ქართველთა დამოკიდებულება და უმცირესობათა მიმართ გატარებული პოლიტიკა ხშირად პასუხია რუსების გამოწვევებზე. ენობრივ ურთიერთობათა უახლესი ისტორია ერთი მანიფესტაცია, ძალიან თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართული ნაციონალიზმისა, რომელიც თვითგანსაზღვრის პროცესში ჩართულია ირიბად პირდაპირ და ხშირად უმცირესობათა ნაციონალიზმის ექსპანსიით რუსეთისაკენ ავად მიმართული მზერით (Law 2000:172-173).

თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ენისა და იდენტობის მიმართების დისკურსი საქართველოს მაგალითზე კვლავ ბევრჯერ გახდება უცხოელ მეცნიერთა კვლევისა და მსჯელობის საგანი, ვიმედოვნებთ, რომ შემდგომში ამას საფუძვლად დაედება ობიექტური ვითარებისა და სანდო წყაროების გათვალისწინება და აგრეთვე მეცნიერული მიუკერძოებლობა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ზ. ანჩაბაძე 1976 – Anchabadze Z.V. *Ocherk etnicheskoi istorii abkhazskogo naroda*, Sukhumi: Alashara, 1976 ;

ზ. ანჩაბაძე . . . 1986 – Anchabadze Z. V., Dzidzaria G. A., Kuprava A. E.

Aves 1991 – Aves J. *Paths to National Independence in Georgia*, 1987-1990, London: School of Slavonic and East European Studies, 1991;

შ. ბერიძე 1988 – Badridze Sh. A. 'Nekotorye voprosy politicheskogo i sotsialno- ekonomicheskogo stroia abkhazskogo tsartsva' in G.D. Togoshvili (ed.), *Voprosyistorii narodov Kavkaza*,Tbilisi : Metsniereba, 1988.;

Author's field notes, Abkhazia, autumn, 1989;

Bielaia kniga Abkhazii 1993 - *Bielaia kniga Abkhazii* : *dokumenty, materially, svidetelstva, 1992-1993,* Moscow : Komissia po pravam chelovekam I

mezhnatsionalnym otnosheniiam Verkhovnogo Sovieta Respubliki Abkhaziia, 1993;
თ. გვანცელაძე 2000 - გვანცელაძე თ. ენათა ფუნქციონირება პოლიეთნიკური რეგიონში მართვადი ენობრივი პოლიტიკის პირობებში, ქართველურიმემკვიდრეობა, ტ. IV, ქუთაისი, 2000;
Country Data – Georgia, section 'Ethnic Issues', accessed from the homepage of the Georgian parliament, version of 29 January 1996 (http://www.parliament.ge);
მ. გუნბა 1989 – Gunbba M. M. *Abkhaziia v pervom tysiacheletii nashey ery*, Sukhumi : Alshara, 1989;
Hewitt 1989 – Hewitt B. G. Aspects of Language Planning in Georgia (Georgian and Abkhaz)', in M. Kirkwood (ed.), *Language Planning in the Soviet Union*, London : Macmillan, 1989;
Istoriia Abkhazii, Sukhumi : Alashara, 1986;
ა.ჯიქია 1990 – Jikia A. *Sheteva k'artul enaze* [Attack on the Georgian language],
Sakhalkho ganat'leba, Tbilisi, 1990;
ს. ჯონსი 1992 – Jones S. 'Georgia: The Long Battle for Independence', in Miron Rezun
(ed.), Nationalism and the Breakup of an Empire: Russia and Its Periphery, Westport, CT, and London: Praeger, 1992;
ს. ჯონსი 1993 – Jones S. F. 'Georgia: A Failed Democratic Transition', in Ian Bremmer
and Ray Taras (eds.), Nations and Politics in the Soviet Successor States, Cambridge :
Cambridge University Press, 1993;
Kellas 2002 – Kellas J. G. The Politics of Nationalism and Ethnicity,United Kingdom :PALGRAVE MACMILLAN, 2002;
ა.კიკვიძე 1959 – Kikvidze A. *Sak'artvelos istoria XIX- XX ss*., II, Tbilisi : Stalinis sakhelobis tbilisis sakhrlmtsipo universitetis gamomtsemloba, 1959;
ს. ლაკობა 1990 – Lakoba S. *Ocherki politicheskoi istorii Abkhazii* Sukhumi : Alashara,
1990;
ს. ლაკობა... 1989 – Lakoba S. and Shamba S. *«Kto zhe takiie abkhazy?",Sovietskaia*
Abkhaziia, 8 July, 1989;
Law 2000 – *Law V. Language myths and nation-building in Georgia in Nation-building in* the Post-Soviet Borderlands, Cambridge : Cambridge University Press, 2000;
მ. ლორთქიფანიძე 1989 – Lordkipanidze M. D. 'Nekompetentnost' – v rang istiny?',

Zaria Vostoka, 21 July, 1989;
მ. ლორთქიფანიძე 1990 – Lordkipanidze M. D. *Abkhazy i Abkhaziia*, Tbilisi : Ganatleba,
1990;
გ. პაიჭაძე 1988 – Paichadze G. G. 'Nazvaniie «Gruziia" v russkikh pismennykh istochnikakh', in G.D. Togoshvili (ed.), *Voprosy istorii narodov Kavkaza*, Tbilisi : Metsniereba, 1988.;
Parsons 1982 – Parsons J. W. R. 'National Integration in Soviet Georgia', *Soviet Studies*, vol. 34, 1982;
Pigolkin, Studenikina 1991 – Pigolkin A. S., Studenikina M. S. 'Republican Language Laws in the USSR: A Comparative Analysis', *Journal of Soviet Nationalities*, vol. 2, 1991;
Shamba, Lakoba 1995 – Shamba S. and LAkoba S. «Narodnyi forum Abkhazii I iego tseli", in M. Iu. Chumalov (ed.), *Abkhazskii uzel : dokumenty I materially po etnicheskomu konfliktu v Abkhazii,* Moscow : Rossiiskaia akademiia nauk, Institut etnologii I antropologii, 1995;
ვ. შნირელმანი 2000 – Shnirelman V. *National identity and myths of ethnogenesis in*
Transcaucasia in Nation-building in the Post-Soviet Borderlands, Cambridge : Cambridge University Press, 2000;
Solanchyk 1982 – Solanchyk R. *Russian Language and Soviet Politics*, *Soviet Studies*, vol. 34, 1982;
რ. თოფჩიშვილი 2012 - თოფჩიშვილი რ. კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012;
ს. ჭაავა 2009 - ჭაავა ს. იძულებით გადაადგილებულ პირთა ეთნიკური და
ენობრივი იდენტობის საკითხები, სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულისოციოლინგვისტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.,
2009.

Inga Goutidze

DISCOUR SUR LE RQPPORT ENTRE LQ LQNGUE ET L'IDENTITÉ GÉORGIENNES DANS LA LITTÉRQTURE SCIENTIFIQUE OCCIDENTQLE

La problématique de l'identité est devenue une question capitale ces derniers siècles. La langue a toujours été considérée comme une des composantes essentielles de l'identité. Dans les conditions actuelles pluridisciplinaires et linguistiques qui tendent à se politiser, les questions portant sur le rapport entre la langue et l'identité, suscitent un grand intérêt.

La présente communication porte sur le discours traitant du rapport entre la langue et l'identité dans la littérature occidentale consacrée à l'espace postsoviétique.

De nombreux scientifiques géorgiens ont traité cette question sous des angles différents dans des ouvrages fondamentaux, revêtant une importance inestimable pour la nation st l'histoire de la langue. Cependant, ces derniers temps, les recherches portant sur le rapport entre la langue et l'identité deviennent rares. Encore plus rares sont les traductions en langues étrangères d'ouvrages de scientifiques géorgiens mettant en valeur la langue comme le marqueur le plus important de l'identité géorgienne. Ces traductions permettraient pourtant à des scientifiques étrangers de prendre connaissance de ces ouvrages.

Dans les ouvrages des scientifiques étrangers, les événements en cours en Géorgie, y compris les questions portant sur le rapport entre la langue et l'identité, sont interprétés de différentes façons. L'interprétation basée sur l'analyse des faits est touts à fait naturelle pour la science. Selon certains scientifiques étrangers, l'importance de la langue pour la définition de l'identité est exagérée. Souvent, dans leurs ouvrages scientifiques, il est indiqué écrit pour le lecteur occidental. Cependant, une analyse scientifique qui se base sur des sources fiables et un jugement argumenté devraient être accessibles à tous.

ბელა შავხელიშვილი, კარინა ვამლინგი

ენა და მუსიკა

წოვა-თუშური (ბაცბური) ფოლკლორული მასალის მიხედვით

თავად თემა „ენა და მუსიკა“ შედარებით ახალი თემაა შესწავლის თვალსაზრისით, წოვა-თუშურში კი არასდროს გამხდარა ლინგვისტური სამეცნიერო სერიოზული დაკვირვების საგანი, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური ფოლკლორი უკვე დიდი ხანია შესწავლილია ქართველი მუსიკისმცოდნეების, ფოლკლორისტებისა და ისტორიკოსების მიერ (აკად. ივ. ჯავახიშვილი, ა. შავხელიშვილი, ნ. მაისურაძე, ნ. ზუმბაძე, ქ. მათიაშვილი, ო. კიკნაძე და სხვ.).

მოგეხსენებათ, წოვა-თუშები ცხოვრობენ საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში - კახეთის სოფ. ზემო-ალვანში, რომელიც მდებარეობს თუშეთის მთიანეთის მისადგომებთან. ამჟამად თუშები წარმოდგენილნი არიან ორ საზოგადოებად - წოვა (რომლებიც არიან ორენოვანნი - თანაბრად ფლობენ წოვა-თუშურსა და ქართულს) და ჩაღმა (რომელთა კერიის ენა ქართული ენის ჩაღმა-თუშური კილოკავია). ცნობილია, რომ წოური დიდი ხანია უკვე გადაშენების გზაზე დგას (მას 1000 მოსახლის მხოლოდ 20-30% თუ ფლობს, ისიც უმეტესად უფროსი თაობა) და, შესაბამისად, მისი კულტურაც ნაწილობრივ იმავე საფრთხეს განიცდის.

რატომ ნაწილობრივ?.. ნაწილობრივ - იმიტომ, რომ წოვა-თუშები თვითშეგნებით ქართველები არიან, ენა კი რაზეც ისინი ოჯახში საუბრობენ - წარმოადგენს ძველი ქართულის, თანამედროვე ქართულისა და ვაინახური ენების ერთგვარ სიმბიოზს და თუ ენა დაიკარგა, მაშინ წარსულს ჩაბარდება წოურად ნამღერი სიმღერები და ვეღარავინ გამოთქვამს ამ ენაზე ლექსებს თუმცა ამ ხალხის კულტურის დანარჩენი შემადგენელი ფასეულობა ხელშეუხებელი დარჩება, რამდენადაც იგი საერთო დიდი ქართული კულტურის ნაწილია და თუ მას რამე ცვლილებები შეეხება - ეს ცვლილებები იქნება შესაბამისი ზოგადად ქართული კულტურისა.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მუსიკალური და სასიმღერო ფოლკლორი შეიქმნა და ჩამოყალიბდა თუშების, ფშავლების, ხევსურების, მთიულ-გუდამაყრელებისა და მოხევეების საერთო მუსიკალური ტრადიციების საფუძველზე. იგი, როგორც ერთიანი, ფასდაუდებელი განძი შემოგვინახეს ჩვენმა წინაპრებმა, თუმცა მათ შორის შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომელიც ავსებს ერთმანეთის შემოქმედებას: ფშავლები და ხევსურები აქცენტირებას უფრო ლექსის თქმაზე აკეთებენ და მათი შესრულება ურთიერთშეჯიბრის ხასიათს ატარებს - მათთვის დამახასიათებელი კაფიაა, და, რაღა დასამალია, იმდენი

მელოდია და სიმღერა, რამდენიც თუშებს გააჩნიათ - მათ არა აქვთ; მთიულ-გუდამაყრელებისა და მოხევეების დაკრულიც განსხვავებული და გამორჩეულია მათთვის დამახასიათებელი მელოდიურობითა და კოლორიტით - ეს ყველაფერი ასახულია სამეცნიერო წყაროებშიც და ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის. აღსანიშნავია, რომ მთიელთა ფოლკლორული ნაწარმოებები არასდროს ერთმანეთს კონკურენციას არ უწევდნენ - ყველამ იცოდა, რა იყო მისი-, და თავისას ავითარებდა; ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ადრე ადამიანთა მსოფლმხედველობაში პრიორიტეტებიც სხვა იყო - ყველაზე მეტად ფასობდა სამშობლოს ერთგულება და სიყვარული, რაც მათში თავისდაუნებურად ამყარებდა სხვა თვისებებს: ურთიერთპატივისცემას, მოყვასის თანადგომის გრძნობას, ერთგულებას, გამტანობას და სხვ. სიმღერებს მღეროდნენ ყველგან, მიუხედავად იმისა, სად იყო იგი შექმნილი და ახალი მუსიკალური ქმნილებაც მთელი დიდი სოფლის მოსასმენ ობიექტად იქცეოდა ხოლმე. აბა დააკვირდით, დღესაც არავინ დავობს იმაზე, თუ სად შეიქმნა ლექსების ციკლი „ბახტრიონის ბრძოლის“ გმირების შესახებ, თუმცა მათი უმრავლესობა თუშთა გმირებს ეძღვნება. ალბათ ამიტომ თუშებში დღემდეა შემონახული ფშაური დატირებები, ხევსურული კაფიები“ და ფშავ-ხევსურეთში კი - თუშური „სამგზავრო“, თუშური „წიფლოვანა“ და მრავალი სხვა.

თუშების (წოვა, ჩაღმა) ინსტრუმენტული დაკვრები პატრიოტულ-ლირიკულ ჟანრს მიეკუთვნება, სადაც წარმოდგენილია მელოდიები და სიმღერები (ჩანაფიქრები) - ჩანახატები სამშობლოს სიყვარულზე, ცხოვრების სიდუხჭირეზე (სტიქიურ მოვლენებზე, ცხოვრებისეულ სირთულეებზე, რაც ახლავს მთაში მაცხოვრებელ ადამიანებს და მათ საქმიანობას (მეცხვარეობას), ურთიერთ სიყვარულსა და ერთგულებაზე, ღალატზე და ვერაგობაზე, ძმობა-დაძმობილებაზე, ძმაკაცობაზე და სხვ.). ეს ჟანრი აერთიანებს ფოლკლორული ნაწარმოებების სხვა და სხვა ფორმას:

1. **<u>პატარა ბალადებს და პატრიოტულ ნამღერებს</u>**, რომელთაც ლაიტმოტივად გასდევს თუში (წოვა, ჩაღმა) გმირების თავდადება სამშობლო საქართველოს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლებში; ჩვენამდე მოაღწია მრავალმა ლექსმა და ბალადამ, რომლებიც „ბახტრიონის ბრძოლას“ - 1660 წ.(1.-30) ასახავს, აი, ერთი ამონარიდი:

გარეთ გამოდი თათარო,
თუშნი გისხედან კარზედა;
თუ ნებით შენ არ გამოხვალ -
გამოგიყვანენ ძალზედა!

მეტი ვარ საღირიშვილი -
ნუ მიმზერ ტალავარზედა -
ფეხს დავკრავ - გადმოვფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა!!!

აღნიშნული ბალადა მოცულობით საკმაოდ დიდია; მასში აღწერილია „ბახტრიონის ბრძოლის“ მოვლენები და ამ ბრძოლის გმირები; წოვა-თუშების - მეტი საღირიშვილსა და შველა შველაიძის

გვერდით ნახსენები არიან ამ ბრძოლის მონაწილე ჩაღმები - შეთე გულუხაიძე და ზეზვა გაფრინდაული და ბრძოლის ველზე დაღუპული სხვა მრავალი ჭაბუკი მთიულ-გუდამაყრიდან და ფშავ-ხევსურეთიდან. მათ სიცოცხლე უცხო ქვეყნის დამპყრობლებისგან სამშობლოს განთავისუფლებას შესწირეს... XVII საუკუნის ამ ბრძოლამ დასაბამი მისცა საქართველოს სრულ განთავისუფლებას ოსმალოთა ინტერვენციისაგან.

როგორც წესი, ყველა პატრიოტული სიმღერა თუ ბალადა სრულდებოდა ქართულად, რამდენადაც სამშობლოს შეგრძნება თუშებში (როგორც წოვებში, ისე ჩაღმებში) ასოცირდება მხოლოდ სახელმწიფო ენასთან. არც ჩაღმები არ მღეროდნენ პატრიოტული შინაარსის სიმღერებს ჩაღმურ კილოზე და არც წოვები ასრულებდნენ მათ თავის კერიის ენაზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ხალხის სახელმწიფოებრივი აზროვნება აღიბეჭდებოდა ისეთ სფეროშიც კი, როგორიცაა სიმღერა.

აღსანიშნავია, რომ პატარა ბალადებში არ იშიფრება რომელიმე სიუჟეტი, მაგრამ აუცილებლად აისახება თემატიკა, ამდენად, რამდენი სტროფიც არ უნდა თქმულიყო, ყველგან მკაფიოდ იკითხებოდა სამშობლოს სიყვარულის თემა, რომლის სადარაჯოზეც სიცოცხლის შეწირვა სანუკვარ ოცნებად იყო ქცეული. მათი მოსმენისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყოველი შემდეგი სტროფი ავსებს წინარეს.

აი კიდევ ერთი პატრიოტული სიმღერის მაგალითი, რომელსაც ლეგენდარული შემსრულებელი, ზემო-ალვანელი მოსე შავხელიშვილი ასრულებდა (ეს ჩანაწერი გაკეთებულია საქართველოს რადიოს მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში - ჩვენ მხოლოდ პირველ სტროფს წარმოგიდგენთ):

სახელოვანო ალგეთს ქალაქო
შემოგამწკრივეთ ტალავრის გუნდი!
ჩვენო სამშობლო, წმინდა ალაგო,
ვიბრძოდით შენთვის, კვლავ დაგიბრუნდით!

ამ ერთ სტროფში რამდენიმე მნიშვნელოვანი მარკერ ვლინდება: სამშობლო - სახელოვანია, სამშობლო - ფესვებია (ალგეთს ალაგო), სამშობლო - ტალავართა ერთობაა (საზღვრების ურყევი ჯაჭვი), სამშობლო - წმინდა ადგილია, და ბოლოს, სამშობლოს სადარაჯოზე მდგომი მებრძოლები ღირსეულად დაუბრუნდნენ დედა-სამშობლოს და, კვლავ, მზად არიან განაგრძონ სამსახური მის საკეთილდღეოდ.

მოკლე ბალადები, როგორც წესი, მხოლოდ პატრიოტული შინაარსისაა. დღეს მათ ასრულებენ ქრისტიანულ დღესასწაულებზე და რომელიმე მნიშვნელოვანი თარიღისადმი მიძღვნილ დღეობებზე მაგ. ბახტრიონის ბრძოლა, სოფელი ალვანის დაარსება, წმინდა დღეების აღნიშვნისას („ათენგენობა“, „დადალობა“, „წმინდა აღდგომა“ და სხვ.).

2. **<u>სასიყვარულო-ლირიკული სრტოფები</u>** ხშირად არ ექვემდებარებიან სიუჟეტურ დატვირთვას. თავად ლექსის სტროფი შეიძლება იყოს შინაარსობრივად ისეთი დასრულებული და ხშირად ისეთი ლაკონიური, რომ პირველი ორი ხაზის განმეორება სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მისი თემატური ხაზი შენარჩუნდეს, მაგ.:

ლე მა ვაღორა თხოგოღდა, ლე მა დაშდორა სენ დოკა,
„ან არ გამოგევლო ჩვენსკენა, ან არ დაგედნო ჩემი გული“
ლე მა ვაღორა თხოგოღდა, ლე მა დაშდორა სენ დოკა,
„ან არ გამოგევლო ჩვენსკეა, ან არ დაგედნო ჩემი გული“

და შემდეგ - სიმღერის თემატიკის სრული გადმოცემა ხდება მხოლოდ ორი ფრაზით: ვე‘ნაჰ‘ე - ჰ‘ალ‘ჯეთთ, შარნა ღობ „თუ მოხვედი - ადექი, წადი“ (მე-2 სტროფი) და დალე მარშოლ ჰ‘ო(ნ), ლამზურა! „კარგი გზა გქონოდეს, ლამაზო!“ (მე-3 სტროფი). ამ სიმღერაში სულ სამი სტროფია და პირველი მოსმენის შთაბეჭდილება ისეთია, რომ მას საერთოდ არ აქვს შინაარსი - იგი არაფერზეა, მაგრამ მისი დასრულებისთანავე გრძნობთ, რომ მასში გამოყენებული ყველა სიტყვა მძაფრად გამოავლენს ყველა გრძნობას და სიმღერისთვის საჭირო შინაარსს ქმნის. ეს თუშური სიმღერის ტიპური მაგალითია, სადაც ლექსიკური გამეორებები და მუსიკალური გარბენები, რომლებიც, როგორც წესი, ახლავს ყოველ სტროფს, ქმნიან იმ ხიბლს, რომელიც შეიძლება მხოლოდ არშემდგარ (ან შემდგარ) სიყვარულის გრძნობას ახლდეს. სტროფთა შუალედური მუსიკალური გარბენა შემსრულებელს აძლევს საშუალებას თავი მოუყაროს აზრებს და, ამავდროულად, შეისვენოს ვოკალური დაძაბულობის დროს .

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ტექსტები არ არის მიჯაჭული რომელიმე მელოდიაზე - ნებისმიერი ლექსის წამღერება შეიძლება ნებისმიერი სასურველი მელოდიის გამოყენებით, მთავარია ლექსი მოერგოს მუსიკალურ რითმასა და ტემბრს.

არაა გამორიცხული, რომ ლირიკულ სიმღერებს გაჰყვეს სიუჟეტი, რომელიც თემატურად გაერთიანებულ სტროფებს შეადგენს. სიუჟეტები შეიძლება მრავალნაირი იყოს, მაგალითად, ერთ-ერთ სიმღერაში შემდეგი შინაარსია ჩადებული: ერთი, უკვე ასაკში შესული მამაკაცი, მრავალი წლის შემდეგ, სრულიად შემთხვევით შეხვდება ყოფილ სატრფოს, რომელსაც ახლავს დედამთილი და შვილები; მისალმების დროს იგი ხედავს სატრფოს მოწყლიანებულ თვალებს, რასაც მოყვება კითხვები... პასუხები... და ბოლოს - აღწერილია მისი სინანული, რომელიც მას მთელი ცხოვრება მოჰყვება მუდმივ ტკივილად...

მხოლოდ ერთ სტროფს წარმოგიდგენთ ნიმუშად:

წ.-თ.

ჰ‘ო Ქაგარ დენი‘ჯენა‘ და -
გოუგახ ჩუვეხეს, ჰ‘ო Ქეგჩე;
დაკ-ბᲭარკინ ყანოლ დაჰ‘Ქიცლა
წიგ ჰ‘ალწიგარლა - ჰ‘ო Ქეგჩე...

”შენი დანახვა სულ სხვაა -
მუხლებში ვიკეცები, როცა გხედავ...
გულს და თვალებს სიბერე ავიწყდება,
სისხლიც წითლდება - შენ რომ გხედავ”.

3. **<u>სითბოთი და ნოსტალგიით აღსავსე ბევრი სიმღერა</u>** ეძღვნება თუშეთის მთებს, მის სიდიადესა და ლამაზ ბუნებას, და ყველგან, როგორც წესი, გამოთქმულია სინანული იმის გამო, რომ იშვიათი გახდა თუშთა შეხვედრები წოვათის წინაპართა ნასახლარებზე; ყველა სიმღერას გასდევს სურვილი იმისა, რომ ეს შეხვედრები მომავალში იყოს უფრო ხშირი, რათა კიდევ ერთხელ ეზიარონ თუშეთის სილამაზეს და სიდიადეს და შეიგრძნონ ლეგენდარულ წინაპართა ცხოვრების ჟინი და ვაჟკაცური ბუნება. წარმოგიდგენთ ერთ სტროფს ზემო-ალვანის მკვიდრის დავით არინდაულის ლექსიდან „ყანშება“ („სიბერეში“):

მადელ მო‘ ბარალ ყანშება
თუშითა ლამნახ ვახანა
დონ ნაყა კატ-კეტკოშ ლეთთბოშ
„ბრუდგორი“ ჰ‘ალგუვალ‘ანა
-ჰ‘ო უ‘შნეგ ლამზურ ლამ ბანუიც
-ჩუბუიხბალოჰ‘ენ, - ალ‘ნა...

„რა მადლი იქნებოდა სიბერეში
თუშეთის მთებში ასვლა;
ცხენის გზადაგზა შეჩერებით
„ბრუდგორს“ გადახედვა!
შენ ისევ ისეთი მშვენიერი მთა ყოფილხარო,
შე დასაქცევოო - უთხრა“...

თუშების სამეტყველო ტრადიციის თანახმად, ახლობლის სიყვარული ხშირად გადმოიცემა უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვათა ფორმულებით, მაგ.: ლაიალოჰ‘ , ჰა‘ანეე... „შე გასაქრობო“... ან დახ‘ლაიალოხ‘, ლე ვუი იშტუ ლამზურ იახ‘... „შე სასიკვდილე, რატომ ხარ ასეთი ლამაზი“... (ძირითადად ბავშვებს მიმართავენ ხოლმე) და სხვ. ეს გამონათქვამები ძირითადად ახასიათებდა ბებიების და დედების მეტყველებას და მიმართული იყო თვალის ასაცილებლად. ასეთ ფორმულებს ხშირად სიმღერებშიც იყენებდნენ.

4**. <u>ბევრი სიმღერა და ლექსი ეძღვნება მეცხვარეებს</u>,** რომლებიც წლობით მოწყვეტილნი არიან ოჯახს. სასიმღერო ტექსტებში, როგორც წესი, აღწერილია მეცხვარეობის მძიმე შრომა და ყოფა, თუმცა, ამავდროულად, ნაჩვენებია ამ დარგის მიმდევართა ღირსეულობა და მათი ჯაფის ფასი. ასეთი სიმღერები მიმართულია, ძირითადად, ძმების, მამებისა და მეუღლეებისადმი და აღსავსეა მოლოდინის, მონატრების გრძნობებით და ხშირად შიშით მათი სიცოცხლის დაუცველობის გამო, მაგ: (ეს ტექსტი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ტექსტია თუშურ ფოლკლორში - დაახლოებით XIX ს. დასაწყისს ეკუთვნის): წ.-თ.

ათხა ლომრენა დაღოშა
ნაყა ჟენ პირა ბაჟერა;
ფენიხა მემცხორ ლათთერა,
ღოჭმაქა დეღა დიენო;
თყუიჰ‘ა ყალჩაღა ჯაწურა,
ჩუჰ‘ ბაყინ ცუა ბალლორა;

„როცა ჩვენ მთიდან მოვდიოდით,
გზაზე ცხვრის ფარა ძოვდა-ო,
გვერდითა მეცხვარე იდგა -
ტანით ჯოხზე მიყრდნობილიყო;
ზურგზე ყალჩაღი ეკიდა,
შიგ გამხმარი ქუმელი იდო-ო;

ქოკიხა ჩხინდრი დაფხურა - ფეხზე ჩხინდრები ეცვა
ბეიჩლა'ღარ აგას დიენო... ბაჩულაანთ ბებოს ნაქსოვი-ო...“
(ყალჩაღ „მეცხვარის ჩანთა“, ჩხინდრი „წინდები“)

მხოლოდ ამ ორ სტროფში თქვენ ნახავთ რამდენიმე ნიშანს, რომელიც მხოლოდ თუში მეცხვარეებისთვისაა დამახასიათებელი:

1. **ცხვრის ფარა დგას გზის გასწვრივ** (ე.ი. ეს ცხვრის გადარეკვის პერიოდია ბარიდან მთაში, ან პირიქით);
2. **ფარას გვერდით ედგა მეცხვარე, რომელიც ეყრდნობოდა ჯოხს** - მეცხვარე არ ზის (ხომ შეიძლება იჯდეს, ან ხეს მიეყრდნოს - ცხვარი ხომ ძოვს...) - იგი დგას (მზადაა მყისვე ცხვარს მიხედოს) და თვით დგომის თავისებური მანერა -**მიყრდნობილი,**ანუ დასვენებული (ზუსტი თარგმ.: **ტანი ჯოხზე ჰქონდა მიდებული**);
3. მეცხვარის ზურგს ამშვენებს ყალჩაღი (სამგზავრო ჩანთა), სადაც მისი ყოველდღიური საჭმელია ჩადებული (ცხვრის ხაჭოსთან შეზელილი ქუმელი), რომელსაც თუშურად **ცუ-ს** უწოდებენ;
4. .ფეხზე აცვია წინდები, რომლებიც ვგონებთ, ეკუთვნის თუშეთში ყველაზე კარგ მქსოველს - ბაჩულაანთ (ბაჩულაშვილების) ბებოს (წ.-თ. აგ); ეს სიმღერა ითქმის მუსიკალური მელოდიის თანხლებით, რომელსაც „სამგზავროს“ უწოდებენ, თუმცაღა ხშირად ამ მელოდიას ცალკე შესრულებითაც გაიგონებთ, რამდენადაც იგი დამოუკიდებელ მელოდიად არის ცნობილი - საქმე ისაა, რომ ამ მუსიკას უკრავენ იმ დროს, როცა ცხვარი დაიძრება გადასარეკავად ბარიდან მთაში ან პირიქით.

5. **<u>წოვა-თუშებს ბევრი მელოდია აქვთ ისეთი, რომლებიც რომელიმე მოვლენას ან გამოჩენილ ადამიანს ეძღვნება</u>**. ყველაზე მთავარი და ღირსშესანიშნავი მელოდია, რომელიც დღემდეა შემონახული - ეს მაცხოვრის დატირებაა; დაკვრისას მისი შემსრულებელი, როგორც წესი, იძლევა ასეთ განმარტებას: ... *„როდესაც იესო ქრისტე ჯვარზე გააკრეს, გარშემო ყველა ქვითინებდა და ბაყაყებიც კი ჩუმად იცრემლებოდნენ იმ უბედურების გამო და ჩვენმა ხალხმა ასე გადმოსცა ეს ტრაგედია...“ და სრულდება მელოდია, რომლის მოსმენისას ძნელია ცრემლი შეიკავო...*

წოვებში შეხვდებით ბევრ ისეთ მელოდიას, რომელიც მიბმულია ამა თუ იმ მოვლენაზე, რამაც მოსახლეობა გააოგნა, გააკვირვა და შეაძრწუნა. ეს მელოდიები ძირითადად ტრაგიკულია და მათ გარმონის თანხლებით ასრულებენ ქალები, თუმცა ძველად ჭიანურზე თურმე მამაკაცებიც უკრავდნენ, ესენია: „თამრუი დათხარ“ („თამროს ტირილი“ - ქალიშვილის მიერ უდროოდ დაღუპული მამის დატირება), „წიფლოვანა“, სადაც დედის ტრაგედიაა ჩაქსოვილი დაღუპული შვილის გამო, დეითკე დათხარ“ („დათიკოსა დატირება“ - ოჯახის მარჩენლის დატირება, რომელიც თავის ცხვრის ფარიანად ტრაგიკულად დაიღუპა), „ადმე დათხარ“ („ადამეს

დატირება“ - ადამე ბობღიაშვილის (ადამ ალვანელის) დატირება („სამანას“ ერთ-ერთი მონაწილის, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში) და სხვ. (1.-182). ასეთი დატირებების ჩამონათვალი (მხოლოდ მუსიკალური შესრულებით) თუშებში დიდია და ყველა მათგანი აღჭურვილია შესაბამისი მოკლე მითითება-ახსნებით. ეს **მელოდიებად გადმოცემული** მოთქმები - თუ შეიძლება მათ ასე ვუწოდოთ, როგორც წესი, გამოგონილია ოჯახის წევრებისა და ნათესავების მიერ, რომლებიც მუსიკალური შესრულებით გამოხატავენ მწარე გულისტკივილს და ამ ფორმით დასტირიან დაღუპულებს. ამის მიზეზი ისაა, რომ თუშების ტრადიციის თანახმად, მეუღლის საჯარო დატირება დიდ სირცხვილად ითვლებოდა, უფრო მეტიც - შვილების დატირებაც არ იყო მიზანშეწონილი, ამდენად ქალები თავის უბედურებას ჩუმად, განცალკავებულად, განიცდიდნენ - გარეშე თვალს მიფარებულები მელოდიის გარმონზე დაკვრით გადმოსცემდნენ ხოლმე.

მელოდია „წიფლოვანაც“ შექმნილი და შესრულებულია დედის მიერ, რომელსაც მთიდან ჩამოსვლისას პატარა შვილი ამოუვარდა ცხენზე გადაკიდებულ ხურჯინიდან, მაშინ, როდესაც იგი ადიდებული ალაზნის მეორე ნაპირზე გადადიოდა... ბავშვი ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს... ეს მელოდია ყველასთვის ცნობილია, მას ხშირად უკრავენ მწუხარების დროს.. მისი მოსმენა ძალზე მტკივნეულია, რამდენადაც სულ რამდენიმე ჰანგის შერწყმით ცოცხლად არის ასახული დედის გაუსაძლისი ტკივილი... თუშებისთვის იგი ყველა „დაკვრებში“ გამორჩეულია თავისი ტრაგიზმით...

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ თუშური „სამგზავრო“, რომელსაც უკრავენ მაშინ, როდესაც ცხვრის მთაში ან მთიდან გადარეკვის პროცესი იწყება - ეს თავისებური რიტუალია, რომელშიც მონაწილეობენ მეზობლები, ახლობლები და ყველა ის, ვისაც მეცხვარეებს ამ რთულ გზაზე გაცილება სურს. ეს რიტუალი ძალზე მხიარული და შთამბეჭდავია, რამდენადაც ხშირად მეცხვარეების გასაცილებლად მთელი ქუჩა ან სოფელიც კი გამოდის. მეცხვარეებს წინ იმდენად ხანგრძლივი და სირთულეებით აღსავსე გზა ელის ამინდსა და უამინდობაში, რომ მათი ცხვარში გაცილება - ომში გაცილების ტოლფასად აღიქმება; ამდენად, დალოცვის მთავარი არსი **ღმერთის დალოცვა და იღბლიანი გზა და ამინდია**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ფოლკლორშიც ბევრია სიმღერა თუ დაკვრა, რომლებიც გზას და მგზავრობას ეძღვნება (მაგ., „მგზავრული“ და სხვ.), მაგრამ ისინი სხვა თემატიკას ასახავენ - სამშობლოსგან განშორებას, მშობლიურ კუთხესთან დამშვიდობებას და სხვ.

თვით ინსტრუმენტზე თუშური მელოდიის შესრულება მსმენელს ერთი შეხედვით შეიძლება ძალზე მარტივი მოეჩვენოს, მით უმეტეს იმას, ვინც ნაკლებად იცნობს მათ - იქამდეც კი, რომ ექმნება ერთი და იმავე მელოდიის შესრულების შთაბეჭდილება, მაგრამ

მუსიკოსები და თვით თუშები ძალიან ზუსტად აღიქვამენ ყველა მელოდიას, კარგად განასხვავებენ მათ და დიდი გულისყურით უსმენენ.

6. **ძალიან საინტერესოა რიტუალური სასიმღერო შესრულებები**, რომლებიც მხოლოდ ხმებში ინსტრუმენტის თანხლების გარეშე სრულდება; მათი შესრულების მანერა სოლოსა(ლოტბარის) და მოგუდული ბანის მიყოლებით ხასიათდება. ეს ნამღერები გაგონებთ **ქართულ *საგალობლებს*** და ვაინახურ **საგალობლებს (ნაზმებს)** ერთდროულად, თუმცა ორივესგან განსხვავდებიან: კახურ **საგალობლებისგან** განსხვავებით, ისინი კონკრეტულ ტრაგიკულ შემთხვევას ეძღვნება, **ნაზმებისგან** კი იმით განსხვავდებიან, რომ მათში საერთოდ არაა წარმოდგენილი სასულიერო თემატიკა და, რაც მთავარია, - მათ მხოლოდ ქალები ასრულებენ (ძირითადად ასაკოვნები); ისინი ძირითადად მწუხარებასთან დაკავშირებულ დღეებში სრულდება... ანალოგიური ნამღერები დამახასიათებელია ფშავ-ხევსურებისა და მთიულ-გუდამაყრელების ფოლკლორისთვის. ვვარაუდობთ, რომ ეს ყველაზე ძველი ფენაა იმ ჟანრთა შორის, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფოლკლორისთვის.

თუშებს თითქმის არ გააჩნიათ სასიხარულო და სამხიარულო სიმღერები, სადაც ბედნიერებაზეა საუბარი. ყველა მათგანი მინორული განწყობისაა: მაგ., თუ სიყვარულს უმღერიან - ეს სიყვარული აუცილებლად უნდა იყოს გაუზიარებელი, თუ საყოფაცხოვრებო თემატიკაა (ეძღვნება მეუღლის ან ძმას, ვაჟიშვილს...) - დაუსრულებელი ლოდინია; ისინი აუცილებლად ნაღვლიანია, რამდენადაც მოლოდინის სიმწრის ნოტებია ჩაქსოვილი (მეცხვარეთა მოგზაურობები ზოგჯერ წლობით გრძელდებოდა და სამიში იყო მათი სიცოცხლისთვის).

წოვები სიმღერებს თხზავენ როგორც ქართულად, ისე წოვა-თუშურადაც, თუმცა ამ უკანასკნელთა რაოდენობა, როგორც წესი, ბევრად ნაკლები იყო და არის ამჟამადაც. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართული მათთვის ისევე მშობლიურია, როგორც ჩაღმური კილო - ჩაღმა-თუშებისთვის, მაგ. სიმღერები „რა ლამაზია თუშეთი“, „შატილის ასულო“ და მრავალი სხვა, რომლის ავტორიც ცნობილი თუში პოეტი იოსებ ლონგიშვილია, თავიდან ქართული ტექსტით იყო დაწერილი და ნამღერი (ახლაც ქართულად სრულდება), თუმცა შემდგომ, ზემო-ალვანის ფოლკლორული ანსამბლის „წოვათას“ წვრების მომღერალი ქალების სურვილით (ციცინო დინდაშვილი, ლელა საგიშვილი, ასმათ ლონგიშვილი, ნათელა ჭარელიშვილი, მერიკო ჯიხოშვილი), მათი ტექსტები გადაითარგმნა წოურად და დღეს ისინი ერთდროულად ორივე ენაზე სრულდება. ეს მოხდა ახლახანს, სულ რაღაც 7-8 წლის წინ და მათ ეს ფაქტი ასე ახსნეს: - ერთი მიზეზი ისაა, რომ

ენა იკარგება და იქნება სიმღერით გავუხანგრძლივოთ მას სიცოცხლე (ბავშვები რომ მოისმენენ - ყურს მიაჩვევენ, დაინტერესდებიან), მეორე - ჩვენ თვითონ ვიღებთ სიამოვნებას ჩვენთვის საყვარელი თუშური, ოღონდ ქართულად დაწერილი სიმღერების ჩვენი ბებია-პაპების მეტყველებაზე მოსმენისას. ეს სრულიად კეთილშობილური, რომ არა ვთქვათ, ჰუმანური საქციელი ბევრმა ადგილობრივმა შემსრულებელმა აიტაცა და ახლა თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ არაერთი სიმღერა ერთი ტექსტით, არა მარტო წოურად და ქართულად, არამედ ჩაღმურადაც.

აღსანიშნავია, რომ ისტორიულად ყველა თუშისთვის (ჩაღმა, წოვა) დამახასიათებელი იყო სიმღერის ინდივიდუალური შესრულების მანერა, თუმცა ამჟამად მათი შესრულების წესი შერეულია: არის ლოტბარი და როცა მიდის სტროფის ხაზის გამეორება - ერთვება გუნდი ხმების ტონალობების დაცვით. ასეთ შესრულებას ფართო ხასიათი არა აქვს - ეს ხდება სუფრაზე და მაშინ, როცა სცენიურ ხასიათს ქმნიან რომელიმე დადგმაში, რამდენადაც თვითონ თუშების ბუნებიდან გამომდინარე და მათი თავშეკავებულობის წყალობით, ურჩევნიათ მოსმენა, ვიდრე ხმებში აყოლა. საერთოდ უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ზოგადად მუსიკალურ შემოქმედებას თუშები ქალების საქმედ მიიჩნევენ, ამდენად, რომც იყვნენ დაჯილდოვებულნი მუსიკალური და საშემსრულებლო ნიჭით, თუში მამაკაცები ამ პროფესიის არჩევას ერიდებიან დღემდე: წ.-თ. **დავი(ნ) ხილჰარ და ის, ალ'ორ**.. „მსუბუქი ქცევაო, იტყოდნენ“...ამას უკავშირდება თუშების მეხსიერებას შერჩენელი ერთი საინტერესო შემთხვევა, როდესაც ლაგაზიძეების გვარიდან ერთ-ერთ ახალგაზრდას აღმოაჩნდა შესანიშნავი საოპერო ტენორი და მას სცენაზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ თანასოფლელების დაცინვას მოერიდა და სულ სხვა სპეციალობა აირჩია, თუმცა იქაც წარმატებულად იღვაწა.

და აქ დაისმის ლოგიკური კითხვა, რომელიც ჩვენთვის - ავტორებისთვისაც - ამ საკითხზე მუშაობისას ძალიან საინტერესო იყო - რატომაა თუშებში ასეთი მკაცრი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი და რატომაა, რომ ყველა ჟანრში ტრაგიკული თემატიკა ჭარბობს?..

პასუხი მარტივია: თუშების ცხოვრების წესი მომთაბარეობა იყო პირდაპირ დაკავშირებული მათ საქმიანობასთან (მეცხვარეობასთან). შესაბამისად, მათი ცხოვრებაც იყო აღსავსე საშიშროებებითა და მოულოდნელი სირთულეებით, ამდენად ტრაგიკული შემთხვევებიც ბევრი იყო და ქალებს შავი სამოსის ჩაცმა ხშირად მთელი ცხოვრების განმავლობაში უწევდათ. ალბათ, ამითაა განპირობებული ის, რომ ქართული ეროვნული სამოსის ფონზე თუშურ კუთხურ სამოსში ვერ შეხვდებით სამხიარულო ფერებს (გარეგნულად თუშური ყველაზე უფერულია - კაბის შავ ფონზე მკერდის ნაწილია მოქარგული წვრილი ჯაჭვებითა და ყელს შინდისფერი ატლასის ან

ხავერდის საყელო ამშვენებს), ქალის საქორწილო სამოსიც თითქმის არ განსხვავდება ჩვეულებრივისაგან.

წოვა-თუშურში ძალზე საინტერესოა ლექსის ტექსტის წყობა და შესრულების მანერა მუსიკის თანხლების დროს:

1. ორჯერ მეორდება მხოლოდ პირველი ხაზი:

მადელ მო‘ ბარალ, ნანალო, ნანა...
„მადლი იქნებოდა, ნანალო, ნანა-ა..
მადელ მო‘ ბარალ, ნანალო, ნანა...
მადლი იქნებოდა, ნანალო, ნანა-ა..
გიჰ‘ჯაწუჩ ყალჩღეღ Ქერწანა, ნანა-ა..
ზურგზე დაკიდულ ჩანთად ვიქცე, ნანა-ა..
ვაი სე ბედუხა, ნანალო, ნანა-ა..
ვაი, ჩემს ბედს, ნანალო, ნანა-ა“...

ეს გამეორებები სიმღერის ყველა თემატიკისთვის ერთგვარი პრელუდიაა, თუ გავითვალისწინეთ, რომ სიმღერის ყველა სტროფი იწყება პირველი ორი ხაზის გამეორებით. შემდეგ მოყვება ორი ხაზი, სადაც ნათქვამია - რა იქნებოდა მადლი: ***ნაბდად იქცე, ჩანთად იქცე, ძაღლად იქცე, ცხენად იქცე* და ა.შ.** აქ არაა მუსიკალური შუალედური გარბენები, მათ ცვლის ტექსტის პირველი ორი ხაზის ორჯერ გამეორება;

2. სტროფის პირველი ორი ხაზი მეორდება და მას მოჰყვება მელოდიის სრული გარბენა, მაგ.:

ნაყმაქ ჯეირანსა ცო იაღგეჰ‘, გზაში ჯეირანივით აღარ მოდიხარ
ცო იაგეჰ‘ თარჰლენ შველეხა... არც შველს აღარ გავხარ უკვე...
ნაყმაქ ჯეირანსა ცო იაღგეჰ‘ გზაში ჯეირანივით აღარ მოდიხარ
ცო იაგეჰ‘ თარჰლენ შველეხა არც შველს აღარ გავხარ უკვე...“

--- «---- « ----- « ----- « ----- « ----« --- « - « ---« ----- « -----«
_____” _____” _____”_____
_____” _____” _____” ____

3. სტროფი სრულდება მთლიანად, შემდეგ მოყვება მუსიკალური გარბენა - ასეთ სიმღერებში თემატიკა და ზოგჯერ სიუჟეტიც მთლიანად გამჭვირვალეა, მაგ.:

შატილე იოჰ‘ ია ჰ‘ო, დეღ დუტყი ფატიმათ,
„შატილის ასულო, ლერწამო ფატიმა
ნიფსრილო ლახოს ჰ‘ო სე შინვა ტოტევა
ტოლებში აგარჩევ ორივე ხელითა,
შატილე ლამნახი ბაცბილო Ქიკოს ჰ‘ო
შატილის მთებიდან თუშებში წაგიყვან
კმატმაქაა ლეთხინჩო საღარა დონევა
მთებზე მფრინავი საღარა ცხენითა“

(სტროფის ხაზების ასეთი განლაგება ახასიათებს ძირითადად პატარა ბალადებსა და სიმღერების, სადაც იკვეთება სიუჟეტი).

<u>წარმოგიდგენთ მოკლე ლინგვისტურ მარკერებს</u>, რომელიც დამახასიათებელია წოვა-თუშების სასიმღერო ფოლკლორისთვის:

1. სასიყვარულო თემატიკასთან დაკავშირებულ სიმღერების შესრულებისას ხშირად მიმართავენ დედას - ***ნანალო, ნანა***:
მადელ მო' ბარალ, ნანალო, ნანა.. „რა მადლი იქნებოდა, დედიკო, დედა"...
ან: ვაი სე ბედუხა, ნანალო, ნანა... „ვაი, ჩემს ბედსო, დედიკო, დედა"...
ჩაჯინჩაჯ ლამზურ ვაგანა, ნანა... „შორიდან ლამაზი მენახა, დედა"...

აღსანიშნავია, რომ ***ნანა***... ხშირად **იავნანას** მისამღერიცაა, მაგ,:
ნანაიჲ-ნანაიჲ-ნანაიჲ-ნანოოო „
ნანაი-ნანაი-ნანაი-ნანოოო"
ჩუთუიჰ'დის, ბადერ, ჩუთუიჰ'დის, ნანო..ო..
დაიძინე, შვილო, დაიძინე, ნანა..აა
ასა თერქდოსა, ნანასა, ნან-ოოოო,
მე გარწევ, დედა ვარ, ნანაააა....
ნანაი-ნანაი-ნანაი-ნანოოო... ნანაი-ნანაი-ნანაი-ნანოოო
ნანაი-ნანაი-ნანაი-ნანოოო... ნანაი-ნანაი-ნანაი-ნანოოო..."

მისამღერი *დალივ* -***დალალე, დალალე,***რომელიც ახლავს სოციალურ თემებზე დაწერილ სიღერებს, ქრონოლოგიურად, ვფიქრობთ, ყველაზე ძველია ყველა ჩამოთვლილ მისამღერთაგან. როგორც მისამღერი, იგი ქართულშიც გვხვდება. თუმცაღა, სხვა კავკასიურ ენებში, ჩვენი ვარაუდით, იგი არ დასტურდება, მიუხედავად იმისა, რომ ***დალ-ე*** ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვაა არა მარტო წოვა-თუშურში, არამედ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (ქართ. ***დალი*** - ღმერთი, დაღესტნურ ენებში - ***დალ***, ვაინახურ ენებში ***დაალ*** და სხვ.). წოურ მისამღერში სიტყვა ***დალ-ე*** - წოდებით ბრუნვაშია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ის რაც ტექსტშია ნათქვამი - ყველაფერი ღმერთისკენაა მიმართული; თუმცა, შესრულებისას ეს ნიუანსი არაა გამოკვეთილი და აღიქმება ჩვეულებრივ მისამღერად:

დალ-დალივ-დალე,დალივ-დალალე...
„_____"_____"_____"_____
დალ-დალივ-დალე,დალივ-დალალე...
_____"_____"_____"_____

მიჩ ბახე(ნ) ვაი(ნ, ვეღე(ე) ჯელ-წესა?
„სად წავიდა ჩვენი ჩვენებური წეს-ჩვევა?"..
„მიჩ დახე(ნ) ვაი(ნ) თუშურ ქორწილა?"..
სად წავიდა ჩვენი თუშური ქორწილი?..
ლარკ ცო ϛეფოგა ინცლუჩ ყონშივა-
ყურს არ უგდებენ ეხლანდელი ახალგაზრდები -
ცო ბაგეგ ქუირწლეხ იჯფე(ნ) მორჩილა
.. არ არიან ქორწილში ეჯიფის მორჩილები...
დალ-დალივ-დალე,დალივ-დალალე...
_____"_____"_____"_____

დალ-დალივ-დალე,დალივ-დალალე...
_____"_____"_____"_____"

(ეჯიფი „ქორწილის წამყვანი")

1.მისამღერები ***ვაით-ვაიხ***... და ***ვაი-სოხა***... დამახასიათებელია მხოლოდ სამგლოვიარო სიმღერებისთვის - ამ სლოგანებით იწყებენ სიმღერის შესრულებას:

ვაით-ვაიხ..-ით გადმოსცემენ გლოვით მოჭარბებულ ექსპრესიას, რამდენადაც მისამღერი უკავშირდება ***ვაი-თხო***-ს ჩვენ (ინკლუზივ-ეკსკლუზივი), ე.ი. ჩვენ ერთად - მთელი სამყარო: - აქ ტრაგედია ძალიან დიდია და საერთოა (... ვაი, რა ხდება ჩვენს თავს...); ამგვარი მისამღერი არ გვხვდება ქართულ საგალობლებშიც კი: ჩვენი ვარაუდით, ეს მისამღერი ეკუთვნის ფოლკლორული ჟანრის იმ ფორმულებს, რომლებიც უხსოვარ დროს განეკუთვნება და არა მარტო წოვა-თუშურად მოლაპარაკეთა კუთვნილება **უნდა ყოფილ**იყო, შდრ.: ქართ. *ვაი..* **+** *თქვენ..*> *******ვაით ..* **+** *ვაი...*

<u>ვაი-სოხა</u>-ს.. - (ზედმიწ. **ვაი,** მე..-ს **«** (**სოხ**ა (>**ს**ო-ს წ.თ. გამსჭ. ბრ.) - შდრ. ქართ. ...ვაი-მეე...) აყოლებენ ერთი ადამიანის განცდების გადმოცემისას.

ეს სიმღერები (გალობები) დამახასიათებელია მრავალ ხმაში შესრულების დროს (აკომპანიმენტის გარეშე), მაგ.:

ვაით-ვაიხ, ვაით-ვაიხ, „
_____”_____”_____

ვაით-ვაიხ,ვაით-ვაიხ...
_____”_____”_____

მეთხერნა შუინა ღოთ ვეა, სამზეოდან წავალთ ჩვენ,
ცო დაღგეთ ვეა ესევა, აღარ მოვალთ ჩვენ აქეთ,
ვენ დენოლ ჩუ ცო Ქითოე ჩვენ სიცოცხლეს არავინ დაგვიტოვებს
დუღდაკრევ, კვნესევ, დათხრევა... ვერც კივილით, კვნესით, ტირილით
ვაით-ვაიხ...ვაით-ვაიხ...
___”_____”_____”

ვაით-ვაიხ... _____”__

შეიძლება შეხვდეთ ასეთ მისამღერსაც: „წ.-თ. ...ვაი-სოხა... ვაი, სე ქორთიხა... ვაი, მე... ვაი ჩემს თავსა...“ - ზუსტად ამით მთავრდება სამგლოვიარო მისამღერი. ქართულშიც შეხვდებით მსგავს ფორმებს: ... ვაი მეე.., ... ვაი მე, ჩემო თავო... და ვაი მეე, ჩემო დედაო...

მუსიკალურ სამყაროში ამ ყველა მისამღერს გლოსალალიებს უწოდებენ - ისინი ყველა ენაში გვხვდება, თუმცა, როგორც ვხედავთ, ყველა კუთხე მათ თავისებურად გამოხატავს - მისთვის დამახასიათებელი ინტონაციითა და ინდივიდუალურობით.

დაბოლოს, მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, რომ სტროფის ყოველი ხაზი, როგორც წესი, ბოლოვდება **ა**-ხმოვნით: ეს პოეტიკურ-სასიმღერო მარკერია, რომელიც ჩვენი ვარაუდით, დამახასიათებელია მთელი კავკასიის სასიმღერო ჟანრისთვის.

როგორც, აღვნიშნეთ, ტრადიციის თანახმად, წოვების ყოველ ოჯახში ერთი ადამიანი მაინც აუცილებლად უკრავდა რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე: ქალები - გარმონს (წ.-თ. ***ბუზკანტ*** - შდრ. რუს.,музыкант, შდრ., ქართ. **გარმონი** და რუს. гармонь),

კაცები კი - სიმებიან იმსტრუმენტს (წ.-თ. *ჭინურ* (შდრ. ქართ. ჭიანური, ლეზგ. **ჭუგურ**, ჩეჩ. **ჭოანდირგ**) ან - წ.-თ. ***ფანდურ*** (ჩეჩ. დეჩიგ პონდარ „ხის ფანდური“). მეცხვარეობა კი წარმოუდგენელია **სალამურისა** (წ.-თ. სალამურ) და დოლის (წ.-თ. **დოლ**) გარეშე.

აღსანიშნავია, რომ თუშებს თავისი სიმებიანი საკრავებისა და სალამურის გაკეთების ოსტატები ჰყავდათ, ამდენად მათ ადგილზე უკვეთავდნენ (1. - 183). გარმონი კი შორეული ადგილებიდან ჩამოჰქონდათ და მათ საყიდლად არანაირ თანხას არ იშურებდნენ, რამდენადაც იგი ქალიშვილის მზითვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც იყო. ოსტატური დამკვრელი ქალების სახელები დღესაც შემორჩა თუშების მეხსიერებას, ესენია: ელო ღალაგიშვილი, მარიამ ჭყოპიშვილი, მაკა მაჩაბლიშვილი, რეპკო ქააძე, პავლე ლაგაზიძე, თამარ ქააძე, ნატო ლონგიშვილი და სხვ. (1.- 183).

ჩვენ ვეცადეთ წარმოგვედგინა წოვა-თუშების სიმღერები, ნამღერები და გალობები, რომლებიც მაშინაც კი, თუ წოური მეტყველება დაიკარგა - მაინც შემოინახება მისივე ქართულ შესრულებაში. თუ დაიკარგა წოვა-თუშების თვითმყოფადობა და კოლორიტი, კაცობრიობა შესაძლოა ამით ბევრს არაფერს დაკარგავს, მაგრამ ის რომ გაღარიბდება - უტყუარი ფაქტია. ჩვენმა კვლევამ ისიც ცხადყო, რომ წოვა-თუშების იდენტობა ძალიან მკვეთრად გამოხატულია მათ მუსიკალურ ფოლკლორშიც და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ერთიანი ჰანგების ნაწილია. ადამიანებმა შეიძლება ისესხონ ლექსიკური ერთეულები ენაში, სამოსის რომელიმე შემადგენელი ნაწილი, უცხო სამზარეულოს რეცეპტი, მაგრამ მთელი შემადგენლობით ამღერდნენ უცხო მოტივზე - ძალზე რთული წარმოსადგენია... ამდენად, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავადასტუროთ ის ფაქტი, რომ წოვა-თუშების კულტურა იდენტურია ქართული თვითშეგნებისა. ჩვენ კი ერთად ვიფიქროთ იმაზე, თუ რა გზას დავადგეთ, რომ გადავარჩინოთ ენები, კილოკავები და დიალექტები როგორც განძი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა სათუთად შემოუნახეს ჩვენს თაობას.

(აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სტატიაში ჩვენ პირველად წარმოვაჩინეთ პროფ. ა. შავხელიშვილის საარქივო მასალები, მისი მუსიკალური აუდიო ჩანაწერები, რომლებიც გაკეთდა ექსპედიციების დროს XX ს-ის 60-70-იან წლებში სოფ. ზემო-ალვანში).

დამოწმებული ლიტერატურა:

ა.შავხელიშვილი 2001 - А. Шавхелишвили , Тушины, Тб., 2001;
ივ.ჯავახიშვილი 1938 - Ив. Джавахишвили , Основные вопросы грузинской народной музыки, Тб., 1938;

ნ. მაისურაძე 1989 - Н. Майсурадзе, Грузинская народная музыка и её историко-этнографические аспекты, Тб., 1989;
ნ. ზუმბაძე . . . 2005 - Н. Зумбадзе, К. Матиашвили, О. Капанадзе , Musikal Fieldworkin Zemo-Alvani (TheV. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire International Research Centerfor Traditional Polypho BULLETIN), Tb., 2005.

Bela Shavkhelishvili, Karina Vamling

Language and Music

(Based on Tsova-Tush (Batsbi) Folklore Materials)

Tushetian (Tsova, Chagma) instrumental performances belong to patriotic-lyric genre represented by tunes and songs – sketches about love of homeland, grievous situations (natural disasters, difficulties of life typical for inhabitants of the mountains and their occupation (sheep-breeding), love and devotion to each other, betrayal and perfidy, brotherhood, friendship, etc.). The article presents major Tsova-Tush (Batsbi) musical folklore samples and their detailed description not only according to genre, but also their linguoculturological characteristics.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე:

„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“

25-26 ნომბერი, 2011 წელი

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ყველა ერს, ეთნოსსა თუ ეთნიკურ ჯგუფს აქვს უფლება, ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს საკუთარ ენობრივ, ეთნიკურ, სახელმწიფოებრივ თუ კულტურულ ისტორიაზე. ობიექტური ჰუმანიტარული მეცნიერება ქმნის ხალხთა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობის ურყევ საძირკველს, პოლიტიკური მიზნებით დეფორმირებული „მეცნიერება“ კი - ომის იდეოლოგიას. ფაქტია, რომ სხვადასხვა მიმართულების ტენდენციურმა სამეცნიერო დებულებებმა დიდად ავნო მსოფლიოს ყველა - მრავალრიცხოვან თუ მცირერიცხოვან - ხალხს, მათ შორის, კავკასიელ ერებსაც. **ჰუმანიტარული მეცნიერება მშვიდობაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა დაპირისპირების პროვოცირებაზე.**

დიდ იმპერიას აქვს შთამბეჭდავი რესურსები, თავისი ინტერესების შესაბამისად დაგეგმოს და მართოს მეცნიერება დაპყრობილი მცირერიცხოვანი ერების შესახებ. სამწუხაროდ, ამგვარ ზემოქმედებას ვერ ასცდა ვერც ქართველოლოგია.

სხვა მეცნიერებების მსგავსად, ქართველოლოგია ინტენსიურად ვითარდება ბოლო ორი საუკუნის მანძილზე; ამ პერიოდში საქართველო მეტწილად ანექსირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ; შესაბამისად, ქართველოლოგიის დაგეგმვისა თუ განვითარებისადმი მკაფიოდ ჩამოყალიბდა რადიკალურად განსხვავებული ორგვარი მიდგომა:

1. იმპერიის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე ორიენტირებული კვაზიქართველოლოგია;

2. ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებზე ორიენტირებული მეცნიერული ქართველოლოგია.

ქართველოლოგიისთვის დღეს განსაკუთრებით აქტუალურია რუსეთის იმპერიის მიერ შექმნილი ისტორიულ-ტერიტორიული იდეოლოგემების, მცდარი ეთნოკვალიფიკაციებისა და ფსევდომეცნიერული ლინგვისტური რუკების კრიტიკული ანალიზი; ასევე, აუცილებელია, აფხაზ, ოს და სხვა მეცნიერებთან ერთად ერთობლივი კვლევების განხორციელებით, ენათმეცნიერების, ისტორიოგრაფიის, ეთნოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგების გათავისუფლება იდეოლოგიზებული დებულებებისგან.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ კავკასიის ხალხებისთვის ახალი შესაძლებლობები გაჩნდა. მეცნიერებმა, ერთობლივი კვლევებით უნდა შექმნან მყარი საფუძველი, რომ კავკასია-წინა აზიის რეგიონის ერებმა თუ ეთნოსებმა **ობიექტურად აღიქვან თავიანთი ენობრივ-ეთნიკური მეობა, უკეთ დაინახონ ერთმანეთი.** 2011 წლის 25-26 ნოემბრის ქართველოლოგიურმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ ამ მიმართულებით ერთ მოკრძალებული ნაბიჯი გადადგა.

მეცნიერული ქართველოლოგია სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა საინტერესო ასპარეზად უნდა იქცეს. განსაკუთრებით, კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებში - საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, რუსეთში/ჩრდილო კავკასიაში, ასევე, ირანში მოღვაწე ქართველოლოგებს /კავკასიოლოგებს, შეუძლიათ, ერთობლივი კვლევებისა თუ სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებით გააქტიურონ ლინგვისტური, ეთნიკური და კულტუროლოგიური კვლევები ქართულ-ჩრდილო-კავკასიური, ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-ირანული ისტორიული ურთიერთობის მიმართულებით; სწორედ ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს კავკასიაში მოსახლე საზოგადოებებს შორის მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის შეუქცევადობას.

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

The First International Conference of the Kartvelology Centre: „Actual Problems of Kartvelology“

November 25-26, 2011

M e m o r a n d u m

Every nation, ethnos or ethnic group has the right to have exhaustive information on its own linguistic, ethnic, state and cultural history. Objective humanitarian science creates a firm foundation for peace between peoples and states, whereas „science“, deformed by political purposes, creates a war ideology. It is fact that biased scientific provisions of different directions greatly harmed all big and small nations of the world, including the Caucasian peoples. **Humanitarian science should be oriented towards peace and not towards provoking confrontation.**

A great empire has impressive resources for planning and managing according to its own interests science on the conquered small nations. Unfortunately, Kartvelology could not have escaped such impacts either.

Like other disciplines, Kartvelology has developed intensively during the last two centuries. Over that period Georgia was mostly annexed by the Russian Empire; respectively, two radically different approaches towards planning and development of Kartvelology have clearly taken shape:

1. Quasi-Kartvelology oriented towards the geopolitical interests of the empire;

2. Scholarly Kartvelology oriented towards the vital interests of the Georgian nation.

At present it is especially urgent for Kartvelology to offer critical analysis of the historical-geographical ideologemes, false ethnic qualifications and pseudo-scholarly linguistic maps, created by the Russian empire. It is also necessary to liberate linguistics, historiography, ethnology and other neighbouring branches from ideologized provisions by means of implementation of joint research with Abkhazian, Ossetian and other scholars.

After the collapse of the Soviet empire, new opportunities emerged for the peoples of the Caucasus. Scholars should create a firm foundation in order that the nations and ethnoses of the Caucasian-Western Asian region **perceive objectively their linguistic-ethnic identity and see each other better**. The international Kartvelological scholarly conference, held on November 25-26, 2011, took a modest step in this direction.

Scholarly Kartvelology should turn into an interesting arena of researchers of various countries. Especially Kartvelologists/Caucasologists working in the states of the Caucasian region - Georgia, Azerbaijan, Armenia, Turkey, Russia/North Caucasus as well as Iran - by organization of joint research and scholarly forums, are able to activate linguistic, ethnic and culturological studies in the direction of Georgian- North Caucasian, Georgian-Armenian, Georgian-Turkish, Georgian-Azerbaijanian and Georgian-Iranian historical relationship. Exactly implementation of joint scholarly projects will facilitate peace and mutual respect between communities living in the Caucasus.

კრებული გამოსაცემად მომზადდა
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის
ქართველოლოგიის ცენტრში

The journal was compiled
at the Kartvelological Center
of Saint Andrew the First-Called Georgian University